საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

შ. ლომსაძე

# გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან

## ახალციხური ქრონიკები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1979

9(c41)
ББК63.3(2Г)
9(47.922)
ლ826

შრომაში შესწავლილია XVI—XIX სს. ქართველ კათოლიკეთა ურთიერთობა ლათინურ-კათოლიკურ და სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებთან. ქართველთა ლტოლვა „ლათინური სწავლის“ დასამკვიდრებლად; გარკვეულია ე. წ. „უნიტორების“ საქართველოში მოსვლისა და საქმიანობის მიზნები, ქართველ კათოლიკეთა კულტურული წვლილი, აქვეა მოტანილი მათ მიერ წარმოებული დღიურები, შესწავლილია მისი მნიშვნელობა.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

ლ $\frac{10604}{М607(06)—79}$ 239—79 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

# შესავალი

წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან*. პირველი ნაწილი ეხება ქართველთა შორის (უპირატესად მესხეთის ქართველთა შორის) კათოლიკობის გავრცელების გზებისა და მიზეზების ძიებას, ქართული ეკლესიების შეხვედრებს ლათინურ და სომხურ ეკლესიებთან და ამ ურთიერთობათა საერთო ვითარებიდან გამომდინარე კერძო შედეგებს.

რელიგიურ-ეთნიკური საკითხების დედუქციური გზით კვლევამ ბოლოს და ბოლოს მიგვიყვანა სამხრეთ საქართველოს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, გაგვერკვია შუასაუკუნეების მთელ მანძილზე მხარის რელიგიასა და ეთნიკაში მომხდარ ცვლილებათა ძირითადი მიზეზები, შეგვესწავლა და აგვეხსნა მესხთა ყოფაში შეჭრილი პროზელიტიზმის წარმოშობის ძირითადი მიზეზები.

XIII ს. 30-იან წლებში საქართველოში მონღოლთა ურდოების შემოჭრას კათოლიკე მისიონერთა შემოსვლა მოჰყვა. შემდეგ ამ ორ ერთიმეორის გამომრიცხავ მოვლენაში ნათლად გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნის მომავალი პოლიტიკური ორიენტაცია: „დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“, „ევროპა“ და „აზია“, „ქრისტიანობა“ და „მუსლიმანობა“. ეს ტერმინები თანდათან საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხებად იქცა. „ქართველობა“ თავისი ეკონომიკური წყობით, მეურნეობის ხასიათით, საადგილმამულო ურთიერთობის ფორმებით, განათლებით, რწმენითა და ყველა სხვა სოციალურ-პოლიტიკური ნიშნითა თუ სულიერი და ანთროპოლოგიური აღნაგობით დასავლეთის ოჯახის წევრი იყო. იმთავითვე ჩვენი ხალხის შეგნებაში „დასავლეთი“ და „ევროპა“ მუდამ დაწინაურებულის, მოწინავის, განვითარებულის ცნებათა გამომხატველი იყო, ამის

---

* გამოკვლევა იბეჭდება შემ[redacted]

საპირისპიროდ „აღმოსავლეთი“ ქართველობის წინსვლის გზის დამხშობისა და შემაფერხებლის გამომხატველ ტერმინად იქცა[1].

დასავლური ორიენტაცია ჩვენში საერთო მხარდაჭერით სარგებლობდა და დიდხანს მაჰმადიანური გარემოცვიდან ქვეყნის ხსნის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო გზად იყო მიჩნეული. აღნიშნულმა ვითარებამ ხელი შეუწყო კათოლიკე მისიონერთა წარმატებით საქმიანობას და ქართველთა შორის კათოლიკობის გაჩენას, რომელიც პოლიტიკური სიტუაციების მიხედვით ხან ძლიერდებოდა და ხან სუსტდებოდა. XVI ს. ბოლო წლებიდან თურქთა მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე კათოლიკეთა სულიერ მეურვეობას ნახჩევნელი სომეხი კათოლიკენი დაეუფლნენ. მესხეთში კათოლიკობის გავრცელების თავისებური პირობები შეიქმნა, რასაც ასეთივე შედეგი მოჰყვა.

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ შ ი წარმოდგენილია ცნობები ცალკეულ ქრონიკებსა და მათ ავტორებზე. შეფასებულია აღნიშნულ ჩანაწერთა მნიშვნელობა, გარკვეულია ავტორთა ვინაობა, მათი მოღვაწეობის წრე და საქმიანობა.

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ შ ი ქვეყნდება თვით ქრონიკები. იგი იბეჭდება პირველად და ამდენად ფართო სამეცნიერო მიმოქცევაშიც ახლა შემოდის. ქრონიკები დალაგებულია პერიოდული თანმიმდევრობით და დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში. 1. იოანე ხუცესის (ხოჯავანათ იოანეს) დღიური წერილები—ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდი, საქ. 2782-83, რომელიც შედარებულია სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ საქ. 134 ხელნაწერთან. როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის ცალი, ისე ახალციხური ცალიც 1892 წელს გადაუწერია იოანე გვარამაძეს.

2. სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკა დაცულია სამცხე-ჯავახეთის მუზ. ხელნაწ. ფონდში (შემდეგ სჯმხფ) — წირვების დავთარის მინაწერების სახით საქ. 159. ეს დავთარი წარმოადგენს ორიგინალს. მასში მოხვედრილი პირველი ქრონიკა განეკუთვნება 1767 წ. — „ჩემი თარიხი არის თარიხი 1767, ჩემი დიდი ძმა სტეფანა“. როგორც ჩანს, დავთრიდან ადრე უსარგებლია იოანე გვარამაძეს, საიდანაც ამოწერილი ცნობების (1809 წლიდან) ერთი ნაწილი დაურთავს იოანე ხუცესის დღიური წერილებისათვის, როგორც მისი

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969, გვ. 29.

გაგრძელება. ამ გამოცემაში იბეჭდება ჩვენ მიერ გადმოწერილი დედნისეული ტექსტი.

3. სტეფანე აბინაშვილის ქრონიკის — ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფ., საქ. 2782-83 — მცირე ნაწილი ი. გვარამაძეს დაურთავს როგორც გაგრძელება „დღიური წერილებისათვის". ჯერჯერობით მის პირველწყაროს ვერ მივაკვლიეთ. იგი ცალკე გამოვყავით და იბეჭდება, ისე როგორც დღიურ წერილებში იყო შეტანილი.

4. ანონიმი ხრონოღრაფის წირვის დავთარის ქრონიკა-ორიგინალი, ინახება სჯმხფ, საქ. 142; ამბის თხრობა იწყება 1793 წლის პირველი იანვრიდან და გრძელდება 1808 წ-მდე.

5. მღებრიანთ საგვარეულო ქრონიკა ანუ დაბადება, ქორწინება, გარდაცვალების დავთარი. სჯმხფ. საქ. 110, მოგვიანებითაა გადაწერილი ჩვეულებრივ რვეულში. დავთრის უძველესი ქრონიკა განეკუთვნება 1792 წელს — „1792 მარიამობის თვის 9 იოვან ლაზაროვისაგან მონათლულ იქნა იოანე მღებროვი, ნათლია იყო არუთინ თუმანოთი". ქრონიკა მოტანილია ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე.

6. ანტონ ხუციშვილის მოხსენება ვანჩენციო მთავარეპისკოპოსისადმი — სჯმხფ, საქ. 1847 — იბეჭდება დაცული დედნის მიხედვით. მოხსენებაში აღწერილია XIX ს. პირველ მეოთხედში ახალციხის საფაშოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება.

7. პავლე შაჰყულიანთის „მტკიცე ანდერძი" — სჯმხფ., საქ. 3171, დედანი, ანდერძში დაცულია საყურადღებო მასალა XIX ს. პირველი ნახევრის ახალციხეში განათლების მდგომარეობაზე, სასულიერო მოღვაწეობა-საქმიანობაზე და სხვ.

წიგნში წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოს შესახებ ჩვენ მიერ მოძიებული, ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი ქრონიკების ერთი ნაწილი. მეორე ნაწილის გამოქვეყნებას, რომელიც ბევრად უფრო ვრცელი იქნება, ახლო მომავალში ვაპირებთ.

ვფიქრობთ, „ახალციხური ქრონიკები" საქართველოს ისტორიით (განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს ისტორიით) დაინტერესებულ სპეციალისტს კარგ სამსახურს გაუწევს.

## კათოლიკოსის პირველი ნაბიჯები საქართველოში

მონღოლთა შემოჭრამ ფეოდალური საქართველოს შემდგომი განვითარება დიდი ხნით შეაფერხა. მათი პირველი გამოჩენისთანავე მომავალი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკური კურსი გადასინჯა. ახალ ვითარებაში ჯვაროსნებისაგან დაძაბუნებული და თურქ-სელჩუკების მიერ დამარცხებული ბიზანტიის სახელმწიფო არასაიმედო მოკავშირედ იქნა მიჩნეული. ქართველმა პოლიტიკოსებმა ორიენტაცია უფრო დასავლეთზე, ჯვაროსნებზე აიღეს. იმპერატორი ფრედერიკო ბრწყინვალე (ფრიდრიხი) XIII ს. 20-იან წლებში დიდი ამბით ემზადებოდა სირიაში შესაჭრელად და წმინდა ადგილების დასახსნელად. თუ ეს ასე მოხდებოდა, რაღა თქმა უნდა, სირიაში ჩამდგარ მოკავშირეს საჭიროების შემთხვევაში საქართველოსათვის შეიარაღებული დახმარების გაწევა შეეძლო. ასევე რეალური ჩანდა ევროპისა და რომისათვის საქართველოს სამხედრო ძალის გამოყენება სირია-პალესტინაში, ამიტომ იყო, რომ დამიეტში მყოფი ელჩის მეშვეობით ჯვაროსნები ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობისაკენ მოუწოდებდნენ. წინა აზიიდან თურქ-სელჩუკების განდევნისა და ამასთან დაკავშირებით წმინდა ადგილების განთავისუფლების იდეას XIII ს. I ნახევარში ჩვენში ისე ფართო ხასიათი მიუღია, რომ ბევრი მოწინავე ქართველი ჯვაროსნად ჩაწერილა და ომში წასვლის სურვილიც განუცხადებია. საერთოდ კი, როგორც რუსუდანისა და ივანე მხარგრძელის დასავლეთში გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, მოკავშირეთა დასახმარებლად ქართველებს უკისრიათ ორმოცი ათასი მეომრით გამოსვლა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა არ იყო. მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მოკავშირეთა დახმარებისა და მხარდაჭერის მაგივრად საქართველო თვითონ ჩაება ჩვენს ქვეყანაში მოულოდნელად შემოჭრილ ხვარაზმელებ-

სა და მონღოლ-თათართა ურდოებთან მომქანცველ ბრძოლაში. პალესტინა-იერუსალიმის ქრისტიანთა იმედი, რომ ხსნა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — საქართველოდან მოვიდოდა და ქართველი ჯვაროსნების ხმლით განთავისუფლდებოდა წმინდა ადგილები, არ გამართლდა. საქართველოს ლაშქარი სირია-პალესტინისაკენ ვერ დაიძრა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ჯვაროსნებს აქტიური შეხვედრების საშუალება არ მიეცათ. ევროპა-საქართველოს ურთიერთობა შექმნილი ვითარების მიხედვით სხვაგვარად წავიდა — იგი შესუსტდა, გარეგნულად რელიგიურ სარბიელში გაეხვია და მისიონერულ მოღვაწეობას დაუკავშირდა.

პირველი მისიონერები ჩვენში ჩნდებიან სწორედ თათარ-მონღოლთა შემოსევების დროს, XIII ს. 20-იანი წლების დასასრულს და 30-იანი წლების დამდეგს. მისიონერთა პირველ რაზმს შეადგენდნენ ფრანცისკანელთა ორდენის წევრები, ე. წ. მინორიტები. რომლებიც აქ მოვიდნენ 1229—1230 წ.წ. მღვდელ-მონაზონ იაკობ როგსანელის წინამძღოლობით. საქართველოში მოსვლისა და დამკვიდრებისთანავე ისინი უკავშირდებიან სამეფო კარს და ებმებიან ქვეყნის დიპლომატიურ საქმიანობაში[1].

XIII ს. 30-იან წლებში მონღოლ-თათართა დიდძალი ლაშქრის მოზღვავების პირობებში აშკარა ხდებოდა, რომ საკუთარი ძალებით ქვეყნის თავდაცვა შეუძლებელი იყო. რუსუდანმა და დავითმა დახმარებისათვის რომს მიმართეს, თან დადებითი პასუხის შემთხვევაში მეფეები აღუთქვამდნენ, რომ საქართველოს ეკლესია წინააღმდეგი არ იქნებოდა შეერთებოდა კათოლიკურს და ეცნო პაპის უზენაესი ხელისუფლება. დასავლეთმა გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს ქვეყანას რეალურ სამხედრო დახმარებაზე თავაზიანი უარი უთხრა, სამაგიეროდ აღფრთოვანებით შეხვდა რომის ეკლესიასთან მისი შეერთების საკითხს. საქართველოს დასავლეთი მაშინ ჯერ კიდევ ახლო აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწიფოდ მიიჩნევდა, ხოლო მცხეთას აღმოსავლეთის ქრისტიანთა უპირველეს ცენტრად. ამგვარი საფუძველი უნდა ჰქონოდა 1240 წ. იანვარში პაპ გრიგოლ IX განცხადებას, რომ საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთება საერთოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის გათიშული ეკლესიების გაერთიანების მომასწავებელი იქნებოდა[2]. ეკლესიათა შეერთების აზრს გრიგოლ IX ისე გაუტაცნია,

---

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა, თბ., 1902, გვ. 12—16

[2] იქვე, გვ. 17.

რომ საქმის დასაგვირგვინებლად დომინიკანელთა ორდენის, ე. წ. მოქადაგეთა წესის 8 მონაზონი გამოუგზავნია და საქმის წარმატებით გადაწყვეტას დალოდებია, მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები პაპ გრიგოლ IX-სავით როდი ფიქრობდნენ. მათი აზრით, ეს საკითხი რეალურად მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური საკითხების მოგვარების შემდეგ უნდა დამდგარიყო. დომინიკანელი მონაზვნები ადრე მოსულ ფრანცისკანელთა გვერდით დამკვიდრდნენ და ადგილობრივ ხელისუფალთა დახმარებით 1240 წ. თბილისში დააფუძნეს პირველი კათოლიკური მონასტერი, რის შემდეგაც მისიონერთა შემოსვლამ ჩვენში სისტემატური ხასიათი მიიღო. დასავლეთიდან სამხედრო დახმარების მოლოდინში ქართველი პოლიტიკოსები შესაძლებლად მიიჩნევდნენ ჩვენში კათოლიკური მისიონის არსებობას და თუნდაც რელიგიურ ნიადაგზე გარკვეული კავშირის შენარჩუნებას ევროპასთან, რაც პოლიტიკური სიტუაციების მიხედვით ხან საკმაოდ ძლიერდებოდა, ხან კი გაუქმების პირას მიდიოდა.

1245 წ. ფრანცისკანელთა ორდენის მრავალი მონაზონი გამოგზავნა პაპმა ინოჩენციო IV[3], რომელთა მიზანს „აღმოსავლეთის ჯვრით დალაშქვრა“, კათოლიკობაზე მოქცევა და რომისათვის მრევლის გაზრდა შეადგენდა. აღნიშნულ მინორიტთა ტალღის ერთი ნაწილი საქართველოში შემოვიდა. ცამეტი წლის შემდეგ, 1258 წ. პაპი ალექსანდრე IV საქართველოში ერთდროულად აგზავნის ფრანცისკანელთა და დომინიკანელთა ახალ შევსებას[4]. 1278 წ. პაპმა ნიკოლოზ III საქართველოში დამატებით გამოაგზავნა ფრანცისკანელი მონაზვნები[5]. 1307 წ. პაპ კლემენტო V მიერ საქართველოში გამოგზავნილ იქნა დიდძალი მონაზვნობა ფრანცისკანელებისა და დომინიკანელებისა, რომელთაც კათოლიკე მრევლის შევლის გარდა დავალებული ჰქონდათ უფრო დიდი მისია — შეერთებისათვის ქადაგება[6]. 1318 წ. პაპმა იოანე XXII გამოაგზავნა ახალი მონაზვნები ორივე წესისა, რომელთაც ხალხში კათოლიკობის გავრცელება ჰქონდათ დავალებული[7] და ა. შ.

კათოლიკე მოქადაგე მღვდელ-მონაზონნი XIII ს. 30-იანი წლე-

---

[3] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 21.

[6] იქვე, გვ. 28.

[7] იქვე.

ბიდან მოედინებოდნენ უწყვეტ ნაკადად. მათ საღვთო საქმის გარდა ამ ქვეყნებში პოლიტიკური მეთვალყურეობა და ინფორმატორობაც ევალებოდათ. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთება მხოლოდ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, რაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მაშინ, თუ მონღოლთა მიერ მიმძლავრებული საქართველო დასავლეთისაგან მიიღებდა რეალურ სამხედრო დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული ეკლესია, რომელსაც სრული ავტოკეფალია ჰქონდა მოპოვებული და თავს მსოფლიოს მეექვსე საპატრიარქოდ მიიჩნევდა[8], რა თქმა უნდა, ვატიკანის ქვეშევრდომობას არ მოისურვებდა და თავისი ნებით მის მეძღვნე-მოხარკეობას არ იკისრებდა. ვატიკანი კი სულ უფრო დაჟინებით ცდილობდა, ჯერ კიდევ საკმაოდ მდიდარი და ხალხმრავალი multitudo noeitontium საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის შეერთებას, საიდანაც მომავალში საკმაო სარგებლის მიღებას ელოდა. რომიდან საქართველოში გამოსაგზავნ მისიონერებს განსაკუთრებულად არჩევდნენ ცოდნით, განათლებით, გამძლეობით, ენების ათვისების უნარით დაჯილდოებულ ხალხს, რომელთაც თავიანთი საქმიანობით შეეძლებოდათ გავლენა მოეხდინათ ერზე და ეკლესიათა შეერთების საქმე მოეახლოვებინათ.

ჩვენში შემოსულ მისიონერთა დიდი ნაწილი ღვთისმეტყველების გარდა დაუფლებული იყო, აგრეთვე, სააფთიაქო და სამკურნალო საქმეს, რასაც განუწყვეტელი ომიანობის პირობებში ჩვენი ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხშირ შემთხვევაში ისინი ავადმყოფებს უფასოდ მკურნალობდნენ და ხალხში პატივისცემას იმსახურებდნენ. ბევრი მათგანი ფლობდა სამოქალაქო დისციპლინებს: ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, მხატვრობას. იცნობდნენ ევროპის ახალ მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში და თავიანთ მიერ გახსნილ სასწავლებლებში, საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად, ამ ახალ მიღწევებზეც ესაუბრებოდნენ ქართველ ახალგაზრდობას. ქართველი მეფემთავრები და საეკლესიო მოღვაწენი მისიონერთა ამგვარ საქმიანობას ხელს უწყობდნენ და კიდეც ახალისებდნენ, მაგრამ ლოიალური დამოკიდებულება შეერთების საქმეს ვერ შველოდა. ქართული ეკლესია, რომელმაც აქამდე მრავალ მეზობელ ხალხზე იქონია

---

[8] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, თბ., 1883, გვ. 201.

გავლენა, გააქრისტიანა და მართლმადიდებლობაზე მოაქცია, რომელმაც თავისი სამოქმედო არე გააფართოვა და ქართული საეპისკოპოსოები შექმნა ვალაშკერტში, არზრუმში, ანში თუ ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო წმინდა ადგილებში მრავალრიცხოვანი ტაძრების, ეკლესია-ლავრებისა და სავანეების მშენებლობას, რა თქმა უნდა, ასე ადვილად ვერ შეელეოდა ადრე მოპოვებულ პრიორიტეტს.

1289 წ. კათალიკოს აბრაამ პირველისადმი მოწერილ წერილში პაპი ნიკოლოზ IV შეერთების საკითხებზე საუბრისას, როგორც ჩანს, ითვალისწინებდა ამ სიძნელეებს და საქართველოს მწყემსმთავარს მუდარის ტონით სწერდა: როგორმე „სძლიეთ ყოველ სიძნელეს, რაც შეერთების დროს გაგიჩნდეთ, მხნედ მოუახლოვდით ჩვენს ეკლესიას და თქვენის მაგალითით ეცადეთ სხვების მოზიდვასაცო“[9]. XIV ს. დასაწყისშიც ვატიკანის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას აღმოსავლეთის, პირველ რიგში, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის შეერთება წარმოადგენდა. 1321 წ. პაპი იოანე XXII თავგადადებული უმტკიცებდა გიორგი ბრწყინვალეს, რომ რომისა და საქართველოს სულიერ ერთობას საერთაშორისო მნიშვნელობა ექნებოდა, რაც სიკეთეს მოუტანდა ყველა ქრისტიანს და სთხოვდა, ეს საკითხი სხვადასხვა მომიზეზებით კიდევ სხვა დროისათვის არ გადევადებინა. „უკეთუ თქვენ მოიმიზეზებთ, —სწერდა პაპი, — რომის შეერთება თვინიერ მსოფლიო კრებისა შეუძლებელიაო, ჩვენ მოგახსენებთ, რომ მზად ვართ მოვახდინოთ ესრეთი კრება, უკეთუ მოითხოვეთ თქვენ და თქვენმა ეპისკოპოსებმა. ამის გამო დიდი სიამოვნებით და პატივით მივიღებთ თქვენ და ყველა თქვენ მიერ წარმოგზავნილ პირებს, რათა შეუერთოთ ეკლესიას თავისი ნაწილი“ პაპი ვერ მალავდა მომავლის იმედით გამოწვეულ აღფრთოვანებას და უმატებდა: „ამ შეერთების შესრულების დროს გამოვიღებთ ახალ სამოსს, დავკლავთ ჭამებულ ზვარაკთა და გავუმართავთ მსოფლიო წვეულებას ყველა მორწმუნეს“[10] და სხვა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებს შორის 300 წლის წინ კონსტანტინოპოლში დარღვეული კავშირის გამთელება რომმა მცხეთაში მოინდომა.

გიორგი მეფე წინა პლანზე ისევ და ისევ სამხედრო-პოლი-

[9] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

[10] იქვე.

ტიკურ კავშირს აყენებდა და საეკლესიო ერთობის წარმატებასაც ამ საკითხთან აკავშირებდა. მხოლოდ სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო რომთან სულიერი ურთიერთობის საფუძველი, ამიტომაც ქართველი პოლიტიკოსები ეკლესიათა შეერთების საკითხებს სულ უფრო ართულებდნენ, მას მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის საქმედ მიიჩნევდნენ და საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. როგორც ჩანს, პაპი იოანე XXII ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური საჭიროების გარეშე ქართული ეკლესია, რომელსაც მკვიდრად შემუშავებული ტრადიცია ჰქონდა, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა. რაც შეეხება მისიონერთა მიერ საქართველოს რეგიონებში ქართველი მოსახლეობის მცირე ნაწილის გაკათოლიკებას, ეს დიპლომატიური თვალსაზრისით შესაძლებლად და მოსათმენად იყო მიჩნეული. ქვეყნის ამგვარ საჭიროებას კარგად ხვდებოდნენ აქ მოსული მისიონერები და არ ზოგავდნენ ძალებს ეკლესიათა სანატრელი გაერთიანებისათვის რეალური საფუძვლის შესაქმნელად. მხარს უჭერდნენ საქართველოს ფეოდალური ძალების გაერთიანებას, მეფემთავართა შეთანხმებას, აქტიურად ებმებოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში[11]. ასეთ ვითარებაში იზრდებოდა კათოლიკური მრევლის რიცხვი, ჩნდებოდნენ ქართველი კათოლიკე სასულიერო მოღვაწენიც, უფრო მეტი, ზოგი ქართველი ფრანჩისკანელთა ორდენში შედიოდა და მათთან ერთად ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას, როგორც, მაგალითად, „ტფილელი ქართველი ძმა დიმიტრი".

XIII ს. 20-იანი წლების ბოლოს, ერთი მხრივ, თურქების მიერ აღმოსავლეთში კათოლიკური სარწმუნოების დევნისა და, მეორე მხრივ, საქართველოში კათოლიკური მრევლის მომრავლების შედეგად, საკითხი დადგა სმირნის კათოლიკური საეპისკოპოსოს გაუქმებისა და თბილისში ასეთი საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ. ამასთან დაკავშირებით 1328 წ. აგვისტოში გამოვიდა პაპ იოანე XXII-ის ბულა, სადაც ნათქვამია: „ბევრის რჩევისა და გამოძიების შემდეგ დავრწმუნდით, რომ თბილისი ქართველთა სამეფოს შუაგულში, საუკეთესო... ერით სავსე, სიმდიდრით უხვი ქალაქია... თუ ამისა და თუ სხვა დიდათ სასარგებლო მიზეზების გამო ჩვენ გადავწყვიტეთ და თბილისი გავხადეთ საეპისკოპოსო ქალაქად

[11] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 299.

და გვნებავს შემდეგშიაც დარჩეს ესრე და ეწოდოს თბილისის საეპისკოპოსო ქალაქი, არც მოაკლდეს მას ეს საეკლესიო ღირსება, არამედ იგი უფრო აღემატოს და გავრცელდეს, ამავე ქალაქში აშენდეს საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსო ეკლესია და ეწოდოს თბილისის საეპისკოპოსო ეკლესია... ეპისკოპოსად დავნიშნავთ გამოცდილსა და მოღვაწე პირს"[12]. ასეთივე შინაარსის ბულა გამოქვეყნდა 1329 წ. 6 თებერვალს, რის შემდგომ მუშაობას შეუდგა თბილისის ახალი საეპისკოპოსო.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ კათოლიკური საეპისკოპოსო რა ენაზე იმუშავებდა, ანუ რა ენაზე წარიმართებოდა ეკლესიაში წირვა-ლოცვა; მრევლისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე, რომელზედაც არსებობდა საეკლესიო ლიტურღიული ლიტერატურა, თუ მრევლისათვის გასაგებ ქართულ ენაზე, რომელზედაც სპეციალური კათოლიკური ლიტერატურა, როგორც ჩანს, მაშინ იშვიათობას წარმოადგენდა. რაკი პაპის აღნიშნულ ბულაში ამის შესახებ პირდაპირი მითითება არ არის, მივმართოთ არაპირდაპირ ჩვენებებს. ბულაში, სადაც პაპი ეხება მომავალი ეპისკოპოსის ვალდებულებებს, ერთგან ნათქვამია: ეპისკოპოსმა „უნდა შეუდგინოს (თუ შეადგენინოს — შ. ლ.) და მოუკლებლივ ასწავლოს კათოლიკე მოძღვრება ერსა". გასაგებია — ლათინურ ენაზე კათოლიკურ მოძღვრებას შედგენა არ დასჭირდებოდა. აქ საუბარი უნდა იყოს კათოლიკური მოძღვრების ქართულად გადმოღებაზე, შედგენაზე, რომლის შემდეგაც შეიძლებოდა ესწავლა ეს მოძღვრება მრევლს. შემდეგ ბულაში პაპი აცხადებდა, რომ თბილისის ეპისკოპოსად კი არ გადმოიყვანდა გაუქმებული სმირნის ეპისკოპოსს, არამედ დანიშნავდა ახალ „გამოცდილსა და მოღვაწე პირს". ე. ი. ისეთ პირს, ვინც გარკვეული იყო ადგილობრივ ვითარებაში და რომელსაც ექნებოდა აქ მოღვაწეობის გამოცდილება, „იქნებოდა კარგად მცნობი იმ ქვეყნის გარემოებისა". რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი ვითარებისა და ყოფის კარგ მცოდნეს, რომელსაც აქ მუშაობის სტაჟიც ექნებოდა, ქართული ენაც უნდა სცოდნოდა. ბოლოს და ბოლოს ეს ასეც მოხდა. იმავე ხანებში საქართველოდან რომს გაიწვიეს დომინიკანელების ორდენის ქართული ენის მცოდნე მისიონერი იოანე ფლორენციელი, რომელიც 10 წელზე მეტ ხანს იყო საქართველოში, და დანიშნეს თბილისის

---

[12] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 32—33.

კათოლიკური ეკლესიის პირველ ეპისკოპოსად. მან ამ თანამდებობაზე 19 წელი დაჰყო. მისი ბიოგრაფი შარლი ერთგან აღნიშნავს, რომ იოანე ფლორენციელმა „დაუღალავად იშრომა ქართველების შემოსაერთებლად... ამ ერის გასაწვრთნელად კათოლიკე სარწმუნოებაში ბევრი წიგნი თარგმნა ქართულ ენაზედ"[13], რაც ბულის შესაბამისად ნიშნავდა კათოლიკური მოძღვრების შედგენას გასაგებ ენაზე. მოყვანილი მაგალითები საკმაოდ ცხადყოფენ, რომ XIV ს-ში დაარსებულ თბილისის კათოლიკურ საეპისკოპოსოს ქართულენოვანი ტიპიკონი ჰქონდა და მღვდელმსახურებაც ყოველთვის ქართულ ენაზე სრულდებოდა. ასე იყო ეს XV ს. დასასრულამდე. ქართული ენის გარეშე აქ მღვდელმსახურება არა მარტო ძნელდებოდა, არამედ შეუძლებელიც იყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ ტრადიციით ამ საუკუნეებში მთელი კავკასიისათვის ქართული ენა ერთ-ერთი ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი, სამწერლობო, საურთიერთო და საპატიო ენა იყო[14].

კათოლიკობის კვალი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ჩანს XV ს. მეორე ნახევრიდან, რაღა თქმა უნდა, იგიც, როგორც საქართველოს სხვა რეგიონები, თბილისის საეპისკოპოსოს მრევლში შევიდოდა. მისი ნუნციო (წარმომადგენელი) ლუდოვიკო ბოლონიელი თბილისიდან ღებულობდა მითითებებს.

XV ს. განსაკუთრებით საშიშ ხასიათს ღებულობდა წინა აზიაში თურქთა წინსვლა. შეშფოთებულმა საბერძნეთის იმპერატორმა იოანე პალეოლოგმა დასავლეთთან კავშირის აღდგენა გადაწყვიტა და პაპ ევგენი IV-ს მიმართა. პაპმა არ დააყოვნა და 1439 წ. ფლორენციაში მოიწვია კრება, სადაც ოფიციალურად მიწვეული იყო აგრეთვე საქართველოს ეკლესია. საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა მიტროპოლიტ გრიგოლის მეთაურობით, რომელსაც გზად შეუერთდნენ აგრეთვე ტრაპიზონელნი. ფლორენცია საზეიმოდ დახვდა სტუმრებს. კრების მსვლელობაში მონაწილეობდა თვით საბერძნეთის იმპერატორი. სამწუხაროდ, ფლორენციაში ჩამოსული მოკამათენი გადაულახავ წინააღმდეგობებს წააწყდნენ. ძირითად საეკლესიო დოგმებში შეთანხმების მიუხედავად გაერთიანება არ მოხერხდა და კრება ჩაიშალა[15]. მონაწილენი

---

[13] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 38—39.

[14] დონ ჯ უ ზ ე პ ე ჯ უ დ ი ჩ ე მ ი ლ ა ნ ე ლ ი, წერილები საქართველოზე, 1964, თბ., გვ. 92—93.

[15] «Новое обозрение», 1891, 3. IV.

გაცრუებული იმედებით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში. საბერძნეთი სასიკვდილო აგონიას განიცდიდა.

400 წლის განმავლობაში ანგრევდნენ თურქები ბიზანტიის იმპერიას. საქართველოში გატარებულმა ღონისძიებებმა (მაჰმადიანური კოალიციების დამარცხება, ტრაპიზონის სამეფოს შექმნა და სხვა) წინა აზიაში ბერძენთა პოლიტიკური სიცოცხლე რამდენადმე გაახანგრძლივა.

XIII—XV სს. ბერძნულ-ქართული ურთიერთობა აშკარად მშვიდობიანი გახდა. საამისო ინიციატივას ხშირად თვით ბერძნები იჩენდნენ. ბერძნულ-ქართულ სამეფო სახლებს შორის დამძახლება გახშირდა. მოყვრობა-დანათესავება უმთავრესად პოლიტიკურ ნიადაგზე ხდებოდა. დაძაბუნებულ ბიზანტიას შავ ზღვაზე გაჭრილ თურქთა შეტევების მოგერიება სულ უფრო უჭირდა.

ჩრდ.-ალმ-დან დახმარების მიზნით უკანასკნელად კონსტანტინე კეისარი საქართველოს სამეფო სახლს დაუკავშირდა და 1451 წ. გიორგი VIII-ის ასული საცოლედ დანიშნა. ორი მეზობელი ქრისტიანი სახელმწიფოს დაახლოება ბევრის გულში მომავლის იმედს ბადებდა. ახალგაზრდა იმპერატორი კვლავ თურქებთან ბრძოლაში ჩაება და 1453 წ. 29 მაისს, ქორწინებამდე, სატახტო ქალაქის კედლებთან გმირულად დაეცა, საქართველოში დარჩენილი საპატარძლო შავებით შეიმოსა. მალე ეს წუხილი საკაცობრიო წუხილად გადაიქცა. ოსმალეთმა შავი ზღვის სრუტეები დაკეტა და წინა აზიასა და ცივილიზებულ ევროპას შორის რკინის ფარდა ჩამოაფარა.

მაჰმადიანიზმის ფანატიკური იდეით აღფრთოვანებული და ახალი ტერიტორიების დაპყრობის ჟინით ანთებული ოსმალები კერკოპორტას კარებსა და კონსტანტინეპოლის კედლებთან არ შეჩერებულან. გამოაცხადეს რა კონსტანტინეპოლი ოსმალეთის დედაქალაქად, სულთან მეჰმედ ფათიჰის (1451—1481) ბრძანებით თურქეთის ჯარებმა ევროპის ტერიტორიაზე განაგრძეს წინსვლა, რამაც დასავლეთის სახელმწიფოთა, განსაკუთრებით ვატიკანისა და ბურგუნდიის შეშფოთება გამოიწვია. დაიწყო დაუსრულებელი ცდები თურქთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის, კოალიციური ლაშქრობისა. ამასთან დაკავშირებით დგებოდა მომხიბვლელი გეგმები კარდინალ ისიდორესი თუ პაპ ნიკოლოზ V-ისა; პაპ კალიქსტო მესამისა თუ პაპ პიო მეორისა. პროექტებს ადგენდა ყველა, ვისაც ეს ეხებოდა, თუ არ ეხებოდა, სასულიერო და საერო მბრძა-

ნებელნი. სამწუხაროდ, ამ პროექტებს სინამდვილეში არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

შედგენილი პროექტებიდან თავისი მასშტაბურობითა და გაბედულებით ჩვენ უფრო საინტერესოდ გვეჩვენება პაპი კალიქსტო III-ის მიერ შედგენილი ჯვაროსნული ომის გეგმა, რომელიც მისმა მომდევნო პაპმა პიუს მეორემ თითქმის უცვლელად მიიღო. კალიქსტო მესამის პროექტის მიხედვით კონსტანტინოპოლის განთავისუფლება და ევროპის კონტინენტიდან თურქების გაყრა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ საერთოდ დამარცხდებოდა თურქეთის სახელმწიფო, თუ ევროპის ჯვაროსანთა მიერ დაწყებულ სამხედრო მოქმედებას მხარს აუბამდნენ აზიაში მყოფი ქრისტიანი სამეფო-სამთავროები, ე. ი. თუ გაიხსნებოდა მეორე ფრონტი და როგორც შემდეგ ყვარყვარე ათაბაგიც წერდა — თუ თურქები მოექცეოდნენ „ორ ჯარს შუა". ამ პროექტით 1458 წ. პაპის წარმოგზავნილი ლუდოვიკო ბოლონიელის ჩამოსვლას საქართველოს სამეფო-სამთავროები კმაყოფილებით შეხვედრიან. უფრო მეტი, ამასთან დაკავშირებით მათ ერთიმეორეში თანხმობა ჩამოუგდიათ და პაპის მოციქულისათვის თავიანთი გეგმები შეუთავაზებიათ[16]. 1459 წ. საქართველოს სამეფო-სამთავროთა წარმომადგენლები ამ პროექტებით ფოთიდან შავი ზღვის გზით დასავლეთში გაემგზავრნენ და ლუდოვიკო ბოლონიელთან ერთად ევროპის სახელმწიფოთა მმართველებს წარუდგნენ. 1460 წ. ელჩობის ამოცანას შეადგენდა ძირითადად უკვე შედგენილი დიდი პროექტის ცალკეული დეტალების დაზუსტება და მოკავშირეებთან შეთანხმება. მათი ენერგიული მოქმედების მიუხედავად, ელჩებს გადაულახავი წინააღმდეგობები დაუხვდათ. ისინი ეთათბირნენ: უნგრეთის მეფე ფრიდრიხს, გერმანიის იმპერატორ ფრედერიკოს, ვენეციისა და ფლორენციის სენატებს, რომის სამღვდელოებას და პირადად პაპ პიო მეორეს, საფრანგეთის მბრძანებელ კარლოს XII-ს, მის შვილს ლუდოვიკო XI-ს და სხვ. ელჩებს ყველგან დიდი პატივითა და თავაზიანობით ღებულობდნენ. ბოლოს ისინი წარუდგნენ „აღმოსავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დამდები ლიგის" უმაღლეს მფარველს ბურგუნდიის დუკა ფილიპეს[17]. მაგრამ ამ თითქოს რეალური მცდელობიდანაც

[16] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 56—59.

[17] ლ. ტ ა რ დ ი, ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში, „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები", II, თბ., 1978, გვ. 199.

არაფერი სასიკეთო არ გამოვიდა. კოალიციური ლაშქრობა ვერც შემდგომი ცდებით (კონსტანტინე მეფისა და ალექსანდრე მეფის ელჩობანი ევროპაში და, პირიქით, დალმაციის მეფის ფერდინანდ I თუ ვენეციის ელჩთა — ძენო კატერინო და სხვათა, ვიზიტები საქართველოში) ვერ შედგა.

ევროპის მმართველ წრეებს ერთხანს ოსმალთა დაუძინებელი მტრის, სპარსეთის შაჰის უზუნ-ჰასანის იმედი ჰქონდა, რომელიც აღმოსავლეთიდან წარმატებით აწარმოებდა ომს თურქთა წინააღმდეგ. მაგრამ 1474 წ. არზრუმის მახლობლად თერჯანთან მომხდარ ბრძოლაში უზუნ-ჰასანი სასტიკად დამარცხდა და უკან დაიხია. არზრუმის მეზობელი ქვეყანა სამცხე-საათაბაგო იყო, რომელთანაც შაჰი თითქოს კარგ განწყობილებას ავლენდა. თერჯანთან მარცხმა მას ეს განწყობილება რადიკალურად შეაცვლევინა. როგორც ჩანს, შაჰი ყვარყვარე ათაბაგს, როგორც მის არა აქტიურ მოკავშირეს, დაემდურა და თავისი მარცხის ერთ-ერთ მიზეზადაც ის მიიჩნია. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ 1477 წ. უზუნ-ჰასანი თავის ქრისტიან მოკავშირეს მოულოდნელად თავს დაესხა, ქვეყანა დაურბია, მოსახლეობა გაუნადგურა და მძიმედ დახარკა.

უზუნ-ჰასანის მეუღლე, ტრაპიზონის კომნენთა სახლის შვილი, სპარსეთის პოლიტიკურ-დიპლომატიურ საკითხებში აქტიურად იყო ჩაბმული. როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოს თავის მოსაზღვრე ტრაპიზონის იმპერიასთან სადავო ტერიტორიული საკითხები ჰქონდა (ჭანეთი, ზემოქვეყანათა ნაწილი). საფიქრებელია, ეს დავა უზუნ-ჰასანმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და მესხეთში შეჭრა ვითომც კომნენთა დაცვის საბაბით გაამართლა. სინამდვილეში ამ მოქმედებით უზუნ-ჰასანმა ნებით თუ უნებლიეთ თავისი მოწინააღმდეგის, თურქეთის, საქმე გააკეთა და მომავალში მას ჩრდილოაღმოსავლეთით გალაშქრების პერსპექტივები შეუქმნა, რასაც პირველ რიგში გადაჰყვა თვით ტრაპიზონის სამეფო. 1478 წ. უზუნ-ჰასანიც გარდაიცვალა და ბოლო მოეღო ვენეციისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ცდას, რომ ვითომც დასავლეთიდან დაიწყებდნენ კოალიციურ ლაშქრობას და ორ მხრივ ბრძოლაში დაამარცხებდნენ თურქებს. მოხდა კი პირიქით. გამარჯვებულმა თურქეთმა ორივე ფრონტზე — როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, დროდადრო ახალი შეტევები წამოიწყო და ზედიზედ დაიპყრო ტრაპიზონი, ყირიმი, ალეპო, დამასკო, პალეს-

ტინა, ეგვიპტე, ჰიჯაზი, ალჟირი, კუნძული როდოსი, ბელგრადი, ბუდა, ვანი, ყარსი, არზრუმი, ბაღდადი, ჩრდ. კავკასიის ხალხები, აზერბაიჯანი და სხვა. ტრაპიზონის საკეისროს, სომხეთის, შავი ზღვის აუზის და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დაუფლების შემდეგ ოსმალებმა საქართველო მაჰმადიანურ ალყაში მოაქციეს, რის შედეგადაც ევროპა-საქართველოს ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა. გადაიკეტა განახლებისა და მომავალი პროგრესის გზები. ანტითურქული კოალიციის შექმნას არც XVI ს-ში მოჰყოლია რაიმე რეალური შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირი იყო ორმხრივი ცდები როგორც საქართველოდან, ისე დასავლეთიდან. XVI ს. ამგვარი კოალიციის შექმნისათვის ბევრს ცდილობდა მეფე სიმონი. იგი გამოეხმაურა 1590 წ. პაპ კლემენტი VIII-ისა და გერმანიის იმპერატორ რუდოლფ II-ის ინიციატივით დაწყებულ მოლაპარაკებას ანტიოსმალური კოალიციის შედგენის შესახებ[18]. სიმონის ელჩი პატრი ჯაკობო (იაკობი — შ. ლ.) ვენეციისა და სხვა სახელმწიფოთა კარზე საამისოდ საქმიანობდა[19]. ანტითურქული კოალიციის შექმნით სისხლხორცეულად დაინტერესებული იყო ირანიც. XVI ს. 90-იან წლებში მისი ნიჭიერი მმართველი შაჰ-აბასი, უთანხმდებოდა რა ანტითურქული კოალიციის საკითხებზე ევროპის სახელმწიფოებს (პაპსა და პოლონეთის მეფეს), აღუთქვამდა: თუ თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს დამიჭერთ და ჩემი მოკავშირენი იქნებით, სამაგიეროდ მთელ საქართველოს ხალხს თქვენს კათოლიკურ რელიგიაზე მოვაქცევო[20]. არც ამ ცდებიდან გამოვიდა რაიმე და პოლიტიკურად დაშლილი და დასუსტებული ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დაიჩიხა და ფეოდალურ ნაჭუჭში ჩაიკეტა. ქართული შართლმადიდებელი ეკლესიის გამაერთიანებელი და ყოვლისმომცველი ხმა გაიბზარა და, ბოლოს, გამთიშველი ძალების მოქმედებით ორად გაიპო — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებად, ეს მაშინ, როდესაც საქართველოს სამხრეთ სანაპიროებსა და ზღვისპირა ქალაქებში ჩამომსხდარმა ოსმალებმა მუჰამედის მოძღვრების გავრცელება დაიწყეს და ქვეყანას გადაგვარების რეალური საშიშროება შეუქმნეს. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ისმის კითხვა — რა მოუვიდა უმოძღვროდ დარჩენილ ქართ-

---

[18] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., გვ. 147.

[19] ლ. ტ ა რ დ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

[20] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1973. თბ., გვ. 234.

ველ-კათოლიკე მრევლს, რომელიც ევროპული განათლების დრო-შით მოქმედებდა და ქვეყნის მომავალს იმედის ნაპერწკალივით დანათოდა. რა მოუვიდა ე. წ. „რომის კაცების“ გარეშე დარჩენილ კათოლიკურ ტაძრებს, ან მისიონერთა მიერ გახსნილ სასწავლებ-ლებს და ასე შემდეგ. როგორც ჩანს, უმოძღვროდ დარჩენილი მრევლის ნაწილი კვლავ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შეიერ-თა, ხოლო მეორე ნაწილი შერჩა კათოლიკობას, რომლის მწყემს-მთავრობას ლათინი პატრების მაგივრად სწევდნენ კილიკიიდან და ნახჩევნიდან ჩამოსული სომეხი ე. წ. „უნითორი“ ბერები. ამ სომეხ უნითორთა წარმომადგენელი ჩანს სიმონის ელჩი ია-კობიც.

## სომხურ-ქართულ ეკლესიათა შეხვედრები და „უნითორები"

სომხური ქრისტიანული, ლუსავორჩაკანი, ანუ როგორც ჩვეულებრივად ვეძახით — გრიგორიანული ეკლესია, უძველეს ეკლესიათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი, როგორც გარკვეული ფეოდალური ერთეული, თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით სახელმწიფოებრივ დონეზე იყო ორგანიზებული და ხშირად სომხური სახელმწიფოს არარსებობის პირობებში მის ფუნქციასაც ასრულებდა[1]. მისი თავგადასავალი მრავალი გამარჯვებითა თუ დრამატული მარცხით, შეტევებითა და უკან დახევებით ხასიათდება. ამ ეკლესიამ გაუძლო ათასგვარ ქარიშხალს და თავის ხალხს შემოუნახა სულიერი თუ მატერიალური კულტურის მთელი სიმდიდრე.

სომხური და ლათინური (კათოლიკური) ეკლესიების პირველ შეხვედრებს ადგილი აქვს ჯვაროსანთა ლაშქრობების დროს XII ს. შუა წლებში, როცა ბერძნულ-ლათინური ეკლესიები დაობდნენ კილიკიის სომხური ეკლესიის დაუფლებისა და შეერთებისათვის[2], მაშინ სომხური ეკლესია ჯოხს ოდნავ რომისკენ ხრიდა. ბერძენრომაელთა დავამ XII ს. 90-იან წლებში უმაღლეს წერტილს მიაღწია, რამაც საქმე საბოლოოდ სომეხთა სასარგებლოდ შეატრიალა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერატორები ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ სომხებით დასახლებული კილიკიის საფეოდალო სამეფოდ გამოეცხადებინათ და მისი მმართველი ლეონი მეფედ დაესვათ. მართლაც, ამ შეთანხმების საფუძველზე 1199 წ. ლეონი მეფედ აკურთხეს. კილიკიის სამეფომ 1375 წლამდე იარსება. ასე გაჩნდა XIII ს. დასაწყისში დიდი სომხეთის სამხრეთდასავლეთით პატარა სომხური სამეფო. როგორც მალე გაირკვა,

---

[1] Л. Меликсет-Бек, Юридическое положение Верховного патриарха Армянского, Одесса, 1911, стр. 38.

[2] М. Орманян, Армянская церковь, перевод с французского Б. Фунт, М., 1913. გვ. 65.

ლეონ I კათოლიკეებს არ სწყალობდა და კათოლიკობაზე მიქცეულ კილიკიელებს სდევნიდა კიდეც. 1219 წ. ლეონ I უძეოდ გარდაიცვალა. სამეფო გვირგვინი მის 16 წლის ქალიშვილს ზაბელს არგუნეს, რომლის მეორე ქმარი ხათუმი პატრიარქ კონსტანტინე I ბარცერბერდთან ერთად კარგ განწყობილებაში იყო რომთან. სწორედ მათი ხელშეწყობით მოხდა სომეხ-ლათინთა შედარებით შესამჩნევი დაახლოება[3]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხათუმ I-სა და კონსტანტინე პირველზე გარკვეული გავლენა მოახდინა იმ დროის ისეთმა დიდმა პოლიტიკურმა აქტებმა, როგორიც იყო იმპერატორ ფრიდრიხ მეორისა (1228 წ.) და ლუდოვიკო IX (1248 წ.) ლაშქრობები წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად. გავლენა მოახდინა იმანაც, რომ დასავლეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული უპირატესობანი სულ უფრო ცხადად ვლინდებოდა. სომხურ-ლათინური ეკლესიების ურთიერთობაში ნამდვილი გარდატეხა შეიტანეს ხათუმ მეორემ (1280—1307) და პატრიარქმა გრიგორ მეშვიდე ანავარზელმა. მათ შეადგინეს რომის ეკლესიის მიხედვით სომხური ეკლესიის გარდაქმნისა და სომეხ-ლათინთა უნიის შექმნის პროექტი. ამ ნაბიჯმა ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია. მანვე უკმაყოფილება გამოიწვია განსაკუთრებით თურქებისა და ეგვიპტელების მაჰმადიანური მმართველებისა, რომელთაც ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებთან კავშირი თავიანთი ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკურ აქტად მიიჩნიეს[4]. როგორც ჩანს, ეს ვითარება ერთ-ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ 1375 წ. ეგვიპტის ლაშქარი კილიკიაში შეიჭრა, აიღო მისი დედაქალაქი სივასი, ხოლო მეფე ლეონ VI ტყვედ წაიყვანა. ასე დასრულდა კილიკიაში შექმნილი ამ მეტად საინტერესო სამეფოს ისტორია.

ამ დროს დამარცხებულ კილიკიაში ფართო პროპაგანდისტული მუშაობა გაშალა რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ფრანცისკელთა და დომინიკანელთა ორდენების მისონერ-მონაზონთა წყალობით, რომელთაც ადგილობრივ კათოლიკეებთან შეთანხმებით შეძლეს ჩამოეყალიბებინათ განსაკუთრებული ლათინურ-სომხური ძმობა „Unitor"[5]. მათ მღვდელმსახურების შესრულების დროს

---

[3] М. Орманян, Армянская церковь, пер. с французского Б. Фунт, М., 1913, стр. 66.

[4] იქვე, გვ. 67.

[5] იქვე, გვ. 69.

უშიშროების გარანტია ჰქონდათ მოპოვებული. „უნითორის" ძმებს მფარველობას უწევდა ბოლონიის ეპისკოპოსი ბართლომე[6]. იმ დროს, როცა ქვეყანაში არაბულ-თურქული რაზმები დათარეშობდნენ და ხალხი თავშესაფარსა და სამალავებს ეძებდა, ასეთი ორგანიზაციის დაარსება დიდ წყალობად ჩანდა. როგორც ირკვევა, ერთხანს მისიონერებმა ლათინური წესების შემოღება განიზრახეს, მაგრამ ადგილობრივი ბერების მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ და ბოლოს და ბოლოს დათანხმდნენ სომხური საეკლესიო წესების, „სომხური რიტის დატოვებას, რაც მალე პაპის ბულითაც იქნა დამტკიცებული"[7]. ადგილობრივ კათოლიკეთა ყოფაში საეკლესიო მღვდელთმსახურების თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. მათი ძველი „ჰაი ეკეგეცი" — სომხური ეკლესია დარჩა ისევ სომხურ ეკლესიად, მხოლოდ დაემატა სიტყვა „კათოლიკური". მათი კათოლიკობა ძირითადად იმით გამოიხატებოდა, რომ პაპს სცნობდნენ წმინდა პეტრეს ეკლესიის თანამოსაყდრედ, აღიარებდნენ მას ქრისტეს მოციქულად და ემორჩილებოდნენ. ამავე დროს ასეთი ვითარება კათოლიკურ ეკლესიებს მღვდელმსახურების შესრულებას უადვილებდა. ყოველ ძველ მოძღვარს, ვინც „უნითორად" ირიცხებოდა, ზოგიერთი კათოლიკური დოგმის გათვალისწინებით, უფლება ეძლეოდა თავისსავე ეკლესიაში აესრულებინა სასულიერო წესები. ალბათ, ამის მეოხებითაა, რომ XV ს. ბოლოს კილიკია-ნახჩევნის მიდამოებში შეიმჩნევა უნითორ ბერთა სიმრავლე.

XV ს. პირველ ნახევარში თითქმის ასეთივე პროცესი მიდიოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე, სადაც გენუელთა კომპანიის მფარველობის ქვეშ დაარსდა სომეხ კათოლიკეთა კოლონია, რომელმაც რომთან საქმიანი ურთიერთობა გააჩაღა. 1439 წ. მათი დელეგაცია პაპთან ეკლესიათა შეერთების თაობაზე ფლორენციელებს სთხოვდა შუამდგომლობას. ისე როგორც იტალიელი მისიონერები მოდიოდნენ კილიკიასა და სომხეთში, ასევე XV ს-დან მრავალი სომეხი მკვიდრდება იტალიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და იქ მრავალნაირ კულტურულ საქმიანობას ეწევა. ამ სიახლოვეს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სომეხთა შორის კათოლიკობის გავრცელება-განმტკიცებაში. რაც გრიგორიანული ეკლესიის მკაცრი წინააღმდეგობების პირობებში მაინც ხერხდებოდა.

თითქოს გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ XV ს. შუა ხანებ-

---

[6] იქვე.
[7] იქვე, გვ. 184.

ში თურქეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე არნახულად გაიზარდა როგორც სომეხ ვაჭარ-მრეწველთა, ისე სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ძლიერება და ავტორიტეტი. საკუთარი სახელმწიფოდაკარგული სომეხი ხალხი, რომელიც თურქეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე იყო გაფანტული და აღჭურვილი იყო ვაჭრობა-მრეწველობის დიდი უნარით, თურქეთის სულთნებს თავიანთი პოლიტიკის დასაყრდენ იარაღად მიაჩნდათ. როგორც საკუთრივ ოსმალეთის ტერიტორიაზე, ისე ევროპაში საქმიანი მიმოსვლისათვის სომეხ ვაჭარ-მრეწველებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

კონსტანტინეპოლის აღებამდე ერთი წლით ადრე თურქთა მოსალოდნელი შემოჭრის თავიდან აცილების მიზნით კარდინალმა ისიდორემ საბერძნეთის ეკლესიის მესვეურებს პაპის სახელით კიდევ ერთხელ მოუწოდა შეერთებისაკენ. სოფიის ტაძარში მოსულ მორწმუნეებს კარდინალი უმტკიცებდა რომისა და საბერძნეთის გაერთიანების მნიშვნელობას და პირდაპირ ეუბნებოდა, რომ კარზე მომდგარ თურქთაგან ხსნა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ძალების გაერთიანებით შეიძლებოდა. ბერძნებმა დროულად შეთავაზებული წინადადება კათოლიკეთა ფანატიკური მძულვარების გამო არ მიიღეს. მოლაპარაკებას ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ არც ოსმალები და გასაგებია, რაოდენ კმაყოფილი იქნებოდნენ ისინი მოლაპარაკების შედეგებით. მალე მოკავშირის გარეშე დარჩენილი ქვეყანა თურქებმა დაიპყრეს და, როგორც უკვე ითქვა, ბერძნული პოლიტიკური ხელისუფლება გააუქმეს. ამიერიდან რჩებოდა მხოლოდ ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, რომელიც ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა. მოსალოდნელი ექსცესების თავიდან ასაცილებლად, როგორც ოსმალები ფიქრობდნენ, საჭირო იყო გამონახულიყო მესამე ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, ბზარს შეიტანდა მართლმადიდებელთა უფლებებში და მის რეალურ კონკურენტად გადაიქცეოდა. სულთანის მთავრობამ ასეთ მესამე ძალად მიიჩნია თურქეთის იმპერიაში მცხოვრები სომხები და მათი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, რომელიც ეკონომიკურად მაშინ საკმაოდ მოღონიერებული ჩანდა.

დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში ოსმალები რელიგიური

საკითხების გადაწყვეტისას ორგვარ ხერხს მიმართავდნენ: დაპყრობილი ხალხების ძალდატანებით გამაჰმადიანებას (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღებით, ქვეყნის სრული ინკორპორაციით) და სპეციალური ადმინისტრაციული ავტონომიის, ე. წ. ოჯაქლიკების და ვაკუფების, დაშვებას, რომელნიც გარკვეული ვადით საგადასახადო და რელიგიური იმუნიტეტით სარგებლობდნენ.

ბერძნული ეკლესიის მდგომარეობა უფრო რთული იყო. იგი ვერც ერთ ამ პუნქტში ვერ ეტეოდა. ხალხმრავალი და დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნის ძალით გამაჰმადიანებაზე მაშინ ფიქრიც არ შეიძლებოდა, რაც შეეხებოდა ბერძნული ავტონომიის შექმნას, თურქები ასეთ დათმობაზე არ მიდიოდნენ. ამიტომ უნდა გატარებულიყო რაიმე სხვა ღონისძიება, რომელიც ბერძნულ ეკლესიას ფრთებს შეაკვეცდა და მისი გავლენის არეებს შეზღუდავდა. თანაც ბერძნული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის ეს უფლებები ისეთნაირად უნდა შეკვეცილიყო და განახევრებულიყო, რომ იგი საერთოდ ქრისტიანიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებად არ ჩათვლილიყო. პირიქით, სულთანის კარის აზრით, მას უნდა ჰქონოდა ქრისტიანთა შორის წონასწორობისა და სამართლიანობის დამყარების პრეტენზია. კონსტანტინოპოლის აღებისთანავე სულთან მეჰმედ II-მ (1451—81) ასეთ ღონისძიებად, როგორც აღვნიშნეთ, მიიჩნია ბერძნული საპატრიარქოს გვერდით მეორე ქრისტიანული, მაგრამ არა მართლმადიდებლური — სომხური საპატრიარქოს შექმნა, რომელიც ბერძენთა საპატრიარქოს თანასწორი უფლებით იქნებოდა აღჭურვილი. ორივე საპატრიარქო — როგორც ბერძნული, ისე სომხური — ნომინალურად დაემორჩილებოდა სულთანის კარს. სულთან მეჰმედ II-ს კონსტანტინოპოლელი სომხები მიაჩნდა თავისი ინტერესების ერთგულ დამცველებად[8].

საერთოდ, ქრისტიანულ რელიგიურ მიმდინარეობებში სომეხთა თავისებური სექტა, რომელსაც მოგვიანებით (1836 წ) გრიგორიანობა შეერქვა, სომხებს განსაკუთრებულ და შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა როგორც თურქეთში, ისე ირანში.

ასე შეიქმნა მეორე სომხური საპატრიარქო კონსტანტინოპოლ-

---

[8] იქვე, გვ. 74.

ში. ამრიგად, სომეხი ხალხი სომხური სახელმწიფოს არ არსებობის პირობებში უცბად ორი საპატრიარქოს (ეჩმიაძინ-კონსტანტინოპოლის) და ორი საკათალიკოსოს (სისისა და ახტამარის) პატრონი გახდა[9]. ვინც ამ საპატრიარქო-საკათალიკოსოების საქმიანობას გაეცნობა, ის, უმალ დარწმუნდება, რომ საერთოდ სომხური კულტურისა და, კერძოდ, სომეხი ხალხის თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის მათი როლი განუზომელია. მართალია, ეჩმიაძინის პატრიარქ-კათალიკოსი ითვლებოდა სრულიად სომეხთა უმაღლეს გამგებლად, მაგრამ სინამდვილეში რეალური ძალაუფლება გაცილებით მეტი ჰქონდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რომლის გამგებლობაში შედიოდა 49 ეპარქია[10]. გარდა ამისა, როგორც შენიშნავდა ლ. მელიქსეთ-ბეგი, «Вся сфера распорядительно-судебных дел армян Турции находится в руках константинепольских национального собрания и патриархата»[11]. კონსტანტინოპოლის მორჩილება ეჩმიაძინისადმი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. კონსტანტინოპოლის აღებისთანავე ოსმალებმა ქალაქში საცხოვრებლად შემოასახლეს სომეხ გრიგორიანთა და კათოლიკეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომელნიც განალაგეს გალავნის შიგნით, შიდა კვარტალებში—მთავარი ალაყაფის სიახლოვეს. ბერძნებს აეკრძალათ ცხოვრება კოშკებისა და გალავნების გასწვრივ. ახალი კოლონისტები ბერძნებთან თანასწორუფლებიან მოქალაქეებად იქნენ აღიარებულნი.[12] სტამბოლი გადაიქცა სომეხი ხალხის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად.

1461 წ. მცირე აზიის სომხური კოლონიების ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი იოაკიმი ქ. ბურსიდან კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს. სულთნის განკარგულებით აღამაღლეს პატრიარქობის ხარისხამდე და კონსტანტინოპოლის მეორე პატრიარქ-კათალიკოსად დაადგინეს. ამავე დროს ბერძენი პატრიარქი აიძულეს თავის სწორად ეცნო და „დაელოცა“ სომეხთა ახალი პატრიარქიცა და საპატრიარქოც[13]. ასე გაჩნდა თურქეთის დაპყრობილ ტერიტორიებზე ერთი ქრისტიანული ცენტრის (კონსტანტინეპოლის მართლმადიდებლური საპატრიარქოს) მაგივრად მეორე, სომხურ-გრიგორიანუ-

---

[9] Л. Меликсет-Бек, Юридическое положение верховного патриарха Армянского, одеса, 1911, стр, 8.

[10] იქვე, გვ. 9.

[11] იქვე, გვ. 31.

[12] М. Орманян, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[13] იქვე, გვ. 74.

ლი საპატრიარქოს ცენტრი. ამის შემდეგ თავიანთი შეხედულებისამებრ ოსმალებმა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანები ორ მთავარ ჯგუფად, ფრაქციად, გაყვეს და მათ სულიერ მეთაურებად აღნიშნული საპატრიარქოები გამოაცხადეს[14]. ქრისტიანული მრევლის ამგვარი დაყოფის შედეგად საბერძნეთის საპატრიარქოს განმგებლობაში შევიდნენ: ბერძნები, ბულგარელები, სერბები, ალბანები, ვალახები, მოლდაველები, ხორვატები, კარამანები, სირიელები, ქრისტიანი არაბები, მელხიტები, ლაზები.

ლაზები, უფრო სწორად ლაზ-ჭანები, მაშინ ქართებთან ერთად ტრაპიზონის სამეფოს ძირითად მოსახლეობას, მის აბსოლუტურ უმრავლესობას, შეადგენდნენ. ამდენად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იმთავითვე ტრაპიზონის სამეფოს ეთნიკური სახე, მისი ყოფა, მოსახლეობის საურთიერთო ენა და სხვა ქართველური იყო, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ურთიერთობის ოფიციალურ ენად აღიარებული იყო ბერძნული. ეკონომიკურად ლაზეთი ყოველთვის კონსტანტინოპოლის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს ემორჩილებოდა. თურქ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის საკეისროს დაპყრობისა და გაუქმების შემდეგ (1461 წ.) იწყება მოსახლეობის თანდათანობითი გამაჰმადიანების პროცესი. თურქი გეოგრაფოსისა და ისტორიკოსის ქათიბ ჩელების ცნობით XVII ს. 40-იანი წლებისათვის ლაზეთში სარწმუნოების თვალსაზრისით უკვე ორი რიგის ლაზი არსებობდა: „ლაზი მუსლიმი და ლაზი გიაური“[15]. მოსახლეობის გადაგვარებისა და გამაჰმადიანების პროცესი შემდეგ უფრო გაღრმავდა. გამაჰმადიანებული ქართველი (ქართი—ლაზი—ჭანი) მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დაივიწყა ქართველური ენები და თურქულზე გადავიდა, მეორე ნაწილმა სარწმუნოების დაკარგვის მიუხედავად დღემდე შეინარჩუნა მშობლიური ენა, რომელსაც შინაურობაშიღა ხმარობს. 1876 წ. ლაზეთში მოგზაურობის დროს გ. ყაზბეგს სოფ. ორთახოფაში (ათენის კაზა) მასპინძლები ქართულად ელაპარაკებოდნენ და როგორც ქართველს და მისიანს დიდის პატივით ეპყრობოდნენ. ასევე პატივით შეხვდნენ მას მაკრიალის ხეობის ლაზები. ყაზბეგისვე დაკვირვებით, ხოფა-მაკრიალის

[14] ი ქ ვ ე.

[15] გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, ქათიბ ჩელების „ჯაჰან ნუმა“ და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, 1973; აგრეთვე, თ. ბ ე რ ა ძ ე, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის, თბ., 1962, გვ. 24.

ლაზური მეგრულისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება[16]. რელიგიის სხვაობა მათ ხელს არ უშლიდა ერთიმეორეს მიალერსებოდნენ. ყველაფერი ამის მიზეზი, ჩვენი ფიქრით, იყო ათასწლობით მომდინარე სულის გაღვივება თუ სისხლის ცნობა. მოსახლეობის მეორე ნაწილმა, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას შერჩა, თავი ბერძნად გამოაცხადა (თუ გამოაცხადებინეს) და ასე ქართული ენის თანდათან დავიწყებითა და თურქულ-ბერძნული ენებით, რომელშიაც დავიწყებული მშობლიური ენის კვალი ჯერ კიდევ არ იყო წაშლილი, მოაღწიეს XIX ს-მდე. ამგვარი ქრისტიანი ლაზების შესახებ მათი ცხოვრების შესანიშნავი მცოდნე გ. აჭარიანი წერდა. „მოიპოვებიან ქრისტიანი ლაზებიც, რომლებიც ექვემდებარებიან ბერძენ პატრიარქს სტამბოლში. ლაპარაკობენ ბერძნულად და თავს ბერძნებად თვლიან. ამის მიუხედავად, მათ მაინც სცნობენ თავისებური გამოთქმის (აქცენტის) მიხედვით. მათ უჭირავთ ლაზისტანის დასავლეთი ნაწილი პლატანიდან აღმოსავლეთისაკენ ტრაპიზონამდე და ტრაპიზონის სამხრეთით გიუმიშხანამდე. მთავარი ქალაქები, სადაც მათ ვხვდებით, არის პლატანა, ტრაპიზონი, გიუმიშხანე“[17].

1830-იანი წლების დასაწყისში, ადრიანოპოლის ხელშეკრულების შესაბამისად, ქვემო ქართლში შემოყვანილ და დასახლებულ იქნა გიუმიშხანელ ქრისტიანთა ერთი ჯგუფი. ესენი იყვნენ თურქულენოვანი ქრისტიანები, რომელთაც ოფიციალურ საბუთებში „ბერძენი“ ანუ „ურუმი“ ერქვათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც თურქულ, ისე დასავლეთევროპულ (კათოლიკურ) იმდროინდელ საბუთებში მართლმადიდებლური სარწმუნოების არაბერძენი ხალხი უმეტეს წილად „ბერძნად“ მოიხსენიება. ბევრ საბუთში, როცა სარწმუნოებრივ დოგმატებზეა საუბარი, ქართველი მრევლიც და ქართული ეკლესიაც „ბერძნად“ (ბერძნული ტიპიკონის გამო) არის მონათლული. მიუხედავად იმისა, რომ გიუმიშხანედან გადმოსახლებულ „ბერძენთა“ შორის მაშინვე არსებობდა გადმოცემა მათი ქართულ-ლაზური წარმოშობის შესახებ, ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. პირიქით, ცარიზმი ხელს უწყობდა მათში „ბერძნული“ წარმოშობის აზრის გაღვივებას და პერსპექტივაში მათ

---

[16] Г. Н. Казбеки, Три месяца в турецкой грузии, კრებულში «Записки Кавказского отдела императорского русского географического общества», кн. X, вып.;I, Тиф., 1876, стр. 100—104.

[17] L. Ajarian, L'étude sur le laguclaze (Memoires de la Soieezde linguistiqe de Paris), m. X. Paris, 1897, გვ. 154.

მიიჩნევდა რუსიფიკაციისათვის საუკეთესო მასალად. „წალკელ ბერძენთა“ წარმომავლობის საკითხი დღესაც საყურადღებო და რთული საკითხია და ის სერიოზულ მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს.

ქრისტიანი ლაზების „გაბერძნება“ (ბერძნულ ენაზე გადასვლა) გაცილებით ადრე დაწყებული პროცესი ჩანს, ვიდრე მათი „გათურქება“ (თურქულ ენაზე გადასვლა), რომელმაც XVI საუკუნიდან მასიური ხასიათი მიიღო. დღეს ოფიციალური დოკუმენტებით ქრისტიანი ლაზი აღარ არსებობს, ისინი ბერძნებად არიან აღრიცხული, თუმცა ყველა მათ ჯერ კიდევ ახსოვთ გადმოცემა თავიანთი ლაზური წარმოშობის შესახებ. ლაზური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მაჰმადიანობაზეა მიქცეული. 1872 წლის მონაცემებით, ტრაპიზონის საფაშოს 940 000 მცხოვრებიდან 600 000 კაცამდე მარტო ლაზი იყო[18]. შემდეგი დროის აღწერებით ლაზური მოსახლეობის ეს ციფრი სულ უფრო კლებულობს.

ამრიგად, თურქებმა ლაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი გაამაჰმადიანეს, ხოლო მცირე ნაწილი, რომელიც ქრისტიანობას შერჩა, საბოლოოდ ბერძნებად აღიარეს და, როგორც ვთქვით, ახალი განაწესითაც ბერძენი პატრიარქის უფლებებს დაუმორჩილეს.

ახლადშექმნილ სომეხთა საპატრიარქოს დაუმორჩილეს: სომხები, სირიელები, ქალდეველები, კოპტები, ქართველები (იგულისხმება ამ დროს თურქების მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობილი პროვინციების ქართველები, ყარს-არზრუმისა და ნაწილობრივ იმიერ ტაოს მიმდგომი მიდამოების ქართული მოსახლეობა), აბისინიელები[19]. ყველა ამ ხალხთა სასულიერო წინამძღვრები, რომლებიც მიწერილნი იყვნენ ბერძნულ ან სომხურ საპატრიარქოს, ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ მას და იგი თავიანთ უმაღლეს ხელისუფლად ეცნოთ.

ებრაელთა სექტის რელიგიური მდგომარეობა განუსაზღვრელი დარჩა. რაც შეეხება კათოლიკეებს, ისინი მიჩნეულ იქნენ უცხოელებად, ევროპის წარმომადგენლებად და ამიტომ არც მათი მდგომარეობა განსაზღვრულა.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შექმნითა და მისი გავლენის სფეროს განსაზღვრით, სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის წინაშე დიდი პერსპექტივები გადაიშალა, რომლის პირველი ცდა

---

[18] Д. С. Завриев, К новейшей истории Северо-восточных вилайетов Турции, 1947, Тб., стр. 165.

[19] М. Орманян, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

მიმართულ იქნა გრიგორიანული ეკლესიის ცენტრალიზაციისაკენ, რის შემდეგ შეიძლებოდა ფიქრი ეკლესიის განმტკიცებასა და შემომატებაზე. შექმნილმა ვითარებამ, მართლაც, სომხურ-ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვანი განმტკიცება გამოიწვია. მინიმუმამდე შემცირდა გრიგორიანობიდან კათოლიკობაზე გადამსვლელთა რიცხვი. ზოგ შემთხვევაში, პირიქით, მოხერხდა სხვადასხვა ხალხისა და სარწმუნოების სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა. სულთნის ფირმანით ზურგმოცემული სომხური ეკლესია ენერგიულად უტევდა კათოლიკობაზე მოქცეულ ნახჩევან-კილიკიის უნითორ ბერებს. მაგრამ უნითორებმა, რომელნიც მხარდამჭერას პოულობდნენ ევროპის სახელმწიფოებში, ზოგიერთი მატერიალური ზარალის მიუხედავად ახალი სარწმუნოება შეინარჩუნეს, შემდეგ კი სხვადასხვა საშუალებებით მატერიალური ზარალიც აინაზღაურეს და ერთგვარი შეღავათიც მოიპოვეს.

XVI ს. დასაწყისში, როცა საქართველოში სრულიად შეწყდა ევროპის კათოლიკე მისიონერთა საქმიანობა, უმწეოდ დარჩენილ ქართველ კათოლიკე მრევლს გამოეცხადნენ კილიკია-ნახჭევნიდან მოსული სომეხი უნითორი ბერები და თავიანთი გულწრფელი სამსახური შესთავაზეს. ასე თანდათან ლათინი მოძღვრები სომეხ კათოლიკეთა მოძღვრებით შეიცვალნენ[20]. როგორც ჩანს, უნითორ ბერებს, რომელთაც არც ევროპული სწავლა-განათლების შემოტანა და არც უცხო ქვეყნებთან იმგვარი პოლიტიკისა და დიპლომატიის წარმოება არ შეეძლოთ, საქართველოში გარკვეული წინააღმდეგობები შეხვედრიათ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან. ამიტომ ჩვენში უნითორ ბერთა საქმიანობისა და ფეხის მოკიდებისათვის საჭირო გამხდარა, რომ მათ ხელში გადასულ მისიონერთა დატოვებულ მემკვიდრეობას მისცემოდა ერთგვარად კანონიზებული სახე. საჭირო იყო უნითორები გამოცხადებულიყვნენ რომის პაპის წარმომადგენლებად, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ — პაპის ნუნციოდ, როგორც ცნობილია, პაპები ამა თუ იმ ქვეყანაში ნუნციოდ აგზავნიდნენ იტალიელს ან საერთოდ ევროპელს[21]. ახლა კი, როცა თურქეთს ჩაკეტილი ჰქონდა ევროპიდან საქართველოში შემოსასვლელი გზები, ვატიკანი, რომ უმოძღვროდ არ

---

[20] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

[21] იქვე.

დაეტოვებინა და მთლიანად არ დაეკარგა საქართველოში არსებული კათოლიკური მრევლი, სხვა გზას უნდა დასდგომოდა.

1546 წ. დიდი თხოვნის შემდეგ პაპი პავლე მესამე იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და საქართველოში თავის ნუნციოდ დაენიშნა ნახჩევნელი არქიეპისკოპოსი, სომეხ-კათოლიკე უნითორი ვინმე სტეფანე. როგორც ჩანს, ამ ნახჭევნელ არქიეპისკოპოსს სამწყსო ჩაუბარებია, ადგილობრივ ვითარებას გასცნობია და სულ მალე პაპ პავლე მესამისათვის შეუტყობინებია: „... ლუარსაბი, ბაგრატ ქუთათელი, ლეონ ძანგანელი და ყვარყვარე ახალციხელი აღიარებენ ყველა ეკლესიის თავად რომის წმინდა ეკლესიას... გულით მოწადინებული არიან მთლიანად თავისი ერითურთ მიიღონ წმინდა კათოლიკე სარწმუნოება, რომის ეკლესიის დოგმატების თანახმადო“. სტეფანეს თითქოს მორიდებია, მაგრამ მაინც გამოუთქვამს თავისი სურვილი: „იმ სამთავროებში რომ გაიგზავნებოდნენ იმისთანა პირნი, რომელთაც შეეძლოთ სიყვარულის და კათოლიკე სარწმუნოების შთანერგვა ... უეჭველად და დიდის სიამოვნებით შეუერთდებოდნენ ისინი რომის ეკლესიას“-ო[22]. აქ პაპის წერილში უკუფენილი სტეფანეს ზრახვები გასაგებია. საკითხი რთულადაა დასმული. ერთი მხრივ, აღნიშნული პოლიტიკური მიზეზების გამო ევროპიდან ახალი მისიონის გამოგზავნა არ ხერხდება, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთა გაკათოლიკების საკითხი სულ უფრო მწიფდება. რა ქნას ამ შემთხვევაში პაპმა? რთული ვითარებიდან გამოსავალი ისევ სტეფანე ეპისკოპოსს მოუნახავს და ვატიკანისათვის უცნობებია, რომ ამგვარ დიდსა და საღვთო საქმეში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია სომხურ კათოლიკურ ეკლესიას. სხვა გამოსავალი არც ჩანდა. პავლე III იძულებული იყო, წასულიყო დროებით კომპრომისზე და საქართველოს მისიონი სომხურ-კათოლიკური ეკლესიისათვის მიებარებინა, არქიეპისკოპოსი სტეფანე კი თავის ნუნციოდ დაემტკიცებინა და თან პირადად „პატივით და ნიჭით დაჯილდოებას“ დაჰპირებოდა. პავლე მესამე თავის დაწერილ ბრძანებაში თითქოს ნირს არ იტეხდა: „ჩვენის სრულის ნებით და არა თქვენის ანუ სხვების თხოვნით, ჩვენის გულმოწყალეობით გნიშნავთ თქვენ... ჩვენს სამოციქულო საყდრის ნუნციოდ და ორატორად და გგზავნით ხსენებულ მეფეებთან და მათ თვითოეულს სამთავროსა და სამფლობელოში... ამ წერილის ძალით განიჭებთ იმ ყვე-

[22] იქვე, გვ. 75.

ლა პრივილეგიათა..., რომელნიც კანონის მიერ ანუ ჩვეულებით აქვთ და ექნებათ მომავალში ყველა ჩვენსა და სამოციქულო საყდრის ნუნციოებს და ორატორებს, ვიდრე ჩვენი და სამოციქულო საყდრის სურვილი არისო"[23], სურვილისა კი რა ითქმის და ალბათ პაპი პავლე მესამეც კარგად გრძნობდა, რომ ყველაფერ ამას მკაცრი კანონით კარნახობდა შექმნილი მდგომარეობა. ამ მდგომარეობით და პაპის ბულით აღჭურვილი სტეფანე არქიეპისკოპოსი იმავე წელს შემოვიდა საქართველოში. მალე მის კვალს სომეხ უნითორ ბერთა რამდენიმე გუნდიც შემოჰყვა. ერთი ცნობით, ამ დროს ნახჩევან-კილიკიიდან საქართველოში საქადაგებლად შემოსულა 102 სომეხი უნითორი ბერი[24], რომელნიც განლაგებულან ქართლ-იმერეთში და უპირატესად სამცხე-საათაბაგოში.

სომხურ-კათოლიკური ეკლესია, რომელსაც კონგრეგაციისაგან დამტკიცებული ჰქონდა სომხურენოვანი რიტი (ტიპიკონი), მღვდელმსახურებას მშობლიურ ენაზე ასრულებდა. ეს გარემოება საქართველოში შემოსულ უნითორი ბერების საქმიანობას გადაულახავ წინააღმდეგობებს უქმნიდა. ადრე, XIII—XV სს., ლათინ მისიონერთა დროს ეს საქმე შედარებით მოგვარებული იყო. ევროპელი მისიონერები ვალდებული იყვნენ და კიდეც სწავლობდნენ ადგილობრივ, ამ შემთხვევაში ქართულ ენას. ლათინურიდან ქართულად თარგმნიდნენ საღვთო თუ სამოქალაქო წიგნებს. ლათინი მისიონერები საქართველოს მთავარ ცენტრებში ქმნიდნენ სკოლებს, ავრცელებდნენ ჩვენში ევროპულ განათლებას; ქართველ ახალგაზრდებს ასწავლიდნენ ლათინურ, ფრანგულ, იტალიურ ენებს და სხვა.

როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია დიდ შემწყნარებლობას იჩენდა ევროპიდან მოსული კათოლიკე მისიონერებისადმი და ხშირად ხელს უწყობდა კიდეც მათ აქ დამკვიდრება-დამაგრებას. ყველაფერი ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია თავის შემუშავებულ დოგმებზე ხელს იღებდა და კათოლიკური დოგმებისკენ იხრებოდა (ასე რომ ყოფილიყო, მაშინ გაკათოლიკებას წინ რაღა დაუდგებოდა), არამედ იმიტომ, რომ კათოლიკობის გარდა აღნიშნულ მისიონერებს ჩვენში შემოჰქონდათ ევროპული კულტურის ბევრი ახალი მიღწევა.

---

[23] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

[24] ახალციხის მხარეთმცოდნეობის ხელნაწერთა ფონდი, დაუმუშავებელი კოლექცია Дело „настаятеля св. Иоана Крестителя церкве. 1907", стр. 7.

რაღა თქმა უნდა, ნახჩევნიდან გადმოსულ ბერებს, რომელნიც საერთოდ შორს იდგნენ ევროპული კულტურისაგან, ასეთი ტვირთის ზიდვა არ შეეძლოთ. ამიტომაა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მკაცრი წინააღმდეგობების პირობებში ქართლ-კახეთსა და იმერეთში, თუ არ ჩავთვლით თბილისის, გორისა და ქუთაისის რიცხვმცირე მრევლს, უნითორებს ფეხი ვერ მოუკიდიათ. როგორც ჩანს, ადრე კათოლიკობაზე მიქცეული მრევლის დიდი ნაწილი კვლავ მართლმადიდებლობას დაბრუნებია. საერთოდ, საქართველოს მმართველი წრეების დამოკიდებულება ევროპის სახელით მოქმედი უნითორებისადმი ცუდი არ ყოფილა, პირიქით სომხურ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს ხშირად ვხვდებით ქართველ მეფე-მთავართა კარზე მოხელეებად, თარჯიმნებად, ელჩებად და სხვა.

სახელმწიფოებრიობადაკარგული სომეხი ხალხისა და განსაკუთრებით სომხური ეკლესიის მოღვაწეთათვის მეზობელი ქრისტიანული საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ფაქტი, რომელიც დევნილი სომხებისათვის თავშესაფარი იყო, მათ გულში ბადებდა იმედის ნაპერწკალს, რომ აღდგებოდა სომხური სამეფოც და მეზობელი ქართველი ხალხი თავის წვლილს შეიტანდა ამ წმინდა საქმეში. ამ თვალსაზრისით ნამდვილი სომეხი პატრიოტი იყო ის, ვინც თავისი საქმიანობით საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ სიძლიერესა და დამოუკიდებლობას უწყობდა ხელს. უფრო მეტიც: ეს იყო „კავკასიური პოლიტიკის" ერთ-ერთი მაგისტრალური ხაზი. რა თქმა უნდა, იყვნენ ამ იდეის მოწინააღმდეგენიც, მაგრამ რენეგატებზე შემდეგ.

განსხვავებული ვითარება დახვდათ უნითორებს მესხეთში, სადაც ჯაყელ-ათაბაგთა და მცხეთის კათალიკოს-პატრიარქთა ბრძოლა XV საუკუნის დასაწყისიდანვე უაღრესად გამწვავებული იყო. თემობრივი განკერძოების გზაზე მდგარი ათაბაგები საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ანტიოქიელ ბერძენ პატრიარქთა მხარდაჭერით მცხეთის საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოცილებას და მაწყვერელისადმი საპატრიარქო უფლების მინიჭებას ცდილობდნენ ისეთნაირად, რომ მესხეთშივე „უმცხეთოდ მესხი მღვდელი და დიაკონი იკურთხებოდეს"[24]. ათაბაგები დროდადრო თავიანთ გულისნადებს აღწევდნენ კიდეც. XV ს. მეორე ნახევარში ათაბაგმა ყვარყვარე დიდმა და XVI ს. დასაწყისში მზეჭაბუკმა საა-

---

[24] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ვარძიის ძმათა ერთგულების წიგნი, თბ., 1897, გვ. 269.

ათაბაგის საეპისკოპოსოები არა მარტო შეავიწროვეს, არამედ მცხეთის მორჩილებისაგან გაათავისუფლეს და თავიანთ ლოცვა-კურთხევაში საქართველოს მეფეთა და პატრიარქთა ხსენებაც კი აუკრძალეს. მესხეთის მთავართა თავხედურ პოლიტიკას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა მცხეთამ, რომელიც თვლიდა, რომ ათაბაგი უზენაესი მწყემსმთავრის მიმართ ურჩობას იჩენდა და დიდ ცოდვას ჩადიოდა[25]. ამგვარი ბრალდების შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ აღშფოთებული კათალიკოს-პატრიარქი დავითი მესხეთს ავიდა. „საფარის თავზე“ საეკლესიო კრება მოიწვია, თვითონ ბრალმდებლის როლში გამოვიდა, ურიგო საქციელისათვის მაწყვერელი და სამცხის ეპისკოპოზნი შეაჩვენა — „უჯვარო და შეუნდობელი ყვნა“[26], და დაკავებული თანამდებობებიდან გაყარა. ამ აქტის სიმძიმეს ისიც ამაგრებდა, რომ შემდეგ ახსნისა და შენდობის უფლება მხოლოდ მცხეთის ხელთ იყო.

კათალიკოსის ამ ფიცხელმა ღონისძიებამ ერთხანს წელში გადრიკა როგორც ეკლესიის მსახურნი, ისე ათაბაგი ყვარყვარე დიდიც. ასეთი ღონისძიებების შემდეგ მესხეთის საეკლესიო თუ საერო მმართველნი დიპლომატიურ უკანსვლას მიმართავდნენ და ათასნაირი მორჩილებისა და ერთგულების, ფიცისა და აღთქმის პირობას დებდნენ, რომ ამიერიდან იქნებოდნენ „მეფეთა მლოცველნი“[27], მცხეთის „მეძღვნე მოსამსახურენი“[28], საპატრიარქო „საყდრისა მტრისა მტერნი და ერთგულთა მოყვარენი“[29], რომ მომავალში ყველა „საღმრთო და სჯულიერ“[30] საქმეს მხოლოდ მცხეთის პატრიარქ-კათალიკოსის ბრძანებისამებრ წარმართავდნენ და საერთო საყდრის გაუყრელნი და ერთგულნი“[31] იქნებოდნენ. იფიცებოდნენ — „თუ ყუარყუარემ მაწყვერელობა ან სხვა რაიმე ხელი გვაძლიოს და დაგუპატიჯოს კურთხევის მიზეზითა, სადამდის თქვენსა საყდარსა არ დაემორჩილნენ, ხელი არ გამოვართუათო“[32]. ყველაფერი ეს გამოუვალი მდგომარეობით შექმნილი დროებითი უკან-

---

[25] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 57.

[26] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, ლასურიძე-კუმურდოელის წიგნი და პირი, გვ. 26.

[27] გერასიმე მაწყვერელის ერთგულების წიგნი და პირი, სამხ. საქ. ისტ. მას., თბ., 1961, გვ. 23, 26, 28.

[28] იქვე, ლასურიძე-კუმურდოლის წიგნი და პირი, გვ. 26.

[29] იქვე, სერაპიონ მაწყვერელის საერთგულო წიგნი, გვ. 25.

[30] იქვე, მანუჩარისა და უცნობის (ათაბაგის) პირობის წიგნი, გვ. 30.

[31] იქვე, ზოსიმე კუმურდოელის წიგნი, გვ. 31.

დახევა იყო, თორემ როგორც კი პოლიტიკური ტარო'ი შეიცვლებოდა, მათი მორჩილებისა და ერთგულების ფიციც დავიწყებას ეძლეოდა და თოვლივით ქრებოდა.

XV ს. II ნახევარში გარკვეულად ყალიბდება უკვე დამოუკიდებელი ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამცხე-საათაბაგოს სახელმწიფოები. ქვეყნის პოლიტიკური დაშლა ცხადი გახდა. მართალია, ქართლის სამეფო ხელისუფლება ერთხანს არ სცნობდა დაშლის ფაქტს, მაგრამ მოვლენათა მსვლელობის მკაცრმა კანონმა 1491—1492 წწ. ამ დაშლილ სახელმწიფოთა მეფე-მთავრები ერთად დასხა ტერიტორიების გადანაწილებისა და მათ შორის საზღვრების დაწესების თაობაზე.

როგორც ზემოთ ვთქვით, შეჩვენებულ და უჯვაროქმნილ მღვდელმსახურთა ნაცვლად კათალიკოს-პატრიარქმა თავისი და საეკლესიო ერთობის მომხრე სასულიერო პირნი აკურთხა, როგორც მაგ. ანჩელი არქიმანდრიტი აბელისძე ქერობინი, და ყველა მათ მცხეთის ერთგულებაზე ფიცით პირობა დაადებინა. თუმცა ერთხანს ათაბაგები იმასაც მიზეზობდნენ — „ნაფიცარი არც ეპისკოპოსი შეიწყნარების და არც ხუცესიო“[33]. უფრო კი გულს ის უკლავდათ, რომ მცხეთაში ნაკურთხ აქაურ მესხ მღვდლებსა და ეპისკოპოსებს „მაგათი და მეფის ერთგულებაზე აფიცებენო“[34] და ქრთამით ნიშნავენო. ასეთი „ბრალდება“ ხალხში მცხეთისადმი მხარდაჭერას და თანაგრძნობას ვერ შეანელებდა. „მცხეთის კათალიკოსები მესხეთის სამღვდელო პირთ სწორედ კათალიკოსისა და მეფის ერთგულებაზე აფიცებდნენ და რაკი ეს ფიცი იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოსი და ეკლესიის მთლიანობისა და ერთობის ფიცი იყო... თანამედროვეთა გულწრფელი თანაგრძნობა და სიხარული უნდა გამოეწვია“[35], რადგან „ეკლესიური ერთობა მაშინ ეროვნული ერთობის ერთ-ერთი საშუალება იყო“[36].

ეკლესიათა ბრძოლის მთავარი მიზეზი მაინც ეკონომიკურ საფუძვლებშია საძიებელი. XV ს. სეპარატისტული მოძრაობისა და განკერძოების ტენდენციებმა, როგორც ჩანს, ქართულ ეკლესიაზედაც იქონია გავლენა. გამდგარ რეგიონებში და, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოში მცხეთამ დიდძალი მამულები („სახასო სამ-

[33] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. III, 1942, თბ., გვ. 303.

[34] იქვე, გვ. 302.

[35] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 61.

[36] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 93.

წყსო“) და მრევლი დაკარგა და ბევრგან აიყარა მისი უფლებები. კერძოდ, მცხეთა-მესხეთს შორის სადავო იყო შემდეგი მამულები და მემამულენი: „ჯავახეთს საცორეელა და სხვა სოფლები, საკავკასიძეო, პარხალი თავისი აზნაურიშვილებით, სამძივარი (რომელიც ახლა გოგიბას შვილებს ჰქონდათ), საბუმბულისძეო (ახლა ავალიშვილების), სალონგოსძეო (ახლა ლასურისძეების), სახერხემლისძეო (ახლა თაქთირიძეების), ჩორჩანის საერისთაო (ახლა ხურსიძის), ღობიერნი (ახლა დიასამიძისა), საბუსერისძეო, საბოცოსძეო (ახლა ოლადასშვილებისა), ოთარი (შალიკაშვილებისა), ხერთვისარნი ქამქამისძისეული (ახლა ამატაკისძეების), თმოგვი (ახლა შალიკაშვილების), ბულდადარას შვილნი (ახლა რჩეულიშვილების), ასპანისძენი (ახლა სფირიდონის), საკალმახელო (ახლა უზნაძეების), სადუკისძეო, ფანასკერტელნი, სპასალარნი, ხახულარნი, ანძაველნი, საკოპასძეო, თუხარელნი, მონასტერი ოშკი, მონასტერი ვარძია[37]. დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს 1516 წლის ახლოს. აქ დასახელებული 26 დიდი მამულის დაკარგვა, რა თქმა უნდა, მცხეთის საფეოდალოს სამამულე მეურნეობას შესამჩნევად მოშლიდა და უკან დასწევდა. მცხეთა შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა აღნიშნული მამულების დაბრუნებისა და დაკარგული უფლებების აღდგენისათვის. ამავე დროს პატივმოყვარე და სეპარატისტ ათაბაგთა დასაწყნარებლად ზოგიერთ დათმობაზეც მიდიოდა — მცხეთაში საკურთხებლად ჩამოსულ მესხ სამღვდელოებას უფლებას რთავდა თავის „დაწერილში“ და „ფიცის წიგნში“ დამატებით შეეტანა ფრაზა: „ბატონისა ჩემისა უზიანოთა საქმითა საყდრისა და თქვენი ერთგულნი ვიყვნეთო“[38]. ასეთი ფიცი ფაქტიურად ერთიმეორის გამომრიცხავი იყო.

ფიცის წიგნები უდავოდ იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს ერთიანობის საქმეს ჩრდილი აქვს მიმდგარი და მისი შენარჩუნება მხოლოდ განსაკუთრებული ღონისძიებებით ხერხდება; რომ მცხეთის გაბზარული ხმა თითქოს ჯერ კიდევ სწვდება თავის სამწყსოს, მაგრამ იგი უკვე საიმედო აღარაა.

საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარების გართულებამ უფრო და უფრო დაძაბული გახადა უკვე კარზე მომდგარი საგარეო საფრთხე. მესხი ათაბაგების თურქეთთან და სპარსეთთან ლავირების

[37] მცხეთის ძეელთაგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 31—36.

[38] ზოსიმე კუმურდოელის წიგნი, სამხ. საქ. ისტ. მასალები, გვ. 31.

პოლიტიკას შედეგად მხოლოდ ქვეყნის აყრა-დაყრა და განადგურება მოსდევდა. მძიმე შედეგებით დამთავრდა ქართლისა და იმერეთის სამეფოთა მიერ მესხეთის შემოსაერთებლად განხორციელებული ღონისძიებებიც. XVI ს. შუა წლებში როგორც თურქეთი, ისე სპარსეთი დაჟინებით ცდილობდნენ სამცხე-საათაბაგოს სამთავროში ფეხის მოკიდებას. 50-იანი წლების დასაწყისში თურქები აშკარად შეტევაზე გადმოვიდნენ, მესხეთის ტაოს მხარე მოსწყვიტეს და ჩრდილოეთით გამოემართნენ. მესხეთისაკენ დაიძრნენ სპარსელებიც. ამასობაში სულთან სულეიმანმა და შაჰ-თამაზმა 1555 წ. ამასიაში ზავი დადეს და სამცხე-საათაბაგოს სამთავრო შუაზე გაიყვეს. მესხეთასთან დავისათვის ვიღას ეცალა, ქვეყანა ხელიდან მიდიოდა. მესხეთის ავტორიტეტშელახული ეკლესია თავისი მრევლის გადარჩენისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. სწორედ ამ დროს შედგეს ფეხი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე სომეხმა უნითორმა ბერებმა. უნითორები ჯვრებითა და კათოლიკური აღთქმით ხელში მოედვნენ მესხეთის სოფლებსა და ქალაქებს.

ამის შემდეგ ორი ათეული წელიც არ იყო გასული, რომ 1578 წ. ოსმალებმა მთელი სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს, ათაბაგთა ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება გააუქმეს და მის ადგილზე შექმნეს ჩილდირის (ახალციხის) საფაშო (თურქული სოციალურ-პოლიტიკური წყობით). მესხეთში ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადა. მტრის დარტყმები პირველ რიგში ქართული ეკლესიის ზურგს ხვდებოდა. ოსმალებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დათრგუნვის გარეშე მათ მიერ დაწყებული საქმე შეიძლებოდა წარმატებით ვერ დაგვირგვინებულიყო. ამ დროს თურქებს, ისევე როგორც სპარსელებს, მოსვენებას უკარგავდა მართლმადიდებლური რუსეთის წარმატებანი, რომელიც სულ უფრო სამხრეთისაკენ მოიწევდა და კავკასიის უღელტეხილს ებჯინებოდა. თურქების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დიდ ნაწილს ბალკანეთსა და წინააზია-კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანული ხალხები შეადგენდნენ. ამიტომ თურქეთს მართლმადიდებლური რუსეთის წარმატებები ყველაზე მეტად აფიქრებდა და ყოველნაირი ღონით ცდილობდა არ დაეშვა მართლმადიდებლურ ხალხთა ურთიერთკონტაქტები და, რაც მთავარია, მათი კავშირი ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსთან. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, სწორედ მართლ-

მადიდებელთა შეკავშირების შიშმა გამოაძებნინა თურქებს კონსტანტინოპოლში მესამე ძალა სომეხი გრიგორიანების სახით, რომელნიც დაუპირისპირა ბერძნებს და ამით გააბათილა ბერძნული ეკლესიის უპირატესობანი. თურქები ასევე ვერ ურიგდებოდნენ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში, მათ ამგვარ შიშს უფრო-დაუფრო აძლიერებდა XVI ს. 80-იან წლებში კახეთისა და მოსკოვის სამეფოებს შორის წამოწყებული ხელშეკრულებები. შემდეგ თურქებიც ატყობდნენ, რომ საქართველოს მმართველი ზედაფენის სიმპათიები სულ უფრო და უფრო რომისაკენ იხრებოდა — ევროპული ორიენტაცია თანდათან მკვიდრ ნიადაგზე დგებოდა, მაგრამ დამპყრობლებს „არც ევროპული სახელმწიფოების გავლენა აწყობდათ საქართველოში"[39]. ამიტომ მათ უმალ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიების სრული ინკორპორაცია მოახდინეს და მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის თურქული წესების შემოღების იძულებითი გზით ხალხს პირი მუსლიმანობისაკენ აქნევინეს. ახალციხის საფაშოში მართლმადიდებლობა შეუწყნარებელ რელიგიად იქნა გამოცხადებული. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მანამდე არსებულ კათოლიკურ (ლათინური რიტით) და სომხურ-გრიგორიანულ (ქალაქის ვაჭარ-ხელოსნები) რიცხვმცირე ეკლესიებს, ისინი როგორც არა ამ ქვეყნის მკვიდრნი, ადრინდელ უფლებებში იქნენ დატოვებულნი და, მაშასადამე, შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში მოხვდნენ. მაგრამ ასე როდი იყო თვით სომხეთში. საკუთარ სამშობლოში სომხური ეკლესია ისეთივე დევნას განიცდიდა, როგორც ქართული. მაგ, 1580 წ., როცა თურქებმა დაიპყრეს ერევნის სახანო, სომხურ ეკლესიას ისე დიდი ხარკი გააწერეს, რომ კათალიკოსმა არაქელმა ველარ გამონახა სახსრები და თანამდებობიდან გადადგომა ამჯობინა. მომდევნო კათალიკოსის დავითის ძირითადი საზრუნავიც აგრეთვე თურქებისადმი მისაცემი ხარკის შეგროვება იყო[40]. ასევე უჭირდა ხარკის შეგროვება დავითის შემდგომ კათალიკოს მელიქსეტს, რომელმაც ხსნა კვლავ სპარსეთისადმი მიმხრობაში დაინახა და ორ ეპისკოპოსთან ერთად დახმარებისათვის „მოწყალე შაჰ-აბასს" მიაკითხა. 1602 წ. ერევნის

---

[39] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მ. დუმბაძის რედაქციით, 1974 წ., გვ. 406.

[40] А. Аннинский, История Армянской церкви, Кишинев, 1900, стр. 262.

ომის დროს, სადაც შაჰს ქართველი მეფეები გიორგი და თეიმურაზიც ახლდნენ, მელიქსეტი ირანის ლაშქარს მოჰყოლოდა. როგორც ცნობილია, სპარსელებმა ომი წარმატებით ჩაატარეს და თურქთგან დაპყრობილი ტერიტორიები დაიბრუნეს. ოსმალები ერთხანს კონტრშეტევებით ცდილობდნენ საქმის გამოსწორებას და დროდადრო იერიშზეც გადმოდიოდნენ. ცბიერმა შაჰმა მოიმიზეზა — წარმატების შემთხვევაში თურქებმა ღალატი არ დასწამონ სომხებს და არ დასაჯონო და ვითომც წინდაწინ თავდაცვის „თადარიგი" დაიჭირა. ჯულფისა და სხვა მიდამოების სომხური სოფლები საკუთარი მიწაწყლიდან აყარა, არარატის ველზე დააგროვა, დასტებად დააწყო და ირანში გარეკა[41].

სპარსეთში გასახლებულ სომხებს შაჰმა სხვა თვალით შეხედა და თავისებური პატივიც დასდო. მისი ბრძანებით, ისინი განსაკუთრებულ რაყამს დაუმორჩილეს და ისპაანის ახლოს სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე დაასახლეს. «Им была предоставлена полная свобода исповедовать христианскую веру и торжественно отправлять все церковные обряды»[42]. მისცა ვაჭრობა-ხელოსნობის საქმეში სრული თავისუფლება. შაჰი ფიქრობდა, რომ სამშობლო დაკარგული და მის კალთას შეფარებული ყველა უცხო კაცი მისი მომხრე და ერთგული იქნებოდა. უფრო მეტიც, სპარსეთში გასახლებულ სომხებს შაჰი ნებას რთავდა და პირადადაც ეხმარებოდა ეკლესიების მშენებლობაში, დადიოდა მათს ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ესწრებოდა ქრისტიანულ ცერემონიალებს. მისი განსაკუთრებული ბრძანებით სჯიდნენ ყველა მას, ვინც სომეხ ქრისტიანს შეურაცხყოფას მიაყენებდა[43]. ისპაანთან დასახლებულმა სომეხმა კოლონისტებმა თავიანთ ახალ საცხოვრებელს „ნორ ჯულფა" (ახალი ჯულფა) უწოდეს. შექმნეს ჯულფის სავაჭრო კომპანია, კავშირი დაამყარეს იტალიის, საფრანგეთის, პრუსიის სამრეწველოებთან, შექმნეს თავიანთი კანტორები ინდოეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში, იავისა და ფილიპინის კუნძულებზე და სხვ. ქ. მადრასში დააარსეს სომხური კვარტალი, ააგეს გრიგორიანული ეკლესია. თავისი სიმდიდრით გამოირჩეოდნენ გვარები: შახრიმანენცი, ხალდარენცი, შაფ-

---

41 А. Аннинский, დასახ. ნაშრ., გვ. 264.

42 იქვე.

43 იქვე, გვ. 265.

რაზი და სხვ.[44] ეს ღონისძიებები ხელს უწყობდა სომეხთა დამაგრებას და გამრავლებას სპარსეთში. ამას, შაჰის აზრით, შედეგად უნდა მოჰყოლოდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება მთელს ირანში. მართლაც, ერთი მხრივ, თურქეთისა და, მეორე მხრივ, სპარსეთის მესვეურთა პოლიტიკის წყალობით XVII—VXIII საუკუნეებში სომხური სავაჭრო კაპიტალი საერთაშორისო არენაზე გავიდა. მათ ვხედავთ: შავი ზღვის, ეგეოსის ზღვის, ხმელთაშუა ზღვის, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეების აუზებში და სხვა. ამ დროს ირანსა და თურქეთს გარდა განსაკუთრებით ბევრმა სომეხმა მოიყარა თავი საქართველოში, ინდოეთში, ჩინეთში, ფილიპინის კუნძულებზე, პოლონეთში, რუსეთში[45] და სხვ.

მას შემდეგ, რაც სომხეთიდან დიდძალი სომხობა ირანში გაასახლეს და მათ ადგილზე თურქმანული ტომები ჩამოიყვანეს, ირანის შაჰებმა ეჩმიაძინს, როგორც სომეხთა სარწმუნოებრივ ცენტრს, მოწყალე თვალით შეხედეს. ამ დროიდან იწყება ეჩმიაძინის სამონასტრო ცხოვრების აღმავლობის ხანა. ერევნის ბეგლარ ბეგებს (სარდრებს) მითითება ეძლეოდათ ეჩმიაძინის მიმართ შესამჩნევად ხელსაყრელი და მსუბუქი პოლიტიკა გაეტარებინათ. 1629 წ. შაჰსეფის ფირმანის ძალით ეჩმიაძინს მოუხსნეს გადასახადი „მუხატი". სხვამხრივ იგი თავისუფალი იყო. 1638 წ. ფირმანით ირანის მოხელეებს აეკრძალათ ეჩმიაძინის შინაურ საქმეებში ჩარევა[46]. 1650 წ., სიმონ ერევანცის მოწმობით, სომეხთა საპატრიარქო-საკათალიკოსო მონასტერი ეჩმიაძინი ჩაირიცხა „მააფის" კატეგორიაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი მულქი იყო და არავითარი სახის გადასახადს არ ექვემდებარებოდა. ირანის მირვეიზებს (საფინანსო ნაწილის მოხელეებს) ეჩმიაძინის ქონება საგადასახადო სიაშიც კი არ შეჰქონდათ. ოსმალობის დროსაც კი, როცა ქართული ეკლესია განადგურების პირას იყო მიყვანილი, როცა საქართველოს მწყემსმთავარი კათალიკოსი დომენტი სტამბოლის ციხეში იყო გამოკეტილი და როცა თბილისის სიონი კინაღამ მაჰმადიანურ მეჩეთად გადააკეთეს, ამ დროს სულთან III-მ სომეხი კათალიკოსის ასტვაცატურ ამადნელის თხოვნით ყოველგვარი გადა-

---

[44] А. Х. Тер-Мкртичян, Армения под властью Надир-Шаха, М., 1963, стр. 30.

[45] Б. М. Арутюнян, Крупное монастырское хозяйство в Армении в XVII—XVIII вв., Ереван, 1940. стр. 17.

[46] იქვე, გვ. 2.

სახადისაგან გაათავისუფლა ეჩმიაძინის, შოკაგატის, გაიანეს, რიფსიმესა და სხვა სომხური მონასტრები. უფრო მეტი, მათ მიიღეს ფირმანი, რომლის ძალითაც ვაგარშაპეტის (ეჩმიაძინის) გარშემო ყველა სხვა გადასახადს წინასწარ ღებულობდნენ ისე, რომ ხელმწიფის ტარუღას იქ არც ატარებდნენ. ერევნის ვაჭრებმა უფლება მოიპოვეს ამქართა კონტროლის გარეშე გაეხსნათ და დაეხურათ თავიანთი სავაჭროები[47]. აბრაამ ერევანცი სულთან აჰმედ III-ს სომეხთა კეთილდღეობაზე მზრუნველს და „სომეხი ხალხის მეურვეს“ ეძახის[48]. უფრო მეტიც, ნადირ-შაჰის მიერ სომხებისადმი გამოცემული რაყამებიდან ერთხე რაყამში ვკითხულობთ — „თუ რომელიმე სომეხი ქრისტიანი მიიღებს მაჰმადიანურ სარწმუნოებას, მაშინ მას ჩამოერთმევა მთელი მისი მემკვიდრეობა“[49]. ეს და ამის მსგავსი ბრძანება-განკარგულებანი იმ მიზანს ისახავდა, რომ მიემხრო სომხური ეკლესია, სომეხი ვაჭრები და ისინი თავის სამსახურში ჩაეყენებინა. მთელს მსოფლიოში გაფანტული სომეხ-ვაჭართა კოლონიები, რომელთაც ადგილზე ჰქონდათ საკუთარი ეკლესიები, სასულიერო ცენტრს (ეჩმიაძინს) უგზავნიდნენ დიდძალ ფულად შესაწირს. ეჩმიაძინში შემოდიოდა დიდძალი ძვირადღირებული უცხოური საქონელი; სხვადასხვა სახის პროდუქტი, რომელსაც ეკლესიის გამგებელნი გონივრულად ანაწილებდნენ და იყენებდნენ. ეჩმიაძინი სისტემატურად უგზავნიდა მოსაკითხსა და ფეშქაშებს მეზობელ მხარეთა მმართველებს, რასაც „ნვირაკ“ ერქვა. „ნვირაკების“ საშუალებით ბევრ სასურველსა და შეუძლებელ საქმესაც კი აკეთებდნენ. საამისო მაგალითებს ქვემოთ გავეცნობით. ბოლოს ეჩმიაძინმა მიაღწია იმას, რომ გაეფართოებინა თავისი მეურნეობა და სხვადასხვა მხარესა და სხვადასხვა ქვეყანაში შეეძინა მამულები როგორც მიულქადარის, ისე თავისუფალი სახის (როგორც სომხურ სახანოებში, ასევე ირანში, თურქეთში, საქართველოში და სხვა).

ეჩმიაძინს მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდა შეძენილი თავრიზსა და თბილისში. მამულებთან ერთად ისინი ყიდულობდნენ აგრეთვე ყმა-გლეხებს, რომელთაც ამუშავებინებდნენ ნაყიდ მიწებს. მაგ., 1715 წ. კათალიკოს ასტვაცატურ ამადნელმა თბილისში იყი-

---

[47] Б. М. Арутюнян, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[48] აბრამ ერევანცი, ომების ისტორია, თბ., 1976, გვ. 24.

[49] А. Х. Тер-Мкртичян, Армения под властью Надир-шаха, стр. 51.

და ყმებად ხახუტაშვილების რამდენიმე ოჯახი[50], რის შემდეგ ისინი დიდხანს ეჩმიაძინის ნახყიდ ყმებად ითვლებოდნენ. ეჩმიაძინი დიდძალი კაპიტალის მქონე საფეოდალო იყო. ირანისა და თურქეთისათვის ომისა და სხვა საჭიროების შემთხვევაში იგი სხვა სომეხ დიდვაჭრებთან ერთად ძვლებოდა ფულადი სახსრების მიმწოდებელ ერთ-ერთ ცენტრად[51]. ფულის გარკვეულ ნაწილს ეჩმიაძინი ხარჯავდა დატყვევებულ სომეხთა გამოსახსნელად როგორც სომხეთში, ისე საქართველოში. მაგ., 1741 წ. აგვისტოში, როცა ყიზილბაშებმა ქართლი აიკლეს, მერე გაუსიეს მარბიელი ავლანისა და საცა რამ დარჩენილიყო, დაატყვევეს. ამასთან დაკავშირებით ნადირ-შაჰმა გამოსცა რაყამი — „რაც ტყვე იყოს, სულ ავლანის ჯარს მიეცითო... მისცეს სრულიად ჯარსა ავლანისასა, იყო ტირილი და ვაება ტყვეთაგან, და ვისაც ძალ ედვა იხსნიდიან და განუტევიან. ასე გაიაფდა ტყვე, რომ თითო ვაჟკაცს ორორ მინალთუნად იძლევდიან. რომელიც არ გაუყიდასთ, ცხვრულებ ყელსა სჭრიდიან და ზოგს წყალში ყრიდიან“[52].

გამარჯვებულმა სპარსელებმა, როცა ქართლის ტყვეები დააგროვეს და ირანში გასარეკად გაამზადეს, ამ დროს ნადირ-შაჰის წინაშე გამოცხადდნენ სომხური ეკლესიის წარმომადგენლები, მიართვეს მას 300 თუმანი ფული, 300 ფუთი ხორბალი და იხსნეს შორეულ ირანში გასარეკად გამზადებული 300 სომხური ოჯახი[53]. იმის გამო, რომ ქართველთა შორის ასეთი სახსრები ძნელად საშოვარი იყო, ჩვენს ქვეყანას დიდძალი ხალხი ეკარგებოდა. ეს ვითარება სომხურ სარწმუნოებას საქართველოში პოპულარულსა და მიმზიდველს ხდიდა.

როგორც ფაქტიური მასალიდან ირკვევა, თურქი პოლიტიკოსები კათოლიკურ სექტებს შორის უპირატესობას მაინც სომეხ კათოლიკეებს ანიჭებდნენ და საჭიროების შემთხვევაში მათ ლათინებს — ლათინურ ტიპიკონზე მდგარ კათოლიკეებს უპირისპირებდნენ. სომეხ კათოლიკეთა ძმობის (უნითორ) წარმომადგენლები ოსმალებთან ლოიალურ პოლიტიკას ატარებდნენ, ევროპასთან შუამავლის როლში გამოდიოდნენ და ამით მოქმედების ფართო საშუალებებს იძენდნენ.

---

[50]. Б. Арутюнян, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[51] А. Х. Тер-Мкртчян, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[52] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, 1913, თბ., გვ. 58,59.

[53] А. Х. Тер-Мкртчян, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

სომეხი კათოლიკენი, ისე როგორც სომეხ-გრიგორიანნი, თურქებსა და ირანელებსაც XV—XVIII სს. „მიუმხრობელი" და „უწყინარი" რელიგიის წარმომადგენლებად მიაჩნდათ. ამიტომ თავიანთ ქვეყანაში მათ გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებდნენ. ყველაფერ ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ სამშობლოდან აყრილი და საკუთარ მიწას მოცილებული სომხობა მასიურად ეწაფებოდა ვაჭრობა-ხელოსნობას. როგორც ვ. ნ. გერე შენიშნავდა, «На чужбине Армянин становится рабочим, ремесленником, промышленником, торговцев, банкиром... крупным помещиком, но никогда он не становился тем, чем был дома—крестьянином»[54]. ამგვარად, საკუთარი თავისა და ვინაობის გადასარჩენად სომეხი გლეხი თავისთავში ნახულობდა ძალას და ახერხებდა სოციალურსა თუ კლასობრივ გადასხვაფერებას. ეს მეტად საყურადღებო მომენტია. სამწუხაროდ, ისტორიულად ამ თვისებით ქართველი გლეხი კაცი დაჯილდოებული არასოდეს ყოფილა. მისი საქმიანობა, როგორც ილიაც შენიშნავდა, ხმალი და გუთანი იყო. ქართველთა მასიური გადასახლების აურაცხელი ფაქტებიდან ჩვენ ვერ ვასახელებთ ვერცერთ იმის მაგალითს, რომ ქართველობას უცხო მიწაზე შეეცვალოს თავისი სოციალური კატეგორია და ხმლისა და გუთნისათვის ეღალატნოს.

XVII ს. 30-იან წლებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ვითომც სარწმუნოების მტკიცედ დაცვის მიზნით, ატეხა ხმაური იმასთან დაკავშირებით, რომ გორში ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ ვინმე ნასყიდა ლომპამონიმ (ლომოური?) მიიღო კათოლიკური სარწმუნოება. კათალიკოსი ნასყიდას სამაგალითოდ სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, რისთვისაც თბილისში მოიწვია სპეციალური კრება. კრებას ესწრებოდა მეფე როსტომიც. საქმის გარჩევისას მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდებოდა. ბოლოს სიტყვა აიღო ცნობილმა მოძღვარმა და დიპლომატმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა. ორატორი ჯერ როსტომ მეფისაკენ მიბრუნდა და მოახსენა: ნასყიდა „სიკვდილის ღირსი არ არის, რადგან სარწმუნოება არ გამოუცვლია (იმ აზრით, რომ კათოლიკობაც ქრისტიანული სარწმუნოებაა—შ. ლ.) და სპარსელების წინააღმდეგ არაფერი უმოქმედნიაო". მერე მიუტრიალდა კათალიკოსს და საყვედურის კილოთი

---

[54] В. Н. Г е р е, Признание России на Востоке, Братская помощ Армянам, М., 1897, стр. 242.

უთხრა: „ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, უფრო მომეტებული მათგანი კი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს, მაშ ვისაც უნდა გაფრანგება, რაღად უნდა დაემალოსო"[55]. დიპლომატის მტკიცე ტონმა საქმე არა მარტო შეატრიალა, არამედ ქვეყნის გამგენი და ეკლესიის მსახურნიც დაადანაშაულა. ამით ჩოლოყაშვილი მიუთითებდა, რომ ქართველის გაფრანგებით (გაკათოლიკებით) ერს არაფერი ეკარგება, იგი ქართველ კათოლიკედვე რჩებოდა, მაგრამ სომხურსა და მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლით იგი ან სომხდებოდა, თურქდებოდა ან სპარსელდებოდა, და რომ მისახედავიც სწორედ ეს იყო.

გასაგებია, როცა ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, თვით ქართლში ხდებოდა ქართველთა სხვა სარწმუნოებაზე მიქცევა, რა დაემართებოდა ამ დროს თურქულ ან სპარსულ პოლიტიკურ სამყაროში მოხვედრილ ქართულ მოსახლეობას. სპარსეთში გასახლებულ ქართველობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი თურქების მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა და, როგორც არა ერთხელაა აღნიშნული, ეს პროცესი მესხთა ძირითადი ნაწილის გამაჰმადიანებით დამთავრდა.

სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას უცხო ტომის სქიზმატთა შემომატების საკმაო ტრადიცია ჰქონდა. IX—XIII საუკუნეებში მათ განსაკუთრებით ბევრი ქურთი გააქრისტიანეს და მიაქციეს სომხურ სარწმუნოებაზე. ქურთების გაქრისტიანება საბოლოო ჯამში მათ გასომხებას მოასწავებდა[56].

ამ მხრივ, როგორც ჩანს, ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა აგრეთვე კონსტანტინოპოლის გრიგორიანული საპატრიარქო, რომლის უფლებასაც XV ს. მეორე ნახევრიდან დაექვემდებარა აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს ქართული ეკლესია. ქართველთა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მიქცევის ტენდენციები აშკარად შეიმჩნევა იმიერ ტაოსა და არზრუმის სასაზღვრო პროვინციების ქართულ მოსახლეობაში[57]. როგორც საფიქრებელია, ყარსისა და არზრუმის ქართული მართლმადიდებლური სამწყსო (კარელისა და არზრუმელის საეპისკოპოსოები), რომლებმაც XVII საუკუნემდე

---

[55] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 126, 127.

[56] Описание монастырей Ахпатеного и Санаинского, Архимандрита Иоана Крымского, С. П., 1863, стр. 1—16.

[57] Армянская надпись в Корсе, Ани и в окрестностях последнего, перевод Н. О. Эмина, М., 1881, стр. 3—5.

მოაღწიეს[58], საუკუნის ბოლოს მთლიანად გაუქმდა და მრევლი ძალაუნებურად შეერწყა თურქულ-მუსლიმანურ თუ სომხურ-გრიგორიანულ რელიგიებს. აქაურ მართლმადიდებელთა (ქართველთა) გაგრიგორიანების (გასომხების) ფაქტი დადასტურებული აქვს აგრეთვე მკვლევარ იგნატი ფაფაზიანს თავის „ეკლესიის ცხოვრებაში"[59]. ასეთივე ვითარება შეიქმნა XVI—XVII საუკუნეებში ტყიანი არტაანისა (მეწა არტაანი) და პატარა არტაანის თემებში, ჩილდირის ტბის მიდამოებში, რელიგიათა აღრევას აქ მოსდევდა აგრეთვე ზოგიერთი ეთნიკური ცვლილება, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

## რელიგიურ სექტათა ბურუსში

XV ს. ბოლოს და XVI ს. დასაწყისში ოსმალებმა ევროპასთან მიმოსვლის გზები ჩაკეტეს. კათოლიკე მისიონერთა შემოსვლა შეწყდა. შექმნილი ვითარების წყალობით თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო შესუსტდა, იგი თანდათან სპარსეთში მყოფ „სულთანიეს" კათოლიკურ საეპისკოპოსოს დაექვემდებარა, შემდეგ კი სულ მალე გაუქმდა. როგორც ზემოთაც ვთქვით, საეპისკოპოსოს გაუქმების მერე საქართველოს მისიონს ნახჩევნელი უნითორები დაეუფლნენ.

XVI საუკუნიდან უკვე საქართველოს მისიონი „სულთანიეს" მრევლად აღირიცხებოდა. თურქეთის ტერიტორიაზე მხოლოდ სომეხ ვაჭრებს დაუტოვეს უფლება ევროპასთან საალებმიცემო ურთიერთობისა. ადრე უკვე შევნიშნეთ, რომ სომეხ ვაჭართა პრივილეგიების საფუძველი ქრისტიანული რელიგიის განსხვავებულ სექტაში მდგომარეობდა. თვით ევროპელი ვაჭრებიც კი, რომელთაც ოტომანის იმპერიაში თავიანთი ინტერესი ჰქონდათ, ჩუმად — სომეხთა სახელითა და ტანსაცმლით შემოდიოდნენ და ისე საქმიანობდნენ[1].

ასეთ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია ევროპა-რომზე უკვე არარეალური და უიმედო ჩანდა.

---

[58] შ ა რ დ ე ნ ი ს მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 112.

[59] ი. ფ ა ფ ა ზ ი ა ნ ი, ეკლესიის ცხოვრება (სომხ. ენაზე), ვენეტიკა, 1848, გვ. 590.

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

ამავე პერიოდში ახალი ორიენტაციის ძიებისას გამოჩნდა „მესამე რომის“ ლოზუნგით გამოსული ახალი ძალა — ეს იყო მოსკოვის სახელმწიფო, რომელმაც გასაჭირში ჩავარდნილ კავკასიის ქრისტიანებს უმალ მფარველობა აღუთქვა. საამისოდ გადადგმული პირველი ნაბიჯები საკმაოდ იმედიანი ჩანდა, მაგრამ საბოლოოდ არც ერთი აღთქმული არ გამართლდა. XVI ს. რუსეთი ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ აქტიურად არ გამოვიდა. პირიქით, ატეხილმა ხმაურმა სპარსელი და თურქი პოლიტიკოსები გამოაფხიზლა, მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდა და ნებით თუ უნებლიედ საქართველოს მტრები მოუმრავლა, რის შემდეგ რუსულ-ქართული რელიგიების ერთიანობა მაჰმადიან მმართველთა შეურიგებელ შეშფოთებას იწვევდა და პოლიტიკური შეხების ადგილებში სისხლიანი ექსცესებით თავდებოდა. ამ საერთო მიზეზებმა ჩვენში ხელი შეუწყო აგრეთვე „ძველი“ კათოლიკობის შესუსტებას.

ყველაზე მძიმე მდგომარეობა მესხეთში იყო, სადაც ათეულწლობით ადგილობრივ ფეოდალებთან ბრძოლაში დათრგუნვილ და ეკონომიურად დასუსტებულ ქართულ ეკლესიას უცხო იდეოლოგიასთან ბრძოლა სულ უფრო უჭირდა. XVI ს. მეორე ნახევრიდან ქართული ეკლესიის უპირველეს ამოცანას სწორედ „რჯულისა სიმაგრისა“ დაცვა წარმოადგენდა. ეს ვალდებულება მცხეთამ ხელდასხმის დროს ეპისკოპოსების საერთგულო წიგნებშიც (ფიცის წიგნი) კი შეატანინა. 1556 წ. საბა მტბევარი მცხეთისადმი მიცემულ საერთგულო წიგნში ფიცს სდებდა და აღუთქვამდა კათალიკოს-პატრიარქ დომენტის: „რაცა ჩვენის ხელისაგან გამოვიდოდეს, რჯულისა სიმაგრისცა მოვიჭიროთო“[2]. მაგრამ პოლიტიკური სიტუაციების მიხედვით „რჯულისა მოჭირვა“ და შემაგრება თანდათან რთულდებოდა.

1578 წ. სამცხე-საათაბაგოს სამთავრო თურქებმა დაიპყრეს და საფაშო შექმნეს. 1590 წ. ზავით ირანმა დაპყრობილი მხარე ოსმალთა გავლენის სფეროდ სცნო. XVII ს. 20-იან წლებში ახალციხის ფაშობა მემკვიდრეობით მიიღო ჯაყელთა სახლის რენეგატმა წარმომადგენელმა გამუსლიმანებულმა ბექამ — საფარ-ფაშამ, რომელმაც შემდეგ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას (ქართველობას) მესხეთში არაოფიციალური ბრძოლა გამოუცხადა. ოსმალებმა იგი

---

[2] ს ა ბ ა მ ტ ბ ე ვ ა რ ი, საერთგულო წიგნი, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 36.

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხს დაუკავშირეს და საფუძველი გამოაცალეს ოდინდელ წესსა და რიგს.

საეკლესიო მამულები ვაკუფში გადარიცხეს. ხელმოცარული საეპისკოპოსოები თანდათან გაუქმდა. მისი გადარჩენისათვის ვერაფერი გააწყვეს ვერც კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებმა, რომელნიც ადრე, სამთავროს არსებობის დროს, ასე აქტიურად ერჩებოდნენ აქაური ეკლესიის შინაურ საკითხებში. მართალია, ამის შემდეგ ცალკეული მართლმადიდებლური ეკლესიები კიდევ დიდ ხანს მოქმედებდნენ მესხეთში, მაგრამ, როგორც კათალიკოსი დომენტი ამბობდა: „რასაც ადგილში ეპისკოპოსი არ შევა და მისი მადლი და კურთხევა არ მივა ან მისი მამამთავარი და მოძღვარი არ ასწავლის და არ ჰმწყსის, ის ქვეყანა და იქ მსახლობელნი ქრისტიანენი არ იქნებიან და არც მართლმადიდებლებში აღირაცხვიანო"[3]. ამ მკაცრი ნათქვამის მიუხედავად ეს არ ყოფილა ქართული ეკლესიის შეუვალი თეზა, რომელიც არა მარტო „ზიარება მიუღებელ" ქართველობას, არამედ პროზელიტ ქართველებსაც თავისიანად მიიჩნევდა და ყოველ მარჯვე შემთხვევაში უბრუნებდა დედა ეკლესიას.

XVII ს. დასაწყისიდანვე ჯერ მესხ ფეოდალთა შორის, შემდეგ კი გლეხთა შორისაც თანდათანობით გზას იკვლევდა მუსლიმანიზმი. ეს აღარ იყო ის „თათრად ყოფნა", სიტუაციების მიხედვით რომ გადადიოდნენ ხოლმე ქართველი პოლიტიკოსები და აღიარებდნენ ომარისა თუ ალის სექტას და მერე დროის შესაფერისად ისევ ქართველებად გვევლინებოდნენ, ეს უკვე გადაგვარების უღელში თავის გაყოფა იყო.

ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა. საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლით დაღლილი გლეხკაცობაც ავბედს დაემორჩილა და პირი მაჰმადიანობისაკენ ქნა. მესხთა ნაწილი პოლიგრიმული სიჯიუტით მაინც არ ტოვებდა ქრისტიანობას და ზოგჯერ კათოლიკობასა და გრიგორიანობას ღებულობდა და უმეტეს შემთხვევაში თავის ერს მაინც ეკარგებოდა. მესხთა შორის მეტად უმცირესმა ნაწილმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება. როგორც ზემოთაც ვთქვით, ყარსის, არზრუმის, ვალაშკერტისა და ნაწილობრივ არტაანის მხარის ქართველობის დიდი ნაწილი გაგრიგორიანდა. როგორც ჩანს, მათი გაგრიგორიანება XVII ს. ბოლოსა და

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 747.

XVIII ს. დასაწყისში უნდა მომხდარიყო. 1630 წ., როცა იტალიიდან საქართველოში არზრუმზე გამოვლით შემოვიდა ორი თეატინელი მისიონერი: დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და არქანჯელო ლამბერტი, მათ არზრუმის გარშემო კიდევ დახვდათ მართლმადიდებლური ქართული სოფლები და არზრუმში მჯდარი ქართველი ეპისკოპოსი[4]. XVII ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისში იქ მართლმადიდებელთა კვალი თითქმის წაშლილიყო. მათი დიდი ნაწილი, როგორც სწორად შეუნიშნავს იგნატი ფაფაზიანს, გრიგორიანობაზე მიიქცა და ვინც სომეხი არ იყო, გასომხდა; აქაურ ქართველთა ერთი ნაწილი კიდევ სომხურ კათოლიკობაზე გადადიოდა და „ეროვნულადაც სომხდებოდა".

ლათინი პატრების საპირისპიროდ, თურქები მხარს უჭერდნენ სომხურენოვან კათოლიკურ რიტს. სომეხი კათოლიკობიდან ლათინურ კათოლიკობაზე (ლათინურენოვან) გადასვლა სპეციალური ფირმანით აკრძალული იყო. თურქთა შეხედულებით მართლმადიდებელი ქართველი, რომელიც არ გამაჰმადიანდებოდა, ან უნდა გასომხებულიყო (გრიგორიანობა მიეღო), ან სომხურ კათოლიკურ რიტზე გადასულიყო.

XVIII ს. დასაწყისში უნითორები განსაკუთრებით არზრუმ—ჰასან-ყალას (ყარსთან) მიდამოებში საქმიანობდნენ და ხალხს აკათოლიკებდნენ. სხვათაშორის, ერთხანს აქ საქმიანობდა ცნობილი მხთარ სევასტაცი[5]. საამისო მაგალითად გამოდგება არტაანის მხარის ქართული სოფლების თავგადასავალი XVIII—XIX სს. მიჯნაზე. როგორც ირკვევა, ჩილდირ-არტაანის სოფლების ერთ ჯგუფს: ველს, ნაქალაქევს, გუგუბოს, ბორგვს და სხვა XVIII ს. 30-იან წლებამდე შემორჩათ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. პატრი ანდრია პალერმელის ცნობით, არტაანის ეს ქართული სოფლები XVIII ს. 30-იანი წლების ბოლოს გააკათოლიკა კაპუცინების პატრმა ნიკოლა ჯურჯენთიმ. მან თურმე ჯერ სოფ. ველის მართლმადიდებელი მღვდელი მოაქცია, რომელმაც თავის მხრივ გააკათოლიკა მთელი სოფელი[6]. ველის მაგალითს გაჰყოლიან სხვა ახლომახლო სოფლები. ანდრია პალერმელის თქმით, ველი მაშინ რატომღაც ყურადღების გარეშე ყოფილა მირჩენილი. რო-

[4] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

[5] Л. З. Месерианц, Две ученых обители (Венецианские и Ванские Мхитаристы), М., 1898, стр. 169.

[6] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 473.

გორც ჩანს, ნიკოლა ჯერჯენთის ველის, არტაანის და სხვა ახლად მოქცეული სოფლებისათვის შემოუღია ქართულენოვანი ტიპიკონი და მღვდელმსახურების აღსრულება დაუვალებია კათოლიკობაზე მიქცეული ძველი ქართველი მღვდლისათვის.

როგორც ჩანს, არტაანის ქართული მართლმადიდებლური სოფლების კაპუცინი პატრის მიერ კათოლიკობაზე მოქცევამ ერთბაშად ფეხზე დააყენა სხვადასხვა რჯულისა და ერის მოძღვარ-თავკაცნი. 1755 წ. შემდეგ, როცა აქ „სულთანიეს“ მისიონის პატრების შევიწროება დაიწყო, ყველა ისინი თავიანთი უფლებებისა და მოპოვებული ფირმანების ძალით ამოძრავდნენ. ყველამ მოინდომა ხელის დადება ამ სოფლებზე. ოსმალებს გარდა, პრეტენზიას აცხადებდნენ: ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც თურქეთისაგან დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს ქრისტიანთა სულიერ მეურვეობაზე „მემკვიდრეობის უფლებას“ იჩემებდა; სტამბოლის სომეხი (გრიგორიანი) პატრიარქი, რომლის საერთო საგამგეოშიც იყო მოქცეული ყოფილი სამცხე-საათაბაგოს ქრისტიანული მოსახლეობა და რომლის უფლებასაც სულთანის ფირმანით უნდა დამორჩილებოდა ამ ქვეყნის ყველა ქრისტიანი. სომხურ-კათოლიკური ეკლესია, რომელსაც ლათინური რიტის კათოლიკურ ეკლესიასთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა, უფლება ჰქონდა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები არასომხური ტიპიკონის მქონე კათოლიკური მრევლი გადაეყვანა სომხურენოვან ტიპიკონზე. ასე რომ, არტაანის მხარის აღნიშნულ სოფლებს თავისი ნამდვილი პატრონის გარდა ყველა საყმოდ ეპიდებოდა.

XVIII ს. 60-იან წლებში ამ მხარის კათოლიკეებს ეუფლება ახალციხის სომხური კათოლიკური ეკლესია, ახალციხელი პროვიკარი და მათ სომხურენოვან ტიპიკონს უკანონებს. ამ ნიადაგზე მოსახლეობაში ადგილი აქვს უკმაყოფილებას, ისინი მშობლიური ქართული რიტისათვის იბრძოდნენ, რომელიც მოქცევის პირველ დღეებში ჰქონდათ დატოვებული პატრ ნიკოლა ჯერჯენთისაგან. ახლა ტიპიკონის ცვლა ქართულიდან სომხურზე, სომხურიდან ლათინურზე და ა. შ. მათში ურწმუნოებას ბადებდა. ანდრია პალერმელი ურჩევდა წმინდა კრებას, არტაანის ქართველ კათოლიკეთათვის გაემწესებინათ ორი მისიონერი პატრი, რომელთაც ეცოდინებოდათ როგორც ქართული, ასევე თურქული ენები. სომხურენოვანი კათოლიკური ეკლესია, უნითორების წარმომადგენლები, ამის

წინააღმდეგი იყვნენ. თვით არტაანის სოფ. ველის მცხოვრებთა ერთ წერილში პირდაპირ ნათქვამია — ჩვენ უბრალო მწყემსი ხალხი ვართ და თქვენი დავის ბევრი არაფერი გაგვეგება. მხოლოდ ის ვიცით, რომ „ჩვენ ქართველთ გვარის კათოლიკენი ვართ“ და „ისეთი მღვდელი დაგვინიშნეთ, რომ ჩვენს სულებს მოუაროს ჩვენს ქართულ რიგზედა“[7]. არტაანის თემის ქართველთა ბრძოლა ქართულენოვანი რიტის თაობაზე არ შეიწყნარეს. ეს დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან.

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით მესხეთში კათოლიკური ეკლესიის ხასიათზე. იმის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, რომ საქართველოდან და მესხეთიდან კათოლიკე მისიონერთა განდევნის შემდეგ აქაურ ქართველ კათოლიკე მრევლს მღვდელმსახურებას უწევდნენ სომეხი უნითორი ბერები, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ, შეენარჩუნებინათ ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მხრივ უნითორების დამსახურება უდავოა. მიხეილ თამარაშვილიც აღნიშნავდა, რომ მესხეთში ოსმალთა შემოტევის შედეგად, როცა მთელი მოსახლეობა მაჰმადიანდებოდა, ძველი კათოლიკეების „მცირე რიცხვმა შეინარჩუნა მიღებული კათოლიკე სარწმუნოება სომხის ტიპიკონის მიღებით“[8] და უმატებს: „ამ გარემოების წყალობით შეუერთდნენ სომხის ტომის კათოლიკებს არა მარტო სარწმუნოებით არამედ ერობრივადაც... ვერც გაბედეს შემდეგში ქართული ტიპიკონის მიღება, რადგან ამას მოჰყვებოდა ან სიკვდილი ან გამაჰმადიანება“[9]. თურქეთის მთავრობის სპეციალური ფირმანით სომეხ კათოლიკეთა გადაყვანა ლათინურ ტიპიკონზე აკრძალული იყო. ამასთან მესხეთის ქართველ კათოლიკეთა სომხურენოვან ტიპიკონზე გადასვლით XVII ს. დასაწყისიდან ისინი აღარც თბილისს და აღარც სპარსეთში „სულთანიეს“ საეპისკოპოსოს აღარ ემორჩილებოდნენ, ახალციხის ქართველი კათოლიკეები დაუმორჩილეს კონსტანტინოპოლის სომეხ კათოლიკეთა საეპისკოპოსოს.

XVII—XVIII სს. მესხეთში ეროვნული გადაგვარების თვალსაზრისით მძიმე პროცესები მიდიოდა. თურქები მხარის პოლიტიკურ დაპყრობას არ სჯერდებოდნენ. მათი მთავარი მიზანი დაპყრობილი მხარის ეკონომიკური და სულიერი დაუფლება იყო. გატარე-

---

[7] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 477.

[8] იქვე, გვ. 411.

[9] იქვე, გვ. 412.

ბული ღონისძიებების შედეგად მკვიდრდებოდა მიწათმფლობელობის თურქული სისტემა; იმარჯვებდა აღმოსავლურ თურქული სამართველო ინსტიტუტები. ქართველ ფეოდალთა წრეში თურქული ენა თანდათან სამეჯლისო და შემდეგ სასაუბრო ენად იქცა. მუსლიმანიზმი, როგორც აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობის იდეოლოგია, ჯოუტად მიიკვლევდა გზას და ფანატიზმის ბურუსში ხვევდა გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ მესხ გლეხკაცობას. მოსახლეობის მცირე ნაწილმა, რახან „ქართველად" დარჩენა შეუძლებელი იყო, პირი ქნა კათოლიკობისაკენ. მას აქ ადრე კათოლიკობამიღებული ძმები ეგულებოდა, მაგრამ მათაც, როგორც ჩანს, გაუცრუვდათ იმედები. ამ ახალ კათოლიკეებს ეკლესიაში დახვდნენ არა ძველი ქართულის მცოდნე ლათინი მოძღვრები ქართული რიტით, არამედ უნითორები სომხურენოვანი ტიპიკონით[10]. უნითორების ორსაუკუნოვანმა საქმიანობამ მესხეთის კათოლიკეთა სოციალურ-ეთნიკურ ყოფას თავისი საკმაოდ ღრმა კვალი დააჩნია. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში შემოღებულმა სომხურენოვანმა რიტმა, უპირველეს ყოვლისა, გავლენა იქონია მრევლის ონომასტიკაზე. ონომასტიკური მონაცემები კი თავიდან ბოლომდე ეკლესიის ხელთ იყო. გასაგებია, სომხურენოვანი ტიპიკონით მონათლულ ბავშვს სახელიც შესაფერისი, ამ ტიპიკონის წესისამებრ შედგენილი სიის მიხედვით, უნდა დარქმეოდა. სომხურ ტიპიკონში კი, რაღა თქმა უნდა, ისტორიულად ჩამოყალიბებული და მიღებული სომხური სახელები იქნებოდა შერჩეული და შეტანილი. სახელთა წარმოების ამ წესს უნდა დამორჩილებოდა აგრეთვე სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი კათოლიკეც. შემდეგ დროთა განმავლობაში ერთობის გვარის დიფერენცირების შედეგად როგორც ხდება, ამა თუ იმ წევრის სახელის მიხედვით იქმნებოდა ახალი გვარები, რომლის არაფრის მთქმელი ფუძე ხსენებული ტიპიკონის ონომასტიკაში იყო საძებნელი. ყველაფერი ეს საკუთარი ვინაობისა და ნამდვილი წარმომავლობის გადავიწყებას ემსახურებოდა.

XIX ს. შუაწლებში ტიპიკონის თაობაზე ატეხილი კამათის დროს ქართველმა კათოლიკე მოძღვრებმა ეკლესიის წიგნსაცავებში კიდევ შეძლეს, მოეძებნათ XVII ს. 20-იან წლებამდე ნაწარმოები ნათლისღების რამდენიმე დავთარი, სადაც გვარებთან

---

[10] სჯმსფ. საქ. 24 2, ფ. 1.

ერთად „სახელები კაცისა თუ ქალისა სრულ ქართული" იყო[11].
როგორც ჩანს, უნითორებში ქართული გვარები უხერხულობას იწვევდა, ამიტომ გვარებს ზოგჯერ ბოლოს აკვეცდნენ და მათთვის „შესაწყნარებელ" ფორმას აძლევდნენ (ხუციშვილი — ხუციანოი...). ხშირი იყო ამა თუ იმ ხელობათა გაგვარების შემთხვევა: მესარკოვი, ქურქჩიბაშოვი... ესეც, რა თქმა უნდა, შესაწყნარებელი იყო. გვარების წარმოების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ე. წ. წარმომავლობითი თუ ჩამომავლობითი ფორმა, თუ ვინ ვის მოდგმას ეკუთვნოდა ან ვისი ჩამომავლობა ჰქონდა: მეფისათი, თამარათი, კრუხიჯამიათი, შაჰყულათი და ა. შ. ახალციხეში ბოლოდრომდე წმინდად შერჩენილ ქართულ გვართა მატარებლები, ჩვენი ფიქრით, არიან ე. წ. „ნოვო კათოლიკენი", რომელნიც კათოლიკობაზე მიიქცენ XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისში და გვართა შეცვლა-გადასხვაფერება ვეღარ მოასწრეს: ნებიერიძე, ვარდიძე, გვარამაძე, წინამძღვრიშვილი, თარხნიშვილი, გიორგაძე და ა. შ. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს ჩამომავლობითი ფორმა, ბოლოსართებით — „ათი" თუ „აანთი" რომ იწარმოება, შეიძლება ქართული გვარების პირველსახეც იყო და აქედან განვითარდა შემდეგ ყველა სხვა ფორმა. ამ შემთხვევაში ეს ფორმა, როგორც ჩანს, უნითორების ყურში ქართულად არ ჟღერდა. ამგვარად, სხვა საწყისებზე ხელოვნურად შექმნილ გვარებსა და ძველ გვართა გადაკეთებულ ფორმებს მორწმუნენი ეროვნულობისა და რელიგიის აღრევამდე მიჰყავდა, ბოლოს და ბოლოს, მისი ტომობრიობაც ამ უკანასკნელით ისაზღვრებოდა.

XVII ს. დასაწყისში საქართველოში სპარსეთის გზით შემოდიან დომინიკიანელი მისიონერები. 1621 წ. დომინიკიანელმა მარია ფაიანცელიმ რომში წიგნად დაბეჭდა თავისი „გულწრფელი მოხსენება საქართველოს სამეფოების შესახებ", რის შემდეგ ბევრ ევროპელს აღეძრა ჩვენი ქვეყნის გაცნობის სურვილი. ამავე დროს შემოდიან ჩვენში თეატინელი მოძღვრები, რომელთა შორის იყვნენ რომაელი პატრიციო პიეტრო დელა ვალე, დონ ავიტაბილე, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და სხვანი. 1626 წ. რომმა საქართველოს მისიონი მიანდო თეატინის წესის მონაზვნებს და მისიონის უფროსად დანიშნა დონ პიეტრო ავიტაბილე. მისიონერები დაწვრილებით სწავლობდნენ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგა-

---

[11] სჟმსფ, საქ. 2412, ფ. 1—2.

რეო ვითარებას და შეკრებილ ცნობებს თავიანთი რელაციებით უგზავნიდნენ რომს. თეატინელები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ შესაფერისი პირობების შემთხვევაში „ყოველი საქართველო" მოიქცეოდა კათოლიკობაზე[12]. ავიტაბილემ ვატიკანის თავკაცები დაიყოლია, რომ საქართველოში წირვა-ლოცვები ქართულად შეესრულებინათ.

ამ დროს რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ფართოდ გაშალა თავისი პროპაგანდისტული მუშაობა აღმოსავლეთში, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს. 1622 წ. პაპმა გიორგი XV რომში დააფუძნა სპეციალური განყოფილება Congregasio de propaganda fide. მისმა მომდევნო პაპმა ურბანო VIII 1627 წ. გახსნა აგრეთვე სპეციალური Collegium de propaganda fide, სადაც კათოლიკურ-თეოლოგიური საგნების სწავლებასთან ერთად უნდა ესწავლათ რამდენიმე უცხო ენაც, რომელთა შორის შეტანილი იყო აგრეთვე ქართული. კოლეჯის გახსნასთან დაკავშირებით მიიწვიეს სპეციალისტები. ერთი ცნობით, ქართული ენის პროფესორად და ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელად საქართველოდან მიუწვევიათ Nicephoro Jrbachi (ნიკიფორო ირბახი)[13]. გასული საუკუნის 90-იან წლებში ისტორიკოსი ა. ერიცოვი ფიქრობდა, რომ ეს ნიკიფორე ირბახი უნდა ყოფილიყო საქართველოს მაცხოვრებელი, ქართული ენის მცოდნე ვინმე სომეხი[14]. მეცნიერის ეს ვარაუდი არ გამართლდა. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ნიკიფორე ირბახი არის იგივე ნიკოლოზ ბერი (ჯვარის მამა), იგივე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი[15]. ოღონდ ჩვენ გვაეჭვებს მისი თანაავტორობა სტ. პაოლინის მიერ შედგენილი ლექსიკონისა, რომელშიც მიუტევებელი შეცდომებია დაშვებული. შესაძლებელია, ირბახის თანაავტორობა სტამბისათვის ქართული ასოების მოხაზვასა და ჩამოსხმაში გამოიხატა. ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 3084 სიტყვას, ნამდვილად არაქართველის შედგენილი უნდა იყოს.

თეატინელთა მისიონის წევრებმა თავიანთი სათნოებითა და

---

[12] А. Ерицов, Католицизм в Грузии, «Новое обозрение», 5. V, 1891.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] დაწვრილებით იხ. გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნ. ჩოლოყაშვილი, თბ., 1978.

მრავალმხრივი განათლებით, ერუდირებული ცოდნითა და ადამიანებთან მიდგომის ხელოვნებით ჩვენი ხალხის საერთო სიყვარული დაიმსახურეს; მათ გაინაწილეს ჩვენი ქვეყნის ჭირიცა და მწუხარებაც, სიხარულიცა და სიტკბოებაც. ამ „რომის კაცებმა" ჩვენი კულტურის ისტორიას, და არამარტო კულტურის ისტორიას, უდიდესი ამაგი დასდეს. აღწერეს თავიანთი თვალით ხილული ჩვენი თავგადასავალი, ხატეს საქართველო და ქართველი ხალხი, ადგინეს ქართული ლექსიკონები და წერეს ქართული ენის გრამატიკები, გახსნეს სკოლები; თარგმნეს მთელი რიგი სახელმძღვანელოები; კურნავდნენ დაჭრილებსა და ავადმყოფებს, ავრცელებდნენ ფარმაცევტულ და სამედიცინო ცოდნას, ქართველ მეფე-მთავართა კარზე იყვნენ დიპლომატებად და ელჩებად, ხელს უწყობდნენ ფეოდალური შუღლის შეწყვეტას, საქართველოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას და სხვა. ერთი სიტყვით, თეათინელთა დამსახურება ჩვენში, მართლაც, განუზომელი იყო. სამწუხაროდ, თეათინელებმა ფეხი ვერ შედგეს ახალციხის საფაშოში. იქ XVIII ს. 30-იან წლებამდე ქართველ კათოლიკეთა სულიერ მბრძანებლებად ნახჩევნელი უნითორები ითვლებოდნენ. ახალციხის კათოლიკენი კი რომისაგან დაყინებით მოითხოვდნენ სამცხეში ლათინურ-ქართული მღვდელმსახურების შემოღებას, როგორც ეს იყო ქართლში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში.

1710 წ. პროპაგანდა ავალებს თბილისში მყოფ კაპუცინებს, დააფუძნონ თავიანთი მისიონი ახალციხეში. მაგრამ ახალციხეში ასულმა სამმა კაპუცინმა თურქთა შიშით თავიანთი განზრახვაც კი ვერ გაამხილა.

ხუთი წლის შემდეგ ამხანაგებთან ერთად მესხეთისაკენ გაემართა კაპუცინი ალექსი მილანელი, რომელსაც ათასნაირი წერილები და შუამდგომლობები მიჰქონდა ახალციხის ფაშასთან. ფაშამ კაპუცინები „დაბეზღების შიშით" ახალციხეში ვერ შეიყვანა, ორი თვის განმავლობაში აწყვერში ჰყავდა დამწყვდეული, მერე კი ისევ უკან გამოუშვა. როგორც ჩანს, ფაშას ეშინოდა იანიჩარებისა და უნითორებისა. იანიჩარებს ჩუმად ფაშის მაკონტროლებელი უფლებები ჰქონდათ მინიჭებული, უნითორები კი ამ შემთხვევაში მზვერავის როლში გამოდიოდნენ, რომელთა ვალი იყო არ დაეშვათ „რელიგიური მანტიით შემოსილი ევროპელი შპიონები" თურქეთის ტერიტორიაზე. სულთანის კარის შეხედულება

უნითორების მიზნებს ემთხვეოდა. ამ გზით მათ ჩამოცილებული ჰყავდათ კონკურენტი.

XVIII ს. 20-30-იან წლებში ახალციხის თემის კათოლიკეთა უფროსად იყო უნითორი ტერ ოჰანეს (მინას-მარკოზ). 30-იან წლებში ახალციხეში პატრების მისიონის დაფუძნების თაობაზე ამ ოჰანეს მინასას უთქვამს: „თუ პატრების საყდარი აშენდა, არც ზემო საყდარში და არც ქვემო საყდარში ერთი მრევლი აღარ მოგვივა, სულ იქ წავლენ... ჩვენი საქმე წახდებაო"[16]. უფრო მეტი, პატრების საყდარი რომ არ აღშენებულიყო, ტერ ოჰანესს ახალციხის წარჩინებულთათვის ქრთამად ორასი მარჩილიც მიუცია[17]. ამის თაობაზე საფაშოს ყადმა თურმე კაპუცინებს განუცხადა: „ახლის მონასტრის აშენება თუ გინდა, ხელმწიფის ფირმანი იყოს, არ იქნებაო". რომ ხელმწიფის ფირმანით შეიძლება მხოლოდ დანგრეული მონასტრის აღდგენა, ისიც იმ შემთხვევაში თუ ამა თუ იმ ტაძრის დანგრევის მოწმეებად მაჰმადიანები გამოვლენო.

კათოლიკეებმა მონახეს მოწმეები, რომელთაც აწყურელი ქალიმჯიმა მოლას მიერ ახალციხეში ძველი კათოლიკური მონასტრის დანგრევის ფაქტი დაადასტურეს.

დიდი დავისა და კამათის შემდეგ, როგორც იქნა, 1733 წელს ახალციხეში დაარსებული იქნა კაპუცინების მისიონი, რომლის უფროსად ისპაჰანის ეპისკოპოსმა დანიშნა ნიკოლო ჯერჯენთი და „აღაშენა საყდარი ახალციხის მოქალაქეთა წარსაგებელით".

ახლად აშენებულ ყოვლადწმიდის ეკლესიას, სადაც მღვდელმსახურება ლათინურ-ქართულად მიმდინარეობდა, დიდძალი მრევლი მოაწყდა.

ამის შემდეგ ახალციხეში ხალხს საცხოვრებელი „თარაფების" (მხარეები) მიხედვით ყოფდნენ, რომ სხვა კათოლიკე ეკლესიები სულ უმრევლოდ არ დარჩენილიყო.

XVIII ს. 40-იანი წლებიდან ქართველ კათოლიკეთა შორის უცხოეთში სომხურენოვან ტიპიკონზე ნაკურთხი რამდენიმე მოძღვარი: სტეფანე ვარამაშვილი, ანტონ ფირალიშვილი, პავლე ასლანიშვილი და სხვ. გამოჩნდა, რომლებმაც მოღვაწეობა მესხეთში დაიწყეს, და რომელნიც მხარს უჭერდნენ ქართული ტიპიკონის

[16] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 417.
[17] იქვე.

შემოღებას. უნითორებმა კონსტანტინოპოლში იჩივლეს. ახალციხეში სხვა ქვეყნის (ირანის) ეპისკოპოსის ცნობა როგორ შეიძლება. მართლაც, თუ აქაური კათოლიკენი ისპაჰანის ეპისკოპოსს დაემორჩილებოდნენ, გამოდიოდა, რომ ახალციხის მხარე ქართლის ნაწილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. თურქეთი, რა თქმა უნდა, ამას არ დაუშვებდა. ამასთან დაკავშირებით წმინდა კრებამ დაადგინა: მისიონები იმ ეპისკოპოსს დაემორჩილნენ, რომელ სახელმწიფოშიც იქნებიანო[18]. ახალციხეში დამკვიდრებული კაპუცინებიც ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის ვიკარიას უნდა დამორჩილებოდნენ. სინამდვილეში მათი მისიონი უშუალოდ რომს ემორჩილებოდა. ურბანოს კოლეგიაში საქართველოსათვის გამოყოფილი ადგილები ყოველთვის დაკავებული იყო. ბევრმა კოლეგიადამთავრებულმა შემდეგ მეცნიერების სხვადასხვა დარგში — თეოლოგიასა თუ სამოქალაქო მეცნიერებაში — გაიკვლია გზა. სამწუხაროდ, მათი ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად მწირი ცნობები გვაჩნია.

აღსანიშნავია, რომ საერთოდ პირველი ქართველი, რომელმაც 1650 წ. რომში საჯაროდ დაიცვა დისერტაცია, იყო სამეგრელოდან ურბანოს კოლეგიაში ჩასული და იქ გაწვრთნილი ახალგაზრდა კაცი სახელად ანდრია (მისი გვარი ჯერჯერობით ცნობილი არ არის). მისი თემა განეკუთვნებოდა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველების დარგს. სამწუხაროდ, დისერტაციის დაცვის შემდეგ ანდრია სამშობლოში ველარ დაბრუნებულა და სულ მალე იქვე, რომში, გარდაცვლილა[19].

რიგით მეორე, ვინც ქართველთაგან დაიცვა დისერტაცია, იყო გორის თემის კათოლიკე დავით ტულუკაანთი (პაპაშვილი), რომელიც აგრეთვე პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში იყო გაწვრთნილი. დავითი აქ მოხვედრილა 1725 წ. საბა სულხანის რეკომენდაციით. მას 1732 წ. ფილოსოფიაში საჯარო სხდომაზე დაუცავს დისერტაცია, რომელსაც თურმე ესწრებოდა ვატიკანის პრეფექტი კარდინალიც[20]. ოპონენტებს მაღალი შეფასება მიუციათ დავითის შრომისათვის[21].

თერთმეტი წლის შემდეგ დისერტაციის დასაცავად იმავე კა-

---

[18] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 423.

[19] იქვე, გვ. 193.

[20] იქვე, გვ. 343.

[21] იქვე.

თედრაზე შედგა მესამე ქართველი კაცი, თბილისელი კათოლიკე ივანე ჯიგინაშვილი.

შევჩერდეთ გორელი ტულუკაანთ დავითის ვინაობაზე, რამდენადაც მისი ტომობრიობა დღემდე საკამათოდაა გამხდარი[22]. ამ კამათის საფუძველი გახლავთ ტულუკაანთ დავითის მიერ იტალიურიდან თარგმნილი „საქრისტიანო მოძღვრების“ ხელახალი გამოცემა რომში 1797 წ., რომლის შესავალში პირდაპირაა მითითებული, რომ ეს თარგმანი იტალიურიდან ქართულად შესრულდა „საქართველოს გორელი ტულუკაანთ სომეხთ დავითისაგან“[23]. მაშ რაღაა საკამათო?

დავიწყოთ თავიდან. ამ საკითხით დაინტერესებულმა მ. თამარაშვილმა ფიდეს კოლეგიის მოწაფეთა სიიდან გაარკვია, რომ დავითი იქ წასულა საბა ორბელიანის რეკომენდაციით და სწავლის დამთავრების შემდეგ მღვდლად კურთხეულა ლათინურ ტიპიკონზე. მოწაფეობის დროსვე დაუწყია მთარგმნელობითი მუშაობა. სხვადასხვა თეოლოგიური ლიტერატურიდან მოუძევია, შეუკრებია, შეუდგენია და უთარგმნია ორიგინალური „კატეხიზმო“, ანუ „საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონების სახმარებლად“, რომელიც ჯერ ხელნაწერის სახით გავრცელებულა და დიდი წარმატებაც ჰქონია საქართველოს მისიონში. 1740 წ. პროპაგანდა ფიდეს ურბანოს კოლეგიის ქართული და სომხური ენების კათედრის გამგემ, პროფესორმა კაპუცინმა კლაუდიო რეჯიელიმ, რომელიც ადრე დიდხანს მსახურობდა საქართველოში და სისტემატურად იყენებდა ამ წიგნს, ურჩია იქ მყოფ კოლეგიის ქართველ მოწაფეს ივანე ჯიგინაშვილს, რათა გამოსაცემად მოემზადებინა „დიდად პატივცემული გორელი ქართველი დავით ტულუკაანთის... მიერ შედგენილი და მისგანვე მშვენიერ ქართულ ენაზე გამოყვანილი აღნიშნული წიგნი“[24]. ალბათ, ეჭვი არავის შეეპარება, რომ ქართული და სომხური ენების კათედრის გამგე შესძლებდა გაერჩია, ვინ იყო ქართველი და ვინ სომეხი.

თავის წინასწარ რეცენზიაში ივანე ჯიგინაშვილიც წერს: „დიდი სიამოვნებით წავიკითხე საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს

---

[22] А. Ерицов, Католицизм в Грузии, «Новое обозр.», 1891, т. V.

[23] საქრისტიანო მოძღვრება ტულუკაანთ დავითასაგან, შესავალი, გვ. 2 (ხელნაწერი).

[24] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 344.

მისიონების სახმარებლად, რომელიც შეადგინა პატივცემულმა ტულუკაანთ დავით გორელმა ქართველმა"[25]. ივანე ჯიგინაშვილმა დავალება აღასრულა. დავითის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ, 1741 წ., აღნიშნული წიგნი დაიბეჭდა. ამ გამოცემის თავფურცელზე აწერია: საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონებში სახმარებლად გადმოთარგმნილი იტალიურიდან ქართულ მხედრულ ენაზე ქართველი ტულუკაანთ დავითისაგან ამავე გვარის კათოლიკების საყოველთაო და სასულიერო სარგებლობისათვის".

64 წლის შემდეგ განმეორებით გამოცემის დროს ბალინაანთ გრიგოლ მღვდელმა წიგნის სათაური ასეთნაირად „გამართა": „საქრისტიანო მოძღვრება გინაწურთნა შვილთა საღმრთოთა ზედა გადმოთარგმნილი იტალიანის ენისაგან ქართულს მხედრულს ენაზედა საქართველოს გორელი ტულუკაანთ სომეხთ დავითისაგან".

როგორც ვხედავთ, ბალინაანთ გრიგოლს 1797 წ. გამოცემაში სიტყვა „ქართველი" შეუცვლია სიტყვა "სომხით". აღნიშნულ კამათს სხვა არავითარი საფუძველი არ ჰქონია. თამარაშვილის მიერ მოტანილ ამ ფაქტებს ზოგმა შესაფერისი ანგარიში არ გაუწია.

ახლა საინტერესოა გაირკვეს — „ტულუკაანთი". ტულუკაშვილი დავითის გვარი იყო, თუ გაგვარებული შთამომავლობითი სახელი. 1890 წ. ახალციხეში ყოფნისას ალ. ხახანაშვილს დავითის შესახებ ერთ იტალიურ ნაწერში ამოუკითხავს: David Lucaati gorgiano— ამაზე დაყრდნობით იგი ფიქრობდა, რომ მისი ნამდვილი გვარი უნდა ყოფილიყო ლუკაშვილი და არა ტულუკაშვილი[26].

ბოლო დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულმა, დავითის მიერ ლათინურიდან თარგმნილი მეორე წიგნის „ცხოვრება თომა კემფელისა" მოსახსენებელმა. მოვიტანთ ერთ ამონაწერს: „... მრავალი შრომითა, რუდუნებითა, ზრახვითა და სარჯლითა ძლივს გადმოვსთარგმნე ლატინურის ენისაგან, მისთვის რომ ეს წიგნი მრავალთ სხუა და სხუა ენათა ზედა გარდათარგმნებული არის და მევიზრახე, რომ არამც და არამც ჩვენი გვარი ამ სიკეთის ნატრული დარჩეს ამისათვის გადმოვსთარგმნე"[27].

როცა დავითმა ნახა, რომ თომა კამფელის წიგნი „ცხოვრება

---

[25] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 345.

[26] А. Х а х а н а ш в и л и, „Новое обозрение", М., 1891, 14. 11.

[27] სჯმხფ, საქ. 160, გვ. 254, 255.

იესოს მარტვილობისა“ „მრავალთა სხუათა და სხუა ენათა გარდათარგმნებული“ იყო, მასაც თურმე აღეძრა სურვილი, რომ „არამც და არამც ჩვენი გვარი ამ სიკეთეს“ არ ჩამორჩენოდა და მამულიშვილური სიყვარულით თავისი ერის სასიკეთოდ თარგმნა იგი ქართულად. გასაგებია, მისი გვარი და მისი ენა ერთიდაიგივეა.

ყურადღებას იქცევს ამ წინასიტყვაობის თუ მოსახსენებლის ავტორისეული ხელმოწერაც: „ყოვლად მზა და ყოვლად მხურვალე მონა საქართველოისა გორელი ტულუკაანთ პაპაშვილი დავით“[28], ამ ხელწერიდან კაცმა შეიძლება ორნაირი აზრი გამოიტანოს: ა) „ტულუკაანთი“ არის გვარის აღმნიშვნელი ტერმინი, ხოლო „პაპაშვილი“ მამობის აღმნიშვნელი. კაცის სახელი პაპა ამ პერიოდის მრავალი დოკუმენტითაა დადასტურებული. ბ) „ტულუკაანთი“ არის არა გვარი, არამედ მოდგმის, წარმომავლობის აღმნიშვნელი ტერმინი, ხოლო „პაპაშვილი“ ნამდვილი გვარი. გვარი პაპაშვილი აგრეთვე მრავალგზისაა დადასტურებული ამ პერიოდის შიდა ქართლში. თუ „პაპაშვილი“ მართლაც გვარია, ტერმინი „ტულუკანთი“ უნდა ნიშნავდეს ამ გვარის ერთ ნაწილს, ზედწოდებას, უფრო სწორად ვინმე ტულუკა პაპაშვილის შთამომავლობას. აქვეა გასათვალისწინებელი ისიც, რომ ევროპულ (ლათინურ) ონომასტიკაში პიროვნების ვინაობის აღსანიშნავად გვარსახელთან ერთად მამის სახელი არ იხმარება, ან იშვიათად იხმარება. რაღა თქმა უნდა, ამ წესს ურბანოს კოლეგიის მოწაფე დავითიც დაიცავდა (როგორც იგი იცავდა წესს სადაურობის მოხსენებისას). როგორც ჩანს, ზედწოდება „ტულუკაანთი“ ევროპელთათვის დაბოლოების ფორმისა და გამოთქმა-ხმარების მოხერხებულობის გამო უფრო მისაღები იყო და დავითიც ამ ზედწოდებას უფრო ატარებდა ხოლმე.

ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით გვეჩვენება, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო მართებულია, თუმცა ჯერჯერობით დასკვნის გაკეთება გაგვიჭირდება.

უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ XVII ს. დასაწყისიდან საქართველოში შემოსული თეატინელები და შემდეგ კაპუცინებიც ეკლესიაში ორენოვან (ლათინურ-ქართულ) მღვდელმსახურებას ეწეოდნენ. პროფესორი კლაუდიო რეჯიელი პირდაპირ მიუთითებდა, რომ საქართველოში ყოფნის დროს საეკლესიო რიტუალე-

[28] სკმხფ, საქ. 160, ფ. 155.

ბის შესრულებისას ხმარობდა როგორც ლათინურ, ისე ქართულ ტიპიკონს და ორივე ამ ენით ემსახურებოდა ეკლესიას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მესხეთში მოსულმა ნახჩევნელმა უნითორმა არ იცოდა ქართული ენა და რიტუალებს მხოლოდ გრაბარის ენაზე ასრულებდა, მრევლი მას ხმაონი წირვის დროს მაინც ქართულად პასუხობდა და ქართულადვე გალობდა. ამის გამო 1755 წ. უნითორებმა რომში იჩივლეს — „როგორ იქნებაო, რომ ტიპიკონის ენაზეთ (ლათინურ-სომხური) წირვა-ლოცვა არ მიდისო და აქაური მღვდლები ნებადაურთველის ენით (ქართული) ქადაგებენო და წმინდა სამოციქულოსა და სახარებასაც თავიანთს ენაზედ კითხულობენო“[29].

ასეთი საჩივრები, როგორც ჩანს, რომისათვის ახალი არ იყო. ამიტომ საკითხი — შეიძლებოდა თუ არა საქართველოს მისიონში ორენოვანი რიტუალის შემოღება — საბოლოო გადასაწყვეტად წმ. ოფიჩიოს კრებაზე გაიტანეს. საკითხის საფუძვლიანი შესწავლის და განხილვის შედეგი ის იყო, რომ 1757 წ. რომის კვირინალის პალატში შემდგარმა კრებამ ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში ორენოვანი რიტუალი ოფიციალურად დააკანონა. კრებაზე ინკვიზიციის კარდინალებმა დაადგინეს: „Perm ittendum esse dummodo contetur prius Epistola et Evongelium latine iuxtaistum S. R. C ef dumodo versiore Epustola et a versione latina vulgata seu graeca litarali non discrepontes“[30]. ე. ი. სამოციქულოსა და სახარების ლათინურად წაკითხვის შემდეგ იგივე ტექსტი უნდა წაკითხულიყო ქართულად და გალობებიც ქართულად უნდა თქმულიყო. ეს ფაქტიურად ქართული რიტის შემოღებას ნიშნავდა. წმ. ოფიჩიოს კრების დადგენილებას მტკიცედ ასრულებდა აგრეთვე კაპუცინების მონასტერი ახალციხეში. ასეთი ვითარება საფაშოს სხვა კათოლიკურ ეკლესიებში რიტის თაობაზე საკითხს უფრო ამწვავებდა, მრევლი მღვდელმსახურების შესრულებას ქართულად მოითხოვდა. ზოგიერთი სომხურ რიტზე მდგარი ქართველი კათოლიკე მოძღვარი გრაბარზე წაკითხულ ლოცვანს თვითნებურად ქართულადაც იმეორებდა და ქადაგებას მხოლოდ ამ უკანასკნელით ატარებდა. ამის თაობაზე გრიგოლ მაქანდრიანთი ეპისკოპოს ბავასტრელს მოახსენებდა, რომ აქაურ მღვდლებს თვითნებურად ჩვეულებად აქვთ

---

[29] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, საქ. 2596, გვ. 8.

[30] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 811.

შემოღებული ხმოან წირვაზე ორენოვანი სახარების წაკითხვა — სომხურად და ქართულად და ამბობენ, რომ ქართული სახარება განმარტებაა მრევლისათვის გაუგებარი სომხური სახარებისა[31]. ეპისკოპოსმა საკითხი დამოუკიდებლად ვერ გადაწყვიტა და რომს გადაუგზავნა, 1776 წ. რომმა ახალციხის მხარის სომხურ ტიპიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეებს 1757 წლის წმ. ოფიჩიოს კრების გადაწყვეტილებაზე მიუთითა და ნება დართო ეკლესიებში ორენოვანი (სომხურ-ქართული) მღვდელმსახურებისა.

ამასთან ახალციხელმა პატრებმა 1764 წ. მრევლთან შეთანხმებით საკითხი დააყენეს ქ. ახალციხეში კათოლიკური სემინარიის დაარსების შესახებ, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე, ახალციხეში, შეიძლებოდა მღვდლად კურთხევა. სემინარიაც, რაღა თქმა უნდა, წმ. ოფიჩიოს კრების შესაბამისად ორენოვანი (ლათინურ-ქართული) იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალციხეში სემინარია ვერ გაიხსნა, მისი გახსნისათვის ზრუნვა ხალხს პატრებისადმი კეთილად განაწყობდა.

შესაძლებელია, ქართველი ეპისკოპოსი გიორგი, რომლის გაკათოლიკების გამო მაშინ ასე დიდი ხმაური იყო ატეხილი, სწორედ წმ. ოფიჩიოს კრების ამ დადგენილების გავლენით 1764 წელს მიიქცა კათოლიკობაზე, რომ თავისი დევნილი მრევლისათვის ამ გზით მაინც მიეხედა.

წმ. ოფიჩიოს კრების გადაწყვეტილება გრიგორიანული ეკლესიის მიზნების საწინააღმდეგო იყო. გამოდიოდა, რომ იგი სულთნის მიერ ოფიციალურად მინიჭებულ ქრისტიანთა მეურვეობის უფლებებს ვერ იყენებდა და მისთვის მიკუთვნებულ ზონაში თავის საქმეს რიგიანად ვერ უძღვებოდა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე დარჩენილ ე. წ. „შესამატებელ მრევლს" ლათინურ-ქართული ტიპიკონის წყალობით ვერც შემდეგ შეიმატებდა. ეს მით უფრო ჰირდა, რომ 1758 წლიდან საფრანგეთის ელჩს ვერყერის სულთანისაგან ახალციხის ადგილობრივ კათოლიკეთა მფარველობის ფირმანი ჰქონდა აღებული, რომლის ძალითაც კათოლიკენი ადგილობრივ მოხელეთა ძალდატანებისაგან შედარებით დაცული იყვნენ[32], ამიტომ სომეხთა კათალიკოსმა სიმონმა გადაწყვიტა ფიცხელი ზომების მიღება. იგი წინდაწინ მოელაპარაკა ახალციხის ნომან (მამან) ფაშას, გაარკვია

---

[31] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 460.

[32] იქვე, გვ. 376.

თავის უფლებებში, მისცა დიდძალი ქრთამი (15 ქისა თეთრი) და 1769 წლის ივლისში ქართველ კათოლიკეთა მონასტერი ჯერააკლებინა, შემდეგ დაალუქინა და ქართველი ხუცები დაპატიმრებინა[33]. დაპატიმრებული ხუცები ფაშამ ცხენებზე ფეხგადაკრული ეჩმიაძინში სიმონ კათალიკოსს გაუგზავნა. ქართველ კათოლიკეთა მოძღვრებთან ერთად მაშინ დაიჭირეს აგრეთვე კაპუცინი პატრები, რომელნიც ბარდუზის ციხეში ჩაყარეს. ხუცების დაპატიმრებიდან 3 დღის შემდეგ, ნომან ფაშის ბრძანებით, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენელს ვართაპეტ მარტიროზას ჩააბარეს[34], ხოლო მათ საცხოვრებელ ოდებში საფაშო ფქვილი დაყარეს. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებიდან თურმე მარტო ნომან ფაშას 10 ოყამდე ოქროული და ვერცხლეული მიართვეს[35].

ამის თაობაზე კონსტანტინოპოლელი ეპისკოპოსი იოსები რომს სწერდა: „ჩემთან მოვიდნენ მოსალაპარაკებლად მოწინავე ქართველები, რათა როგორმე გვეშველა ემოდენი უბედურებისათვის“[36]. საქმეში ჩაერივნენ საფრანგეთისა და სხვა ევროპულ სახელმწიფოთა საკონსულოები. თურქეთი, რომელიც ამ დროს რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იყო, ანგარიშს უწევდა ევროპის სახელმწიფოებთან კეთილგანწყობილების შენარჩუნებას და ამ საქმესაც მიხედა. ნომან ფაშა, რომელმაც აგრეთვე დიდი მარცხი განიცადა აწყვერსა და ასპინძასთან ბრძოლაში, 1770 წელს თანამდებობიდან გადააყენეს. მის მაგივრად დანიშნეს იმერეთის ლაშქრობიდან ახლად დაბრუნებული[37] სულეიმან ფაშა ჯაყელი, რომელმაც მოსვლისთანავე დაპატიმრებული ხუცების დახსნისათვის წინდაწინ 12 ქისა თეთრი მიიღო, დაატყვევა პატრიარქ სიმონის წარმომადგენელი მარტიროზ ვართაპეტი და სიკვდილისა და მათი ეკლესიების აკლების მუქარით ქართველი კათოლიკე ხუცები და ლათინი პატრები უკან დააბრუნებინა. კაპუცინების ერთ წერილში აღნიშნულია, რომ მათ გამოსახსნელად „დახარჯული ფული ქართველი ქრისტიანებისაგან 889 მარჩილი“ დიდი შემწეობა იყო[38].

---

[33] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, საქ. 2782—83, გვ. 6.

[34] იქვე.

[35] იქვე.

[36] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 442.

[37] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, საქ. 2782—83, გვ. 9.

[38] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 448.

70-იან წლებში ახალციხელ მოძღვართაგან მეტად საინტერესო მოღვაწეა გრიგოლ მაქანდარიანთი (მაქანდარაშვილი). მან განათლება მიიღო პროპაგანდა ფიდეს კოლეჯში[39]. ახალციხეში დაბრუნების შემდეგ იგი მხარის პროვიკარად დანიშნეს. გრიგოლმა მალე აუღო ალღო ახალციხის კათოლიკეთა ეკლესიებში არსებულ სულისკვეთებას და პროპაგანდისაგან მოითხოვა ქართულ ენაზე დაბეჭდილი საქრისტიანო მოძღვრება. პროპაგანდამ 50 ეგზემპლარი უმალ მოაწოდა და თან მოსწერა: „მაშ განაგრძეთ ეგ თქვენი სასარგებლო მოღვაწეობა თქვენი ტომის ერის სასარგებლოდ"[40]. როგორც ჩანს, გრიგოლიც ჩარეულა ტიპიკონის გარშემო ატეხილ დავაში.

გრიგოლ მაქანდარაშვილს მალე გვერდში ამოუდგა აგრეთვე რომში სწავლამიღებული მეორე გრიგოლი ბატონჯანის ძე (კრუხიჭამიაშვილი). ჩამოსვლისთანავე რომს მანაც მოსთხოვა ქართული საქრისტიანო მოძღვრება, თან ატყობინებდა — ეს იმდენად საჭირო საქმეა, რომ ახლა მე თვითონ „ვთხზავ ქადაგებასა და საქრისტიანო მოძღვრებას" ამ ენაზეო. მალე მან მაქანდარაშვილი შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ გულით ავადმყოფი იყო, იგი უფრო საქმიანი ჩანდა. პროვიკარად დანიშნულმა გრ. კრუხიჭამიაშვილმა „ცუდად მოიხმარა ავტორიტეტის იარაღი", ავადმყოფობისა თუ მძიმე ხასიათის გამო ნერვიულობა დასჩემდა. ბევრ ახირებულ საქმეს ჩადიოდა, პატივმოყვარეობა და იჭვი ღრღნიდა. ჯერ გრ. მაქანდარაშვილს წაეჩხუბა და შეაჩვენა, შემდეგ დაერია სხვა მოძღვრებს, არავინ მოსწონდა, ვისაც კი ჭკუა და კალამი უჭრიდა, ზოგი ეკლესიებიდან გააძევა და ზოგი შეაჩვენა. შეჩვენებულთა შორის იყვნენ ქრონიკების დამწერი იოანე ხუცესი, ივანე გარსევანიშვილი (რომელიც შემდეგ რომს წავიდა და იქვე დარჩა), იოსებ ორთავაშვილი და სხვანი. შესაძლებელია გრ. კრუხიჭამიაშვილის მიერ მოხდენილი „რეფორმების" არსი ისევ და ისევ ტიპიკონის გარშემო ატეხილი დავიდან მოდიოდეს.

1780-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთნი რომში კვლავ ჩიოდნენ ტიპიკონის თაობაზე და კათოლიკე ეკლესიებიდან ქართული ენის სრულ გამოდევნას მოითხოვდნენ[41].

1784 წ. გრ. კრუხიჭამიაშვილი პროვიკარობიდან გადააყენეს,

---

[39] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, საქ. 2782—83, გვ. 1.

[40] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 458.

[41] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, საქ. 2596, გვ. 8.

მის მაგივრად კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომ წამოაყენა ანტონ (ლევან) პეტრეს ძე ხუციშვილი, რომელსაც ურბანოს კოლეგია ჰქონდა დამთავრებული და იმხანად კონსტანტინოპოლში იყო. როცა გასინჯეს ხუციშვილის საბუთები, პროპაგანდამ მის კანდიდატურაზე თავი შეიკავა, რადგან კოლეგიაში სწავლის დროს მისთვის „შეემჩნიათ სიამაყე"[42] და უფრო მეტად საეროქალაქო დისციპლინებით გატაცება. თანაც ანტონი იმჟამად რეპეტიტორობას ეწეოდა და კონსტანტინოპოლში აკრედიტებული საელჩოების თანამშრომელთა შვილებს ლათინურსა და ფრანგულ ენებში წვრთნიდა. იგი კონსტანტინოპოლში დარჩა სიკვდილამდე. ამასობაში გარდაიცვალა გრ. კრუხიჰამიაშვილი და პროვიკარად კვლავ გრ. მაქანდარაშვილი დანიშნეს[43], რომელიც მხოლოდ 1797 წელს შეცვალა ახალციხელმა პავლე შაჰყულანთიმ (ჭილიმუზაშვილმა).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კათოლიკე მისიონერთა საქმიანობას ფრთები შეეკვეცა. ისინი ჩამოაცილეს ქვეყნის პოლიტიკურ-დიპლომატიურ საკითხებს. აიკრძალა კათოლიკური პროპაგანდა. 1812 წ. კაპუცინი პიემონტელი რომს მოახსენებდა: „ვიდრე რუსის მთავრობა სრულიად დაიპყრობდა ამ უვრცელეს სამეფოს, ყველა კაცს, მკვიდრს თუ უცხოს თავისუფლად შეეძლო კათოლიკე სარწმუნოება მიეღო"[44]. ახლა კი გამოცხადებულია, რომ მართლმადიდებლის გაკათოლიკება კანონით არ შეიძლება. უფრო მეტი — გამოვიდა დადგენილება, რომ კათოლიკე პატრებს ეკრძალებოდათ თვითნებურად წამლების დამზადება და ექიმობაც კი[45]. ამასთანავე მათ ევროპულ და ქართულ ენებს გარდა მოსთხოვეს შეესწავლათ რუსული და სომხური ენები[46]. ქართლ-იმერეთში მყოფი კაპუცინების დიდი ნაწილი ამიტომ მათთვის შედარებით ხელსაყრელ — ახალციხის საფაშოში გადადიოდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისიონერებიდან ზოგიერთი მთავარმართებლის (პ. ციციანოვი, მარკიზი პაულუჩი და სხვ.) სიმპათიითა და პატივისცემით სარგებლობდა. მთავარმართებელი ციციანოვი კათოლიკე პატრებს კარგად ექცეოდა, მან თბილისში თა-

---

[42] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 464.

[43] იქვე.

[44] იქვე, გვ. 510.

[45] იქვე, გვ. 515.

[46] იქვე.

ვიანთი ეკლესიის ასაშენებლად გამოუყო 6000 მანეთი[47] და ხელსაც უწყობდა მშენებლობაში.

კათოლიკეთა უცხოურ მისიონს ცარიზმმა დაუპირისპირა ადგილობრივი სომეხი კათოლიკენი. იმის გამო, რომ ლათინი პატრები მიჩნეულ იყვნენ ევროპის სახელმწიფოთა შპიონებად, მათ უკიდურესად ავიწროებდნენ, სომეხ კათოლიკეებს კი, როგორც რუსული ორიენტაციის მატარებლებს, ყოველნაირად ხელს უწყობდნენ. მთავრობა იმაზედაც კი თანახმა იყო, თუ კავკასიის ყველა კათოლიკე სომხურენოვან ტიპიკონზე გადავიდოდა, ან უკეთეს შემთხვევაში — გრიგორიანობას მიიღებდა. ასეთი განწყობილება განსაკუთრებით გაძლიერდა XIX ს. 20-იანი წლებიდან. XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში ძლიერი სომხური კოლონიების არსებობა ევროპა-აზიის თუ ამერიკის ქვეყნებში, რომელთაც ჰყავდათ საკმაოდ მსხვილი სომხური სავაჭრო ბურჟუაზია და რომლის ხელშიც იყო მოქცეული ევროპა-აზიისა და კერძოდ რუსეთ-აზიის სატრანზიტო ვაჭრობის მნიშვნელოვანი უბნები, ცარიზმის ყურადღებას იმსახურებდა. ამ კოლონიებთან კავშირის დამყარება მოსახერხებელი ხდებოდა სწორედ სომხური საპატრიარქოს მეშვეობით, რომელიც მსოფლიოს ყველა სომხის სასულიერო ცენტრად ითვლებოდა[48] და ბოლოს ცარიზმის აგენტის როლში გამოდიოდა. ამასთან ერთად ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა მუსლიმანური ეკლესიის გულის მოგებას და მას მთელ რიგ პრივილეგიებს ანიჭებდა[49]. ამ გზით იგი ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა.

მართალია, ნიკოლოზ I-მა სომხურ ეკლესიას აუკრძალა პოლიტიკურ და სახელმწიფო საქმეებში ჩარევა, სამაგიეროდ გაუმრავლა მამულები, გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან და გაუზარდა პენსიონები[50].

ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კი (მისმა რუსეთთან ერთმორწმუნეობამ), ადრე აქტიური დიპლომატიური ურთიერთობების საბაბს რომ იძლეოდა და ცარიზმის აგრესიულ მიზნებს „მფარველობის" მანტიაში ხვევდა, შეერთების შემდეგ

---

[47] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 498.

[48] М. А. А д о н ц, Экономическое развитие восточной Армении, 1957, Ереван, стр. 145.

[49] იქვე.

[50] Акты, т. IX, стр. 22.

მათთვის მნიშვნელობა დაკარგა. იგი პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქციეს. ათასოთხას წლიანი ავტოკეფალობა გაუუქმეს და პეტერბურგის სინოდის უბრალო დანამატად გადააქციეს. ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება ორ მოძმე ეკლესიას შორის განწყობილებას ამძიმებდა.

1862 წ. 30 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრი ვოლუევი კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს გრიგოლ ორბელიანს მიუთითებდა, რომ „რუსული პოლიტიკის წარმატებისათვის აღმოსავლეთში დიდი მნიშვნელობა აქვს სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიასთან ჩვენს ურთიერთობას. მხედველობაში იქონიეთ, რომ სომხური ეკლესია ყოველთვის სარგებლობდა ჩვენი მთავრობის მფარველობით და იმპერიის საზღვრებს გარეთ გრიგორიანებს მხარს უჭერდა და ამაგრებდა კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ“[51]. მეფისნაცვალი მოვალე იყო შესაფერისად ეზრუნა მეზობელ თურქეთსა და სპარსეთში გრიგორიანული ეკლესიის განმტკიცებისათვის.

რუსეთის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა მისიონერთა აღმოსავლეთიდან განსადევნად, რომელთა მეშვეობითაც აქ, მართლაც, ფეხს იკიდებდნენ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტური სახელმწიფოები. მისიონერები მათგან მნიშვნელოვან თანხებს ღებულობდნენ და წარმატებითაც მოქმედებდნენ. თურქეთში, ირანში, სირიაში, ინდოეთში და სხვ. ხსნიდნენ უფასო სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ეწეოდნენ უფასო სამედიცინო სამსახურს და სხვ. და ამ გზით იხვეჭდნენ ხალხის მხარდაჭერას. მათ საპირისპიროდ რუსული დიპლომატია ხელს უწყობდა აღნიშნულ ქვეყნებში სომხური ეკლესიებისა და სომხური სავაჭრო კომპანიების განმტკიცებას[52].

ასეთ ვითარებაში მესხეთის ქართველ კათოლიკეთა ბრძოლა ქართულენოვანი ტიპიკონის შემოღებისა და დანერგვისათვის უაღრესად რთულდებოდა. ვატიკანი ერიდებოდა სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მომდურებას, თურქები თავიანთი პოლიტიკისათვის სომეხ კათოლიკეებს ამჯობინებდნენ მისიონერებსაც და ქართველ კათოლიკეებსაც, რომელთაც ცალი თვალი რუსეთს მინდობილი თავიანთი ძმებისაკენ ეჭირათ. რაც შეეხება ცარიზმს,

[51] Акты, т. XII, стр. 548.

[52] М. А. Адонц, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

იგი საერთოდ არ სცნობდა ქართველ კათოლიკებს. მათ ყველა აღწერაში სომხებად აღრიცხავდა.

ბოლოს ახალციხის მხარეში შექმნილი პირობების შესაფერისი კაცი გამოიძებნა ჩვენ მიერ უკვე ნახსენები პავლე შაჰყულიანის (ჰილიმუზაშვილი) სახით, რომელსაც XIX ს. დასაწყისშივე კათოლიკეთა უფროსობა ჩააბარეს.

არქიმანდრიტი პ. შაჰყულიანი, რომლის მიზანს ახალციხეში საეპისკოპოსოს გახსნა შეადგენდა, მიხვდა, რომ ამ მიზნის მიღწევა არსებულ ვითარებაში შეიძლებოდა მხოლოდ სომხურენოვანი რიტის მხარდაჭერით. ამიტომ იგი ნებით თუ უნებლიედ დაუპირისპირდა როგორც ქართულენოვანი რიტის შემოღებას, ისე კაპუცინების მისიონს ახალციხეში. ახალციხის საფაშოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მას თავისი მიზნების განხორციელებისათვის ფართო შესაძლებლობები მიეცა. მთავრობამ ქართული რიტის შემოღებაზე თავი შეიკავა. რაც შეეხება კაპუცინების მისიონის არსებობას ახალციხეში, იგი არამიზანშეწონილად ჩათვალა და 40-იანი წლების დასაწყისში კიდეც გაყარა ახალციხიდან. ახალციხიდან წასული მისიონი ტრაპიზონში დამკვიდრდა და იქიდან ცდილობდა პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერებას საფაშოს მოსახლეობაში[53]. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მთელი საქართველოდან ახალციხეში თავმოყრილმა მისიონერებმა წასვლის დროს თან წაიღეს დიდძალი დოკუმენტები, რომელშიც ასახული იყო ჩვენი ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური თავგადასავალი. პ. შაჰყულიანი ყველა ამ საქმის მონაწილე იყო. მეტად ნიშანდობლივია, რომ შაჰყულიანს ამ გზაზე ადგილობრივ მოძღვართა შორის მხოლოდ თითო-ოროლა თანამგრძნობელი თუ ჰყავდა.

ბოლოს და ბოლოს კათოლიკური ტიპიკონისა და ერობრიობის საკითხებზე ახალციხეში ორი გარკვეული ჯგუფი ჩამოყალიბდა: შაჰყულიანის და მისი ყოფილი მოწაფის პეტრე ხარისჭირაშვილისა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ „ერობრიობის“ განსაზღვრისას ტიპიკონს უნდა მიეცეს უპირატესობა. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ ტიპიკონს არ შეუძლია გავლენა იქონიოს ადამიანთა „ერობრიობაზე“ და თვლიდნენ, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს მისი ტიპიკონის ენაც.

---

[53] Акты, т. XII, стр. 533.

# ქართველ კათოლიკეთა კულტურული საქმიანობა უცხოეთში

XIX ს. 30-იანი წლებიდან ცხადი გახდა, რომ ვენეციაში წმინდა ლაზარეს კუნძულზე დაარსებულ სომეხ კათოლიკე მხტარისტთა კონგრეგაციაში რამდენიმე სომხურ რიტზე მდგარი მესხ-ქართველი კათოლიკეც იყო, რომელნიც ნაყოფიერ ლიტერატურულ და შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ მშობლიურ ენაზე.

მხტარისტთა მიღწევები მაშინ ისტორია-ფილოლოგიის დარგში საკმაოდ ცნობილი იყო ევროპაში. ამის საბუთად საკმარისი იქნება დავასახელოთ მეცნიერები: ალიშანი და სარქისიანცი. სომეხთა კონგრეგაციას მდიდარ შემწირველთა მთელი არმია ჰყავდა და საშუალება ჰქონდა ე. წ. არქეოლოგიური ძიებანი და ბოლოს ვათხრებიც კი ეწარმოებინა.

1846 წ. წმინდა ლაზარეს კუნძულზე სომეხთა ძმობა მოინახულა ცნობილმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. ბროსეს მხტარისტთა ძმობაში შეხვედრია რამდენიმე ქართველი კათოლიკეც. მათ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერისათვის გაუცვნიათ თავიანთი ნამუშაკევი ხელნაწერი წიგნები, რომელნიც ძმობის ბიბლიოთეკის თაროებზე ეწყო დამტვერილი. მარი ბროსემ ყურადღება მიაქცია ამ ფაქტს, ესაუბრა კონგრეგაციის დირექტორს გეორქ ხურმუზიანცს და სომეხთა ძმობას ურჩია მათი ქართველი წევრების შრომების გამოცემაც[1]. როგორც ჩანს, ეს საკითხი კონგრეგაციაში შემდგომ მრავალგზის დასმულა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს და ბოლოს ამ საკითხის გამო კონგრეგაციაში განხეთქილება ჩამოვარდა, რაც იმით დამთავრდა, რომ აქ გაერთიანებულმა ქართველმა კათოლიკე მოძღვრებმა შესძლეს დაეარსებინათ საკუთარი ქართველ კათოლიკეთა ძმობა ქართული ენითა და ქართული ტიპიკონით. ამ საქმის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო ახალციხელი პატრი-მამა პეტრე ხარისჭირაშვილი — ქართველ კათოლიკეთა მხსნელად მოვლენილი, „მეორე მათე“, რომელმაც ქართული კულტურისათვის დაუჯერებლად ბევრი რამ გააკეთა.

პეტრე ხარისჭირაშვილის წინაპრები წარმოშობით ჯავახეთის ბარალეთიდან ყოფილან, საიდანაც ლეკიანობას გამოჰქცევიან და ახალციხეში დამკვიდრებულან. მისი მამა იოსები ხელოსანი იყო

---

[1] გაზ. «Кавказ», 1846, № 48.

რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა. პეტრეს დედა იყო ბაბუნაშვილის ქალი. იოსებ ხარისჭირაშვილს ორი ვაჟი დარჩა — ლუკა და ივანე.. ბავშვები იმთავითვე ჩაბმულან შრომაში და ქვრივად დარჩენილ დედას შეშველებიან. უმცროსი ძმა ივანე ხარაზი გამხდარა, რომელიც „ზაფხულობით სოფელში დადიოდა და ძველ-ძულებს აკერებდა". უფროს ძმას ლუკას დიაკვნობა დაუწყია. ახალგაზრდა დიაკვანი გამოირჩეოდა თურმე ლამაზი ხელწერით, რომელიც „საქრისტიანოებს წერდა და ყიდდა ახალციხეს თუ სოფლად ვალეს, უდეს"[2].

ლუკამ განსაკუთრებული მიდრეკილება გამოამჟღავნა სწავლისადმი და სიარული დაიწყო სტეფანე აბინაშვილის (ქრონიკების ავტორი) შინაურ სასწავლებელში, სადაც უსასყიდლოდ ასწავლიდნენ ძირითადად თეოლოგიური ხასიათის საგნებს. შემდეგ იგი სწავლობდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სკოლაში პავლე შაჰყულიანის (ჭილიმუზაშვილის) ხელმძღვანელობით. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. თანამედროვეთა მოწმობით, პავლე შაჰყულიანი იყო განათლებული პიროვნება, რომელიც ეწეოდა აგრეთვე ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას. მის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნები ახალციხის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წიგნსაცავში ინახებოდა XIX ს. ბოლომდე[3]. ლუკა ხარისჭირაშვილს სკოლის მერხიდან დაუწყია კამათი თავის მასწავლებლებთან, რადგან მას „არ მოსწონდა სამღვდელოთა ძველი წესი" და სკოლისა და განათლების საკითხები სულ სხვაგვარად ესახებოდა. იგი თვლიდა, რომ სკოლა ძირითადად საერო საკითხებით უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რომ ქართველ კათოლიკეთა სკოლისათვის საჭირო იყო სამოქალაქო ისტორიის და კერძოდ საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, არითმეტიკის, გრამატიკის და სხვა საგანთა სწავლება.

XIX ს. 30—40-იან წლებში, როცა სამცხე-ჯავახეთი საქართველოს შემოუერთდა, დიდი ცვლილებები მოხდა კათოლიკეთა სულიერ ცხოვრებაშიც. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ლათინ მოძღვართა განდევნა, რომელთა მოღვაწეობასაც პოლიტიკურ შპიონაჟთან აკავშირებდნენ. რაღა თქმა უნდა, ლათინი მოძღვრების გაძევებას მოჰყვებოდა ახალციხის ქართველ კათოლიკეთა

---

[2] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1, საბ. 251.

[3] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1969, გვ. 66.

ეკლესიებში ნაწილობრივ შემორჩენილი ლათინური რიტის ანუ ლათინური ენით წირვა-ლოცვის, გაუქმება. საკითხი მეტად სერიოზულად ისმებოდა. თუ ლათინური რიტი გაუქმდებოდა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში, მაშინ რა ენით შეიძლებოდა მღვდელმსახურების შესრულება? როგორც ვთქვით, ქართული კათოლიკური ტიპიკონი ვატიკანის კონგრეგაციის მიერ დამტკიცებული არ იყო. მესხეთიდან ლათინი მოძღვრების გაძევებით განაწყენებული ვატიკანი, გასაგებია, ახალ ქართულ ტიპიკონს აგრე იოლად არ დაამტკიცებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა, რომ ქართველ კათოლიკეთა ლათინური რიტის ეკლესიებშიც სომხური ტიპიკონი და სომხური ენა დამკვიდრებულიყო. ამასობაში დროისა და პირობების შესაფერისი კაციც გამოიძებნა. ეს კაცი იყო გასომხებული ქართველი, სომხურ რიტმზე მდგარი პავლე შაჰყულიანი. იგი გახარებული იყო თავისი მოწაფის, საქმიანი ახალგაზრდის ლუკას ენერგიით. იგი მას მიაჩნდა თავისი საქმის გამგრძელებლად, ამიტომაც პავლე შაჰყულიანის ინიციატივით ლუკა გააგზავნეს კონსტანტინოპოლში სასწავლებლად და მღვდლად საკურთხად. ხელდასხმულ ლუკა ხარისჭირაშვილს პეტრე უწოდეს და კვლავ ახალციხეში დააბრუნეს. ახალციხეში ჩამოსულ პეტრე ხარისჭირაშვილს პავლე შაჰყულიანი, რომელიც უკვე ინტრიგის ქსელში გაბმულიყო, თუმცა სიხარულით შეხვდა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა, მაგრამ მფარველსა და შევრდომილს შორის განხეთქილება ჩამოვარდა, რომელიც აღარასოდეს დამცხრალა.

ახალციხეში ჩამოსვლისთანავე პეტრე ხარისჭირაშვილმა გადაუდებელ ამოცანად დააყენა ახალციხეში ქართული სასულიერო სასწავლებლის (სემინარიის) გახსნის საკითხი[4], სადაც გაძლიერებული კურსით უნდა ესწავლათ საერო-საქალაქო დისციპლინებიც. პეტრე ხარისჭირაშვილის პროექტი რომ განხორციელებულიყო და ქართული სასულიერო სასწავლებელი ოფიციალურად გახსნილიყო, მაშინ ქართული ტიპიკონიც შემოვიდოდა და რენეგატი პავლე შაჰყულიანი დაკარგავდა მიღებულ ღირსებას, რადგან მისი ძალა სხვებისაგან განსხვავებით სომხური ენისა და ტიპიკონის ზედმიწევნით ცოდნაში იყო. ამ უპირატესობის დაკარგვით, ცხადი იყო, მწყემსმთავრად სხვა, უკეთ განათლებული, ქართველი მოძღვარი დაჯდებოდა; „ამის თაობაზე გარდაეკიდა შაჰყულიანი პეტრე ხა-

---

[4] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქ. 251.

რისჭირაშვილს" და ცოტა ხნის შემდეგ უფლება არ მისცა მღვდელმსახურება შეესრულებინა თვით ახალციხეში. პეტრე იძულებული გახდა სოფლებში ევლო. იგი დადიოდა ხან ხიზაბავრას, ხან ვალეს, ხან უდეს და სხვ., მაგრამ შაჰყულიანის შხამიანი ხელი ახალციხის სოფლებში პეტრეს მაინც სწვდებოდა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ახალციხის კათოლიკე სოფლებისათვისაც, თვით ქ. ახალციხისათვისაც და მესხეთიდან სამუშაოდ ქუთაისში გადასულიყო. „დაუდგრომელი და სულ ეროვნულ საქმეებზე მოფიქრალი" პეტრე ქუთაისში აღფრთოვანებით მიიღეს და 1840 წელს დონ ანტონ გლახაშვილის თანაშემწე მღვდლად დანიშნეს. როგორც მისი თანამედროვენი გვარწმუნებენ, პეტრე ქუთაისში მრევლს განსაკუთრებით უყვარდა. იგი ყველგან კულტურისა და განათლების შეტანისათვის იბრძოდა, შეგირდებს წვრთნიდა, ქართულსა და ლათინურ წერა-კითხვას ასწავლიდა. პეტრე ხარისჭირაშვილმა სომხურ-ლათინური ტიპიკონის საკითხებზე საუბარი დაუწყო დიდვაჭარს იაკობ ზუბალაშვილს, ნათლად დაუხატა, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ საკითხების უგულვებელყოფას, რომ ამ გზას შეეძლო ქართველის ქართველობაც სადავო გაეხადა. ასევე შეაგულიანა ზუბალაშვილი ანტონ ხუციშვილმა და მდიდარმა ვაჭარმა საკმაო სახსრები გაიღო იმისათვის, რომ პეტრე ხარისჭირაშვილი კონსტანტინოპოლს ჩასულიყო და იქ თავისებური პროპაგანდა გაეშალა, ამ საკითხებით დაეინტერესებინა, „მიეზიდნა ღირსეული სწავლული კაცნი", რათა დაეჯერებინა რომი და ქართველ კათოლიკეთათვის დაემტკიცებინა ქართული ტიპიკონი. კონსტანტინოპოლში ჩასულმა პეტრე ხარისჭირაშვილმა, მართლაც, გაშალა პროპაგანდა ლათინურ საეკლესიო წრეებში და დაასაბუთა, რომ აუცილებელი იყო ქართული ტიპიკონის დამტკიცება საქართველოს კათოლიკეთათვის. ამ საქმიანობის შესახებ მალე გაიგო სომეხთ კათოლიკე მოძღვარმა ჰარუნიანმა და თავისი დიდი გავლენის წყალობით პეტრე ხარისჭირაშვილს კონსტანტინოპოლში ყველა გზები მოუჭრა. პეტრე იძულებული გახდა კონსტანტინოპოლი დაეტოვებინა[5]. კონსტანტინეპოლში ყოფნისას პეტრემ გაიგო, რომ ლაზარეს კუნძულზე, სომეხ მხტარისტთა კონგრეგაციაში, ინახე-

[5] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1, საბ. 251.

ბოლა რამდენიმე ქართული ხელნაწერი წიგნი, რომელიც ადრე ქართველ კათოლიკე მღვდლებს ეთარგმნათ. ხარისჭირაშვილი კონსტანტინოპოლიდან წმ. ლაზარეს კუნძულზე გაემგზავრა და მხიტარისტების კონგრეგაციას მიაკითხა, რომელიც ამ დროს ფართო მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა, აწყობდა სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ ექსპედიციებს თურქეთის, სომხეთისა და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებზე, თუმცა მათი ნამუშაკევი თავისუფალი არ ყოფილა მიკერძოებათი ხასიათის შეცდომებისაგან.

პეტრე ხარისჭირაშვილი კონგრეგაციის ბიბლიოთეკაში ჩაჯდა და ძველი ქართული ხელნაწერი წიგნებისა და თარგმანების გაცნობას შეუდგა. მერე ზოგი ხელნაწერი გამოსაცემად მოამზადა და უკვე 1858 წ. იქვე კონგრეგაციის სტამბაში შესძლო დაებეჭდა სქელტანიანი წიგნი: „ისტორია გინა მოთხრობა საღმრთო წერილისა ძველისა და ახლის აღთქმათა, თარგმნილი ქართულს ხმასა ზედა წიგნთ საბეჭდავსა შინა წმინდა ლაზარეს მონასტრისასა". ეს იყო დიდ გამარჯვება, რასაც ახალი წარმატებები მოჰყვა. მომდევნო 1859 წ. პეტრემ მოახერხა კიდევ ორი ქართული წიგნის დაბეჭდვა. ეს წიგნებია: „წმინდანების ცხოვრება" და საერო ხასიათის „იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი". როგორც ერთ-ერთი გამოცემის შესავალში თვით პეტრე ხარისჭირაშვილი წერდა, ყველაფერი ეს კეთდებოდა „ივერიის სასარგებლოდ", მთელი ქართველი ხალხისათვის, განსაკუთრებით კი ქართველი კათოლიკეებისათვის. „ვისურვებთ, რათა წიგნი ესე ყოფილიყო თარგმნილი მდაბიურსა ენასაზედა, რათა ყოველთა ამისა კითხვით და სიადვილით გულისხმის ყოფითა ძალ იდვან ნაყოფის გამოღებაიო". პეტრე ხარისჭირაშვილმა თავიდანვე მხარი დაუჭირა არა იმ დროს მაღალ წრეებში გაბატონებულ „ლიტერატურულს კილოს", არამედ ხალხურ, „მდაბიურს", რადგან ნაყოფის გამოღება მხოლოდ ასეთი ენით დაწერილს წიგნებს შეეძლოთ. ენისა და ლიტერატურის ხალხურობა მათს დემოკრატიულ პოზიციებს მყარ საფუძველს უქმნიდა. ბეჭდვის უზარმაზარი სიმძიმე პირადად პეტრე ხარისჭირაშვილსა და იქ მყოფ რამდენიმე ქართველ მოძღვარზე გადადიოდა. ისინი იყვნენ ასოთამწყობებიც, რედაქტორ-სტილისტებიც და გამომშვებ-გამავრცელებელნიც.

ამ დაბეჭდილი წიგნების უდიდესი რაოდენობა საქართველოში შემოდიოდა და უმთავრესად ქართველ კათოლიკე მრევლში

ვრცელდებოდა. პეტრემ ამ საქმეს მოახმარა მთელი ფული, რომლის დიდი ნაწილი იაკობ ზუბალაშვილმა მისცა კონსტანტინოპოლში გამგზავრებისას. მიუხედავად ამისა, პეტრე მაინც ვალებში და დიდ ნივთიერ სივიწროეში ჩავარდა. მუდამ იმედიანი, ენერგიული მოძღვარი ამას არ შეუშინდა. თავისი საქმის მიზანი და დიდი სიკეთე გააცნო ლათინური ეკლესიის ზოგიერთ პროგრესულ მოღვაწეს და მათგან საკმაო დახმარებაც მიიღო. ამის შემდეგ დაუდგრომელმა და ბობოქარმა კაცმა გადაწყვიტა დაეარსებინა ქართველ კათოლიკეთა ძმობა ქ. კონსტანტინოპოლში, სადაც ბევრი ახალციხელი ქართველი კათოლიკე ვაჭარი ცხოვრობდა, ზოგიერთი იქ ცხოვრობდა კიდეც. ამ ძმობას უნდა ჰქონოდა პირველ ყოვლისა ქართულენოვანი ტიპიკონი, უნდა აეშენებინა ქართველ კათოლიკეთათვის ეკლესია, რომელსაც დაამშვენებდა ქართული წარწერა და აგრეთვე ეკლესიასთან სახლი ეკლესიის მსახურთათვის, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქართულ კათოლიკური სასულიერო სასწავლებლის აშენება და ქართული სტამბის დაარსება. ეს იყო გაბედული პროექტი, რომელიც მაშინ ილუზიას უფრო ჰგავდა, რადგან ყველა ამ საქმის მოწესრიგებას: ადგილის გამონახვასა და შეძენას, უზარმაზარ მშენებლობებს, სტამბის დაარსებას, ქართული ტიპიკონის დამტკიცებასა და სხვ. დიდძალი ენერგია და სახსრები მოუნდებოდა. ღარიბ ქართველ კათოლიკე ბერებსა და მღვდლებს საამისო საშუალება არ ჰქონდათ. ხარისჭირაშვილის პროექტი ნამდვილად სახელმწიფო სახსრებს მოითხოვდა, მით უმეტეს, რომ ძმობას არ გააჩნდა მამულები და არც შეწირულების იმედი ჰქონდა. ამ სიძნელეების მიუხედავად, პეტრე ხარისჭირაშვილი თავისას არ იშლიდა და სულ-მალე რაინდული შემართებით შეუდგა თავისი მიზნების განხორციელებას. ვენეციიდან კონსტანტინოპოლს ჩავიდა. იქ მყოფი ქართველი მოძღვარნი შემოიკრიბა და დაიწყო ბრძოლა ქართულენოვანი ტიპიკონისა და ქართველ კათოლიკეთა ძმობის დასაარსებლად[6].

სტამბოლში ჩასულ პეტრეს ისევ ჰარუნიანი დახვდა, რომელსაც ქართველ კათოლიკეთა საკითხებზე საწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდა. ჰარუნიანმა არა თუ ხელი შეუწყო პეტრეს, პირიქით, ყოველნაირად ეღობებოდა წინ, მაგრამ პეტრე ბრძოლაში არ გატყდა. მან კონსტანტინოპოლში მყოფ ლათინ მოძღვრებსა და ეკლე-

---

[6] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1, საბ. 51.

სიებს გააცნო თავისი პროექტი. ამასთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ კვლავ ჩავიდა რომში და ვატიკანში წარადგინა ვრცელი დასაბუთებული მოხსენება. წინასწარ კარგად შემზადებულმა საქმემ ვატიკანში გაიმარჯვა. პაპის ხელმოწერით გამოვიდა მანიფესტი, რომ სტამბოლში აკრედიტებული ლათინური მონასტრების ხარჯზე სტამბულის გარეუბანში, ფერიქოვს, გამოყოფილიყო ადგილი ქართული კოლონიის დასაარსებლად. ამავე დროს ვატიკანმა სცნო ქართულენოვანი ტიპიკონი და დაუმტკიცა იგი კონსტანტინოპოლში ახლადშექმნილ ქართველთა ძმობას. ხარისჭირაშვილი ფიქრობდა, რომ ეს მანიფესტი მალე გავრცელდებოდა მთელი საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებზე.

მარტო მანიფესტი საქმეს ვერ შველოდა. ფერიქოვს ქართველთათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე არ იყო მონასტერი და არავითარი სხვა შენობა. მიუხედავად ამისა, პეტრეს მწყემსმთავრობით ქართველ კათოლიკეთა ძმობა შედგა, რომელსაც იქვე, ფერიქოვს, დროებით მიუჩინეს ადგილსამყოფელი ლათინთა მონასტერში, სადაც ქართულ ენაზე დაიწყეს მღვდელმსახურების აღსრულება. როცა თურმე პ. ხარისჭირაშვილმა პირველად შეასრულა ქართულ ენაზე გალობა, ძმობის ყველა წევრს ცრემლი მოერია, მათ დაიჩოქეს ხარისჭირაშვილის წინ და მისი ჯანმრთელობა შესთხოვეს მაცხოვარს[7].

ვიდრე დამოუკიდებელ ბინას გაიჩენდა ქართველთა ძმობა, მანამდე თურმე ლათინთა ეკლესიის ორღანსა და კაპელას იყენებდა[8]. აქვე პეტრემ რამდენიმე თავისი მოწაფე აკურთხებინა მღვდლად და ქართულ ტიპიკონს მკვიდრი ნიადაგი შეუქმნა. ამის შემდეგ პეტრე იმდენს ეცადა, რომ ვატიკანიდან ახალი ოფიციალური მიმართვა მიიღო ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ძმობის დაფუძნებისათვის შეწირულობების შესაგროვებლად. პაპის ქაღალდით მათ შემოვლეს ევროპა და იმდენი შეწირულობა შეკრიბეს, რომ პ. ხარისჭირაშვილის მიზნების განხორციელებას რეალური საფუძველი შეექმნა. პირველ რიგში აშენდა ფერიქოვის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, მისი საძირკველი ჩაყარეს 1859 წ. მონასტერი აიგო „ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების" სახელობაზე, რომლის შესასვლელ თაღზეც ამოკვეთილი იყო დიდი ქართული წარწერა:

---

[7] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1, საბ. 251.

[8] იქვე.

„წმინდაო მარიამ დაიცავ ივერიელნი". შემდეგ აქვე დაარსდა ცალ-კე მამათა და ცალკე დედათა სავანეები. აშენდა „სტამბახანა", დაიდგა საბეჭდი მანქანები და უკვე 1870 წ. ამუშავდა სტამბა, რომელიც თანდათან გაიზარდა და 70-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებელი წარმოების სახე მიიღო. ამ დროს „სტამბახანის" დირექტორი იყო ანტონ გოზალიშვილი.

80-იან წლებში აქვე, მონასტერთან, ცალკე აშენდა და გაიხსნა ქართული სკოლა. შემდეგ ქართველთა ძმობამ ფერიქოვსა და სტამბოლში გახსნა თავისი საკუთარი დუქნები, რომლის შემოსავალიც კონგრეგაციის საჭიროებებს ხმარდებოდა. აქვე პატრი მერაბიშ სტამბოლის ყველა სარწმუნოების ქართველებისათვის დააარსა ურთიერთდახმარების საზოგადოება. ამ საქმეში მას ნივთიერ დახმარებას უწევდა „მისი ძმა აბაშეთის იმპერატორის მანელიკის პირადი ექიმი დოქტორი მერაბი"[9].

ხარისჭირაშვილმა საგამომცემლო საქმე ისე დააყენა, რომ წიგნთა ავტორებსა და მთარგმნელებს ჰონორარიც კი დაუნიშნა, რასაც „შეთხზვის ხარჯი" და „თარგმანის ხარჯი" ეწოდებოდა. 1877 წ. პ. ხარისჭირაშვილი ივ. გვარამაძეს სწერდა: „მიახლებია თქვენთვის 25 მანეთი... აქედან 5 მანეთი დაიჭირეთ წმინდა ესტატის ლექსებისათვის, 10 მანეთი წმინდა ესტატის 8 დღის წურთვნისათვის და 10 მანეთი როტორველის წიგნისათვის, რომელიც უნდა დასთარგმნოთ"[10]. მაშასადამე, ზოგ შემთხვევაში „დათარგმნის ხარჯი" წინდაწინაც ეძლეოდა მთარგმნელს.

დასაბეჭდად გამზადებული წიგნი სამ ცალად უნდა წარდგენილიყო: ერთი ცალი ინახებოდა მთავარი მონასტრის ბიბლიოთეკაში, მეორე დედათა სავანეში, ხოლო მესამე მიდიოდა სტამბაში და იწყობოდა[11], ზოგჯერ წიგნის გადაწერისათვის ცალკე ხარჯი გაიცემოდა. „ამ ორი წიგნის გადაწერისათვის, რასაც თქვენ მიიღებდით იმოდენ ფულსაც კიდევ მოგართმევ მე მათი გადათარგმნის ფულს გარდაო"[12] — სწერდა ხარისჭირაშვილი გვარამაძეს.

გამომცემლობის ძირითადი შემოსავალი იყო გაყიდული წიგნებიდან შემოსული თანხა. ამიტომაც იყო, რომ გამოსაცემ წიგნს გულმოდგინედ ადგენდნენ: „თუ დაიბეჭდება, იმისთანა რამე უნდა

---

[9] გაზ. „დროშა", 1908, წ., 16/XII.

[10] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2202.

[11] იქვე.

[12] იქვე.

დაიბეჭდოს, რომელიც ჯერ არ იყოს დაბეჭდილი, ეგრეთ საჭირო და სასარგებლო მსგავსად „ბუნების კარისა"[13]. პეტრე ხარისჭირაშვილი მის გარშემო შემოკრებილ მწერალ-მთარგმნელებს გაზეთ „დროების" კარგ ქართულზე მიუთითებდა და ავალებდა: „დროება გაზეთის ენაზე დაითარგმნოს ესენიო", თორემ ცუდი ენით შედგენილი წიგნები აღარ იყიდება და დიდ ზარალში ვცვივით, მაგალითად, „ცხონებულ მანუმას ნათარგმნი წიგნი რომ დავსტამბე, ცუდი ქართულის მიზეზით არ გაიყიდა და დავიღუპე"[14].

პავლე კალაიჯიშვილი ხარისჭირაშვილს ურჩევდა გამრავლებულიყო სასწავლო და საყოფაცხოვრებო წიგნების ბეჭდვა და შემცირებულიყო საეკლესიო წიგნების გამოცემა. „ჩემის აზრით, უნდა გამოიცეს ქართული გრამატიკა..., მოკლე ისტორია საქართველოსი, მოკლე გეოგრაფია საქართველოსი, თუ შეიძლება კარტებიც... ბუნებითი საგნების განმარტება რაც კაცს გარეშე არტყია. ე. ი. მოკლე წიგნებად და ცალკ-ცალკე ბოტანიკა, ასტრონომია, ბიოლოგია, ხიმია, ფიზიკა, გეოლოგია. ასე რომ, ესენი იყვნენ მოკლეთ და ცხადათ. ამასთან არც შეუფერებელი იქნება სამკურნალო საბინაო წიგნის გამოცემა"[15]. პავლე კალაიჯიშვილი პეტრე ხარისჭირაშვილის კონგრეგაციის წევრი იყო და, რაღა თქმა უნდა, პეტრე მის რჩევას ანგარიშს გაუწევდა[16].

პ. ხარისჭირაშვილის სტამბაში ამ დროისათვის ბევრი სასწავლო და „სახალხო" წიგნი დაიბეჭდა. თვით პეტრემ შეადგინა „ერთი მოკლე ქართული გრამატიკა". ქართული გრამატიკის შედგენა შეუკვეთა ივ. გვარამაძესაც. გაიშალა მუშაობა სხვა სასწავლო წიგნების შედგენის, თარგმნისა და დაბეჭდვისათვის.

70-იან წლებში ფერიქოვის სტამბაში, მართლაც, მრავალი წიგნი დაიბეჭდა მხატვრული ლიტერატურის ისტორიის, ფილოსოფიის საკითხებზე. გამოიცა რამდენიმე წიგნი აგრეთვე საბუნებისმეტყველო და სხვა დარგებიდან, აღნიშნული სტამბის გარშემო თანდათან თავი მოიყარეს მწერლებმა, მთარგმნელებმა და საქმის ენთუზიასტებმა: მამულაშვილმა, წინამძღვრიშვილმა, მერაბიშვილმა, ხუციშვილმა, გვარამაძემ, ბათმანიშვილმა და სხვ.

უცხოეთში დაარსებული ქართული კოლონიისათვის ყურად-

---

[13] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2202.

[14] იქვე.

[15] იქვე, № 2670.

[16] იქვე.

ღების გარეშე არ დარჩენილა ამ დროის საქართველოში „მამათა და და შვილთა“ შორის ატეხილი დავა. როგორც ჩანს, ისინი ამ დავისას შვილების თეორიულ შეხედულებებს იზიარებდნენ და თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით უცხოეთიდან ადასტურებდნენ მათი აზრების სიმართლესა და სისწორეს.

ქართველ კათოლიკე მოძღვართა საქმიანობა კონსტანტინოპოლში თანდათან ისე გაძლიერდა და გაიზარდა, რომ 70-იანი წლების ახლოს ამ ძმობამ საფრანგეთის ქ. მონთობანში დააფუძნა ქართველ კათოლიკეთა ახალი ძმობა. ახლად დაფუძნებულმა კონგრეგაციამ, კონსტანტინოპოლის მსგავსად, ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას. აქაც გაჩნდა ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებანი და დაიწყო ზრუნვა სტამბის შექმნისათვის.

მონთობანის ქართული მონასტრის მთავარი მოძღვარი იყო ანდრია წინამძღვრიშვილი. იგი მეტად ენერგიული ხელმძღვანელი და პეტრე ხარისჭირაშვილივით დაუზარელი მუშაკი გამოდგა. მისი სიკვდილის შემდეგ კონსტანტინოპოლისა და მონთობანის მოძღვართა შორის ანდრია წინამძღვრიშვილის, ალფონს ხითარიშვილისა და სტეფანე გიორგაძეზე უფრო საქმიანი არავინ ჩანდა. 80-იანი წლების ახლოს ანდრია წინამძღვრიშვილმა მონთობანში ქართული წიგნების გამოცემა დაიწყო. მან პარიზიდან „დაიბარა“ საბეჭდი მანქანა, რომელიც 500 ფრანკი დაჯდა, „სტამბახანის ოთახები გაალესინა“ და ყველაფერი მოაგვარა.

უფრო გვიან ერთმა ფრანგმა მანდილოსანმა ძმობას შესწირა ტიპოგრაფიის მანქანა და მონთობანის ქართული სტამბა საკმაოდ გაძლიერდა. თუმცა შემდეგ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს საბეჭდი მონთობანის ძმობას აღარ შერჩენია. „გესიამოვნებათ შემდეგი, — წერდა ალფონს ხითარიშვილი მ. თამარაშვილს, — პ. ანდრიას მონთობანში ყოფნის დროს შემოსწირა მონასტერს ერთმა ფრანციუზის დედაკაცმან კარგი, ახალი სისტემის მანქანა ტიპოგრაფიისა: სტეფანე რა ჩავიდა მონთობანში, უნდოდა გაეყიდა. მე მას სწრაფად მივსწერე, რომ აქ გამოეგზავნა“[1], მართლაც, მანქანა მონთობანიდან კონსტანტინოპოლში ჩაიტანეს და იქ „ძველ რეფექტორიაში გამართეს“.

მონთობანელი გამომცემელნი უფრო ლექსიკონებისა და სასოფლო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვით იყვნენ გატაცებულნი, სახელმძღვანელოების გამრავლებით ცდილობდნენ ღარიბი ქართველი ბავშვებისათვის შეექმნათ სწავლის საშუალება. ამ

წიგნთა გამომცემლებმა იცოდნენ, რომ ქართველი საზოგადოება ამ დროისათვის მთელი მონდომებით ეკიდებოდა სწავლის საკითხებს: აშენებდა სკოლებს, ქირაობდა მასწავლებლებს და სხვა... „აღაშენე და განამრავლე რამდენადაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რამდენადაც გინდა მეცნიერნი მასწავლებელნი, აღავსე სკოლები ბავშვებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან, თუ რომ არ იქნებიან თანვე დასტამბული წიგნები უხვად, რომელზედაც შეიძლებოდეს გაკვეთილის მიცემა და სწავლება ყრმათა?"[17] — წერდნენ ისინი და ასაბუთებდნენ, რომ საქართველოში სკოლების გამრავლებისათვის საჭირო სასწავლო წიგნების გამრავლება, რითაც შეეძლებოდა ესწავლათ პატარა შეგირდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უწიგნოდ გახსნილი სკოლები დღენაკლული იქნებაო.

მონთობანელმა გამომცემლებმა დიდი ამაგი დასდეს ლექსიკონების გამოცემის საქმესაც. მათ ერთხანს გადაწყვეტილი ჰქონდათ დიდი ქართული ლექსიკონის გამოცემა, რომელიც შეჯერებული უნდა ყოფილიყო საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონთან. როგორც ირკვევა, ჩვენს არქივებში დაცული წერილებიდან, მათ ასეთი ლექსიკონის გამზადებული ხელნაწერი უკვე ჰქონიათ, მაგრამ იმის გამო, რომ ნებართვა ვერ აუღიათ, მისი დაბეჭდვა ველარ მოხერხებულა. სამაგიეროდ, მათ დაბეჭდეს მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულ-ქართული და ლათინურ-ქართული ლექსიკონები, რომელიც განკუთვნილი იყო აგრეთვე სასოფლო სკოლების ყრმათათვის. ამ ლექსიკონების გამოცემით მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების საქმეში.

კონსტანტინოპოლისა და მონთობანის ქართული წიგნების გამომცემელთა სასახელოდ მარტო ისიც კმარა, რომ მათ 1877 წლიდან 1881 წლამდე, სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში, შესძლეს 25-მდე სხვადასხვა წიგნის დაბეჭდვა და გავრცელება საქართველოში.

1860 წ. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერს გაუჩნდა მცირე ქართული სასულიერო სასწავლებელი, რომლის პირველი მოსწავლენი იყვნენ სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი გურული ბავშვები და ახალციხიდან სპეციალურად ჩამოყვანილი ყმაწვილები. იმისათვის, რომ ამ ქართულ სასწავლებლებს

[17] მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის მონთობან-კონსტანტინოპოლში, 1877 წ., შესავალი.

ოფიციალური სახე ჰქონოდა, ხარისჭირაშვილმა შეადგინა სპეციალური დებულება, რომელიც დიდი ბრძოლის შემდეგ 1864 წ. რომში დაამტკიცებინა კარდინალებს[18].

სტამბოლის ქართულ სასულიერო სასწავლებლებში სწავლის ხანგრძლივობა პირველად ორი წელი იყო, 1870-იანი წლებიდან იგი სამწლიან სასწავლებლად გადაკეთდა და ქართული სასულიერო სემინარიის შექმნის რეალური პირობები მოამზადა. საყურადღებოა, რომ 1894 წელს მონასტრის ახლოს დაწყებული ახალი ოთხსართულიანი სახლის მშენებლობისას ნაგულისხმევი იყო, რომ აქვე მოთავსებულიყო მომავალი ქართული სასულიერო სემინარია[19].

ახლადდაარსებულ ქართულ სკოლაში საღვთისმეტყველო საგნების გარდა ისწავლებოდა: ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, სამედიცინო საქმე და სხვ. სასწავლებელში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ფრანგული და ლათინური ენების სწავლებას, ლათინური ენა ძველი სამეცნიერო და აგრეთვე საეკლესიო ენა იყო და ამავე დროს კათოლიკური სამყაროს „უმაღლესობა ვატიკანი ლათინურ ენაზე მუშაობდა, ხოლო ფრანგული იმდროინდელ ევროპაში ყველაზე უფრო გავრცელებული და პოპულარული ენა იყო. ცნობილია, რომ საფრანგეთის სახელმწიფო კათოლიკური სარწმუნოება ბოლოს და ბოლოს ფრანგების სარწმუნოებადაც გაიგებოდა სხვადასხვა ქვეყნებში (ასე იყო ეს ჩვენშიაც). ამიტომაც სკოლაში ლათინური და ფრანგული ენები ყოველთვის წამყვანი საგნები იყო.

სასწავლო პროგრამა ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველა მოსწავლეს შესძლებოდა ფრანგულ და ლათინურ ენებზე წირვის აღსრულება და ფრანგულ სემინარიაში სწავლის გაგრძელება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ლიტერატურული ქართული ენის სწავლებასაც. კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკე ძმათა მთავარი მოძღვარი პ. ხარისჭირაშვილი 1873 წ. წერდა: „ამისათვის გვსურს ახლა, რომ ვიდრემდი იმ სამ წელს ასწავლონ თანვე ქართულებ დაბალი კლასის რამეები, რათა ოდეს დაასრულებენ

[18] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 10, საქ. 787, ფ. 9.

[19] იქვე, საქ. 169, ფურც. 11.

ევროპულ ენების სწავლას, იყვნენ მომზადებულნი მაღალი კლასები სწავლისათვის იმ ევროპულ ენებზე და იმ რიგობით თანვე შეისწავლონ კარგად სუფთა, დაბიური ქართული დათხზვა კანონიერად, ქართულებ, თვარემ უამისოდ რას არგებს მათ ანუ მამულს, მარტო ევროპულის ენებით ლაპარაკი; ოდესმე თუ ვერაფერს ასარგებლებენ მამულსა და თავიანთ მამებს; ვითარცა აგერ ... იოსები, აგრედ საქებურად შეთხზავს ლათინურებ, ფრანციცულებ და იტალიანურებ, რომ ბევრს ნასწავლ ფრანცუზს და იტალიანს გაუჭირდება ეგრეთ შეთხზვა, მაგრამ ოდეს მოვა ქართულებ თხზვაზედ ორ სირას ვერ შეთხზავს, ეგრედ, რომ სწორი ქართული იყოს და წაადგეს სადმე ის თხზულება“[20].

იმისათვის, რომ ფერიქოვის ქართველ კათოლიკეთა ძმობას ჰქონოდა ეკონომიური დასაყრდენი, პ. ხარისჭირაშვილის ინიციატივით დაარსდა სავაჭრო ამხანაგობა — ქარვასლა, რომლის შემოსავალი ძმობის საერთო ფონდში გადადიოდა და მის სხვადასხვა საჭიროებას ხმარდებოდა. ჩვენ ხელთ არსებული ცნობებით, 1900 წლისათვის ამხანაგობის განკარგულებაში ყოფილა 5 დუქანი და სხვა სავაჭრო, რომლის წლიური შემოსავალი უდრიდა 4000 მანეთზე მეტს. 1900 წლისათვის ძმობას ბანკში დაბანდებული ჰქონია 45000 მანეთი. გარდა ამისა, ძმობას ჰქონდა თავისი პატარა საქონლის ფერმაც, სადაც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას[21].

ამ შემოსავალზე იყო დამოკიდებული კონსტანტინოპოლის ქართული სასულიერო სკოლის ბედიც, რომლის კონტინგენტი თანდათან იზრდებოდა. პეტრე ხარისჭირაშვილს მიაჩნდა, რომ ამ სასწავლებელდამთავრებულს შეუძლია შეასრულოს როგორც სასულიერო, აგრეთვე სამოქალაქო სამსახური. იგი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა სასწავლებელში ქართველი მაჰმადიანების მოზიდვასა და მომრავლებას და ფიქრად ჰქონდა, ისინი როცა დაამთავრებდნენ სასწავლებელს, გაეგზავნა ადგილებზე, როგორც ქართული ენისა და მამულიშვილური გრძნობების დაცვისათვის მებრძოლი მისიონერები. მისი აზრით, როცა ამგვარად მომზადებული პატრიოტებით დაიფარებოდა „თურქეთის საქართველო“, მაშინ დადგებოდა რეალური პირობები საქართვე-

---

[20] სირა — მწკრივი, ხაზი, ამ შემთხვევაში სტრიქონი (თურქულია).

[21] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, ანაწერი 2546.

ლოს სრული გაერთიანებისა. კათოლიკური სამყარო ამ საკითხს თავისი კუთხით უყურებდა და სულ სხვანაირად აფასებდა მას. „წმინდა რომა“ ფიქრობდა, რომ მუსულმან ქართველთა შორის „გვაროვნული“ პროპაგანდის წარმოება და ეროვნული გრძნობების გაღვიძება შექმნიდა პირობებს მათი გაკათოლიკებისათვის. ამ საქმეში ქართველი კათოლიკენი მეტად საჭირონი იყვნენ. 1878 წ. ფრანგული გაზეთი „ინდეპენდანტ ბელგიეში“ წერდა: „ცხრამეტ მარტს 1876 წ. წმ. იოსების დღესასწაულის დროს დიდძალი ხალხი დაესწრო სტამბოლში ქართველ კათოლიკეთ ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვას, სხვათაშორის იყვნენ სამი პრიმასი (მღვდელი) ქართველ კათოლიკებისა და მონსინიორი კრასერი, არხიეპისკოპოსი დეკლოსერი, ვიკარი ტესტა და სხვანი. წირვის დროს ქართულად გალობდნენ. ქართული გალობა საამო სასმენელი ყოფილა. წირვის შემდეგ აქ ქართველთ ეკლესიის დამფუძნებელმა პ. ხარისჭირაშვილმა და ერთმა სხვა პატრმა სიტყვა წარმოსთქვეს ქართულად. ამ შესანიშნავ მონასტერთან გამართულია ორი სკოლა, ერთი სავაჟებო, მეორე საქალებო, რომელშიაც მოწაფეებს ქართულად ასწავლიან ყველა საგანს. ეს სკოლები ამ თხუთმეტი წლის წინ არის დაფუძნებული. ამჟამად ამ სკოლაში 160 ყმაწვილი სწავლობს, თითქმის ყველა ქართველები არიან, თუმცა მცირედ ბერძნები და სომხებიც ურევიან, რომლებიც აგრეთვე ქართულსა სწავლობენ. მიზანი ამობისა არის ნაციონალურის გრძნობების აღძვრის საშუალებით კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება ოსმალეთის გამაჰმადიანებულ ქართველებში“[22].

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ოდნავ გვაეჭვებს აქ მოტანილი მოსწავლეთა რიცხვი (160), ვერწმუნებით იმ აზრს, რომ 80-იანი წლებისათვის მისი კონტინგენტი საკმაოდ გაზრდილი იყო, რომ ქართველთა ამ სასწავლებლებში, მართლაც, სწავლობდნენ ბერძნები, სომხები და აქა-იქ ქართველი მაჰმადიანებიც. ის ვარაუდი, რომ ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა მიაშურა სტამბოლის ქართულ სკოლას, იქიდანაც მტკიცდება, რომ 1896 წ. სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე მელვინიშვილი ის. გვარამაძეს ახალციხეში სწერდა: „მამაო გვარამაძევ, მაქვს ვედრება თქვენდამი და ველი, რომ ამ ჩემს ვედრებას უდებყოფთ და კიდევაც ეს გახლავთ თხოვნის მიზეზი.... თუ რომ შეიძლება, თქვენგნით, როგორც წერაკი-

---

[22] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, აბატი ხარისჭირაშვილი, 1895, თბ., გვ. 74—77.

თხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი შეიძლოთ სახეში მიღება და ცოტაოდენი წიგნებისა ორ-ორი ეგზემპლარი მომიძებნოთ, რადგან ქართველ თათრებმა ზალლა წაიღეს და ზოგიც მაი-პანი კიდევაც გაკვეთილს იღებენ ჩემგან და წიგნების სიმცირეშ მეტის მეტად შეწუხება მომაყენა“[23].

ბევრი ქართველი მაჰმადიანი იქამდე დაუახლოვდა „ქართველთა ძმობას“, რომ ეკლესიაში ქრისტიანულ ქადაგებაზედაც კი დაიწყო სიარული. „აქ სამი რიგის ქართველები არიან, — წერდა სასწავლებლის მოძღვარი სტეფანე გიორგაძე 1909 წ., — კათოლიკენი, არა კათოლიკენი და მაჰმადიანნი“[24]. მართლაც, რელიგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, შორს გადაკარგული ბევრი მაჰმადიანი ქართველი თავიანთ თვისტომ ქართველებთან არჩევდა ყოფნასა და სიახლოვეს.

ფერიქოვის ქართული სკოლის მასწავლებლებს სკოლაში შემოღებული ჰქონდათ სწავლების თავისებური მეთოდები და ხერხები. 1900 წ. მუღაშაშვილმა მოინახულა სტამბოლის აღნიშნული სკოლა. მისი ყურადღება მიიპყრო იქ სწავლების ახლებურმა მეთოდებმა, რომელსაც თავისებური დადებითი შედეგები მოსდევდა. მუღაშაშვილი კონსტანტინოპოლიდან თამარაშვილს სწერდა: „აქ ყმაწვილებს ბენედიქტეს მშვენიერი მეთოდით კარგათ შეუსწავლიათ ფრანგული, ფრანგულად ლაპარაკობენ უკვე“[25].

სკოლის მოსწავლენი განსაკუთრებული მონდომებით ეწაფებოდნენ ქართულ ლიტერატურას. მათ წრეში დიდი სიყვარულით სარგებლობდა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის გენიალური ავტორის შოთა რუსთაველის პორტრეტი 1874 წ. თამარ მეფის სურათთან ერთად გადაბეჭდეს თავიანთ სტამბაში. როგორც ფაქტებიდან ჩანს, ბევრმა მოსწავლემ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილები, ხოლო ზოგიერთმა მთლიანად პოემაც. ამ ფაქტს ადასტურებს მათი პირადი წერილების გაცნობაც. ალბათ, ქართული ლიტერატურის დიდი სიყვარულის წყალობით იყო, რომ ამ მოსწავლეთაგან ბევრი თხზავდა ლექსებსაც. სკოლაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა წიგნი და მისივე „ევროპაში მოგზაურობა“, რომელიც ხელნაწერის სახით ინახებოდა ბიბლიოთეკაში. ამავე ბიბლიოთეკაში

[23] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერი, ფ. № 2684.

[24] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, ს. 169, ფ. 81.

[25] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 319, ფურც. 49.

იყო შემონახული „ქართლის ცხოვრების", „მარგალიტის" (დიდაქტიკური კრებული), „ოთხთავების", „იამბიკოებისა" და სხვა მრავალი წიგნის ხელნაწერები[26].

ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ სკოლაში ვინ კითხულობდა გაკვეთილს, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ „ვინ აძლევდა დასებსა". მასწავლებელნი განსაკუთრებით მომზადებულნი „ფილოსოფოსნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ შესძლებოდათ მოსწავლეთა რიგიანი გაწვრთვნა". მოსწავლეები მარტო „ღვთის მოშიშობითა" და მორჩილი ბუნებით არ შეირჩეოდნენ. ანგარიში ეწოდა იმას, თუ ვის შეეძლო გამოსულიყო სამაგალითო სწავლული და ვის შეეძლო გამოსდგომოდა თავისი ცოდნით სამშობლო ქვეყანას[27].

1880—1900-იანი წლებისათვის სკოლაში ნამდვილი სპარტანული მეთოდები იყო შემოღებული. სწავლის გარდა მათ მკაცრად სთხოვდნენ ფიზიკურ მომზადებას: გამძლეობას, ამტანობას, მოქნილობას. ყველასათვის სავალდებულო იყო ცურვის სწავლა. მოსწავლეთა ნაწილს, ვინც სწავლაში გამოიჩენდა თავს, საეკლესიო ძმობის ხარჯზე აგზავნიდნენ ფრანგულ და იტალიურ სემინარიებში. მოსწავლეთა დიდი ნაწილი მაინც სტამბოლის იეზუიტების ფრანგულ სემინარიაში რჩებოდა, სადაც ქართველი სემინარისტებისათვის კვირაში ორჯერ განკუთვნილი იყო გაკვეთილები ქართულ ენაში, ლიტერატურასა და ისტორიაში.

XIX ს. მიწურულისათვის კონსტანტინოპოლის ქართულ სკოლას ყურადღება მიაქცია საქართველოს საზოგადოებრიობამ. ქართულ პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდებოდა კორესპონდენციები და წერილები ამ სკოლის შესახებ.

1897 წ. გაზ. „ივერიის" კორესპონდენტი ეწვია სტამბოლის ქართველთა ძმობას და მოინახულა მისი სასწავლებელი. კორესპონდენტის ჩასვლა დაემთხვა სკოლაში გამოცდების დაწყებას. იგი დაესწრო გამოცდებსაც, ყოველივე იქ ნახულით გაოგნებული და აღფრთოვანებული კორესპონდენტი ამავე წლის ივლისში „ივერიას" სწერდა: „3 ივლისს ამა წლისა იყო წლიური გამოცდა კონსტანტინოპოლის ჩვენ ქართველ კათოლიკეთა ახლად დაარსებულ ქართულ-ფრანგულ სკოლაში. ყმაწვილებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ქართული კითხვა-წერა, გრამატიკა და ხალხური სიმღე-

[26] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწ. ფონდი, № 2662.

[27] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 165, გვ. 14.

რები. ფრანგული და ლათინური გვარიანად იცოდნენ. ყველა აქ დამსწრენი კმაყოფილი დავრჩით. გამოცდამ გასტანა ოთხი საათი. ბოლოს დავარიგეთ საყმაწვილო წიგნები... ის წიგნაკები დიდის სიხარულით და პატივით მიიღეს პაწაწინა მესხებმა, რომელთა მომავალისაც დიდი იმედი გვაქვს. დამფუძნებული წინამძღვარი სკოლისა მამა სტეფანე გიორგაძე ძმებითურთ დიდ მადლობას უძღვნიან შეწირულებისათვის“[28].

ფერიქოვის ქართული სკოლის ზოგი მოსწავლე სისტემატურ მიწერ-მოწერას აწარმოებდა მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან. მათი წერილების შინაარსი ყოველთვის სამშობლო ქვეყნის ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხს შეეხებოდა. ზოგი მათგანი უკვე ფიქრობდა მშობლიური ისტორიის საკითხებზე მუშაობას და თადარიგსაც იჭერდა (მ. თამარაშვილი, მ. ანტონოვი, დ. მუღაშაშვილი, მ. თარხნიშვილი, ა. ბათმანაშვილი და სხვ.). „ყურადღებით შევაგროებ ყველა ჩვენი ძველი ცხოვრების ნაშთსა, — წერდა 1907 წ. სკოლის მოსწავლე ალოიზ ბათმანაშვილი, — ეს შრომა კიდეც დაწყებული მაქვს. ჩვენი მონასტრის ბიბლიოთეკაში უყურადღებოდ მიყრილნი იყვნენ ხელნაწერები, მღილთაგან შეჭმულნი და ნოტიოებისაგან დაზიანებული. ესენი შევაგროვე და გავჩხრიკე და ჯერჯერობით 10 ხელნაწერი მაქვს ხელში.

1. ოთხთავი — ტყავზე ნაწერი ჩვეულებრივი ხუცურით. დამწერის ხელი საოცრად მშვენიერია, ისე რომ მრავალნი მეკითხებოდნენ დაბეჭდილი ხომ არ არისო.

2. ოთხთავი — მსხვილ ქაღალდზე ნაწერი, გადაწერილი ვიღაც დავითისაგან „ღ´მე ფ´დ ცდვილი დავით და მეუღლე მისი გულივარდა“. ეს ოთხთავი დაუხსნია მზექალას თავის შვილის სვიმონისათვის. თარიღი არსად უძევს.

3. სამწირველო კონდაკი — ესეც ხუცურად ნაწერი. პირველ ფურცელზედ მხედრულად აწერია: ეს წიგნი ნარის ბეჟანს ძეს შ´გ წელსა ათასი რვასი. ჩემის აზრით ეს წიგნი ერთი ანტონათაგანის დროს ეკუთვნის, რადგან მხოლოდ ეს ორნი იყვნენ მგონია, რომელნიც დაყოფის შემდგომ თავიანთ თავს უწოდებდნენ „ყოლის საქართველოს კათოლიკოსად“. აი, აქ როგორ იხსენიება კათალიკოსი „წ´მ მთავარი ჩვენი სახელ პატრიარხი(?) სამეუფოსა ქალაქისა, ახლის იერუსალემისა მცხეთის ქართლისა, კახე-

---

[28] გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 185.

თისა და ყ˝დ საქართველოისა". 4. იამბიკონი ჩართულ მხედრულით ნაწერი, ვიღაც პოლოსპაგან. აი დანარჩენი ხელნაწერები: 5. თელემაკი, 6. ქრესტომათიასავით წიგნი (მგონია 1499 წლის), ჩვეულებრივი ხუცურით, რომელიც შეიცავს ღვთისმშობლის ცხოვრებას, მარგალიტს, სამოთხეს და კვლავ მარგალიტს. წიგნი დიდი სახისაა, შეიცავს 608 გვ. გადაწერილია ნათანაელისაგან. 7. ს. ორბელიანის მოგზაურობა ხუცურად 1768 წ. 8. სადღესასწაულო 1786 წლისა ხუცურად, 9. რიტორიკა ანტონ კათალიკოზისა, 10. ქცევითი ღვთისმეტყველება — სომხურიდან ნათარგმნი 1785 წ. ახალციხელი მღვდლის მიერ.

ძნელად წარმოიდგენთ რარიგ ნუგეშია მწირ ქართველისათვის, როდესაც იგი ეღირსება მამაპაპათ დიდებულ ნაშთების ნახვასო"[29].

მოსწავლე ა. ბათმანიშვილის მიერ ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკაში აღწერილი ეს ხელნაწერი წიგნები, დაწყებული ტყავზე ნაწერი ოთხთავიდან გათავებული ქცევითი ღვთისმეტყველებით, დღეს ჩვენი მეცნიერებისათვის ხელმიუწვდომელია. შეიძლება მათ ადგილსამყოფელი არც უცვლიათ, ამას უნდა შემოწმება. ბათმანიშვილისავე ცნობით, ასეთი ხელნაწერი იყო 36 შოზრდილი ზომის წიგნი. გულისხმიერი მოწაფე დიდხანს უკირკიტებდა „იოანე პეტრიწის თარგმან-მარგალიტს", რომელიც XIV ს. ბოლოს მესამედ გადაეწერა ნათანაელს. აქ ერთ მინაწერს — „ი˝ნემ ˝ნ ფლსფსმნ̃ პიმპიმელმან ატტიკურისა ელადელთა ხმისაგან სპანთ მოსახლედ ენად მოცვალა ესე"[30] — იგი საგონებელში ჩააგდო. ეს „სპანები" ახალი საბუთი ხომ არ არის იმისა, რომ ქართველები „ისპანელთ განაყოფნი" არიანო და თბილისსა და ახალციხეში მოწერილი წერილებით ცდილობდა საკითხის გარკვევას. „ბპე" რა ნაწილია კარისა, როცა „კარიბპეს" ერთად წარმოვსთქვამთ, ან „ბპობა" რა ურთიერთობაშია ამ სიტყვასთანო. ასეთი იყო კონსტანტინოპოლის ქართველ მოსწავლეთა განათლების დონე, მათი ინტერესთა წრე.

ქართველი მოსწავლენი ხშირად ფერიქოვის დედათა სავანის მოლოზნებთან ერთად საღამო-წარმოდგენებსაც მართავდნენ. გამოდიოდნენ მდიდარი პროგრამით ფრანგულ, ქართულ, თურქულ ენებზე და მაყურებელთა მოწონებას იმსახურებდნენ. ერთი ასე-

---

[29] სჯმხფ, საქ. 507, გვ. 1.

[30] სჯმხფ, საქ. 2665, გვ. 2.

თი წარმოდგენა გამართეს 1894 წ. 8. მაისს, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო და 40 ოქროზე მეტი შემოვიდა[31]. ეს ფული ფონდში ირიცხებოდა და ახლად დაწყებული სასახლის მშენებლობას ხმარდებოდა. ფერიქოვის ქართველებმა 1908 წ. 26 აპრილს დიდი ამბით გადაიხადეს აკაკის იუბილე და სხვა.

ქათოლიკური ს ეს ცენტრები კონსტანტინოპოლში, მონთობანში, ვენეციაში წარმოადგენდნენ სინას, ათონის, ჯვრისა და სხვა კულტურული ცენტრების დაგვიანებულსა და ფერშეცვლილ გამოძახილს, რომლის მოღვაწეობის მთელი შინაარსი საქართველოს ეროვნული და ეკონომიკური კონსოლიდაციის ბაზაზე ევროპულ კულტურასთან დაახლოება იყო. ეს ემსახურებოდა აგრეთვე კათოლიკე ქართველთა გვაროვნობის გარკვევას, რისთვისაც ამდენი იღვაწა პ. ხარისჭირაშვილმა.

## იოანე ხუცესი და მისი დღიური წერილები

XVIII ს. 60-იანი წლებიდან შემორჩენილი გვაქვს ახალციხის საფაშოს ცხოვრების ამსახველი შესანიშნავი ქრონიკები — დღიური წერილები — ახალციხელი კათოლიკე ხუცესის ხოჯა ოჰანათ იოანეს დაწერილი. დღეისათვის აღნიშნული დღიურების სამი ვარიანტია დაცული. ერთი ცალი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (H ფონდი № 2782), მეორე ცალი სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (№ 27), მესამე ცალი აკად. ნ. ბერძენიშვილის პირად არქივში. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი დედანი არ არის. ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ცალები XIX ს. 90-იან წლებში გადაუწერია ივ. გვარამაძეს, ბერძენიშვილის არქივში დაცული ცალი კი იოანესავე ნათესავებს. სამივე ამ ცალის პირველი ადგილსამყოფელი ახალციხეა[1]. ქრონიკებს ყველა ვარიანტში დასაწყისი აკლია. შედარებისას გამოირკვა, რომ ყველაზე სრულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ვარიანტი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს გამოცემას. ვარიანტებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა, რაც უმთავრესად უნებლიედ დაშვებული შეცდომებითა და კორექტურით განისაზღვრება. ჩვენ ამ სხვაობებს ახალციხურ ვარიანტთან ვაჩვენებთ სქოლიოში. როცა ივ. გვარამაძემ ნახა და გადაწერა აღნიშნული დღიური წერილები,

---

[31] იქვე, გვ. 6.

[1] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, თბ., 493.

იგი მაშინ იწყებოდა 1763 წ. 2 იანვრიდან — „1763 წ. იანვრის 2 თათრის ჯარი იმერეთიდან მობრუნდა სამშაბათსა".

ქრონიკების დამწერი იოანე ხოჯავათი ანუ ხოჯაშვილი თავად ახალციხელი ქართველი კათოლიკე ყოფილა. როგორც სხვა ახალციხელი ქართველი კათოლიკენი, იოანეც სომხურ-კათოლიკურ რიტზე იდგა. იგი დღიურებში თავისთავს ხუცესობით იხსენიებს, ამიტომ ჩვენც მოკლედ იოანე ხუცესს ვეძახით (რადგან ხოჯევანთი თუ ხოჯასშვილი უფრო საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინია და არა გვარი. ხოჯა ქართულად ვაჭრის, მასწავლებელია).

იოანე დაბადებულა ქ. ახალციხეში, რაბათში. დაბადების წელი ცნობილი არ არის. სავარაუდებელია, რომ 1763 წ. ჩვენამდე მოღწეული პირველი ქრონიკის დროს, სულ ცოტა, 30 წლის მაინც უნდა ყოფილიყო, რადგან მას საჭირო სწავლა უკვე მიღებული ჰქონდა, რომიდან თუ კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებული და მღვდლად ნაკურთხი სოფ. უდის ეკლესიის წინამძღვრად მუშაობდა. იოანეს მამა, რომლის სახელი არ ვიცით (ქრონიკებში მას მამობით იხსენიებს), ვაჭარი ყოფილა, რომელიც უმთავრესად არზრუმ-სტამბოლის ბაზარზე დაიარებოდა და იქიდან ხან აგზავნიდა და ხან თვითონ მოჰქონდა საქონელი. იოანეს მამამ 1765 წ. თებერვალში არზრუმიდან მის მიერ გამოგზავნილი დიდი ხარა (ნავაჭრი საქონელი) დაკარგა. ამის ნიადაგზე იჯავრა, ლოგინად ჩავარდა და 1766 წ. 28 მარტს მიიცვალა. გარდაცვლილი მამის დუქნებსა და ხელობას იოანეს მომდევნო ძმა ლუკა დაპატრონებია, რომელიც შემდეგ ახალციხის „ფაშის მუსაფაც" შეიქმნა. იოანეს დედა გარდაიცვალა 1776 წ. ჰყავდა ორი და: ეკატერინე, რომელიც მასზე უფროსი ყოფილა, და ელენე, რომელიც 1777 წ. აწყვერელ ივანე საკაშვილზე გაუთხოვებიათ. ჩანს, იაოანე ხუცესი „პროპაგანდა ფიდეს" სასწავლებელში გაწვრთნილა სამღვდელოდ, რადგან მან ზედმიწევნით იცოდა რამდენიმე ენა, მათ შორის ლათინური, ფრანგული, იტალიური. იოანეს, როგორც ყველა მისიონერს, იქვე უსწავლია აქიმობა. ახალციხეში დაბრუნებული სოფ. უდის ეკლესიის წინამძღვრად გაუმწესებიათ. უდეში გამწესებულ ახალგაზრდა მოძღვარს უმალ ხელი მიუყვია სოფლის ეკლესიის განახლებისათვის: დაზიანებული ადგილები შეუკეთებინებია, საყდრის იატაკზე ქვაფენილი დაუგებინებია, მთელი საყდარი შეულესვინებია და შეუთეთრებინებია. გაუთავებელ რემონტს ერთ დროს იქაური ხუცების გულისწყრომაც კი გამოუწვევია. უდეში

მყოფ იოანეს თურმე ხშირად იბარებდნენ ახალციხეში სხვადასხვა საეკლესიო და სამოქალაქო ხასიათის წერილებისა და ლიტერატურის თარგმნისათვის.

1767 წ. 18 აპრილს სტამბოლიდან მოვიდა ქარავანი, რომელსაც მოჰყვა „პროპაგანდა ფიდეში" განსწავლული ახალგაზრდა მოძღვარი გრიგოლ კრუხიჭამიანთი (ხურსიძე). იგი მალე დააწინაურეს და დანიშნეს ახალციხის პროვიკარად, გრიგოლის პროვიკარობის შემდეგ იოანე ხუცესის საქმეები სულ აიწეწა. „გრიგოლმაო, — შენიშნავდა მ. თამარაშვილი, — ავტორიტეტის იარაღი ცუდად მოიხმარა. უმეცარი მღვდლები თანამდებობიდან გადააყენა. ხოლო მასზე მცოდნენი, როგორც იყვნენ: გრიგოლ მაქანდარაშვილი, იოანე ხუცესი, იოანე გარსევანიშვილი, იოსებ ორთავაშვილი შეაჩვენა. ამის გამო ახალციხის კათოლიკე მოძღვარნიცა და ეკლესიაც ორად გაიყო. ერთ ფრთას სათავეში ედგა კრუხიჭამიანთ გრიგოლ მღვდელი, რომელიც ერთი სომეხი მღვდლის ხაჩატურ არუპჯუმის გავლენას განიცდიდა, მეორე ფრთას სათავეში ჩაუდგა განათლებული, ენერგიული და დაუდეგარი იოანე ხუცესი (ხოჯევათი). კონსტანტინოპოლში მჯდარი ეპისკოპოსი თრაქია უძლური გამოდგა მოესპო ეს განხეთქილება ქართველ კათოლიკეებში. საკითხი რომში წმინდა კრებამ განიხილა, რომელმაც ურჩია იოანეს ახალციხიდან კონსტანტინეპოლში გადასულიყო და მოევლო იქაური ქართველი კათოლიკეებისათვის. იოანე ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა"[2].

იოანეს პირად ნერვიულობას ისიც დაემატა, რომ 1767 წ. 12 მაისს ს. უდე აიყარა და წავიდა ჩარნაგეთისაკენ. უდის ჭალაში ჰაჯი ალი ბეგის მეთაურობით იმერეთში გასალაშქრებელი ჯარი განლაგდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი იოანე მცირე ხნით ჩამოვიდა რაბათში, 23 მაისს ახალციხიდან ქუთაისში გაემგზავრა და იქ კათოლიკეთა მონასტერს მიაკითხა. შეჩვენებიდან ახსნილი იოანე კვლავ მღვდელმსახურების აღსრულებას შეუდგა. ქუთაისში დარჩა 1777 წლამდე და თავის ქრონიკებში საკმაო სისრულით შეიტანა იმ დროს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები.

1777 წ. სომეხ მარტიორის ვართაპეტის დაბეზღებით, რომელმაც საკმაო ქრთამიც გაიღო, სოლომონ 1-მა იოანეს ქუთაისში მღვდელმსახურება აუკრძალა და დაითხოვა. შემდეგ მეფემ ქუთა-

---

[2] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 494—495.

ისელ კათოლიკეებს მოსთხოვა ან მართლმადიდებლობაზე გადადით ან გრიგორიანობაზეო. იოანე 1777 წ. 6 აპრილს ქუთაისიდან წამოსულ თათარ ალა აბულაძის ამალას გამოჰყვა ახალციხეში და 10 წლის შემდეგ მამისეულ კერას დაუბრუნდა.

ახალციხეში დაბრუნებული იოანე „ავ კაცთა დაბეზღებით“ სულეიმან ფაშას დაუპატიმრებია და მხოლოდ 425 ყურუში ქრთამის გაღების შემდეგ გაუთავისუფლებია. ასეთ ვითარებაში იოანემ ახალციხეში ადგილი ვერ ნახა, მას მოსავლელად მისცეს შორეული არტაანის სანჯაყის კათოლიკე სოფლები: ველი, გუგუბო, ნაქალაქევი და სხვა. იოანემ იქ თავისი თვალით ნახა, თუ როგორ თმობდა არტაანის ქართველობა თავის პოზიციებს, როგორც იბრძოდნენ მისი დაუფლებისათვის მაჰმადიანური, გრიგორიანული, ბერძნულ-მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიები, როგორ ხდებოდა მათი გადაქართველება. იოანემ იქ თავი გამოიჩინა დოსტაქრობით: მან იცოდა წამლების დამზადება და დანიშნულებისამებრ მიცემა, საჭიროების შემთხვევაში კი „სისხლის გამოშვებაც“.

1783 წ. 16 ივნისს იოანე ხუცესი და პროვიკარი გრიგოლ კრუხიჯამიაშვილი შერიგდნენ, რის შემდეგ იოანეს ახალციხეში დაბრუნება ეღირსა. 3 წლის შემდეგ გრიგოლ კრუხიჭამიათი გარდაიცვალა. იოანე პირადად დამშვიდდა და პოზიციები საკმაოდ განიმტკიცა, თუმცა დროდადრო გრიგორიანულ თუ სომხურ კათოლიკურ ეკლესიასთან თავის გამო არაერთგზის შეხვდა უსიამოვნება, „ზანჯირხანაში“ გამოკეტვა და ჯარიმის გადახდა. სომხური ეკლესიის წარმომადგენელს სულთანის კარიდან მიჰქონდათ სპეციალური ფირმანები, რომლის საფუძველზედაც მოითხოვდნენ, რომ ახალციხის ქართველი კათოლიკენი მათ მოხარკეებად გადაქცეულიყვნენ. 1800 წ. იოანე ხუცესი მცირე ხნით კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომ ახალციხის პროვიკარის თანამდებობაზე წარადგინა და დაამტკიცა კიდეც, იგი იმავე წელს შაჰყულიანმა შეცვალა.

იოანე ხუცესი თავის დროის კვალობაზე საკმაოდ განათლებული პიროვნება ჩანს. მისი ქრონიკების დამწერის კულტურა, მოვლენებიდან ძირითადი საკითხების გამოცნობისა და გამოყოფის უნარი, სხარტი და მოქნილი ქართული ენა, მოზომილი სტილი იმაზედაც მიუთითებს, რომ ავტორისათვის ეს ერთადერთი თხზულება არ იყო, რომ იგი საკმაოდ გაწაფული და დახელოვნებული

ხრონოგრაფია. 1768 წ. 8 მარტის ერთ მინაწერში კიდეც ამბობს, რომ „ამას გარდა მრავალი მიწერია, მაგრამ აქ შემოკლებით ვწერო“[3]. „აქ შემოკლებით წერა“ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ იგივე საკითხები მას აღრე უფრო ფართოდ ჰქონდა დაწერილი და გაშუქებული. შეიძლება ეს ქრონიკები მისი ერთგვარი კონსპექტური ჩანაწერიც იყო. შემონახული ცნობების მიხედვით იოანე ხუცესმა მშობლიური ქართული ენის გარდა იცოდა ლათინური, ფრანგული, იტალიური, თურქული, სომხური ენები, რომელზედაც შეეძლო თარგმნაც და თარგმანებაც, გარდა ამისა, იგი ყოფილა გადამწერ-კალიგრაფი. მაგ.: 1774 წ. 3 მაისს მან გადაწერა დაიწყო სულხან-საბა ორბელიანის „მიმოსვლისა“, იმავე წელს 1 ივლისს დაიწყო რომელიღაც ხრონოღრაფიის გადაწერა, რომელიც 20 აგვისტოს დაამთავრა[4], და ასე შემდეგ. შეიძლება ამ სამუშაოს იგი შეკვეთითაც ასრულებდა.

იოანეს ვხედავთ აგრეთვე სამეურნეო საქმეში ჩართულს. ვალეში პირად საკუთრებაში ჰქონდა წისქვილი, რომელიც 1797 წელს გაყიდა[5]. 1790 წ. ფირაშვილის ქვრივისაგან ახალციხეში უყიდია დუქანი. იგი ხშირად ყიდულობდა საქონელს არტაანის მხარეს და მოჰყავდა ახალციხეში, ბოლოსდაბოლოს იოანე გაუტაცნია მეფუტკრეობას. იგი სიკვდილამდე მამისეულ გაუყრელ ოჯახში ცხოვრობდა და მიუხედავად იმისა, რომ თავად ცოლშვილი არ ჰყავდა, ფუტკარივით შრომობდა დიდი ოჯახის კეთილდღეობისათვის.

ქრონიკების ავტორი, გარდა ასეთი სამუშაოებისა, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, როგორც ახალციხის კათოლიკეთა ქვემო ეკლესიის სკოლაში, ისე სხვადასხვა სოფლებში. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნ. ფონდებში დღემდეა შემორჩენილი მის მიერ მომზადებული გადასაცემი გაკვეთილების გეგმა-კონსპექტები, ნახაზები. შემორჩენილია ზოგიერთი კერძო მოსწავლის ვინაობაც. 1774 წ. ქუთაისში იგი ამეცადინებდა გრიგოლ გიორგაშვილს, 1779 წ. მასთან სწავლობდა სტეფანიშვილი იაკობის ვაჟი, 1777 წ. პეტრე ქაჩხუაშვილისა და პავლეს ძმისწულის შვილები და სხვ. იგი მკაცრი და მომთხოვნი მასწავლებელი იყო. თუ და-

[3] ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-ფონდი, საქ. 2782—83, გვ. 5.
[4] იქვე, გვ. 26.
[5] იქვე, გვ. 62.

ატყობდა, რომ ბავშვი ვერ ითვისებდა მიცემულ გაკვეთილებს, მას უკანვე „გაუშვებდა“, რეპეტიტორობას კი თავს არ ანებებდა.

იოანე ხუცესი, როგორც განათლებული მწიგნობარი და ენების მცოდნე, ახალციხის ფაშისა და იმერეთის მეფის ყურადღების გარეშე არასოდეს მდგარა. მეფე-მთავრებთან სიახლოვე იოანეს საშუალებას აძლევდა ქვეყანაში მომხდარი ამბები თავის დროზე და სისწორით შეეტანა ქრონიკებში. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ 1770 წ. 5 ივლისს, როცა იმერეთში ჩასულ ტოტლებენს მეფემ დარბაზობა მოუწყო, იმერეთის რჩეული თავადაზნაურობისა და კათალიკოს-მიტროპოლიტის გვერდით იჯდა იოანე ხუცესიც. იოანე თვალს ადევნებდა ურთიერთობას რუსეთთან თუ ქართლ-კახეთის სამეფოსთან. იგი პირადად იცნობდა მეფე სოლომონ პირველს, ალექსანდრე ბატონიშვილს, ახალციხის ფაშებს, ქართლის სამეფო სახლის წევრებს, დადიანებს, გურიელებს. მათთან ხშირად ძღვენითა და საჩუქრებით მიდიოდა.

იოანე ხუცესის მემკვიდრეობა მარტო მისი ქრონიკებით, ანუ მისიონერული დღიურებით არ ამოიწურება. დარჩენილია მისი თეოლოგიური ხასიათის ვარჯიშობანი, კათოლიკური ლექციონარის თარგმანები და სხვ. დღემდეა შემორჩენილი იოანეს ხელით დაწერილი იმერეთის მეფის სოლომონის მიერ გაცემული წყალობის წიგნი: პაატა, ბერი და გიორგი წულუკიძეებისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ ადრე მათი მამა განუდგა მეფე სოლომონს და მეფის ორგულ როსტომს ემოყვრა, რისთვისაც მამულის ჩამორთმევით დავსაჯეთო. ახლა მის შვილებს მეფის ერთგულებისათვის კვლავ უბრუნდებოდა ძველი მამული. წყალობის წიგნი შედგენილია 1772 წ. „ხელითა მდაბლითა იოანესითა“.

მისი ქვევითი ხასიათის ჩანაწერები, გადასაცემი გაკვეთილების შედგენილობა, მიმართვის სახეთა კატეგორიები, ტექსტოლოგიური საწყისების შესწავლის ცდა და სხვა ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია იოანე იმერეთში უფლისწულთა და საერთოდ სამეფო კარის შვილთა აღმზრდელადაც იყო მიწვეული. ასეთი საქმიანობით იგი დაახლოებული ჩანს ახალციხის საფაშო სახლთანაც[6].

საინტერესოა იოანე ხუცესის ხელნაწერებში აღმოჩენილი სახეთა კატეგორიები ანუ „სახეები“, რომლებიც ქართული დიპლომატიკის ისტორიის ძვირფას მასალას წარმოადგენს. აქ ვხვდებით

---

[6] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 493—499.

მიმართვის, თხოვნის, ბრძანების, შეწყალების, მონანიების, შეჩვენების, გლოვის, სამძიმრის, მილოცვის, ანდერძის, ნასყიდობის და სხვა „სახეებს“. მაგ., სააუდიენციო თხოვნის სახე ასე იწყებოდა: ...სიტკბოებისა მდინარესა და მარად მრწყველსა გულსა ჩემისასა სავსესა ზეცეთილ ვნებით სრულ ქმნილსა, საყვარელს და თანამებუნებეს ბატონს... (ადრესატის სახელი და ვინაობა — შ. ლ.) მარადის თქვენი მუსაიბობის პირისპირ განცდის ტრფიალებას მოგახსენებ“...[7] (მთხოვნელის სახელი და ვინაობა).

სამძიმრის „სახე“: — „მოვიდგამ საწერელს გლოვისასა და ამოვაწებ კალამს მწუხარებისასა“[8] — ამას მოსდევდა მიცვალებულის სახელი, ვინაობა, ცხოვრებაში მისი მახასიათებელი დეტალები და პირისუფლისადმი მძიმე ხვედრის შემამსუბუქებელი სიტყვები.

შეჩვენების „სახეში“ ჯერ საუბარი იყო შემჩვენებლის ძალებსა და შესაძლებლობაზე, თუ რა ძალით ხდებოდა შეჩვენება. „ძალითა ყოვლად ძლიერთა წმიდისა სამებისა, წყალობითა უფლისა ჩვენითა იესო ქრისტესითა და სამოციქულო იკლესიისათა“, შემდეგ აღნიშნული იყო, თუ ვისი განკარგულებით ხდებოდა შეჩვენება: „ფრიად პატიოსნისა და ბედნიერის ხელმწიფის, მეფეთ მეფის ... ნებით მისსა საბრძანებელსა შინა“. ამას მოსდევდა შეჩვენების ობიექტის ვინაობა და მიზეზი — „დავსწყევლი და შევაჩვენებ (მავანს და მავანს) ამა მიზეზისათვის რომ“...[9] დაიწყებოდა დანაშაულის ძირითად მოტივთა ჩამოთვლა. შეჩვენება განმტკიცებულ იყო ქრისტიანეთადმი ფიცის პირობის დადებით, რომ შეჩვენებულს გასაჭირში არავინ ხელს არ გაუწვდის და განერიდებოდა „ვითარცა კეთროვანს“.

ერთგან სასიყვარულო წერილის „სახეში“ ერთგულებისა და მონატრების გრძნობების გამხელის შემდეგ აღნიშნულია: „ნეტარ შენს სიყვარულში იმფერ გამლია, რომ ამ წიგნს შიგან გამხვიაო“[10]. ზოგიერთ „სახეში“ ფიქსირებულია XVIII ს. საქართველოს ცხოვრებაში კანონიზირებული უფლება-მოვალეობანი სახელოთა თანმიმდევრობისა და მნიშვნელობის აღნიშვნით. „სამეუფოსა ქალაქსა — ახლისა იერუსალიმისა მცხეთისა დედა ეკლესიითგან“. ერთი „მიწერილობის“ სახეში ვკითხულობთ: „მოგიწერთ თქვენ, მა-

---

[7] ხჯმხფ, საქ. ე-134, გვ. 102.
[8] იქვე, გვ. 99.
[9] იქვე, გვ. 107.
[10] იქვე, გვ. 104.

ლალთა კეთილმსახურთა მეფეთა და კეთილმორწმუნეთა დედოფალთა, კეთილად შობილთა უფლისწულთა და ასულთა მეფეთასა, ყოვლად სამღვდელოთა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და არქიმანდრიტთა იღუმენთა, მღვდელთა დასთა და კეთილ მსასოებელთა დიდებულთა ერისთავთა, სარდალთა, მთავართა, თავადთა, აზნაურთა, დიდვაჭართა, ქეთხუდათა და ყოველთა ქრისტეს მოყვარულთა და სხვათა"[11].

ქართლ-კახეთის მეფისათვის მოხსენების „სახე" ასე იყო შედგენილი: „სახელმაღალსა და უქველეს უმხნესსა, ძლიერსა მეფესა ყოველთა საქართველოთა და ქართველთა და კახთა უმაღლესსა... მრავალგზის აღმატებულსა სიყვარულსა მდაბლად მოკითხვას მოვახსენებ"[12]. ახალციხის ფაშის ქეთხუდისადმი მიმართვის საკმაოდ გაზვიადებული „სახე" ასე იწყებოდა: „ქ. დიდებულსა და სახელოვნად წარჩინებულსა მაღალს ხელმწიფისაგან პატივცემულსა და ბედნიერთ ვეზირისაგან სწორის პატივით დიდებით შეყვარებულსა, სწორ უპოვარსა და სიკეთე მიუწვდომელსა ჩვენგან ყამყოველ მათ საკადრად ქებით სახსენ სამეტყველოსა ბედნიერს ვეზირის ქეხას, ყოვლადგანათლებულს... ჩვენ მათი სახელოვანის თავის სამსახურის დიდათ მდომი ანუ ჩვენ მუდამ მათი კარგად ყოფნის მდომი ვილანი, მრავლის მაგათი სახელოვნებით და ზნე ქცევა კეთილობით სრულ ქმნილი თავის საკადრის საფერს, საშვენს შესატყვისსა და ღირსს[13] სამსახურს მოვახსენებთ".

იოანე ხუცესის ამ მრავალმხრივი მემკვიდრეობიდან ჩვენთვის ყველაზე მეტად ძვირფასია მისი ქრონიკები, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა განსაკუთრებით სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობის, შიდაფეოდალური ომების, დიპლომატიკის, კულტურის, თეოლოგიისა და სხვა საკითხებზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ქრონიკების შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანი საუკუნეებისათვის უფრო მნიშვნელოვანი ამ ხასიათის ნაწარმოები არ მოიპოვება. ამასთან აღსანიშნავია, რომ მისი ქრონიკები მხოლოდ ადგილობრივი ფაქტების აღრიცხვით არ კმაყოფილდება. ჩვენ აქ ვხვდებით ზოგიერთ საერთაშორისო ფაქტსა და მოვლენასაც. მაგ., აქ შეტანილია ეკატერინე II-ისა და პავლე I სიკვდილი, რომის

[11] სჯმსფ, საქ. 134, გვ. 101.
[12] იქვე, გვ. 105.
[13] იქვე, გვ. 103.

ალება ფრანგების მიერ და პაპის რომიდან „სენის“ ქალაქში გაქცევა, თურქეთის სულთნების გარდაცვალება თუ ტახტიდან გადაყენება. ასევე ცნობები სპარსეთის ხელმწიფეების შესახებ და სხვ. იოანეს გაგებისთანავე შეაქვს ეს ცნობები ისევე, როგორც გაიგო. რასაც, რა თქმა უნდა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

იოანე ხუცესმა 1763 წ. იანვრიდან 1809 წ. მაისამდე, მთელი 46 წლისა და 5 თვის მანძილზე, თავისი თვალით ნახული და სარწმუნო პირთაგან გაგონილი ყველა საინტერესო ფაქტი და მოვლენა ამ დღიურებში შეიტანა. როდის დაიწყო ამ დღიურების წერა, არ ვიცით. არც ის ვიცით, მისი ნაშრომის დასაწყისს რამდენი გვერდი აკლია.

თუ მოძღვრად განწესების დროისათვის იოანე 30 წლისა მაინც იყო (როგორც ხდებოდა ხოლმე), მაშინ იგი XVIII საუკუნის 30-იანი წლების ახლოს უნდა იყოს დაბადებული და 1809 წ. ივნისში დაახლოებით 79 წლის ასაკში გარდაცვლილი. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე იოანე ბევრი რამის მომსწრე გახდა. იგი მუდამ ცხოვრების ორომტრიალში იყო ჩართული. მისი დაუღალავი და უდრეკი ნებისყოფის შედეგია, რომ უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც არ უღალატა დაწყებული „დღიური წერილების“ შევსებას და შთამომავლობას ამრიგად შემოუნახა ამ შფოთიანი საუკუნის მთელი სიავკარგე. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში დაცულ 1810 წლის შეწირულებათა კონდაკში ერთგან ვკითხულობთ: „ღმერთმან შეიწყალოს ხოჯა ოჰანათ იოანე და ცოცხალნი უდღეგრძელოს რომელთ შესწირეს ერთი ყოვლადი წმიდის ხატი თეთრი თანაქით მოკაზმული, ერთი წითელი ჩათხი, ერთი ბარძიმი, ერთი დიაკონის პერანგი, ერთი თითბარის ბურვარი, ერთიც ზანგაკი“[14].

მეორეგან: „ღმერთმან შეიწყალოს ბატონი მამა იოანე, რომლის მოსახსენებლად შესწირა მისმა ძმამ ლუკამ ერთი ყვიმჩების დუქნაი, ერთი ვერცხლის ბარძიმი თავისი ლამბაქითა, რომლის წონა არის 120 დრამი, ერთი ვემქარი, ერთი ახალი ფიჩვი და ერთი ხალიჩა ბემბზე საგები, სამასოცდაათი ყურუშიც ფარად. უფალმან შეიწიროს, მიცვალებულნი განუსვენოს და ცოცხლები დაიხსნას სულიერ და ხორციელი საცთურისაგან“[15]. შემდეგ ამ შესაწირს მისმა ძმისწულებმა მიუმატეს: ერთი ოლარი, ერთი ტრაპეზის სუფრა და ერთიც სახარება[16].

---

[14] სჯმხმ, საქ. 188, გვ 41.

[15] იქვე, გვ. 43.

[16] იქვე, გვ. 47.

ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ იოანე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და თავის ოჯახსა და ქვეყანასაც თავისი შეძლებისდაგვარი სარჩო დაუტოვა.

## სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. გვარამაძემ ჩვენი წარსულის გაბმული თხრობის მიზნით რამდენიმე ისტორიული ხასიათის წერილი თუ ქრონიკა ერთიმეორეს მიუსადაგა, შექმნა პერიოდიზაციული თანმიმდევრობა და ასე სხვადასხვა მასალა რამდენიმე დამოუკიდებელ კრებულად გადაწერა. ამგვარად, ივ. გვარამაძის მიერ გადაწერილ კრებულებში (როგორც ახალციხურ, ისე ხელნაწერთა ინსტიტუტის ვარიანტებში) სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკის ნაწილი იოანე ხუცესის გარდაცვალების შემდეგი პერიოდისათვის იქცა იოანეს ქრონიკის გაგრძელებად. ვგრძნობდით რა ყოველივე ამას, დიდხანს ვეძებდით იმ წყაროს, საიდანაც ამოდიოდა თვით ივანე გვარამაძე. 1976 წ. ამ წყაროს მივაკვლიეთ სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, ერთ-ერთ წირვების დავთარზე (საქმე № 159) მუშაობის დროს. ჩვენ შევნიშნეთ, რომ დავთრის ზოგიერთი მინაწერი ემთხვეოდა იოანე ხუცესის კრებულში ჩართულ სტ. ნავროზაშვილის ქრონიკათა მონაცემებს. აღნიშნული დავთრის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სწორედ იგი იყო ის პირველწყარო, საიდანაც ამოდიოდა თვით ივ. გვარამაძე. აღნიშნული დავთარი თავიდან ბოლომდე სტეფანეს მიერაა შევსებული. მის ყოველდღიურ ჩანაწერებში, წირვათა სიების გასწვრივ, ბევრი საინტერესო მინაწერია გაკეთებული, რომელთა ცალკე ამოწერამ და თავმოყრამ შეადგინა სტეფანეს წინამდებარე, მეტად საინტერესო ქრონიკები. ამ ქრონიკებით, რომელიც იწყება 1767 წლიდან, სტეფანე იოანე ხუცესის თანამედროვე და მისი მიმდევარი მოღვაწე გამოდის. მათ ერთიმეორესთან კარგი დამოკიდებულება ჰქონიათ.

სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკები იბეჭდება სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ფონდებში დაცული დედანი-დავთრიდან (საქმე № 159). რაც შეეხება იოანე ხუცესის დავთარში ჩართული ნაწილის ზოგიერთ სხვაობას, მას ვიყენებთ როგორც შესავსებ და შესადარებელ მასალას, რადგან ზოგიერთი ქრონიკა, რომელიც კარგად არ იკითხება, ან აღარ იკითხება (თავის დროზე ივ. გვარამაძეს ამოუკითხავს), რასაც თავ-თავის ადგილზე ვუთითებთ სქოლიოში.

იოანე ხუცესის ქრონიკასთან ერთად სტ. ნავროზაშვილის ქრონიკა ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს, სადაც თხრობა გრძელდება შვიდი ათეული წლის მანძილზე — 1767 წლიდან ვიდრე 1839 წლამდე. ქრონიკებში ფიქსირებულია იმ დროს მომხდარი ფაქტები და მოვლენები, რომელნიც შემაგრებულნი არიან მისი მონაწილის, თვითმხილველისა და თანადამხდურის ზედმიწევნითი სანდოობითა და სიზუსტით. ქრონიკებში ყველგან დაცულია შინაარსით დატვირთული და მკაცრად მოზომილი წესის სტილი. როგორც იოანე ხუცესის, ისე სტეფანე ნავროზაშვილის შემონახულ ცნობებში ტრადიციით შემუშავებულ სამ უმთავრეს კითხვაზეა პასუხი გაცემული — როდის, ვინ, რა?

წირვების დავთრის დასაწყისშივე სტეფანე ოდნავ ბუნდოვნად აღნიშნავს, „ჩემი თარიხი არის თარიხი 1767“ წელით. ამას მოსდევს მეორე ცნობა „1770 სტეფანაჲ დაიბადა მარტის 25“. ამ ორივე ცნობის გასწვრივ კი მარჯვენა აშიაზე იმავე ხელით მიწერილია: „ჩემი დიდი ძმა სტეფანე“. საკითხავია, ამ ორი თარიღიდან რომელი თარიღი ეკუთვნის ავტორს და რომელი მის „უმფროს“ ძმას სტეფანეს. თუ მისი ძმა სტეფანე, მართლაც, მასზე უფროსი იყო. მაშინ მოცემული თარიღების გათვალისწინებით გამოდის, რომ 1767 წელი არის არა ჩვენი ავტორის, როგორც ის წერს, არამედ მისი უფროსი ძმის სტეფანეს დაბადების წელი. თუ ეს ასეა, მაშ მომდევნო მუხლში მოცემული დაბადების თარიღი 1770 ვილას მიეკუთვნება? ან რამდენად სარწმუნოა, რომ ორივე ძმას ერთდროულად ერთიდაიგივე სახელი „სტეფანე“ ერქვა. ამ ბუნდოვანი ცნობიდან ჩვენ ერთ გამოსავალს ვხედავთ. როგორც ჩანს, ჩვენი ავტორის „დიდი ძმა სტეფანე“, მართლაც, 1767 წელს არის დაბადებული, რომელიც ბავშვობაშივე უნდა გარდაცვლილიყო, 1770 წლის 25 მარტამდე, და ამ დროს დაბადებული მომდევნო ძმისათვის გარდაცვლილი ძმის სახელი დაერქმიათ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. მით უფრო საგულისხმოა ეს, რომ შემდეგ 1795 წ., როცა ახალგაზრდა სტეფანე ნავროზაშვილმა კონსტანტინოპოლში მღვდლობის ხარისხი მიიღო, პირველი წირვა გადაიხადა გარდაცვლილი „ძმის ნიათზედ“. ამგვარი მსჯელობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქრონიკების ავტორი სტეფანე ნავროზაშვილი დაბადებულა 1770 წ. 25 მარტს ქ. ახალციხის რაბათში, აქაური საკმაოდ შეძლებული ვაჭრისა და მოქალა-

ქის, მამასახლისის, ოჯახში. მისივე მოწმობით, 1789 წ. 19 წლის სტეფანე საშეგირდოდ მისულა ზემო საყდარში და იქაურ მღვდელს მამა ანტონს დამოწაფებია, რომელმაც 5 წლის განმავლობაში საეკლესიო დოგმებს გარდა ლათინურ-სომხურ ენებშიც გვარიანად გაწვრთნა, თარგმნა-გადმოღების საკითხებზე იმდენი ავარჯიშა, რომ სწავლის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ სტეფანემ სომხურიდან გადმოიღო „პარტასანუთუნი“, რასაც მოჰყვა ლათინურიდან „ფიქრის ლოცვის“ გადმოქართულება. 5 წლის სწავლის შემდეგ ზემოსაყდრის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაეგზავნა სტეფანე მღვდლად საკურთხებლად საეპისკოპოსო ქალაქ კონსტანტინოპოლში, სადაც ერთი წლის განმავლობაში საჭირო გამოცდა უნდა დაეჭირა.

1724 წ. 15 მაისს სტეფანე ახალციხიდან სტამბოლს მიმავალ ქარავანს გაჰყვა. ართვინ-ჩხალას გადავლით ხოფას ჩავიდა, საიდანაც გემით გაემართნენ სტამბოლს და ჩავიდნენ იქ 18 სექტემბერს. სტეფანეს საქმე სტამბოლში კარგად წავიდა, საჭირო გამოცდები დაიჭირა, 1795 წ. 7 ივლისს ფიცი მისცა და უკვე 12-ში მღვდლად ეკურთხა. მღვდლად ნაკურთხი სტეფანე იმავე წლის 17 ოქტომბერს ახალციხეში დაბრუნდა, ზემო ეკლესიაშივე დაიწყო სამსახური და აქაური ცხოვრების ორომტრიალში ჩაერთო. პირველ ხანებში მას, როგორც ჩანს, საეკლესიო დუქნების საქმეც ეკითხებოდა, ვაჭრის ოჯახიდან გამოსული სტეფანე საეკლესიო დუქანს, სადაც ათასნაირი საოჯახო საწვრილმანო იყიდებოდა, კარგად უძღვებოდა. თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ სტეფანეს ოჯახში მამა-ბიძები, მამიდები თუ ძმა-ბიძაშვილები — ყველანი ვაჭრობას ეწეოდნენ, დადიოდნენ როგორც ადგილობრივ, ისე შორეულ ბაზრებზე, შემოჰქონდათ აზიური თუ ევროპული საქონელი, გაჰქონდათ ადგილობრივ პროდუქტთა ნაირსახეობა, განსაკუთრებით ახალციხური შალის ქსოვილები, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობდა სტამბოლის ბაზარზე. ერთი სიტყვით XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში აღებ-მიცემობა, საერთოდ, და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, კერძოდ, ახალციხის მხარეში საკმაოდ მომძლავრებული იყო, რის გამოც ქ. ახალციხე თურქეთის იმპერიაში მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქად და ეკონომიურ ცენტრად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს, მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა მოწყვეტილი არ არის მიწის დამუშავებას, თუმცა აშკარად იგრძნობა, რომ მიწა მათთვის მხო-

ლოდ დამხმარე მეურნეობის როლს ასრულებს. მოქალაქეთა უმთავრეს ამოცანად გადაქცეულა „ფულის კეთება" ვაჭრობა-ხელოსნობისა თუ მევახშეობის გზით. სტეფანეს ქრონიკებიდანაც კარგად იგრძნობა, რომ მოქალაქეთა ცხოვრებისა თუ გასაჭირიდან თავდახსნის ერთადერთი საშუალებაა ფული. ამასთან დაკავშირებით ქრონიკებში მოტანილია მეტად საგულისხმო ფაქტები იმის შესახებ, რომ ცალკეულ ოჯახებში საერთო, საოჯახო თანხის გარდა ყოველ წევრს ჰქონდა თავისი საკუთარი ფული, ყველასაგან შეუვალი და მიუდაგებელი. „საოჯახო ფულისა" და „საკუთარი ფულის" ფაქტი დადასტურებულია სხვა აქაურ საბუთებშიც.

სტეფანე გვევლინება აგრეთვე როგორც მეურნე. 1811 წ. ერთ მინაწერში იგი პირდაპირ მიუთითებს: „დღეს ჩემს ყანაში დავთესე 17 კოდი". ყანა, რომელშიაც 17 კოდი თესლი ითესებოდა, თუ ქერი იყო, დაახლოებით 2 ჰა-ზე მეტი იქნებოდა, ხოლო თუ დიკა — 3 ჰა-ზე ცოტა ნაკლები. 1814 წ. ერთი სხვა ცნობით, სტეფანე მამულს იმრავლებს და ს. მარდაში ყიდულობს ორ ყანას 180 ყურუშად და სხვ. ე. ი. , სტეფანეს ცხოვრებასა და, საერთოდ, მის საოჯახო ყოფაში სოფლის მეურნეობას გარკვეული ადგილი უკავია. მას აქვს სახნავ-სათესი, ჰყავს საქონელი (ხარი, ძროხა და სხვ.), მაგრამ ყველაფერი ეს მაინც დამხმარე მეურნეობაა, მისი შემოსავლის ძირითადი წყარო მისი დუქანია. ახალციხელ მოქალაქეთა ერთი ნაწილი მაშინ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე იყენებდა მოჯამაგირის შრომას, შესაძლებელია ასეთ შრომას იყენებდა სტ. ნავროზაშვილიც.

მესხეთის ქრისტიანი მოსახლეობისათვის თურქთა ბატონობის მთელ მანძილზე ტყვეობა, აყრა-გასახლება, ექსორიაში ყოფნა და სხვა, მისი სისტემატური ხასიათის გამო, თითქმის ჩვეულებრივი მოვლენად იყო ქცეული. ყველა ეს მძიმე ექსცესიები სტეფანემ პირადად გამოსცადა და გადაიტანა. მაგ., იგი ახალციხიდან ქრისტიან ქართველებთან ერთად 1810 წ. გიორგობის თვეში გაასახლეს სათლელს, სახლობანს და ყველს. იმავე წლის 6 ნოემბერს 2 ოცხელ ხუცესთან და 200 ქრისტიანთან ერთად კვლავ ექსორიად წავიდა. 1812 წ. 17 მარიობას ტყვედ ჩაიგდეს და ზანჯირხანაში გამოკეტეს, 1828 წ. თებერვალში იგი მუბაშირმა დატყვევებული ჩაიყვანა ყევანჯი ბაშის ყონახში. აქედან მალე არზრუმს წაიყვანეს, იქაურ ზანჯირხანაში დაამწყვდიეს, „სატანჯველების იარაღნი და ტომრულნი" მოიტანეს და შიგ „ფეხთა შეყოფა" დააწყებინეს.

ჩვეულებრივად ახალციხის საფაშოს ქრისტიანი მოსახლეობის დევნა და შეწუხება მატულობდა რუსეთსა და თურქეთს შორის საომარი მდგომარეობის დროს. თურქები მათ მოღალატეობასა და რუსეთისადმი მიმხრობას სწამებდნენ. ასე ცხოვრობდა სტეფანე თავის ხალხთან ერთად მძიმე ცხოვრებით. იგი მაინც სულ სამცხე-შავშეთ-ჯავახეთის თემში ტრიალებდა და თავის გაწამებულ მრევლს ერთგულად ემსახურებოდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა ხოლმე, როცა ჟამიანობა ჩნდებოდა. ეს უკურნებელი სენი მაშინ ქვეყნებსა და ხალხებს სეტყვასავით გადაუვლიდა, ანახევრებდა და ანადგურებდა მოსახლეობას. ჟამიანობა ხშირი სტუმარი იყო მესხეთისაც. მისი მკვებავი წყარო გამუდმებული ომიანობაა. ჩვეულებრივად ჟამიანობას გლეხკაცობა მთებსა და შორეულ ადგილებში გაურბოდა და ამით იხსნიდა ხოლმე თავს, მაგრამ თურქთა მფლობელობაში მოქცეული ქართულ-ქრისტიანული სოფლების ასე თავისუფლად მოძრაობა აკრძალული იყო. მკაცრ კარანტინში მოქცეულ სოფელში გაჩენილი ჭირიც იქვე უნდა მიმხრჩვალიყო. „ჭირიან სოფელს“ ყველა გაურბოდა, იგი დახმარებას თითქმის ვერ ღებულობდა. ასე იღუპებოდა 1811 წ. ზაფხულში სოფ. ხიზაბავრა, შავი ჭირი მუსრს ავლებდა დიდსა და პატარას. ყოველდღე ქრებოდნენ და ცარიელდებოდნენ ოჯახები. ამოწყდა ბერი თუ ერი, მკვდრებს უზიარებლად მარხავდნენ და აი ამ დროს სტეფანე ნავროზაშვილი მიემართება ხიზაბავრისაკენ და „ჭირიან ხალხში“ ჩამდგარი თავდაუზოგავად იღწვის სოფლის გადარჩენისათვის.

ცალკეა აღსანიშნავი სტეფანეს პედაგოგიური მოღვაწეობა. განათლებული მოძღვარი დიდი მონდომებით ზრდიდა ახალგაზრდებს. იგი რაბათის სამრევლო სკოლაში ასწავლიდა, აგრეთვე, ივანე გვარამაძეს, რომელიც შემდეგ დიდი სიყვარულით იგონებდა სტეფანეს შთამბეჭდავ დარიგებებს.

სტეფანე მღვდლობას ეწეოდა ძირითადად ახალციხესა და სოფ. არალში. მან თავისი თვალით ნახა 1828 წ. აგვისტოში ახალციხის აღება. მთელი ომის განმავლობაში ცხოვრობდა ცეცხლწაკიდებულ ქალაქში, სადაც „ტყვიასავით ზარბაზნის გულლა ცვიოდა“, და თავის მრევლს პატრონობდა, რომელიც თანდათან მცირდებოდა. მარტო ერთ დღეს ჩემი მრევლიდან 8 კაცი მომიკლესო, ჩვენის ერთგან. ერთი სიტყვით, სტეფანემ თავისი თვალით ნახა, ერთდროს აყვავებული ახალციხე როგორ „გარდაქალაქდა“, ანუ

როგორ აიღო პასკევიჩმა ახალციხე. 24 აგვისტოს ამ „ტანჯვის საფასურად“ ახალციხის 6 სხვა მღვდელთან ერთად ისიც ჩააყენეს რიგში, რომ პასკევიჩისაგან სამოწყალოდ მიეღო „5 ბაჯაღლო“. შემდეგ 1829 წ. იგი აქვე შეხვდა ახმედ-ფაშას შემოჭრას და ახალციხის მოქალაქეთა აფორიაქებას, გოგო-ბიჭების ტყვედ წაყვანას, ტირილს, ვაებას. იგი იყო მომსწრე პავლე შაჰყულიანსა და პეტრე ხარისჭირაშვილს შორის ატეხილი უსიამოვნებისა. სტეფანე, როგორც ჩანს, პეტრე ხარისჭირაშვილს თანაუგრძნობდა და კიცხავდა შაჰყულიანის ავანტიურისტულ საქციელს, მის თავხედობას.

1839 წლის 4 ღვინობისთვეს 69 წლის ასაკში სტეფანე ნავროზაშვილი მშობლიურ ახალციხეშივე გარდაიცვალა.

როგორც ხრონოგრაფი სტეფანე ნავროზაშვილი თავის წინამორბედ იოანე ხუცესს ვერ შეედრება; იოანე ხუცესის თვალსაწიერი აშკარად უფრო ფართო და მრავალისმომცველია. იოანეს ინტერესთა წრეში შედის არა მარტო მესხეთი (ახალციხის საფაშო), არამედ დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიც, სტეფანე ნავროზაშვილი უმთავრესად მესხეთითა და მასთან ურთიერთობაში მომხდარი ამბების აღრიცხვით იფარგლება. სტეფანე მოვლენებისა და ფაქტების ახსნისას უდავოდ იჩენს ძირითადის შენიშვნის უნარსა და მახვილ თვალს. იგი ავლენს ფაქტებისა და მოვლენების წვდომის უტყუარ ალღოს, ყურადღებას აქცევს მომხდარი ამბის დროულად ფიქსაციას. ფაქტების გადმოცემისას ცდილობს თავი შეიკავოს საკუთარი კვალიფიკაციისაგან.

სტეფანეს ქრონიკებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია: ა) მესხეთის ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაზე, კათოლიკე მოძღვართა საქმიანობასა და მოძრაობაზე, ეკლესიების მდგომარეობაზე. კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობაზე, მათ შევიწროებაზე, მრევლთან დამოკიდებულებაზე, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებზე და სხვ. ბ) ახალციხის საფაშოს პოლიტიკურ ამბებზე, ფაშათა დანიშვნა-გადაყენების, საომარი მოქმედების მიმდინარეობის, შინაფეოდალური ომების, თურქეთის ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის, ახალციხეში თავშეფარებულ დევნილ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობისა და სხვა საკითხებზე.

გ) ქრონიკებში საკმაო ადგილი უკავია ვაჭრობა-ხელოსნობის საკითხებს. სხვადასხვა მხარეებსა და ქვეყნებთან მესხეთის სავაჭრო კავშირ-ურთიერთობის, სავაჭრო საქონლისა (გატანა-შემოტანა)

და ვაჭართა კატეგორიების, გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გარკვევის საკითხებს.

დ) სტეფანეს მხედველობიდან არ რჩება მესხი გლეხკაცობის სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის საკითხები, გლეხთა გამოსვლები, „ოლქად დგომა". მიუხედავად იმისა, რომ ამ დიდი სოციალური მოვლენიდან იგი მხოლოდ ცალკეული ფაქტების აღნიშვნით კმაყოფილდება, ამ ცნობებით მაინც ხერხდება ძირითადი მომენტების დადგენა და საერთო მოძრაობისადმი თვალის გადევნება.

როგორც იოანე ხუცესის, ისე სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკები ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად უმეტესწილად ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენენ. აქვე გვხვდება ბევრი ცნობილი ფაქტისა და მოვლენის დადასტურება, ამ მხრივაც ეს ქრონიკები ძვირფას შესადარებელ მასალად გამოიყენება.

## სტეფანე აბინაშვილის ქრონიკა

სტეფანე აბინაშვილის ქრონიკა ისევე, როგორც სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკაც ივ. გვარამაძეს თავის მიერ შედგენილ საისტორიო მისიონერულ დღიურში შეუტანია და ნავროზაშვილის ქრონიკასთან ერთად დაურთავს იოანე ხუცესის ქრონიკებისათვის, როგორც გაგრძელება. ამ სახით აბინაშვილის ქრონიკების შემორჩენილი ნაწილი ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდეგდროინდელ ხანას განეკუთვნება და მოიცავს პერიოდს 1839 წ. 4 ღვინობისთვიდან (სტეფანე ნავროზაშვილის გარდაცვალების შემდეგ) 1841 წ. 28 ენკენისთვემდე. როგორც ირკვევა, აბინაშვილი ამ დროისათვის ხანშიშესული კაცი იყო, რომელიც ასევე ნათლისმცემლის სახ. ეკლესიაში ასრულებდა მღვდლობას. უდავოა, აბინაშვილსაც ექნებოდა დავთარი, სადაც ის მისთვის საყურადღებო ცნობებს შეიტანდა, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ამ დავთარს ვერ მივაკვლიეთ, აბინაშვილის შემორჩენილი ცნობები შედარებით მწირია. გასაგებიცაა, საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით მესხეთი მაშინ დაწყნარებული რეგიონი იყო, ბრძოლა მიდიოდა უფრო შინა საკითხების მოსაწესრიგებლად.

სტეფანე აბინაშვილის ქრონიკაში ასახვა ჰპოვა უცხოური კათოლიკური მისიონის გაუქმებისათვის ბრძოლის გზაზე გატარებულმა ღონისძიებებმა, ცდამ — საბოლოოდ შეცვლილიყო ლათი-

ნურენოვანი რიტი სომხურენოვანი რიტით. ბრძოლის არენაზე არიან გამოსული, ერთი მხრივ, პატრი ფრანჩისკე და, მეორე მხრივ, ტერ პავლე შაჰყულიანი, რომელნიც ფიცხელის ზომებით ცდილობენ ერთიმეორის დამარცხებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ პატრმა ფრანჩისკემ 1840 წ. 30 მარიობას კათოლიკეთა ქვემო საყდარში ხმოანი წირვის დროს დიდძალი მრევლის თანდასწრებით შაჰყულიანი შეაჩვენა, როგორც ანტიქრისტე. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით შაჰყულიანმა მალე თავი აიხსნა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ პატრები ახალციხიდან და მის გარშემო სოფლებიდან გააძევეს და უცხოელი მისიონი გააუქმეს. ვატიკანი იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია ფაქტიური მდგომარეობისათვის და შაჰყულიანი ეცნო ახალციხის პროვინციის უფროსად. სტ. აბინაშვილის ქრონიკაში საყურადღებო ცნობებია დაცული აგრეთვე არზრუმიდან ახალციხეში შემოსახლებულ სომეხთა მოწყობა-დამკვიდრებისა და მათ მიერ წამოწყებული სავაჭრო ურთიერთობის შესახებ .

## იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ერთი უცნობი წირვის დავთრის ქრონიკა

დავთარი ინახება სამცხე-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ხელნაწერების ფონდი, საქმე № 142). იგი თავ-ბოლო ნაკლულია. შიდა ფურცლები ზოგი ამოხეულია, ზოგი გვერდმოხეული, ზოგიც ისეა დაზიანებული, რომ აღარ იკითხება. მოიცავს პერიოდს 1793 წ. იანვრიდან 1808 წლის მარტამდე. ვის ეკუთვნოდა დავთარი, ან ვინ აწარმოებდა მას, არ ჩანს. უდავოა, მისი ავტორი იმ ეკლესიის მღვდელთაგანია, რომელიც წირავდა როგორც ახალციხეში, ისე სამცხის სხვა სოფლებში, აგრეთვე შავშეთისა და ჯავახეთის სოფლებში. ამაზე მიუთითებს მისი დღიური ჩანაწერები აღნიშნულ დავთარში. წირვების აღრიცხვასთან ერთად კათოლიკე მღვდლებს ჩვეულებრივად დავთრებში შეჰქონდათ თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვანი მომენტები და ზოგიერთი „საქვეყნო საქმეებიც“, რაც მათის შეხედულებით ყურადსაღებად იქნებოდა მიჩნეული.

ანონიმ ავტორს წირვათა სტრიქონების გასწვრივ გაუკეთებია არა ერთი საინტერესო მინაწერი „საქვეყნო საქმის“ აღსანიშნავად. ეს მინაწერები აფიქსირებენ ბევრ იმ დროს მომხდარ პო-

ლიტიკურ-ეკონომიურ თუ რელიგიურ-ეთნიკურ ფაქტსა და მოვლენას. სამწუხაროდ, ასეთი მინაწერების წაკითხვა და გარჩევა მხოლოდ რამდენიმე გვერდზე ხერხდება, რაც მოიცავს 1793 წლიდან 1808 წლამდე პერიოდს.

წინამდებარე ქრონიკებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტადაა წარმოჩენილი ახალციხის საფაშოში გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობის ამსახველი მასალები, საფაშო ტახტისათვის ბრძოლა, გლეხთა გამოსვლები, ე. წ. „ოლქად დგომა“, საფაშოში წესრიგის დასამყარებლად ცენტრალური (თურქული) ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებანი, ამის შედეგად მომხდარი ხალხის აყრა და სხვ. აქვეა აღნუსხული რუსეთთან საომარი მოქმედების დაწყება და მასთან დაკავშირებით საფაშოში მომხდარი მძიმე ექსცესები.

როგორც წინა, ისე ამ ქრონიკებშიც მრავალი ფაქტიური მასალაა მოტანილი იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი იყო ქართველ კათოლიკეთა წილი საფაშოს ეკონომიურ ცხოვრებაში. რომ სწორედ ქართველ კათოლიკეთა წყალობით ახალციხის საფაშო სავაჭრო ურთიერთობაში იყო ჩაბმული არა მარტო სტამბულ-არზრუმის ბაზრებთან, ევროპისა და აზიის შორეულ ბაზრებთანაც.

აღსანიშნავია ამ ქრონიკების მნიშვნელობა აგრეთვე როგორც შესადარებელი მასალისა, რომელიც აზუსტებს არა ერთ ფაქტსა და მოვლენას.

## მღებრიანთ ქრონიკა

1974 წ. ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში ვიყავი მივლინებული. მივლინებაში ყოფნისას რაიაღმასკომისა და მუზეუმის თანამშრომლებმა მთხოვეს იქვე — რაბათში, მათთან ერთად მენახა არაჩვეულებრივი ხელოვნებით გამოთლილი ბუხრის ქვა და ჩემი აზრი გამომეთქვა ამ ქვის შეძენის საჭიროებაზე.

გადაკეთებულ ახალციხურ ოდასახლში ღრმად მოხუცი მარტოხელა მასპინძელი, პენსიონერი მასწავლებელი ქეთევან მღებრიშვილი შეგვეგება. ოთახში ყველაფერი გაკრიალებული და დასუფთავებული დაგვხვდა. ჩიოდა, სადღაა ძველი რაბათი, დაიცალა, გარშემო სულ ახალი მოსახლეა, გამოვყრუვდი, ქართული ლაპარაკი მენატრებაო. ბუხრის ქვა კირით იყო შეთეთრებული და ჩადრ-

აფარებული პატარძალივით გამოიყურებოდა. მასპინძლის ნებართვით ერთ მხარეს კირი მოვაცილეთ და ჩვენს წინ, მართლაც, ქვაზე ჭრის ნატიფი ხელოვნების ნიმუში აღიმართა. ერთიანი ქვისაგან გამოთლილი ბუხრის შუაგულში ორი სამოთხის ხე დგას, რომელიც გარდიგარდმო მომხიბვლელი და რთული ორნამენტებით არის მორთული. როგორც ჩანს, შემდეგ ვიღაცას ქვემო მარცხენა მხარეში უხეშად დაურღვევია ქვის წყობა და ალმაცერად ამოუჭრია — 1836 გიორგობა. საერთო მონაცემების გათვალისწინებით ეს ბუხრის ქვა XVI—XVII სს. მიჯნაზე უნდა იყოს გამოთლილი.

ბუნებრივია, მასპინძელს სხვა შემორჩენილი სიძველეების შესახებაც ვკითხე. ჩვენი წინასწარი ვარაუდით მღებრიშვილების ოჯახში საგულვებელი იყო აგრეთვე ძველი ხელნაწერი დოკუმენტების აღმოჩენა, რადგან ვიცოდით, რომ XVII—XIX სს. ამ გვარის რამდენიმე მოძღვარი მოღვაწეობდა ახალციხესა და ს. ივლიტას. XVIII ს. ბოლოს სტეფანე მღებრიშვილი ჯვრის მონასტერში მთავარი წინამძღვარიც კი იყო. მასპინძელს რამდენიმე კითხვა მივეცი, სამწუხაროდ, ას წელს მიტანებული მასწავლებლისათვის მახსოვრობას ეღალატნა, დანაპირები უმალ ავიწყდებოდა, ძველ ზანდუკებს შორის უმიზნოდ ფათურობდა და ვერაფერს საინტერესოს ვერ გვაჩვენებდა. წამოსვლის წინ ძველ სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ქაღალდებს შორის შევნიშნე სხვადასხვა ხელით ნაწერი, ყდამოცლილი რვეული, რომელსაც პირველი ფურცლის ზემო აშიაზე ეწერა: „ჩვენი გვაროვნობის თუ გარეშე მეგობრების დაბადება, ქორწინება და გარდაცვალების დავთარი". გასინჯვის შემდეგ ეს აღმოჩნდა მღებრიანთ წინამდებარე ქრონიკა. იგი მაშინვე სამცხე-ჯავახეთის მუზეუმმა შეიძინა.

დავთარი ჩვენი საუკუნის დასაწყისში ხელახლა გადაწერილი და განახლებული ჩანს, სადაც თხრობა გრძელდება 1792 წლიდან ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე. მას, როგორც საგვარეულო მატიანეს, ავსებდა რამდენიმე თაობა. როგორც წესი, მატიანის დაძვრა საგვარეულო სახლიდან, ე. წ. „ერთობის სახლიდან", არ შეიძლებოდა. ახლა თვით დავთრის შესახებ.

უძველეს ქრონიკაში ვკითხულობთ: „1792 წ. მარიობისთვის 9. ტერ იოან ლაზაროვისაგან მონათლულ იქმნა ივანე მღებროვი, ნათლია იყო არუთინ თუმანოვი". როდის იქნა დავთარში შეტანილი ეს ცნობა, ანუ როდის დაიწყო საერთოდ დავთრის წარმოება და

ვინ იყო ივანე მღებრიშვი? წინასწარ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ასაკით ყველაზე ძველი ცნობა პირველ გვერდზე, ქრონიკების დასაწყისში კი არ არის ჩაწერილი, არამედ დავთრის მეექვსე გვერდზე, XIX ს. 40-იანი წლების ცნობებს შორის. საფიქრებელია, რომ ეს ქრონიკაც სწორედ მაშინ, სახელდობრ 1849 წლის შემდგომ იქნა მოძიებული და უკვე დაწყებულ დავთარში ჩამატებული და არა 1792 წ. როგორც თვით ეს თარიღი მიუთითებს. ვფიქრობ, რომ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აქ გადამწერის ცთომილებასთან საქმე არ უნდა გვქონდეს. თუ, მართლაც, ეს ასეა, მაშ ვინ დაიწყო წინამდებარე დავთრის წარმოება და როდის დაიწყო; ქრონიკის მონაცემებზე დაყრდნობით მის დამწყებად გვევლინება კარლო ივანეს ძე მღებრისშვილი, ქრონიკებში მოხსენიებული ივანე მღებროვის პირმშო. როგორც ამავე დავთრიდან ჩანს, კარლო მღებრიშვილი დაბადებულა 1814 წ. 18 სექტემბერს და მამაზე, ივანე მღებროვზე, უმცროსი ყოფილა 22 წლით.

დავთარში კ. მღებრიშვილის პირველი ხელმოწერილი ქრონიკა დათარიღებულია 1833 წლით. როგორც ჩანს, ამ ქრონიკის წინა ნაწილი (სულ 7 ქრონიკა) ერთიმეორის თანმიყოლებით არაა დალაგებული, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ივანე მღებროვის ნათლობის ცნობასთან ერთად ისიც შემდეგ, შედარებით გვიან, უნდა იყოს ჩამატებული. მაგ., ჯერ აღნიშნულია, რომ 1828 წ. 15 მარიობისთვეს უმალ რუსი აემალა თათარს, ახალციხე აიღო და შემოვიდა..." შემდეგ კი მოსდევს მასზე გაცილებით ადრე მომხდარი ცნობა, რომ „1811 წ. 8 ქრისტეშობისთვეს რუსი მოვიდა ახალქალაქს." 1833 წლის შემდეგ ქრონიკათა აღრევას ადგილი არა აქვს და თხრობაც თითქმის უწყვეტი და თანმიმდევრულია. ჩვენ არ გამოვრიცხავთ არც იმ შესაძლებლობას, რომ წინამდებარე დავთრის დამწყებს აღნიშნული ადრინდელი ცნობები ჰქონდა მანამდე არსებული (შეიძლება იმავე ოჯახის) სხვა დავთრიდან, შეიძლება კაცმა ისიც იფიქროს, რომ ეს დავთარი ძველი რომელიღაც დავთრის ახალი განშტოებაც იყო, რომლის საფუძველს ძველ პატრიარქალურ ოჯახთა გაყრა-განცალკავება წარმოადგენს.

ივლიტელ-რაბათელი მღებრიშვილები ვაჭრები ჩანან. აქ მოხსენიებული ივანე მღებრიშვილი სავაჭროდ სტამბოლის ბაზარზეც დადიოდა. იგი ხშირი სტუმარი ყოფილა აგრეთვე თბილისისა, სადაც მისი ძმის ოჯახიც იყო დასახლებული. როგორც ჩანს, კარლო

მამის კვალს გაჰყოლია და მასაც უცდია ბედი აღებ-მიცემობაში. მისი მოქმედების არეც საკმაოდ ფართო ჩანს: გუმბრი, ართვინი, ტრაპიზონი, სტამბოლი, ქართლი, იმერეთი და სხვ. XIX ს. შუა წლებში კ. მღებრიშვილს ახალციხეში ღვინის დიდი სავაჭრო სარდაფი ჰქონია გახსნილი[17] და ღვინო რუმბებით გადმოჰქონდა იმერეთიდან და ქართლიდან.

1839 წ. 25 წლის კ. მღებრიშვილი ოჯახს მოეკიდა და ბაროლუსას ქალზე ჯვარი დაიწერა. მასთან შეეძინა ვაჟი, რომელსაც დაარქვეს გრიგოლ-ავგისტინე. 1847 წ. შეეძინა მეორე ვაჟი — სტეფანე-გაბრიელი. 1875 წ. შეეძინა ვაჟი ვანო. ვანო მას, როგორც ჩანს, შესძენია მეორე ცოლთან. მის მეორე ცოლს რქმევია მაგდანელა.

კარლო მღებრიშვილი გარდაიცვალა ახალციხეში 1886 წ. 6 იანვარს, დარჩა 2 ვაჟი და 2 ქალიშვილი. მისი სიკვდილის შემდეგ ქრონიკების გამგრძელებლად გვევლინება გრიგოლ კარლოს ძე მღებრიშვილი, გრ. მღებრიშვილის შესახებ ამავე ქრონიკებიდან ვიცით, რომ მას ცოლად ჰყოლია ვერონიკე ვარლამიშვილის ასული, რომელიც 1890 წ. აბასთუმანში სახელმწიფო ჰოსპიტალში სამსახურის დროს გარდაცვლილა. დარჩენია გრიგოლს სამი ძე და ერთი ასული. გრ. მღებრიშვილი ქრონიკების ჩაწერას აწარმოებდა XIX ს. დასასრულამდე. 1900 წლიდან ამ საქმეს გასძღოლია მისი უმცროსი ძმა ვანო. ვანოს მიერ ჩაწერილი პირველი ცნობა 1900 წელს შეეხება მისსავე ჯვრის წერას ქუთაისელ იულია პავლეს ასულ გვარიშვილთან. როგორც ჩანს, მისი უფროსი ძმა გრიგოლი ცხრაასიანი წლების დასაწყისში ლოგინად ჩავარდნილა და ქრონიკების წერა გაუგრძელებია ვანოს. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გრიგოლი გარდაცვლილა 1918 წ. 1903 წ. ვანოს შესძენია ვაჟიშვილი კარლო, რომელიც ქრონიკის ცნობით 1929 წ. სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა პარიზში. 1919 წ. ვანო ახალციხიდან საცხოვრებლად ბათუმს გადასულა. წინამდებარე ქრონიკები კი რაბათში ერთობის სახლში დარჩენილა, რომელის შევსება დროდადრო სხვადასხვა პირებს უწარმოებიათ.

მღებრიშვილთა დაბადება-გარდაცვალების ეს დავთარი, როგორც მკითხველი დარწმუნდება, ვიწრო ფამილარული ცნობებით არ იფარგლება. მასში ბევრი სხვა საინტერესო ცნობაცაა ჩართული

[17] სჯ0ხც. საქ. 2374, აგრეთვე საქ. 277.

მაგ., მესხეთის შემოერთებისათვის ბრძოლის დიდი ეპოპეიდან ქრონიკებში ასახვა ჰპოვა 1810, 1811, 1828 წწ. ჩატარებულმა საომარმა ოპერაციებმა, 1857 წ. ლვინობისთვეში ახალციხეში „სამი ხელმწიფის მართებლებისა და სინიორების" მოსვლის ფაქტმა, რომელთა მიზანს ყირიმის ომის შემდეგ რუსეთ-თურქეთის საზღვრების დაზუსტება შეადგენდა. ქრონიკებში საუბარია აგრეთვე 1877—78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებაზე და მის შედეგებზე კავკასიაში, კერძოდ ბათუმის, არტაანის, ყარსის, ართვინისა და ოლთა-გოლის შემოერთებაზე. აქვე გვხვდება ცნობები პირველი იმპერიალისტური ომის შესახებ. ფრონტზე მყოფთა თუ დაღუპულ ახლობელთა ცნობებთან ერთად მოცემულია მაშინდელი ყოფისათვის დამახასიათებელი ბევრი საინტერესო მასალა. ქრონიკა საკმაოდ საყურადღებო ცნობებს შეიცავს მხარის ეკონომიურ ყოფაზე, მის სავაჭრო ურთიერთობაზე, კათოლიკური ეკლესიის საქმიანობაზე და, საერთოდ, ქართველ კათოლიკეთა საკითხზე. დროდადრო ქრონიკაში ავტორებს შეუტანიათ გამოჩენილ პირთა, იმპერატორების, პაპების და სხვათა გარდაცვალებაზეობის თარიღები. აქვეა ფიქსირებული აბასთუმანში სამეფო სახლის მთავარი მემკვიდრის გიორგი ალექსანდრეს ძის სიკვდილი, ამასთან დაკავშირებით სამგლოვიარო პროცესიის დროს ახალციხელ ჯაყელთა გადაგვარებული წარმომადგენლის ფეიზულა ბეგ ათაბეგოვის გარდაცვალება, გამოჩენილი ქველმოქმედის სტ. ზუბალაშვილის, დრამატურგ ავქსენტი ცაგარელის, ცნობილი კათოლიკე საეკლესიო მოღვაწის პეტრე ხარისჭირაშვილის, ივანე გვარამაძისა და მრავალი სხვის გარდაცვალება.

ცალკეა გამოყოფილი ცნობა ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობისა და მისი დაკრძალვის შესახებ. ფაქტიურად იგი მთელი წერილია, სადაც ავტორი ვერ იცავს ქრონიკისათვის დამახასიათებელი წერის სტილს და ავლენს თავის დამოკიდებულებას ამ აღმაშფოთებელი ფაქტისადმი. ასევე განსაკუთრებით გამოყოფით არის აღწერილი აკაკის იუბილე 1908 წ.

ქრონიკებში საკმაო ადგილი უკავია ასტროლოგიური მოვლენების დაფიქსირებასა და აღწერას (ამინდი, მიწის ძვრა, მეხის ჩამოვარდნა და სხვა).

როგორც დავრწმუნდებით, მელბრიშვილების ქრონიკა საკმაოდ მრავალმხრივი და საერთოდ საყურადღებო ცნობების შემცველია. იგი ქართული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

# ანტონ ხუციანოი-გოდებაძე და მისი წერილი ვანჩენციო მთავარეპისკოპოსისადმი

როგორც ივ. გვარამაძის ერთი ჩანაწერიდან ჩანს, მამა ანტონ ხუციანოი დაბადებულა სოფ. ხიზაბავრაში 1770 წ.[18] ხუციანოი ანუ ხუციშვილი ადრეული წოდების გაგვარებული სახელი უნდა იყოს. მისი ძირეული გვარი ყოფილა გოდებაძე, რომელსაც XVIII ს. მეორე ნახევრიდან ოფიციალურ საბუთებში აღარ ხმარობდნენ. გოდებაძეთა გახუციშვილება თუ გახუციანოება (როგორც თვით ანტონი ხმარობდა) უნდა მომხდარიყო XVII—XVIII სს. მიჯნაზე იმ თავზე დატეხილი საერთო უბედურების წყალობით, რაც მაშინ განიცადა ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და გადაგვარების გზაზე დამდგარმა სამცხე-საათაბაგოს ფეოდალურმა საზოგადოებამ.

ანტონ ხუციშვილს პირველდაწყებითი განათლება ხიზაბავრასა და ახალციხეში მიუღია, ახალგაზრდობაშივე ეკლესიის სამსახურში ჩამდგარა და იქვე რაბათში ტირაცუდ დაუწყვია მუშაობა. 1807 წ. 3 აპრილს ანტონი, რომელსაც სამღვდლო სწავლა ადგილზე უკვე გავლილი ჰქონდა, გაემგზავრა კონსტანტინოპოლში მღვდლად საკურთხებლად[19], საიდანაც ხელდასხმული დაბრუნდა ახალციხეში იმავე წლის 6 მარიობას. მალე იგი, როგორც ბაროხი. ჯერ სოფ. არლის ეკლესიაში, შემდეგ კი სოფ. ვალეში გაუმწესებიათ. 1807—1808 წწ. ანტონი უბრუნდება მშობლიურ სოფელ ხიზაბავრას, სადაც გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი.

მამა ანტონის ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს მისივე წერილი, რომელიც გაუგზავნა კონსტანტინოპოლის ვანჩენციო მთავარეპისკოპოსს, წერილი შედგენილი უნდა იყოს 1819—1820 წლებში.

„ეს ხიზაბავრა ყველას მოეხსენება, თუ როგორ სამტრო ალაგი არისო" — მოახსენებს მთავარეპისკოპოსს და მუხლობრივ ჩამოთვლის ბოლო დროის საშინელებებს, რაც სოფელს და პირადად მას გადახდა თავზე.

1810 წ. მთავარმართებელ ტორმასოვის მიერ ახალციხის საფაშოს შემოსაერთებლად განხორციელებულ ექსპედიციას მხარს

---

[18] სჯმხფ. საქ. 2645, გვ. 2.

[19] იოანე ხუცესის ქრონიკები.

უპერდნენ საფაშოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანები. ნოემბერში, როცა პორტნიაგინის რაზმმა და ქართულმა მილიციამ დაიკავა მარჯვენა ნაპირის ჯავახეთი, სოფ. ხიზაბავრა, სადაც კათოლიკეთა სულიერ წინამძღვრობას ასრულებდა ანტონ ხუციშვილი, მოსულ ლაშქარს სიხარულით და აღფრთოვანებით შეხვდა. შემდეგ ექსპედიციის მოშლამ და რუსთა ჯარის უკანდახევამ მესხეთის ქრისტიანთა ახალი დევნა გამოიწვია ოსმალთა მხრიდან. ოსმალებმა სოფელს მტრისადმი მიმხრობა და ღალატი დასწამეს და „შარი შილთახით გადაახდევინეს“ — ჯარიმად გააწერეს 12 ქისა თეთრი. პირადად ანტონ მღვდელს „300 ყურუში ფარა“ გამოართვეს. თურქებს, როგორც ადრე მონგოლებს, წესად ჰქონდათ შემოღებული — ოჯახი, რომელიც ჯარიმას ვერ გადაიხდიდა, უნდა გაყიდულიყო. ხიზაბავრიდან ერთი ასეთიი ოჯახი კიდეც გაიყიდა, მაგრამ თავის მრევლზე თავგადადებული მოძღვრის ანტონ მღვდლის მცდელობით გაყიდული ოჯახი დახსნილ (შესყიდულ) იქნა.

1811 წ. გაზაფხულზე ანტონ ხუციშვილი კათოლიკე ეკლესიის უფროსთა ნებართვით დიდძალი ვალების დაფარვის მიზნით სპეციალური არზებითა და მიმართვებით „წყალობის ჩამოსათხოვნელად“ გაემართა ლივანას. აქ მოტანილ წერილში იგონებს: „რომელსაც ლივანიდან შინისაკენ გამოვბრუნდი, დამიხვდნენ მაჭახელნი და სიკვდილის საცთურის გარდა, რაც რომ წყალობა მომეკრიფა და სრულ წამივიდა და ექვსასი ყურუშის რამეც ჩემი წავიდა თუ ცხენი, თუ საბანი თუ სამოსი და სხვაც ბევრი რამე და თან მსახურიც ტყვედ წამივიდა ფხიკიურელი“. ანტონმა იმდენი მაინც ილონა, რომ ფხიკიურელი — მსახური ტყვეობიდან გამოიხსნა და ასე სრულად ხელმოცარული დაბრუნდა თავის „მტრიან“ ხიზაბავრაში, სადაც გავრცელებულიყო „მომსვრელი“ სენი (შავი ჭირი) და მტრის მიერ აწიოკებულ ოჯახებს საბოლოოდ ანადგურებდა. მცირე ხნით უმღვდელოდ დარჩენილი სოფლის შევლას თურმე ახალციხიდან ასული სტეფანე ნავროზაშვილი ასრულებდა (ამ დროს მღვდლის მოვალეობას შეადგენდა მიცვალებულის მოვლა, ზიარება და დამარხვა. უზიარებლად დამარხვა დიდ ცოდვად ითვლებოდა).

სწორედ იმ ხანებში, 1811 წ. 8 დეკემბერს, რუსთა რაზმებმა ახალქალაქი აიღეს და თურქებმა, რომ წარსული წლის ამბავი არ განმეორებულიყო, ქრისტიანი სოფლები აყარეს და ფრონტის ხაზიდან მოცილებით ეჭორიაში გარეკეს. ამ აყრა-დაყრაში ხელს ითბობდნენ ადგილობრივი მოხელენი, ეწეოდნენ აყრილთა ქონე-

ბის დატაცებას, მიჰყავდათ მათი საქონელი, უპატრონოდ დარჩენილი ორმოებიდან იღებდნენ ხორბალს, წვავდნენ სოფლის სახლკარს, ძარცვავდნენ ყველაფერს, რის გაძარცვაც შეიძლებოდა.

სხვა სოფლებთან ერთად ამ დროს აყრილი იყო ხიზაბავრაც. ხიზაბავრელებს მაინც ემარჯვათ და უდესა და ვალეს შეჰფარებოდნენ. მარტო ამ ერთი ექსორიის დროს ანტონის ოჯახისადმი სხვადასხვა ფორმით მიყენებულმა ზარალმა 3000 ყურუში შეადგინა. გასაგებია, მთელი სოფელი რა დღეში ჩავარდებოდა. ექსორიიდან დაბრუნების შემდეგ გაძარცულ სოფელში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა, რასაც ანტონის სიტყვით, „ახლად მოცემული ერთი უსამართლო ბატონის" საქციელიც დაემატა და სოფელი „მიწამტვრად" აქცია. მან თურმე შეჭირვებული სოფლებიდან ტყვის გამოყვანა და გაყიდვა დაიწყო. ასე რომ, ახლო-მახლო სოფლებში „ქვრივ-ობოლი" აღარ გაუშვა. მამა ანტონი მსყიდველ ბატონს წინ აღუდგა და ხიზაბავრაში ფეხი არ შეადგმევინა, შემდეგ კი ბატონს, რომელიც ანტონს სიკვდილით ემუქრებოდა, ახალციხის ალი ფაშასთან[20] უჩივლა. ფაშამ „სამართალი" გააჩინა — „დამნაშავე" ანტონს ჯარიმა გარდაახდევინა და ბატონთან ამგვარად შეარიგა.

ანტონი თავის საქმიანობითა თუ ქადაგებებით ბევრს ზრუნავდა კათოლიკე მრევლის გაზრდისა და გაძლიერებისათვის. XIX ს. დასაწყისში, როგორც ჩანს, ხიზაბავრის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ მართლმადიდებლურ წესს მისდევდა. ანტონს თავისი ქადაგებით 6 სული მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაზე მიუქცევია. ამგვარი საქმიანობა არც შემდეგ შეჩერებულა. XIX ს. 30-იან წლებში მთელი ხიზაბავრა კათოლიკობაზე იყო მიქცეული. თითქოს ძნელი წარმოსადგენია, რომ ამგვარ მძიმე პირობებში ჩავარდნილ კაცს კულტურულ-შემოქმედებით მუშაობაზე ეფიქრა და მამულის სულიერი შემწეობისათვის ელვაწა, მაგრამ, როგორც ჩანს, მტკიცე ნებისყოფის ანტონ მოძღვარს მოწამებრივის მოთმინებით გადაულახავს ყველა დაბრკოლება, საამისო დრო მაინც გამოუნახავს და შემოქმედებითი მუშაობისათვის თავი არ დაუნებებია.

თანამედროვეთა გადმოცემით, ანტონი მშვენიერი მხატვარი ყოფილა. ეწეოდა ეკლესიების მოხატვას, აფერადებდა სახლის

---

[20] ანტონმა რომელ ალი ფაშასთან უჩივლა ბატონს, არ ჩანს, ამის გარკვევას ის გარემოებაც აძნელებს, რომ 1817 წლიდან 1821 წლამდე ახალციხეში სამი ფაშა იყო და სამივეს სახელად „ალი" ერქვა.

მორთულობებს, რთულ ყვავილოვან ორნამენტებს ჭრიდა ხეზე[21]. მაგრამ ანტონის მოწოდება მაინც მინიატურული მხატვრობა, ე. წ. წიგნის მხატვრობა, იყო.

სხვადასხვა სახის რელიგიურ თემებზე შესრულებული მისი მინიატურები, რომლებიც ამშვენებს სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში დაცულ რამდენიმე ხელნაწერს, დღესაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს წიგნის გაფორმების საუკეთესო ნიმუშებად. ანტონი იყო აგრეთვე ცნობილი მთარგმნელ-გადამწერი. თარგმნიდა უმთავრესად სომხურიდან ქართველ კათოლიკეთათვის საჭირო სასულიერო ლიტერატურას. ასეთია დღემდე შემორჩენილი მისი თარგმანი „ჰრაშიცი". მამა ანტონმა ყველაზე დიდი ამაგი დასდო ძველი ხელნაწერების გადაწერის საქმეს. დღეს მისი ხელით გადაწერილი წიგნები, ტექსტისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ულამაზესი კალიგრაფია თუ ასოთა დაწყობა, გეომეტრიული პროპორციები, რომლის აშიები მოხატულია ულამაზესი მინიატურებით, ხიბლავს ადამიანს. ანტონის გადაწერილი ლიტერატურიდან აღსანიშნავია სალმთო წერილი და, განსაკუთრებით, იესოს მარტვილობის აღწერა თომა კემფელის მიერ, რომელიც შედგება 120 ლოცვისაგან და რომელიც ლათინური ენიდან ადრე რომში ქართველ კათოლიკე ტულუკაანთ დავით პაპაშვილს ჰქონია ნათარგმნი. ეს წიგნი უკვე XIX ს-ში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას შეადგენდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ანტონის მიერ ძველთაგან შემორჩენილი „ქართული ზენაური საგალობლისა და ბზობის— სალამო ეკლესიით კარის განღების წესის" ხელნაწერი წიგნის გადაწერას ხიზაბავრის ეკლესიაში[22]. ანტონის ეს ხელნაწერი ქართველ კათოლიკე მოძღვრებს შემდეგ იმის საბუთად მოჰყავდათ, რომ ძველთაგანვე არსებობდა ქართველ კათოლიკეთათვის საკმაო ლიტერატურა მშობლიურ ენაზე, რაც ქართული კათოლიკური რიტის არსებობის უდავო საბუთიც არისო.

ანტონ ხუციშვილმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და იშრომა. ბოლო დროს დაუძლურებისა და ხელის კანკალის მიზეზით წერა უჭირდა, რის გამოც ბევრი მისი საქმიანობით დაინტერესებული, ახალგაზრდა პატივისმცემელი სინანულს გამოთქვამდა.

---

[21] XX ს. დასაწყისში ჯავახეთსა და სამცხეში კიდევ ყოფილა შერჩენილი რამდენიმე დარბაზი, რომლის მორთულობებსაც მამა ანტონის ნახელავად მიიჩნევდნენ.

[22] სჯმხფ, საქ. № 128, გვ. 2.

და სიცოცხლის დაისზე მისი ცხოვრების საერთო შეფასებასაც იძლეოდა. ერთნი ნაღვლიანად ამბობდნენ; „აფსუს, მის მშვენიერ კალამს, შემკობილსა ფერებასა ყვავილებით და ქნარებით მოკაზმულთა ჭრელებასა, აწ ხელნი უკანკალებენ ცერის თითებთან კრებასაო"[23].

მეორენი იმედიანად გაიძახოდნენ: „ანტონ მღვდელს გოდებაძესა, ვუქებთ კალმისა ჭერასა; მელნის ტბით ურწყავს ორძელნი ბროლით გიშრისა ჭერასა, ვარდი წყლიანი თუმც დაჭკნდეს, ნუ დასთმობთ ყნოსა-მზერასა"[24]. მართლაც, რა დაუთმობია იმ ავბედობის ჟამს ქართული კულტურის სარბიელზე მომუშავე მოძღვრის წმინდა ნამუშაკევი. ასევე ძვირფასია ჩვენთვის აქ დაბეჭდილი მისი წერილიც.

ანტონი გარდაიცვალა მშობლიურ ხიზაბავრაშივე 1858 წ. 88 წლის ასაკში. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა ანტონი ლოგინად იყო ჩავარდნილი, და განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდეგ, გაღარიბებულმა და დაგლახაკებულმა ოჯახმა ანტონის ხელნაწერთა გაყიდვა დაიწყო[25]. ასე თანდათან გაიფანტა მისი კულტურული მემკვიდრეობა, რომელთაგანაც დღემდე ძალიან მცირე ნაწილმა მოაღწია.

## არქიმანდრიტი პავლე ჭილიმუზაშვილი (შაჰყულიანი). „მტკიცე ანდერძი"

ისტორია დროისა და სიტუაციების შეგრძნების უტყუარი ალღოთი დაჯილდოებულ ბევრ დიდსა თუ პატარა მედროვეს იცნობს, რომელთაც მტკიცე რწმენის უქონლობის გამო „მოსასხამი სულ ქარის მიმართულებით აქვთ მოგდებული". ისინი ცხოვრების ზედაპირზე ყოფნისათვის ჩვეულებრივად საკუთარი თავის, ხალხისა და სამშობლოს უარყოფამდე მიდიან და, სხვადასხვა ქვენა გრძნობებით გატაცებულნი, ვერც კი გრძნობენ შთამომავლობის მეხსიერებაში როგორ გადადიან შერისხული სახელებით. ბევრი ამგვარი პიროვნების ცხოვრება გულისწყრომასთან ერთად იწვევს აგრეთვე სიბრალულს ჩაკლული შესაძლებლობებისა. ასეთი პიროვნება იყო არქიმანდრიტი პავლე ჭილიმუზაშვილი (შაჰყულიანი).

---

23 სჯმხფ, საქ. 195, გვ. 1.

24 იქვე, გვ. 2.

25 იქვე, საქ. 143, გვ. 2.

პავლე ჭილიმუზაშვილი დაბადებით ახალციხელი ქართველი კათოლიკეა. როგორც ჩანს, მათი რომელიღაც წინაპარი შაჰყულად ყოფილა. შაჰყულობა თუ შაჰსევანობა უმთავრესად XVII ს. მოვლენა იყო, როცა დაპყრობილი ქვეყნის ახალგაზრდებს შაჰის სამსახურში თავდაწერილად აცხადებდნენ. ეს სახელები შემდეგ შეიჭრა ჩვენს ონომასტიკაშიც. როგორც ჩანს, ჭილიმუზაშვილების ერთი შტო ამგვარი სახელით იყო მონათლული. ეს მდგომარეობა თავის მიზნებისათვის კარგად გამოიყენა პავლე ჭილიმუზაშვილმა და პოზიციების ცვლასთან ერთად დაიწყო გვარ-სახელის ცვლაც. იგი სომხურად იწერებოდა პოღოს შაჰყულიანად თუ შაჰყულიანცად, თურქულად დაუთ შაჰ-სულთანად, ლათინურად—სკიაგლუნტად, რუსულად შაჰყულოვად, ქართულად ადრე ჭილიმუზაშვილად, ბოლოს შაჰყულიანად[26].

პავლე ჭილიმუზაშვილი დაიბადა 1769 წ. ახალციხის რაბათში, შეძლებული ვაჭრის ალექსანდრე ჭილიმუზაშვილის ოჯახში[27].

პირველდაწყებითი განათლება მიუღია ახალციხეშივე იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მღვ. ივ. აბაზაძის ხელმძღვანელობით[28]. შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად წაუყვანიათ სტამბოლში და მიუბარებიათ იქაურ სომხურ სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წმინდა კრების (ვატიკანის) ხარჯებით არსებობდა. სასწავლებელში მას გვარიანად შეუსწავლია ძველი და ახალი სომხური ენები. 1784 წ. კონსტანტინეპოლის სომხური სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლის წარდგინებითა და ვატიკანის მოთხოვნით სწავლის გასაგრძელებლად იგი გადაიყვანეს რომში, პროპაგანდა ფიდეს კოლეგიაში, სადაც 1788 წ. კიდეც მისცა ფიცი[29]. რომში ყოფნისას მას თავი გამოუჩენია სწავლით. 1795 წ. პროპაგანდის სასწავლებელი დაუმთავრებია პირველი ხარისხის დიპლომით, კონსტანტინეპოლის სომეხ კათოლიკეთა საეპისკოპოსოსათვის მოუკითხავს და სამსახურში განწესებას დალოდებია.

ამ პერიოდში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ახალციხის თემში საეკლესიო რიტის (კონდაკის) თაობაზე გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა ქართველ და სომეხ კათოლიკე მოძღვართა შორის.

---

[26] სჯმხფ, საქ. 2391, გვ. 1.

[27] იქვე, დაუმუშავებელი კოლექცია, Дело —настаятеля..., გვ. 1, 2.

[28] იქვე, ფ. 2391, გვ. 1.

[29] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 465.

სტამბოლის სომხურ-კათოლიკური საეპისკოპოსო კავკასიაში თურქთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე კათოლიკური მოსახლეობისათვის სომხური კათოლიკური რიტის შემოღებასა და დაცვას მოითხოვდა. სომეხთა ვაჭრობა-მრეწველობის უნარიანობით მოხიბლული ვატიკანი[30] ხშირად საქმეს საეპისკოპოსოს წინადადებისამებრ წყვეტდა და თვლიდა, რომ ამიერკავკასიის კათოლიკეთათვის სრულიად საკმარისი იყო ორენოვანი — ლათინური და სომხური რიტი (ტიპიკონი).

როგორც აღვნიშნეთ, სომხურენოვანი რიტის მიღება და განმტკიცება იმისათვის ესაჭიროებოდათ, რომ შემდეგ ქართველი კათოლიკეები წარმოშობით სომხებად გამოეცხადებინათ. ვინც ამას ფიქრობდა, მას ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ამას შეიძლებოდა ქართველ კათოლიკეთა მხრიდან დიდი წყენა და არევ-დარევა მოჰყოლოდა. მათი აზრით, მოსალოდნელ უსიამოვნებას რამდენადმე შეანელებდა ის გარემოება, თუ თვით ქართველ კათოლიკეთა შორის აღმოჩნდებოდა ვინმე დიდად გავლენიანი თვისტომი და სომხური რიტის დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს. სამწუხაროდ, ქართველ კათოლიკეთა შორის ასეთი თვისტომნი გამოიძებნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო პავლე ჭილიმუზაშვილი (შაჰყულიანი).

როგორც უკვე ვთქვით, XVIII საუკუნის 20-იან წლებში რიტის თაობაზე დავამ დაძაბული ხასიათი მიიღო. მალე ჭორისა და დაბეზღების მსხვერპლი გახდა ქართული რიტისათვის თავგამოდებული მებრძოლი გრიგოლ მაქანდარიშვილი. იგი 1794 წ. ახალციხის პროვიკარობიდან გაათავისუფლეს და კონსტანტინოპოლში გაიწვიეს. გრიგოლმა რომში თავი იმართლა. ამის საფუძველზე გამოიცა განკარგულება მისი კვლავ ახალციხეში დაბრუნების შესახებ, მაგრამ კონსტანტინოპოლის ვიკარია ცენტრის ბრძანებას არ ასრულებდა და გრიგოლს ახალციხის პროვიკარად არ აბრუნებდა. ამასობაში 1798 წ. მიწურულს იგი სტამბოლშივე გარდაიცვალა და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომ ახალციხის პროვიკარად უმალ დანიშნა უკვე კარგად დამუშავებული და მისი ინტერესების სარგო სომხურენოვან ტიპიკონზე მდგარი პ. შაჰყულიანი[31]. 1801 წ. იგი არქიმანდრიტობის ხარისხით დააჯილდოვეს.

პ. შაჰყულიანი თავისი დროის კვალობაზე უაღრესად განათლებულ და მომხიბვლელ პიროვნებად იყო მიჩნეული. ევროპული

---

[30] სქმხფ. დაუმუშ. კოლექცია: Дело настоятеля..., გვ. 2.

[31] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 473.

და აზიური ენების ზედმიწევნითი ცოდნა მას საშუალებას აძლევდა ყველგან სასურველი ურთიერთობა დაემყარებინა, თავისი ცოდნით იგი ყველასაგან პატივისცემას იმსახურებდა, კარგად იცოდა ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ითვლებოდა თავისი დროის დიდ თეოლოგად, იყო აღიარებული მჭერმეტყველი, მთარგმნელი. პირადი ნაცნობობა ჰქონდა არა მარტო ახალციხის, არამედ არზრუმ-ტრაპიზონის ფაშებსა და სულთანის კარის მოხელეებთანაც.

1799 წ. შუა რიცხვებში პ. შაჰყულიანი სპეციალურად თბილისში ჩამოვიდა, გიორგი XII-ს ეწვია, მეფე ერეკლეს გარდაცვალების გამო მიუტირა და სამძიმარი მოახსენა, მერე გიორგის ტახტზე ასვლა მიულოცა და ერთგული სამსახური აღუთქვა[32]. პავლე შაჰყულიანის მიზანს შეადგენდა, ხელთ ეგდო მთელი საქართველოს კათოლიკეთა სულიერი უფროსობა და თავისი თავი ეპისკოპოსად დაენიშვნინებინა[33]. საამისო ყრუ საუბარი პროპაგანდას მან კიდეც ჩამოუგდო. აღუწერა, თუ აქაურ ეპისკოპოსად როგორი ღირსებების პირი უნდა დანიშნულიყო, რომ ის უნდა ყოფილიყო შეძლებული და გავლენიანი ოჯახის შვილი, აუცილებლად ადგილობრივი, სწავლა მიღებული უნდა ჰქონოდა პროპაგანდის კოლეგიაში, უნდა სჯეროდა სომხურენოვანი ტიპიკონი, ამავე დროს უნდა სცოდნოდა ადგილობრივი ენები, პირველ რიგში ქართული ენა და სხვა. ერთი სიტყვით, მომავალი ეპისკოპოსი ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო პირადად მისი პიროვნება. ამ გზით შაჰყულიანმა მრავალი სომეხ კათოლიკეს მხარდაჭერა მოიპოვა, სამაგიეროდ ამისათვის თანდათან განუდგნენ მას ქართველი კათოლიკე მღვდლები. ან კი როგორ შეიძლებოდა ეპატიებინათ მისთვის ისეთი ურიგო საქციელი, რაც მან ჩაიდინა ქართული რიტის შემოღებასთან დაკავშირებით. მოვიტანთ ერთ მაგალითს: 1802 წ. ზაფხულში ახალციხის პროვიკარმა პავლე არქიმანდრიტმა მიიღო პროპაგანდის წერილი, რომ ქართულ ტიპიკონზე მდგარი არტაანის მხარის სოფ. უდის გარდაცვლილი წინამძღვრის ნაცვლად წმინდა კრების გადაწყვეტილებით, აქ უნდა გამოეგზავნათ ორი ყმაწვილი, რომელნიც აღიზრდებოდნენ ურბანის კოლეგიაში ქართული რიტით, მაგრამ ეს დღემდე არ გაკეთდაო. ახლა „წმინდა კრებამ, რადგან კარგად უწყის ბერძენ-ქართველი მღვდლების საჭიროება, კვალად დაადგინა, რომ მაგ ტომის ორი ყმაწვილი გაეწვრ-

---

[32] სჯმხფ., Дело настаятеля..., გვ. 2.

[33] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 500.

თნათ ბალინათ გრიგოლ მღვდელის ხელმძღვანელობით. ამიტომ გთხოვთ ამოარჩიოთ ორი ახალგაზრდა... და პირდაპირ რომში გამოაგზავნოთ“[34]. შაჰყულიანმა პროპაგანდის ეს თხოვნა არ შეასრულა და შემდეგ სხვადასხვანაირი მომიზეზებით ასეთი პასუხი გასცა: აქ საჭირო აღარ არის ბერძნის ტიპიკონის ქართველი მღვდლები, არც ველში და არც ახალციხეში, რადგან ქართველი კათოლიკეები „შეეჩვივნენ სომხური ტიპიკონის მქონე მღვდლებისაგან სულიერი სამსახურის მიღებასო“[35]. პროპაგანდას, რომელიც კათოლიკე პატრებისაგან აქაური მდგომარეობის შესახებ იღებდა ზუსტ ცნობებს, შაჰყულიანის პასუხი არა საკმარისად მიუჩნევია და განმეორებით მიუწერია, რომ თქვენი პასუხის მიუხედავად „წმინდა კრება მეტად მოწადინებულია ველსა და ახალციხეში განწესებულ იქმნენ ქართველი მღვდლები ბერძნის (მართლმადიდებლური — შ. ლ.) ტიპიკონისა, რათა მათი საშუალებით შეუერთდნენ იმავე ტიპიკონის სქიზმატები, რომლებიც მანდ ლპოებიანო“[36]. ამგვარი მოთხოვნის მიუხედავად პავლე არქიმანდრიტს ქართველ მოსწავლეთა კოლეგიაში გაგზავნაზე ერთხანს თავი შეუკავებია და სხვადასხვა პირთა დახმარებით სამცხე-შავშეთ-არტაან-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა შორის სომხურენოვანი რიტის ხმარების მიზანშეწონილობის მტკიცებას შესდგომია. მაგრამ პროპაგანდა აზრს არ იცვლიდა და როგორც იქნა შეარჩიეს და გააგზავნეს ორი ქართველი ველელი: იაკობი და ანდრია, რომელნიც ქართულენოვან მოძღვრებად უნდა მომზადებულიყვნენ რომს, მაგრამ მოხდა აქაც გაუგებრობა, ყმაწვილები კონსტანტინეპოლში შეაჩერეს და, როგორც ჩანს, იქაური სომხური კათოლიკური სასწავლებლისაკენ აქნევინეს პირი. ბევრი ამ ფაქტშიც შაჰყულიანის ხელს ხედავდა. შაჰყულიანს არა მარტო საეკლესიო მოღვაწენი, არამედ ქართველი მრევლიც იჭვით უყურებდა და ჰკილავდა. პროვიკარს განსაკუთრებით სერიოზული შეხლა მოუხდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარ პეტრე ხარისჭირაშვილთან. პეტრე ქართულენოვანი რიტისათვის დაუღალავი მებრძოლი იყო და იმ აზრს ატარებდა, რომ ქართველი კათოლიკენი, რაც არ უნდა რიცხვმცირენი ვიყოთ[37], უნდა გვქონდეს ჩვენი, სხვა კათოლიკეებისაგან განსხვა-

---

[34] იქვე, გვ. 487. [35] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 487. [36] იქვე, გვ. 488.

[37] საეპისკოპოსოს დაარსებისათვის კი, რისთვისაც ასე თავგადადებული იბრძოდა შაჰყულიანი, საჭირო იყო მორწმუნეთა განსაზღვრული რაოდენობა, რაც სომეხ კათოლიკეებთან შეერთებით შეიძლებოდა შემდგარიყო.

ვაზული ეროვნული ელფერი, ჩვენი ენა, ჩვენი წიგნი, ჩვენი კულტურა. სხვისი ენით ჩვენი სულიერი სამსახური ჩვენი ვინაობის „ამბნევი და დამკარგავიაო“.

გონიერი, პირდაპირი და დიდი ენერგიის პეტრე ხარისჭირაშვილის პიროვნება არქიმანდრიტს მოსვენებას უკარგავდა და ყოველნაირად ცდილობდა ეკლესიიდან მის განშორებას. ამიტომ მან უკადრისი იკადრა ერთ-ერთი წირვის დროს, სრულიად მოულოდნელად დებოში ატეხა — აბატ პეტრე ხარისჭირაშვილს „სახარება მრუდეთ უჭირამსო“[38]. ამას გაუთავებელი უსიამოვნება მოჰყვა და იმით დამთავრდა, რომ პეტრე ახალციხიდან ქუთაისს გადავიდა, ხოლო შემდეგ რომსა და კონსტანტინოპოლს გაემგზავრა და იქ დაიწყო შრომა თავისი დიდი მიზნების განხორციელებისათვის. შაჰყულიანს იქ ბევრი სხვა მომდურავიც ჰყავდა. „თვით ჩვენ გაგვიგონია, — იგონებდა მ. თამარაშვილი, — მისი საყვედური და კიცხვა მოხუცი პირებისაგანო“[39]. პავლე პროვიკარი კი დასახული მიზნის მისაღწევად ჯიუტად მიიწევდა წინ. 1813 წ. პროპაგანდამ მასვე მიანდო კაპუცინების მისიონის უფროსობა ახალციხეში. ეს მისი გამარჯვება იყო, რამაც ადგილობრივ მოძღვრებს შორის შფოთი და არევდარევა გააძლიერა. პოლკოვნიკი როტიე შაჰყულიანს ასე ახასიათებდა — „პავლე პროვიკარს, რომელიც გარეგნობით უზომოდ ხიბლავს კაცს, თავი სარწმუნოების ერთგულ კაცად გამოჰყავს. თვით ეშმაკი ამ მელია კაცს იარაღად ხმარობს. ქუთაისს ჩავიდა, რუსის გენერლებს მიელაქუცა. სთხოვა გაეცნოთ მისთვის პეტერბურგში მყოფი არქიეპისკოპოსი. მომავლის საქმე წინ წაიგდო. ბევრი დანაშაულობა აქვს ჩადენილი, ერს ძალიან სძულს“[40]. როცა მდგომარეობა, მართლაც, დაიძაბა, კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსმა 1826 წ. დასაწყისში ვანჩენციო ქორეზიმ პავლეს ჩამოართვა თემის უფროსობა, აუკრძალა მღვდელმსახურების აღსრულება და დაიბარა კონსტანტინეპოლში. შაჰყულიანის ნაცვლად ახალციხის პროვიკარად დანიშნა მღვდელი ივანე ლაზარიშვილი (ლაზარიანი). შაჰყულიანი მთავარეპისკოპოსის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა, საქმე რომში გადავიდა. პროპაგანდამ დაამტკიცა არქიეპისკოპოსის გადაწყვეტილება და შაჰყულიანი თბილისს გამოაგზავნეს, მაგრამ რამდენიმე თვის ენერგიული მეცადინეობის

---

[38] სტ. ნ ა ვ რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, ქრონიკა, გვ. 26.

[39] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 488. [40] იქვე, გვ. 501.

შემდეგ მან შესძლო ახალციხის პროვიკარობა დაებრუნებინა. 1826 წ. 15 ენკენისთვეს იგი ახალციხეს მივიდა და თავის ძველ ადგილზე დადგა[41]. თავისი მაინც არ მოიშალა. ახალციხის საფაშოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პ. შაჰყულიანი უკვე აშკარად იბრძვის ახალციხეში უცხოური მისიონის გაუქმებისათვის, მოითხოვს შემოერთებული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ კათოლიკეთა ჩამოცილებას კონსტანტინოპოლის ვიკარიისაგან და მოგილევის კონსისტორიასთან შეერთებას. 1839 წ. პავლე არქიმანდრიტს ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მღვდელმსახურება აუკრძალეს, მაგრამ იგი დაფაცურდა, ბებუთოვი მოიყვანა და თავი აიხსნა[42]. შაჰყულიანმა თავისი არ დაიშალა და დასმენების წერას მოუმატა. პირველ ხანებში მას ენერგიულად უჭერდა მხარს გენ. ვ. ბებუთოვი. მთავრობამ საქმის გამოძიება დაავალა პოლკოვნიკ კოცებუს, რომელიც ლუთერანი იყო. კოცებუმ შაჰყულიანი დაადანაშაულა და მისი ეკლესიიდან განშორება მოითხოვა. 1840 წ. 18 სექტემბერს პატრი ფრანჩისკომ ქვემო საყდარში „ხმოანი“ წირვის დროს შაჰყულიანი სახალხოდ შეაჩვენა[43].

1844 წ. მთავრობის დადგენილებით იგი კვლავ განაშორეს ახალციხის ეკლესიას, მაგრამ ამჯერად შაჰყულიანმა საქმე სულ შეატრიალა, კაპუცინების შესახებ დასმენები საიმპერატორო კარს მისცა. შაჰყულიანი ისევ უფროსად დანიშნეს. საიმპერატორო კარმა უცხოელ მისიონერებს აუკრძალა „მთავრობის ერთგულ“ სომეხ კათოლიკეთა საქმეში ჩარევა[44]. პავლე არქიმანდრიტი ახალციხეს დაბრუნდა. უცხოეთის მისიონი ახალციხეში მოშალა და პავლე სამცხე-ჯავახეთის თემის კათოლიკეთა ერთადერთი სულიერი მბრძანებელი გახდა.

მეტად საინტერესო იყო პავლე ჰილიმუზაშვილ — შაჰყულიანის მოღვაწეობა შემოქმედებით სარბიელზე. იგი აქ სულ სხვა პიროვნებად გვევლინება. მისი ნამუშაკევის ერთი ნაწილი, რომელიც დღემდეა შემორჩენილი, უთუოდ მიუთითებს ავტორის განსწავლელობასა და დაუღალავ ნიჭზე. მისი შემოქმედების მთავარი იარაღი იყო ქართული ენა, ის ენა, რომელსაც პრაქტიკული მოღვაწეობის დროს სხვადასხვა ქვენა გრძნობებისა გამო აშკარად ბრძოლასაც კი უცხადებდა ხოლმე. პ. ჰილიმუზაშვილის ქართული გა-

---

[41] სტ. ნავროზაშვილი, ქრონიკა, გვ. 100. [42] სტეფანე აბინაშვილი, დღიური, გვ. 106. [43] იქვე, გვ. 107. [44] მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 524.

მოირჩევა ღრმა და ძარღვიანი თქმებით, მისი მეტყველება ძველი ქართული საეკლესიო მწერლობისა და ხალხური ენის ძირებზეა დაყრდნობილი. „სიჭაბუკესა შინა, — წერს ერთგან, — მაქუნდა ფრიად დიდი მიზიდულობა და მიკრულობა სწავლისა მოყვარებისა“[45] და განაგრძობს: როცა რაიმეს ვწერდი და ვქმნიდი, „საკუთარი სიხარული და შვება მემიზეზებოდაო“[46].

მრავალთა „უცხოთა წიგნთა“ კითხვისას ანუ „ჩემთა აღძრულთა ფიქრთა“ ნიშნეულ რამეს ვინიშნავდი „ჩვენს ქართულს ენაზედა, რომელი უფრო შეადვილებოდა“[47]. და ასე გროვდებოდნენ „ნაყოფნი ჩემისა შრომისანიო“[48]. ერთ „წინათქმულებაში“ პავლე თავის მკითხველს მიმართავს: „ნაცვლად გუამებრივად ქადაგებისა ჩემისა თქუენდამი წიგნნი ესენი იყუნენ მქადაგად თქუენდა და განვცხადდები“[49] მაშინ მეც თქუენს შორისო.

შემოქმედებითი მუშაობა პ. ჭილიმუზაშვილს დაუწყია ახალგაზრდობაშივე. თავის დროზე მას შეუდგენია ჯერ ლათინურ-ქართული, შემდეგ სომხურ-ქართული ლექსიკონი[50], რომელთა კვალი, სამწუხაროდ, დღეს აღარ ჩანს. მას ახალგაზრდობაშივე უტვირთია უდიდესი შრომა და ლათინურიდან ქართულად გადმოუღია ოთხივე სახარების ვრცელი თარგმანი, რომელსაც 4 დიდი ტომი შეუდგენია. ახლობელთა რჩევით, ოთხივე ტომი 1805 თუ 1806 წწ. მიუტანია მთავარმართებელ ციციანოვთან და უთხოვია შუამდგომლობა იმპ. ალექსანდრე 1-თან გასაგზავნად, რომ იმპერატორს ენახა იგი თავისი თვალით და დაბეჭდვის ნება და ხარჯები მიეცა. პეტერბურგმა არც დასაბეჭდი ხარჯები გაიღო და აღარც ეს ნაშრომი დაუბრუნა ავტორს. პ. ჭილიმუზაშვილის ყველა მცდელობა, უკან მიეღო თავისი ნაღვაწი, არ გამართლდა. ბოლოს იგი შეეხვეწა ბროსეს, შეუკვეთა, როგორმე „მომიშოვნე მანდ გადმოგზავნილი ჩემი თარგმანებიო“. ამის პასუხად ბროსე არქიმანდრიტს ატყობინებდა: თქვენი წიგნები „ხელმწიფის სასახლეშია დამწყვდეული, შეუძლებელია მისი გამოტანაო“[51].

პ. ჭილიმუზაშვილმა ახალციხეში შეადგინა და 1820 წ. დაამთავრა ორიგინალური წიგნი „ეკლესიის მოთხრობა“, რომელიც ქრესტომატიის პრინციპით არის დალაგებული და შედგება 706 გვერდისაგან[52].

---

[45] სჯმხფ. საქ. 155, გვ. 1. [46] იქვე, გვ. 2 [47] იქვე. [48] იქვე, გვ. 4. [49] იქვე, გვ. 6.
[50] იქვე, საქ. 209, გვ. 48. [51] სჯმხფ, საქმე, 209, გვ. 112. [52] იქვე, საქმე 145.

1826 წ. დაამთავრა 7 ტომიანი ეკლესიის ისტორიის თარგმნა[53], რომელიც მოდის დასაწყისიდან შუასაუკუნეებამდე. მანვე გადმოიღო ვილოთის სახარების თარგმანი, პავლე სანიერის ორმოცეული ქადაგება, სომხური ზნეობრივი საიდუმლოების ღვთის მეტყველება[54] და სხვა მრავალი.

როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, პავლე არქიმანდრიტი სულ მუშაობდა და საერთოდ არ ისვენებდა, იგი ან სხვადასხვა რიტუალს ასრულებდა, ან ქადაგებდა, ან კამათობდა, ან კითხულობდა, ან წერდა. კითხულობდა მრავალი ენით, წერდა მხოლოდ ქართულად, იშვიათად სომხურადაც[55].

პავლე არქიმანდრიტის პირადი ბიბლიოთეკა მთელს კავკასიაში ერთ-ერთ მდიდარ წიგნთსაცავად ითვლებოდა, სადაც თავმოყრილი იყო ევროპული და ქართულ-სომხური კოლექციები. ამის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ჭილიმუზაშვილის მიერ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისადმი მისი ბიბლიოთეკის ნაწილის ანდერძით დატოვებული წგნების სია, რომელც აქვეა დაბეჭდილი. 1848 წ. 80 წ. მიტანებულმა მარტოხელა და უმემკვიდრეო არქიმანდრიტმა თავი ოდნავ ცუდად იგრძნო თუ არა, შეადგინა ანდერძი, მაგრამ სიკვდილის შიში ნაადრევი გამოდგა; იქ გათვალისწინებული პირობები სიცოცხლეში შეასრულა და 1852 წ. ხელმეორედ მოუხდა „მტკიცე ანდერძის" შედგენა. საყურადღებოა, რომ მოხუცმა არქიმანდრიტმა ანდერძის მიხედვით იქვე ახალციხეში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გვერდით, ააშენებინა ორსართულიანი სასწავლებელი კათოლიკე ბავშვებისათვის, რომელიც შედგებოდა 20 ოთახისაგან. ანდერძითვე თავისი ბიბლიოთეკა დაუტოვა სასწავლებელს. სასწავლებელი ამუშავდა 1851 წლიდან, სადაც ყოველწლიურად 60-მდე ბავშვი სწავლობდა[56]. ნათესავებიდან თავისი მოგვარე ბიძაშვილი ლუკა ჭილიმუზაშვილი მოიკითხა და დაუტოვა ხუთი სომარი ხორბლის სათესი ყანა. 1854 წ. გარდაიცვალა. მისმა მოწაფეებმა იგი კუბოსთანავე გაპკილეს, თუმცა შესაფერისი პატივით დაკრძალეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში. დასანანია, რომ ამხელა შესაძლებლობის კაცმა პირადი კარიერისათვის ბრძოლას შეალია თავისი ნიჭი და ენერგია.

---

[53] იქვე, საქმე. 4331. [54] იქვე, საქმე 209, გვ. 113. [55] იქვე, საქ. 209, გვ. 113.

[56] В. Иванов, Г. Ахалцих 1888 г., Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. VII, Тф., 1889, стр. 214.

# ახალციხური ქრონიკები

## შაჰყულიანის „მტკიცე ანდერძი"*

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ — მე ამის ქვემორედ ხელის მომწერელი განმგებელი სომეხთ კათოლიკეთ სასულიეროთა და ეკლესიათა არხიმანდრიტი პავლე შაჰყულოვი, მყოფი სრულსა გონებასა და მეხსიერებასა, ჩემსა ზედა ვსდებ ამა სულიერს ანდერძსა, რათა შემდგომ აღსრულებისა ჩემისა, ვისაც ამის ქვემორედ დავნიშნავ ჩემი ანდერძის აღმასრულებლად, რათა იგინი წმინდათ და დაურღვევლად აღასრულონ ყოველნი ქვემორედ აღწერილნი მუხლნი კუთნილნი ჩემსა ანდერძსა: ამა ანდერძსა ზედა ჩემის სრულის ნებითა.

პ ი რ ვ ე ლ ა დ თუმცა 1848-სა წელსა მაისის 5-სა დღესა შევადგინე ანდერძის წერილი ჩემი აზრისამებრ, ხოლო შემდგომ მისა ჩემის სიცოცხლესა შინა აღვასრულე იგინი, რომელნი მასშინა მოხსენებულ იყვნენ ჩემის კეთილის მოღვაწეობით შეძინებულნი ვერცხლეულნი და ოქროეულნი ნივთეულებანი, სრულად გავყიდე და მათი ფასით და სხვა ჩემდა მეკუთვნილი სუმით აღვაშენე ამა ახალციხის ძველის ქალაქსა შინა მდებარე წმინდა იოანე ნათლისმცემლის სომეხთ კათოლიკეთ ეკლესიისა ახლორე სასწავლო სასარგებლოდ საზოგადოთ ამავე სომეხთ კათოლიკეთ სასულიეროთა და ყრმათა. ესე არს ქვით-კირით აღშენებული ორი ყათი შენობა თავისი ქვემორედ ყათში რვა დუქნითა მაღაზიებითა, ორი კლასი სასწავლოითა, კუხნითა და ბაკითა: ზემორედ ყათში ოთხი შესრულებული ოთახითა და ექვსიც შეუსრულებელი ოთახებითა, შემიწირია ზემო მოხსენიებული ეკლესიისათვის, ვითარცა ესე უადრესად ვაუწყე სულიერ და ხორციელ მთავრობათა და შევიტანე ამა ეკლესიის სიასა შინა სხვათა მას ეკუთვნილთა თანა, ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ.

---

* შაჰყულიანის ანდერძი ტექნიკური მიზეზების გამო ქრონიკებში წინ გადმოვიდა.

მ ე ო რ ე დ ამა შენობის აღდგინებისათვის რადგან საკმაო არ იქმნა ჩემი კეთილის მოღვაწეობით შეძინებული სუმმა, ამისთვის ბარათით ვისესხე ამავე წ~ა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სუმისაგან ასი თუმანი ფული და წარვაგე ამა შენობასა ზედა, რადგან ჩემის სიცოცხლეში ვერ გარდავიხადე ესე ვალი, ამისთვის ესე მოხსენიებული შენობა დავსტოვე ეკლესიასა, გარდა ასისა თუმნისა რაიც ნამეტურად წაგებულ არს იგი ჩემდა მოსახსენებლად ვითარცა ზემორედ პირველ მუხლში ითქვა.

განმგებელი სომეხთ კათოლიკეთა

მესამედ, რაიც ჩემის სიკვდილის შემდგომ დაშტების, სახმარი ვერცხლეული ნივთეულობა და სახლის სპილენძეული ავეჯეულება, ესე ყოველნი გაიყიდოს და მას გარდა რაიც ფულად დაშტების სრულიად მიეცეს ჩემის სულისათვის საწირავათ, ხოლო რაიც საეკლესიო ჩემდა კუთვნილი სახმარი ნივთეულობა არის, იგინიცა მიეცეს ამავე მოხსენიებული წ~ისა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასა სასულიეროთა კავკაზის აქეთ მხარისა.

მეოთხედ, რაოდენიცა საკითხავი წიგნები მაქუს სხვა და სხვა ენათა სრულად დაშტეს განუშორებლად ამავე შენობისა სასწავლოისათვის სასარგებლოთ სასულიეროთა და ყრმათა, რომლის სია ამასთანავე შეკერილ არს და ჩემის მოადგილემან უფროსმან იქონიოს მათზედა ზრუნვაობა, რათა არცა ერთი მათგანი არ დაიკარგონ.

არხიმანდრიტი.

მეხუთედ, ახალციხის წ~ა ჯვარის ეკლესიის პირისპირ მდებარე განსვენებული იოანე ვარძელოვის ყანის გვერდით ხუთი სომარი ხორბლის სათესავი ყანა მიეცეს ლუკა იოსების ძე ჭილიმუზოვს, რათა მან იქონიოს ჩემდა მოსახსენებლად.

პავლე შაჰყულოვი.

ესე ჩემის სრულის მეხსიერების და ფიქრის ჟამსა ვიანდერძე და მიმინდვია მე ჩემის კეთილის ნებითა სიკუდილის შემდგომ აღმასრულებლად ესე მტკიცე ანდერძისა ამათა, სახელდობრ მღვდელთა ტერ იოსებ ხუციევსა, ტერ სიმონ ასლანოვსა, და ახალციხის მოქალაქეთა სტეფანე მურვანოვსა და სტეფანე ყირსქესალოვსა, რათა შემდგომად სიკუდილისა ჩემისა ყოველივე ღონისძიება მოიხმარონ დანაშტი ნივთეულებათა ზედა გაჰყიდონ და მოახმარონ ჩემს სულსა. ესე არს ჩემი სრული ნება სიკუდილის უკანასკნელის ჟამსაცა.

განმგებელი სომეხთ კათოლიკეთა სასულიეროთა კავკაზის აქეთ მხარისა იგივე არხიმანდრიტი შაჰყულოვი.

II იანვრის 1852-სა. ახალციხესა.

უფალი არხიმანდრიტის პირისპირ თხოვნითა სრულის გონების ჟამსა მოწამე ვარ ამ ანდერძისა ტერ იოვაკიმ მაზმანოვმან.

უფალი არხიმანდრიტის პირისპირ თხოვნითა სრულის გონების ჟანსა მოწამე ვარ ამ ანდერძისა ტერ პეტროს ხადევოზიანი.

ჩვენ ამით ქვემორე ხელის მომწერელნი ახალციხის ძველის ქალაქის მცხოვრებნი მოწოდებითა უფლის არხიმანდრიტის შაჰყულოვის და პირისპირ თხოვნითა თავისი სრულის მეხსიერების და გონების ჟამსა სამოწმებლად ამა ანდერძისა ხელ ვაწერთ: იაკობ ხითაროვი, თომა ქურქჩიბაშოვი, კონო გალუსტოვი, სტეფან გასპაროვი, დეპუტატი პეტრე ჯიმშეროვი.

1763 წ. 2. იანვარს. თათრის ჯარი იმერეთიდგან მობრუნდა სამშაბათსა.

28. აპრილსა. ქ. სტამბოლს ქარავანი წავიდა. მაქანდრიანთ იოანე და გრიგოლი მათთან წავიდნენ[1] .მღვდლად საკურთხავად. მაშინ წავიდა გრიგოლი რომსა.

24. ივნისისა. ახალციხეს კოკონათ[2] წინ ჟანღუნი იქმნა[3].

18. ოკტემბერს. თათრის ჯარი დაბრუნდა იმერეთიდან სარიფაშისა.

8.. ნოემბერს[4] ჩვენი დავითა ტრაპიზონითგან მოვიდა.

27. ნოემბერს პეტრე ბიძე თავრიზითგან[5] მოვიდა.

1764. წ. 27. თებ. მამა აზრუმს წავიდა. გრძელი პოლოს ბიძაც თან გაჰყვა.

10. აპრილს პოლოს ვარდაპეტს* და ტერ იოანეს საყდარში ლაპარაკი მოუხდათ.

21. ივლისტას მღი. ტერ ლაზარე მიიცვალა.

29. ბავთისტიანი დონ სტეფანე მიიცვალა ივლისტას და მისსავე ეკლესიიაში დაეფლა. სომხურის წესით ჩიგიანათ ივ. მოძღვრის განგებითა.

2. მაისსა. პატრი იაკობი აზრუმს წავიდა.

6. თიბათ. პოლოს ვარდაპეტი[6] ქალაქს წაბრძანდა ბავთისტელი პატრებითა[7].

7. პატრი ჳქარი ართვინითგან ახალციხეს მოვიდა.

---

* პოლოს ვარდაპეტი პავლე ეპისკოპოსია ასლანათი ახალციხელი. ეს ლიბანას იკურთხა ეპისკოპოსად. უნებურად თავის ეპისკოპოსის. ეს გეორგ ვარდაპეტი ახალციხეს გააცხადებს თავის კათოლიკობასა და აკუთხებსმღვდელებსა. თამარათ ისტორიაში.

[1] თან იყვნენ წასულნი. [2] კაკონათ. [3] იქნა. [4] ნოემბერი. [5] თავრეზითგან.

[6] ვართაპეტი. [7] პეტრებითა.

12. გეორგ ვარდაპეტი მოვიდა ახალციხეს.

27. გორელი სტეფანე და გარსევანაშვილი იოანე მღვდლად იკურთხნენ გეორგ ვარდაპეტისაგან. ახალციხის ჯვარის ეკლესიაში.

13. ივლისისა. ტერ პოლოსი სოხუმს წავიდა.

8. მარიობისა. სომხების სალოცავი სახლი დააქციეს.

1765. წ. 21. იანვრის ძანღუნი იყო შუაღამესა. მეწვრიმლე-ბის დუქნებითგან.

18. თებ. აზრუმითგან მამას გამოგზავნილი ხარა დაიკარგა. არაბოლლის ხელითა.

28. თებ. დინდარის შვილი სტამბოლს წავიდა

24. აპრილს პატრი ჳქარმან პაპის შენდობა მისცა მრევლსა ახალციხის წ—ა ნიშნის (ჯვრის) ეკლესიაში.

23. მაისს. პოლოს ვარდაპეტი და ბავთისტელი პატრები ქის-ტებისკენ წავიდნენ.

10. თიბათ. მესამედ წავიდა ჰასან ფაშა იმერეთზედ. სარას-კირიც თვითან იყო.

18. აწყვრელი არუთენას გჳრგჳნი ვაკურთხეთ ფირალათ ვარ-დაპეტმან და მე.

10. ივლისს. პატრი ჳქარი და მამაჲ აზრუმითგან მოვიდნენ.

14. პატრი იერონიმესთან ალსარება ვთქვი[8].

24. პოლოს ვარდაპეტი* ქისტებისგან, მოვიდა.

8. ღვინობისა. ჰასან ფაშა და ჰაჯი ალი ბეგი იმერეთიდან მო-ვიდნენ.

29. ივლიტას[9] აწყვერელი ტერ იოანე მიიცვალა.

6. გიორგ. მეორედ უდეს წაველ.

14. უდიდამ მოვედ.

6. ქრისტიშობ. სათლელი ტერ იაკობი მოვიდა ახალციხეს.

22. მესამედ უდეს წაველი.

1766. წ. იანვარს უდიდგან მოვედი.

21. უდეს წაველი[10].

2. თებ. უდეს კონდაკის წაკითხვა განწესდა. ტერ ვოლორმე-ბი. დაიჭირეს კერძო პირებმა კვირისა და სხ.

19. პარილს[11] ახალციხეს წაველი.

---

* შეცდომით მოხუცებული ლიბანის არქიეპისკოპოზისა და მისთვის კანონმან არღარ მისცა ნება. ეპისკოპოზობისა და ვარდაპეტად ხსენებულია. გეორგიც ვარ-დაპეტად არის, მაგრამ ეპისკოპოზი იყო.

[8] ვსთქვ. [9] ივლიტელი. [10] წამოვედი. [11] პირველად.

22. მერმე ახალციხითგან უდეს მოვედი.

9. მარტს არალს წავედი.

19. ტერ სარქისის სახლში მოვედი უდეს ტერ სარქისთან.

21. ახალციხეს წავედი.

23. პატრი ჰქარი ლენარდე სტამბოლს წავიდა.

28. მამაჩემი მიიცვალა. ღ~ნ შეიწყალოს.

4. აპრილს. ისევ უდეს ამოვედი.

8. მაისს ახალციხეს წავედი.

11. გორელ ტერ სტეფანესთან ვილაპარაკე. პატრი უმცროსს იერონიმესთან ვილაპარაკე. სტამბოლს დიდი მიწისძვრა იქნა[12].

13. უდეს მოვედი.

20. ახალციხეს წამიყვანეს ჩვენმან ხუცესმან მრწამსის თარგმნობისათვის.

10. მკათათ. ჰასან ფაშა და ჰაჯი ალი ბეგი ვალის ჯალითგან მთაზედ ავიდნენ.

18. აზრუმს წავიდა ჩემი ძმა ლუკა.

29. უდელი ტერ სარქისითგან გამოვედი და პური აღარ ვჭამე მე იმასთან

4. მარიობ. კახარეთულს ძილაზედ წავედი უდელებთან.

21. ოცხეს ვიყავ გოზალათ პეტრესთან.

4. ენკენისა. უდის საყდრის იატაკი დავაგებინე ქვის ფიქლით.

7. უდის საყდარს ხელი მივჰყავით გასათეთრებლად.

21. თოვლი მოვიდა კარგად.

27. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

15. ღვინობ. ირიცფოხანათ[13] დავაყენე ბალახათ ანტონა და ყუთი მივეცი ყ~დ წ~-ის ეკლესიის კარზედ უდეს.

23. გეორგ. არტაანს წავედით სძლის მოსაყვანად იოანესთვის და მოვიყვანეთ.

25. ქრისტიშ. უდეს ხუცესთან ლაპარაკი მომიხდა ეკლესიაში. 1767. წ. 12. თებ. პავლე ეპისკოპოსი და დონ ანტონი უდეს მოვიდნენ და წავიდნენ ბათუმს. მე საჰეჰელამდის[14] გავყევი.

16. თებ. ჰასან ფაშა გამოცვალეს.

24. წავიდა ახალციხითგან ჰასან ფაშა.

18. აპრილ. სტამბოლის ქარავანი მოვიდა, რომლებში იყვნენ დონ ანტონი და დონ კარლო ბავთისტანი და კრუხიჰამიათ გრი-

---

[12] იქმნა. [13] ირიცფოხნად (სინდიკად).

[14] ჰეჰლა სოფლამდის გავჰყევ.

გოლი. ბალდამაჲ და უდელი[15] მამასახლისის იაკობის შვილი იოანე. ესენი რომას იყვნენ ფროფაგანდა უდეში საკითხავად (ნაკურთხნი მღუდლად).

12. მაისს. უდე აიყარა, წავიდა ჩარნაგეთისაკენ.

15. ჰაჯი ალი ბეგი უდის ჴალაში მოვიდა იმერეთითგან. ჰასან ფაშის გამოცვლის უკან.

23. ახალციხითგან ქუთაისისკენ წამოვედი.

25. ქუთაისს მოვედი სალამოს ჟამსა.

1. თიბათ. სიმონა ირიზას წავიდა.

4. ნარიბეგასშვილები მოვიდნენ.

13. ტერ პოლოსი ახალციხეს წავიდა.

30. ქუთაისში პირველი სნეულის ნახვა ჩემი ეს არის.

13. მკათათ. ზალინაშვილი და თირისშვილი წავიდნენ ახალციხეს[16].

16. ჩვენი მელქონი ქუთაისს მოვიდა[17].

25 თაფურბეგი ქუთაისს მოვიდა.

26. მეფისათ იოსები ახალციხითგან მოვიდა. ვახტანგასშვილი და თირისშვილი ახალციხეს წავიდნენ ნარიბეგათ არუთუნას შვილიც მათთან

11. მარიობ. კრუხიჭამიათ ანტონა მოვიდა ახალციხითგან.

13. თერძი სიმონაშვილი იაკობი ახალციხეს წავიდა.

20. ქირისჯიანთ ლაზარა ქუთაისს მოვიდა.

23. მეფისად იოსები ქუთაისს მოვიდა.

5. ენკენ. მხატვარი სილიბისტრე და თადეოსი ქუთაისს მოვიდნენ.

21. თეიმურ ბეგი ქუთაისითგან ახალციხეს წავიდა.

26. თეიმურაზ მეფე შეურიგდა სოლომონსა და კიდეც[18] ქუთაისითგან წავიდა მის სანახავად.

22. ღვინობ. ქირიქჩიანი ლაზარე და სხვანი ახალციხეს წავიდნენ.

22. გიორგ. ხონს მოვედით ქუთაისითგან მე და იოსებ ავთანდილასშვილი.

8. ქრისტიშობ. ხონთგან მოვედი ქუთაისს.

1768. წ. 24. იანვარს საძლელი როსტომაშვილის სტეფანეს მიცვლა შევიტყვე გორელი ტერ სტეფანესაგან.

---

[15] უდის. [16] ჩვენი მელქონა ქუთაისს მოვიდა. [17] ჩვენი მელქონა ახალციხეს წავიდა. [18] კიდევაც.

4. თებ. ოფუჩხეთს ქალქაშვილ პაპუნასთან წავედით.

10. მეორედ ხონს მოვედი პაატას ყმაწვილის მოსანათლად.

26. ხონითგან მოვედი.

8. მარტს. ჩვენი სიძე პოლოს ქუთაისს მოვიდა. ამას გარდა მრავალი მიწერია, მაგრამ აქ შემოკლებით[19] ვწერ.

12. სულეიმან ფაშა, ქეჰა და გომრუგჩი მოვიდნენ ქუთაისს მეფე სოლომონის შესარიგებლად.

26. მკათათ. სულეიმან ფაშა ქეჰიანად[20] ახალციხეს წავიდა.

7. მარიობ. ახალციხეს ჟამით სენი გახშირდა.

17. ჩხარს წავედი სიმონგულას შვილის დასაქორწინებლად.

19. ჩხარითგან მოვედი.

31. ქუთაისს პირველად ჟამით მოკვდა მუსტაფა.

3. ენკენის. ქუთაისითგან ხიზნად წავედით[21] მამუკა მდივნის სასახლეში. სულ ქუთაისელნიც აიყარნენ.

6. მამუკა მდივნის ყმაწვილი დათუკა მჭაში ჩავარდა.

7. მამუკა მდივნის სახლში ვსწირე.

11. ტერ სტეფანიანთ იაკობი ოცხეს წავიდა ვაკის უბანს გასახიზნავად (თოვლის ვაკე უნდა იყოს).

19. გიორიგ. ხონითგან ქუთაისს წამომიყვანეს ავად მყოფი.
1769 წ. 28. იანვარს მეფე სოლომონი რაჭას წავიდა.

22. თებ. XIII. კლემენტი[22] პაპი გარდაცვლილა. ალამალიან ტერ სტეფანეს წერილით შევიტყე

4. მარტს. სოლომონ მეფესთან რაჭას რუსები მოვიდნენ.

23. რაჭას სოლომონ მეფესთან კიდევ რუსები მოვიდნენ.

28. ჩხარელ გოდერძას ალსარება ვათქმევინე და ვაზიარე.

4. აპრილს დადიანის დედოფალი[23] ერეკლის და ელისაბედა მიცვლილა.

22. ქუთაისს ჟამი გამოჩნდა. მეორედ ყასაბ მაჭმუდის სახლითგან.

26. მენახირიანთ პოლოსას მეუღლე ქუთაისს მოვიდა.

4. მაისს. ქუთაისითგან გახიზვნა დაიწყეს.

10. მეფე სოლომონის ძმაძ იოსები გელათს კათალიკოსად აკურთხეს. თევდორეულში მამუკა მდივნის ეზოში მეორედ სახიზრად ჩამოვედით.

---

[19] არა ვსწერ. [20] ქეჰიან გომრუგჩიანად. [21] წამოვედით.
[22] კლემენტობა. [23] მეფე ერეკლის და.

14. მეფე სოლომონი ქართლს წავიდა ირაკლი მეფის სანახავად.

15. სულეიმან ფაშა, ქეჰა, მეზვერე მემი აღა და სხვანიც ქუთაისითგან ბაღდადს წავიდნენ.

11. თიბათ. ხონს მოვედი მეოთხედ ვაკისუბნითგან პაპაშვილის გაბრიელის დედის ავადმყოფობის გამო.

21. ხონითგამ წამოვედი.

15. თიბათ. თათრებმან შადლუღი ჰქმნეს იმერეთის ყოველს ციხეებში და ხიზანშიცა.

30. ზარათს წაველი გიორგასთან და პოლოსასთან თევდორეულითგან და პირველად ნავით გაველი აქ.

11. მკათათ. ჩვენი ხუცები დაიჭირა მამან (ლომან)* ფაშამ, პავლე[24] ეპისკოპოსი, იოანე ვარდაპეტი, გორელი ტერ სტეფანი, ტერ იაკობი, და ცხენებზედ ფეხებგაკრულ[25] ეჩმიაწინს წაიყვანეს[26] სომხის მიმონ კათალიკოსთან. ეს პოლას ვართაპეტი ახალციხეს ვქარად იყო იოანე ნათლისმცემლის საყდარი მესამე დღეს პოებს მისცეს. ის ორი საყდრებიც დაგვიბეჭდეს[27]. მეორე დღეს პატრი უმფროსი ალ ეზი, პატრი იერონიმე, პატრი კნჩენციე, ექსორიაში გაუძახეს თათრებმან მეორედ შადლუღი ჰქმნეს, სამხიარულოდ ზარბაზნები ისროლეს ახალციხეს ჩვენი კათოლიკები დაიჭირა ფაშამ. ამის[28] ამბავი ზარათს შევიტყე.

14. ზარათს შემოსული ყურძენი ვჰსჭამე.

16. ზარათითგამ კათალიკოსთან წაველი გიორგითურთ[29] და საიმედო წიგნი ავიღე.

19. გელათითგან ზარათს მოვედი.

20. დონ ანტონის მიცვლა შევიტყე. წ~ა პაპის მიცვლასთან.

6. მარიობ. ხონს წაველი მეხუთედ თევდორეულითგან.

17. ზოგნი კუდიან ვარსკვლავის ამოჩენაზედ[30] ეჭვობდნენ.

21. დიაკვანი ოსელიანი ვნახე ხონს პაატას ხულაში.

28. კუდიანი ვარსკვლავი ვნახე ხონს სიგრძით სამი მხარის ოდენი.

29. გაიხოსრო წერეთლის სიკვდილის ამბავია.

8. ენკენისთ. როსტომ ერისთავს და მის შვილს ულალატა მეფე სოლომონმან ვარდის ციხეს. ხონს ვნახე მეორედ მოსხმული ნიგოზი.

---

* ფრჩხილებშუა დამატება ჩემია ადვილად გასაგებლად. ვინმე მესხი.

[24] პოლოს. [25] ფეხებგამოკრული. [26] წაუყვანიათ სიმონ კათალიკოზთან.

[27] პოლოს ვართაპეტი ახალციხეს ვიქარად იყო. [28] მისი. [29] გელათს.

[30] აღმოჩენაზედ.

11. არჩილ ბატონიშვილი ლეკებთან ოდიშს გავიდა.

14. ხონითგან ქვიტირს მივედი.

15. ხონითგან სიმონგულაშვილთან მოვედი.

23. დავით მდივანი რუსეთითგან რაჭას მოვიდა მეფესთანა.

27. ლეკების შიშით ტყეში დავიხიზნეთ.

2. ღვინობ. დადიანისგან გავქეცით ქვიტირს.

4. რუსის ჯარი იმერეთს მოვიდა შორაპნის ციხესთან.

5. ხონი და მის ახლო სოფლები დაათარეშა დადიანის ჯარმან. მეფე სოლომონი დადიანზედ მივიდა ნამაშენს.

6. არჩილმან მეგრელები დახოცა ივანდიდს და მრავალიც იშოვნეს.

10 ქვიტირითგან ზარათს მოვედი, ბერუკა ჩხარს წავიდა.

14. ზარათითგან გელათს მოვედი პოლოსკასთან და ცხენი ვიყიდე.

17. დადიანი გაიქცა მეფე სოლომონისაგან მათხოჯს, მრავალი აფხაზები დაიჭირეს და დახოცეს.

24. გელათითგან რაჭას წამოვედი გონგაძესთან.

4. გიორგ. კლავთაგან სისხლი ამართვა ფირა დიონისემ.

11. ტერ სარქისი მოვიდა ვნახე.

25. თამაზა მესხიშვილი ოდია პატრების სახლში მოვიდა.

1. გიორგობას. ონს ვსწირე პატრების სახლში.

8. პატრი იაკობთან აღსარება ვთქვი ონსა. ფირა დიონისე იმერეთს წავიდა.

24. ქრისტიშობ. მეორედ აღსარება ვთქვი პატრი იაკობთან.

1770. წ. მესამედ აღსარება ვთქვი რაჭას. იანვარსა[31].

7. იანვარს ზარათს მოვედი.

12. მეფემ ლეკები გააქცია მოსულნი თათრების მოსახმარებლად შორაპნის ციხეზედ მათთან თათრებიც გაიქცნენ.

19. ამირანი და გიორგი ვნახე მამა წმინდას.

2. თებ. მამუკა მდივნის ბაზიერი და ცხენებიც მოიტაცეს. ქუთათელებმან. ზარათითგან ვაკის უბანს მოვედი.

16. ქუთაისის ციხეს ქრისტიანი ჯარი შემოადგა. ხონს აყვავებული ხე ვნახე.

12. აპრილი. ხონითგან ვაკეშ მოვედი მამუკასთან.

17. ქრისტიანი ჯარი ქუთაისის ციხეს დაესხნენ[32]. მრავალი

---

[31] იანვრის 1. [32] დაეხსნენ.

ცხენი ვირი, თუ ხვადაგი იშოვნეს და კაცებიც მოჰკლეს. ციხით. გან ათიოდე ზარბაზნები და მრავალი ხელთოფები ესროლეს, მაგრამ ვერაფერი ავნეს.

19. მეფე ქუთაისს შემოადგა.

24. აპრილს. ქვიტირს მურადაშვილებისას სადილზედ ფრა დიონისემ მითხრა XIV. კლემენტო პაპის დაჯდენა.

29. ერეკლე მეფის გამარჯვება და ახალციხითგან დაბრუნება თქვეს რუსებიანად.

1. მაისს. რუსის ელჩის მოსვლის ამბავი მოუვიდა მეფესა სოლომონსა, ქუთაისის ციხეს რომ ადგა.

5. ცურცხათის ციხე აიღო მეფე სოლომონმან.

12. ქუთაისის ხიდის კარი და სხვა ჯიხურები აიღო მეფე სოლომონმან[33]

19. ვაკითგან ზარათს მოვედი.

23. მგონია ქუთაისს ტყივილი შადლუღი ჰქმნეს თათრებმან.

12. თიბათ. ქუთაისს პატრებს სადგომში მოვედი.

18. მეფე სოლომონმან უღალატა თათრებს და დაიჭირა ალი ჩალაბი უსტა და სხვა ძევლებიც წაართვეს თავიანთიც და თათრებისაცა.

19. განთიადს თათრებმან გალავნის კარი და სხვაც დასწვეს და შიგნითა ციხეში შევიდნენ. პატრი იაკობი ზარათს მოვიდა.

21. აღსარება ვთქვი.

22. კვალად ქუთაისს მოვედი, ფრასთან აბანოში წავედი. რუსი იმერეთის მამულში მოვიდა.

2. მკათათ. რუსის ჯარი ბაღდადს მოვიდა. ციხეს შემოადგა. 300 თუ 400 ზარბაზანი ორ საათში ესროლა და იმავე დღეს აიღო ციხე. მერმე რუსი ქუთაისის ბალახოვანში დაიბარგა.

5. რუსების თამაშობა და სროლა ვნახე და[34] ბ. ჯენერალის ჭამაშიც ვიყავით. მეფე სოლომონი, კათალიკოსი, და სხვა მიტროპოლიტები და თავადებიც იყვნენ.

8. ქუთაისის ციხეს რუსებმან ზარბაზნების სროლა დაუწყეს მწვანე ყვავილათგან ჩვენის საყდრითგან.

9. რუსები ზარბაზანს და ყუმბარას ესროდნენ ციხეს დღეში ასზედ მეტსა.

---

[33] სოლომონ. [34] და კვალადცა.

14. რუსებმა შუაღამისა[35] მრავალი ყუმბარა და ზაბრაზ-ნები ესროლეს ციხეს[36].

21. რუსის ჯარი სილაზედ დადგა, დაებარგა. პატრი იაკობი რაჭას წავიდა ქუთაისითგან.

25. მეფის ჯარი, სოლომონი, კათალიკოსი და სხვა ქართველებიც რუსის ჯარს შემოსწყრნენ და ქუთაისითგან წავიდნენ. დადიანი არ შეეყარა.

30. ქუთაისს აბანოში ვსწერე. წირვაზედ მოვიდნენ კაპიტანი, ოფიცრები და გუსარები.

5. მარიობ. პარასკევ საღამოს 4-საათს რუსები იერიშით ციხეზე მივიდნენ ქუთაისისა და აიღეს ციხე. თათრები ზოგი დახოცეს, ზოგი დაიჭირეს და ზოგნი გაიქცნენ.

8. ქუთაისის ციხე რუსებმან მეფეს მისცეს

13. სურამელ ტერ-გრიგორს აღსარება ვათქმევინე ქუთაისის აბანოში.

25. რუსის ჯარი სილითგან აიყარა და ქუთაისის ციხეს ქცევა დაუწყეს.

1. ენკენ. რუსის ჯარი სულ წავიდა ქუთაისითგან ბაღდადსა.

17. რუსის წინა ჯარი უკან მობრუნებული სილაზედ დაებარგა ისევე ქუთაისს.

19. ჯენერალი მობრძანდა სილაზედ.

21. რუსებმან თავიანთ ხელმწიფის დღესასწაულის ლხინი ჰქმნეს და მრავალი ზარბაზნები ისროლეს.

22. რუსებმან ეკატერინას ლხინი ჰქმნეს სილაზედა.

17. ენკენ. ვაკეში მოვედი იაკობასთან, რომ ლაპარაკი მომიხდა

18. ვაკითგან ქუთაისს ამოვედ.

26. რუსის ჯარმან გამარჯვების შადლუღი ჰქმნა და სილითგან ხონისაკენ წავიდა.

29. ქუთაისს ქალაქობა დაიწყეს[37].

1. ღვინობ. მეფე და მისი ჯარი დადიანისკენ წავიდნენ.

6. ქუთაისითგან ვახანს წავედი და ჩხარს მოვედი.

8. ვახანს მოვედი პაქიმ არუთენას სახლში.

14. ვახანითგან ქუთაისისაკენ წამოვედი.

16. ჩხარს და ჩიხორს მოვედი ვახანითგან.

---

[35] დიახ მრავალი. [36] ციხესა.

[37] დააშენეს.

14. ანაკლია[38] და რუხის ციხების დადიანმან და რუსებმან აიღეს.

20. ჩხარითგან ჩიხორს მოვედი მენახირიანთ პოლოსას გამო.

21. მეფემ სომხები ხონითგან ქუთაისს დაასახლა.

26. ჩხარითგან ქუთაისს მოვედი.

1. გიორგ. სურამს რომ პოლკოვნიკი იყო, ქუთაისს მოვიდა სულ თავის ჯარითა.

4. ქუთაისის სილითგან პოლკოვნიკი ხონს წავიდა.

6. ახალი გარდმოსული რუსები 15-ოდე ქუთაისს მოვიდნენ.

10. ქუთაისს ჩემმა ერებმან ორი დღე უსადილოდ და უვახშმოდ დამტოვეს.

14. მეფე სოლომონს ჩემი სკვირი მივართვი ქუთაისს.

15. არჩილი ხანს წავიდა ჯარით. პირდაპირ დადიანს ზედა, მეფე ქუთაისითგან ლეჩხუმზედ წავიდა.

23. მეფემ ჯარი დაშალა ლეჩხუმისა.

25. ქუთაისს საყდარს ხელი მივჰყავით გასაკეთებლად. ვაკეში ჩაველ ავადმყოფი ბადაღ ვნახე.

9. ქრისტიშ. პატრი იაკობი რაჭითგან ქუთაისს მოვიდა.

13. ყანდინათ სტეფანე ქუთაისს მოვიდა და პატრი ალვზის სიკვდილის ამბავი მოიტანა. (ახალციხეს სომხის ვარდაპეტმან, რომ მოწამლა).

15. აბინათ ბალდოღ მიიცვალა ვაკეში სინაურისძესთან.

18. საყდრის კეთებაში გავცივდი და ავად გავხდი.

26. პატრი იაკობმა სწირა ჩვენს საყდარში მამუკას გამო. რუსებს ფოთს თათრებზედ გაუმარჯვიათ. 900-მოუკლიათ და 12 დაუჭრიათ ხელდახელ.

28. ქუთაისს მეორედ მოსხმული ტყემალი ვნახე სრული.

30. მეფე გურიას თათრის ჯარზედ წავიდა სანავარდოთგან.

1771. წ. 11. იანვარს. ქუთაისის ხიდი დააქცევინა ბერმან წულუკიძემ ასაშენებლად.

16. რიონი ისე ადიდდა რომ წისქვილს შემოსწვდა.

17. მეფე გურიითგან მობრუნდა და დიდი გურიელი მარტო გაარიგა.

23. ვაკეში ჩავედით მე და პატრი იაკობი სიმონ მდივნის შვილის სანახავად. გარსევანმა ხელი მისცა პატრი იაკობის საკოცნელად.

---

[38] ანაკრია.

26. სურამელი პოლკოვნიკი და პეტრე ჰაქიმი ფოთითგან ქუთაისს, კეკერაძის სახლში მოვიდნენ.

31. პატრითან ალსარება ვთქვი.

1. თებ. ქუთაისითგან პატრი იაკობი რაჭას წავიდა.

3. მე გამოლმა გამოვედი.

7. ქუთაისის საყდარში დავდეგ მარტოდ.

10. რუსის ჯარის ფოთის ციხითგან მობრუნების ამბავი მოვიდა.

15. მეფე ქუთაისს მობრძანდა.

17. აწყვრელი იოანე ჩემთან მოვიყვანე. იესეს თირისშვილს და სიმონას ქუთაისს ხულა გაუტეხეს და 200-ოქრომდის მოჰპარეს.

18. იაკობ ქართლს წავიდა.

19. ხიდი გაათავეს.

23. ქუთაისითგან რუსის ჯარი მაიორები წავიდნენ.

24. თირომშვილმან ქურდი. 80. ოქრო და 8. ვალაც იპოვნა.

11. მარტს, გრაფი ქუთაისს მოვიდა კეკერაძის სახლში.

13. გრაფი სასახლეში გამოვიდა.

15. იოანე გელათს წავიდა.

20. ქარმან ქუთაისის საყდარის ყავარი ღამით გარდაგლიჯა.

26. ქუთაისს უკცად, ზურაბას ფაცხაში ერთი მთვრალი რუსი მეზარბაზნე მოკვდა, რომელიც ჰაქიმმან მუცლით გასჭრა და თავით.

30. ქუთაისს ბეგილას სახლი დაიწვა რუსებისაგან.

7. აპრილს. ქუთაისს ქარისაგან გადახდილი საყდარი დავახურინე.

8. პატრის კაცი მოვიდა. კათალიკოსი გრაფს შეეყარა ქუთაისს ფოთის შემდგომად.

21. რუსებმან თავიანთ ხელმწიფის დღეობა ჰქმნეს[39], მრავლის თოფების და ზარბაზნების სროლითა.

27. ჩხარს წავედი.

28. პატრი იაკობი ჩხარითგან ქუთაისს მოვიდა.

29. ჩხარითგან მოვედი.

1. მაისს. დავით მდივანი რუსეთითგან[40] მოვიდა. მე და პატრი იაკობი გრაფმან დაგვპატიჟა ჭამაში ვიყავით.

2. ზარათს წავედი გიორგასთან.

---

[39] ჰქმნეს ქუთაისს მრავალი [40] რუსეთითგან თნ.

4. ზარათითგან მოვედი.

12. ზარათს წავედი.

13. რუსეთითგან ახალი მოსული ჯენერალი ქუთაისს მოვიდა უწინდელ მოსულ გრაფთან და დავით ერისთავიცა, ერეკლე მეფის წამოტანებული ქართლითგან.

14. ზარათითგან მოვედი.

15. დავით მდივანი ქუთაისს მოვიდა.

16. ამილახვარი და ერისთავი წავიდნენ ქუთაისითგან. გრაფი ტოტლებენი ქუთაისითგან რუსეთისკენ წავიდა.

19. ახალი ჯენერალი წავიდა ქუთაისითგან ქართლისკენ.

20. გუსარის ჯარი წავიდა.

21. პატრი იაკობი საყდრითგან თავის კაცებთან გავიდა. გელათს წავედი და ისევ მოვედი.

26. პატრი იაკობი[41] ჩემ შეუტყობლად ქართლით წასულიყო.

27. იესე თავის ამხანაკებით, ყანდინათ სტეფანე და ბერომელათ პოლოსა ქუთაისითგან ქართლისკენ წავიდნენ.

25. ვახანი ლეკებმან მოაოხრეს. იანულიშვილი ავადმყოფი გელათითგან ქუთაისს ჩემთან მოიყვანეს.

30. ამ საღამოს 4-საათზე რუსები მიუხტნენ პატრის კაცებს ქალებისათვს. საფაფურითგან შეუვიდნენ.

6. ივნისს. ფრა დიონისი ქუთაისს მოვიდა.

8. ქუთათელის ბიჭ ფრა დაეთხოვა დედოფლის მაგიერ რომ თჳს სახლში აღარ მივდეს. მეფე ქართლს წავიდა ჯარით ისევ რუსების მოსაყვანად[12].

14. ალი ჩელები ჩემთან მოვიდა პატრი დიონისესთვს.

16. ქუთაისს შიში ჩამოვარდა თათრებისა[43].

18. ფრა დიონისი რაჭას წავიდა.

21. ვახანის გამარჯვება ვაჯგონე.

26. რუსის ჯარის ჯაბახანა მოვიდა პირველად და ცოტა ჯარიცა.

28. ფრა დიონისი გარდაცვლილ ბაჯიხევს, საყდართან დაუფლიათ[44]. ონითგან 2 სათის გზა არის.

1. ივლისს გუსარის ჯარი ქუთაისს მოვიდა.

6. იოსებ კათალიკოსი წავიდა მათხოჯს ქუთაისითგან დადიან

---

[41] იაკობი ქუთაისითგან. [42] (თუ მართალი არის) დამატება— შ. ლ. [43] თათრებისაგან. [44] დაუფლავან.

მეფესთან გასარიგებლად. ჯენერალი ქართლიდგან ქუთაისს მოვიდა სალდათის ჯარით.

12. მეფე ქუთაისს მოვიდა ჯენერალთან. კათოლიკოსი ქუთაისს მოვიდა. დადიანს ვერ გარიგებოდა.

18. ჩხარს წავედი ყმაწვილის მოსანათლავად.

21. ჯენერალი და ჯარი სილაზეღე დადგნენ.

22. იოსების ლალატით გავიგონე სიკვდილი ფრისა.

24. ლეკების და თათრების ჩხუბი ყოფილა ახალციხეს და ლეკები წასულან.

25. ჯენერალი და მეფე ხონს და იმის იქითაც წავიდნენ დადიანის შესაყრად და გასარიგებლად.

26. კრავი და ერთი რუბი გამოეგზავნა ბუჭუა მდივანს ბისტიაშვილი ქუთაისს მოვიდა ბერუკასთან.

27. იაკობი და ჩვენი ვაჟები ქალაქიდგან მოვიდნენ.

29. მეფე და ჯენერალი დადიანიდგან გამობრუნდნენ.

5. მარიობ. კაპიტან აბრაამ აბრამიჩს ცხენი გამოეგზავნა ჩემთვის. დიდი ტერ სტეფანის სიკვდილი (ვარამათი) ახალციხეს შევიტყე მე აქ ქუთაისს.

6. ხონის მთავარეპისკოპოსი მოვიდა ჩემთან საყდარში დასადგომელად.

9. მეფე სოლომონ წირვის სანახავად მოვიდა. რუსის ჯარი ქუთაისიდგან ფოთს წავიდა.

10. ხონის მთავარეპისკოპოსი ხონს წავიდა.

15. გუსარი იოვანე მოკვდა და დაფლეს.

16. გიორგის მეუღლე ცხენიანათ კლდეზე გადავარდა.

22. ბისტიაშვილი არუთუნა გორს წავიდა. დადიანის ძმა ცაგარელი და ყულარაღასი ქუთაისს მოვიდნენ წინა დღეს და დღეს ქალაქისკენ წავიდნენ.

24. ყულარ აღისა და ცაგერელის შენწყვდევა ითქვა მეფე სოლომონისაგან.

25. ცაგერელი წავიდა ისევ ოდიშს.

1. ენკენისა. ჩვენი ვაჟები მოქალაქეს გაუდგნენ პირობაზედ დასაჭერად. დაიჭირეს და კიდეც გასძარცვეს ფოთის ციხის საფრის აღება ითქვა. ქართლიდგან რუსები წავიდნენ[45].

4. აბაშიძეს თათრული წერილი გავუგზავნე ვახანს.

---

[45] მოვიდნენ.

12. ფოთიდგან რუსის გამობრუნება ითქვა.

18. ჩიხორს წაველი, მნაცაკანა მიიცვალა და იქვე საყდართან დავფალი.

19. ჩიხორიდგან მოველ[46] ქუთაისს.

24. ჩიჩუასძე მაქსიმე ბერი ჩემთან ქუთაისს მოვიდა სანახავად. ქართლს რომ მიდიოდა.

26. ჯენერალი სუკატინა გუსარის ჯარიანად ფოთიდგან ქუთაისს მოვიდა.

27. ნიკოლოზ აბაშიძის შვილი ჩემთან იყო ქუთაისს.

1. ღვინობ. გიორგი აბაშიძე ნიკოლოზის შვილი ჩემგან ვახანს წავიდა.

2. ერეკლის მეორე თავადი გივ ციციშვილი მოვიდა. იაკობი ჩემთან მოვიყვანე.

4. გივი ციციშვილი წავიდა.

5. სალდათის ჯარი სილაზედ მოვიდა.

10. ბერმა წულუკიძემ ჩემთან სადილი ჭამა.

12. მალაქია თეთრის მომკრეფად დავაყენე ქუთაისის საყდრისათვის.

17. მეფე რაჭას წავიდა.

20. ახიოლე სალდათნი ქუხილვანს წავიდნენ.

23. გრაფის მოსვლა და ფოთის აღება თქვეს.

24. ბალასშვილს ჩემი ცხენი სანახევროდ მივეცი.

28. მოქალაქე ალანა მოვიდა.

29. რუსეთიდგან ტყვე თათარი მოიყვანეს.

30. ხერთვისის ციხის აღება სთქვეს ერეკლე მეფისაგან.

1. გიორგ გურიის ასკანის ციხის აღება თქვეს ღალატით მამია გურიელისაგან.

11. ალან მოქალაქე წავიდა. მეფე ერეკლის კაცები წავიდნენ.

14. მეფე რაჭიდგან მოვიდა.

18. ხერთვისის ციხის აღება თქვეს ისევ თათრებისაგან.

20. სიმონ ბერძენი ეგერის რუსებმან ერთად ვახშმად ბევრი ჭამა სმის შემდგომ შუა ღამის უკან მოარჩეს, თეთრი და სხვა წაიღეს.

8. ქრისტიშობ. მოქალაქე ალანა და ანტონაა მოვიდნენ ქუთაისს ქალაქიდგან და გრიგოლის ხატიც პატრებს ებოძა.

---

[46] მოვედი.

20. მოქალაქე ასლანა და ანტონა ქუთაისითგან წავიდნენ. გარსევანა ვაკითგან ჩემთან მოვიდა.

25. შაბათ. სამჯერ ეწვირე ქუთაისს.

28. ჯენერალმან საჭმელ-სასმლის მაზანდა მისცა ქუთაისს.

1772. წ. 7. იანვარს. ცოცხალაშვილი პოლკოვნიკს წაჰყვა.

8. პაატამ ვაკეში ჩამიყვანა, თავის გოგოს ქორწილზედ.

13. კალმუხი გრიგოლაი დავფალი ქუთაისს.

15. კრუხიჰამათ ლუკაი და ასლანა ქალაქითგან ქუთაისს მოვიდნენ.

20. სადათიერად აგვსტინეს გაპარვა თქვეს თავის ძმა მალაქიას ხელით ქუთაისითგან.

25. ლუკა და სიმონა ახალქალაქს წავიდნენ.

29. ავთანდილ მიიცვალა და კიდეც დავფალ.

14. თებ. ძუძლურად შევიქმენ.

15. სისხლი გამოუშვი.

16. ჯულაბი დავლიე.

17. ამ კვირაში მეფე სოლომონმან და ჯენერალმან სამჯერ ივეზირეს.

5. მარტს. მეფე ერეკლისაგან ცხენი მოუვიდა ჯენერალს ქუთაისში.

7. ლუკა წავიდა ქუთაისითგან.

8. ჰაქიმ არუთიუნას ბადას დიბის ნაჭერი გამოეგზავნა და ფარნად ნარიბეგას ხელითა. რუსის ჯარის მოსვლის ამბავი მოვიდა ქართლითგან.

10. ცოტა რუსის ჯარი ქართლს წავიდა.

11. იაკობი გავინდე და ვაზიარე ვაკეში.

16. ბეგათ იაკობი[47] და სხვანიც ქალაქს წავიდნენ.

17. სიმონი მოვიდა ქართლითგან.

20. გარსევანათ იაკობი ვაკითგან ქუთაისს მოვიდა.

6. აპრილს. მთვარე სულ დაბნელდა საათნახევარს. პეტერბურგითგან[48] ჩაფარი მოვიდა ქუთაისს ჯენერალთან.

8. ქართლითგან ტანისამოსის მომტანი რუსები მოვიდნენ.

10. ყველა სალდათი გამოლაშ გამოვიდა.

19. აბრაამ აბრამიჩმანდა ყორღანმან დამპატიჟეს სადილად.

22. მალაქია რუსებმან ჯოხით სცემეს.

---

[47] იოსები. [48] პეტრებუხითგან.

23. ვაკეში ვიყავი.

25. მეფე ჯენერელთან მოვიდა.

29. დავით მღებარმან წასვლის პირობა მისცა იაკობსა.

1. მაისს. ჩვენი ვაკების ცხენებით და სულ ქუთათურებსაც რუსის ჯაბახანა[49] შორაპანს წაიღეს.

5. რუსი ჯარი გენერალიანად სულ ყველაფრით ქუთაისითგან წავიდნენ.

10. კათალიკოსი ვნახე ქუთაისს.

13. თიროშვილი და ყანდიანთ სტეფანე წავიდნენ.

17. ქუთათელმან ზარა დაჰკიდა ციხეში ქუთაისს. ნარიბეგაც წავიდა.

18. რუსის ჯარი შორაპნითგან ამდგარა.

19. ფოთისკენ ხომალდების მოსვლა ითქვა.

22. გრაფის მოსვლის ამბავი მოვიდა, ლეკები, თათრები გორს მიხტომიან გორელი ქოსა მანუჩარა და მისი შვილი მოუკლიან.

23. გოდიაშვილი ბერი მოვიდა ჩემთან.

24. ვაკეში გოდიაშვილიანად პაატასთან ვიყავი.

25. გოდიაშვილი წავიდა.

27. მეფე რუსებითგან გამობრუნებული ქუთაისს მოვიდა. რუსის და თათრის გარიგება ითქვა.

7. თიბათ. მეფე ჩემთან მობრძანდა საყდარში.

8 მეფე სოლომონმა მანათები ითხოვა ქუთათურთაგან.

10. დედოფალი ქუთაისს მოვიდა.

13. მეფე ქუთაისითგან წავიდა.

15. ბატონიშვილი ალექსანდრე და ზაქარია მოძღვარი ვნახე.

19. დავით მდივანი ჩემთან იყო.

25. სახლთ ხუცესი მოვიდა ჩემთან.

20. არჩილმან ცოლი-მეფე ერეკლეს ქალი მოიყვანა თავის ალაგსა.

26. მეფე ქუთაისს მოვიდა.

4. მკათათვე. რუსის და ერეკლე მეფის ჯარის შეყრის ამბავია.

5. გაიხოსრო აბაშიძე ჩემთან მოვიდა.

9. დედოფალი წავიდა ქუთაისითგან.

10. რუსის დოქტორის რაჭას მოსვლა ითქვა.

---

[49] ჯებხანა.

11. ცხელიშვილის ქალი ჩხარს წაიყვანეს.

14. აღამელა ტერ სტეფანეს ფასი (თასი) პაატამ მომიტანა იაკობასთან; რადგან იაკობას იბ ძველმარჩილად ეყიდა.

16. ჩვენი ვაჟები ბაირაღ გაშლილი მოვიდნენ აბანოთგან.

17. მეფის ბადიშთან დოჰიკისშვილთან სანახავად მომიყვანეს მიიცვალა.

19. ხონის შთავარეპისკოპოსი ჩემთან მოვიდა.

26. კათალიკოსის გურასიმე ბერი ჩემთან იყო სადილად. საბას რომ აფიცებდა.

29. ქუთაისს შიში ჩამოვარდა თათრისა და ლეკებისაგან.

5. მარიომ რუსის და ხვანთქრის გარიგება ითქვა.

10. რუსის დოქტორი ქუთაისს მოვიდა დაღამებასა.

14. რუსის დოქტორი ქუთასითგან წყალტოპას წავიდა.

21. კირი მოვატანიე საყდრისთვის.

23. პატრი უმფროსის დომინიკეს საწირავები მომივიდა.

25. ქუთაისს საყდარის შელესა დავიწყეთ კირით გარედგან.

30. აწყვერელი იოანე ავათ გახდა, ციებად გარდაექცა.

1. ენკენისა. უძლურად შევიქმენ.

5. თათრის და ლეკის შიში იქმნა ქუთაისში.

8. თავით თვისით მრავალი ხაშმი ამომაღებინა პირითგან.

20. პეტრე ბიძას წიგნი მომივიდა ქალაქითგან.

22. იესეს ხელით საათები გაუგზავნე პატრი უმფროსს ქალაქს და პეტრე ბიძას ორი და რაია გაუგზავნე.

29. კვარა ციხის დანერგვა თქვეს.

30. თეიმურაზ მეფის სიკვდილი გაცხადდა.

3. ღვინობ. ქუთაისს მეხიდური იოანე ხიდის მებაჟეთ დააყენეს.

5. თეიმურაზ მეფე მკვდარი მიიტანეს გელათს დასაფლავად.

7 იაკობი კიდევ ჩემთან მოვიყვანე.

18. ჩვენი ვაჟების ქარავანი მოვიდა.

19. პეტრე ბიძას წერილი მივიღე. ქალაქითგან. პატრი უმფროსისგან საწირავები მომივიდა.

20. ქალმან თავი დაირჩო[50] ხიდის კართან. გიორგი დადიანის ძმის ოჯახს ცოლმან რიონში. ციებამ გამიშვა.

---

[50] დაირჩო რიონში ჯოხის (ჯოხიძის — შ. ლ.) ცოლმან.

25. გიორგის ქალი ანნა და ალამყალამაჲ ახალციხეს წავიდნენ გურიაზედა.

1. გიორგობ. კბილად იაკობი კვალად გავიდა ჩემგან.

2. გრიგოლა ამოვიყვანე.

3. დანიშნული ნიკოლოზ აბაშიძის ქალი, ჰყონდიდელს რომ ოდიშს მიჰყავდა ქუთაისს მოიყვანეს.

5. ჩხარს წაველი ხოჯაშვილის გვირგვინის საკურთხებლად[51].

7. ჩხარითგან მოველი.

12. სილიბისტრე მხატვარი რუსეთითგან ქუთაისს ელჩად მოვიდა მეფესთან.

20. ქრცხინვალის მოგლეჯა სთქვეს.

21. ბერუკაშვილი ბატონჯანა მოვიდა ბისტიაშვილის საქმეზედ პატრი უმფროსს ქალაქს ძველი თეთრი გავუგზავნე.

24. სილიბისტრე მეფისაგან ჩემთან მოვიდა.

25. კათალიკოსი იოსებ ქართლს წავიდა.

27. ქუთაისში გომრუგი გამართეს.

3. ქრისტიშობ. სილიბისტრე ჩემგან ნიკოლოზ მხატვრის სადგომზედ წავიდა.

5. სურამის მოგლეჯა თქვეს.

6. კიკიანის ბუშის სახლი დაიწვა.

13. ტრაპეზის შიგნითა საყდარი გავალესინე.

14. ცხელიაშვილის სახლი გაქურდეს ღამის მერვე საათზედა.

17. იესე ქალაქითგან მოვიდა.

22. კათალიკოსი იოსებ ქართლითგან ჰალატყეს მოვიდა.

28. მესაკლავეანთ პოროველათ სტეფანეს ცილი სწამეს. ქუთათურნი ჩემთან მოვიდნენ საჩივლელად პოროველას გამო. ზუბალათ გიორგაშვილი იოანე ქუთაისს მოვიდა.

29. ალუგომაჲ დავნიშნეთ.

30. ბეჟათ იოსებიც დავნიშნეთ

1773. წ. 1. იანვარს მეფე ლეკებზედ წავიდა ქუთაის ლეკის ჯარი რომ შემოსულიყო იმერეთის მიწაში.

5. ალა ქუთაისს მოვიდა ჩხარითგან

6. ალა მისი ძმა და სხვანი დავპატიჟე.

7. ფარსადანა ქართლითგან მოვიდა.

9. პატრი უფროსთან წიგნი და ძველი თეთრი გავატანე ზუბალათ გიორგას შვილსა.

---

[51] საკურთხავად.

11. მოზდოკითგან მამუკა მოვიდა.

14. დედოფალმან ქუთაისის დანგრეული საყდრების შენება დააწყებინა ხუროებსა.

18. გვარდიის კაპიტნის და დავით ერისთავიშვილის მოსვლა თქვენს ერეკლე მეფისაგან კავშირის მეფეს სოლომონთან.

22. ჩხარელი გოდერძისშვილი დავითა და ხეჩინაშვილი ჩემთან მოვიდნენ.

23. არჩილ ბატონისშვილი ქუთაისს მოვიდა.

25. თუთულაშვილი რაჭითგან ქუთაისს მოვიდა.

27. მალაქას ძმა სიმონა ახალციხითგან ქუთაისს მოვიდა.

28. მალაქა და გარსევანაჲ ამხანაკთა უნდა შეყრილიყვნენ არ იქნა.

4. თებ. სილიბისტრე მხატვარი ქუთაისითგან მოზდოკს წავიდა.

5. გოდერძიშვილი დავითა ჩემგან წავიდა. დიდი თოვლი მოვიდა.

6. კათალიკოსმან ქართველების საყდარი დაბეჭდა.

7. პაატაშვილი გრიგოლი მიიცვალა ღამის საათის სამ ნახევარზედა.

9. ცხელიშვილის ქურდმან მთხრობელი დაჭკოდა ნაზაძის[52] სასახლეში.

12. ახალქალაქელი მეჩითე გოგიას სიკვდილის ამბავი მოვიდა ქუთაისს. ბანძას მომკვდარიყო ეს ცაგარელმან გააქართველა სომხობითგან ცოლშვილითა.

15. ქართველების საყდარი გაალეს კათალიკოსის ბეჭდითგან.

16. მეფე მობრძანდა ქუთაისს.

21. ქუთათურებს მეფემ თითო საპალნე ღვინო სთხოვა, ჩვენს ვაჟებსაც.

24. მეფე მობრძანდა ქუთაისს და არჩილიცა.

26. ქუთაისის საყდრის ყალდურმა (ქვაფენილი) დავიწყე და შევასრულე.

27. მეფემ წყალწითელას ხიდი აკეთებინა.

4. მარტს. ფარსადანა და ჰაქიმის შვილი წავიდნენ ქალაქს.

6. გიორგი ბატონისშვილი მოვიდა.

7. იაკობი უძლურად გახდა. ყანდინათ მოსე მიიცვალა ქუთაისს.

---

[52] ნამაშევს.

11. მალაქიას გოგომ ფანჩუას ქალმან იჩივლა.

13. რუსის ჯარის ამბავი მოვიდა მიდიანო.

22. სასახლეში მეფემ სახლები დაალაგმევინა.

25. საყდართან ქუთაისის ვენახი და ხილნარი ჩავაყრევინე.

28. ხონის მთავარეპისკოპოსს 131 — მარჩილი ვასესხე ქველის ხელით.

29. წ~ა გ—რგის კრაჳ რომ ჰმარტებიათ მოჰგვარეს მდივნებმან.

30. ქუთათელმან საყდრის შენება დაიწყო.

4. აპრილს ქორქათ ზურაბაი მიიცვალა და დაეფლა.

5. მეფე ქუთაისს მობძანდა.

8. კათალიკოსი მოვიდა ნამაშევითგან.

10. დედოფალი მოვიდა.

13. ბატონიშვილი დაჰიცა, ჩვენს საყდარზედ მოვიდა სანახავად. გოდიაშვილი ბერი მოვიდა.

14. მეფემ ჯარი შეიყარა და დადინაზედ ოდიშს წავიდა.

17. მეფე დიდის ნაშოვრით გამოვიდა ხონს.

18. მეფე ქუთაისს მობრძანდა. ჰექიმი არუთუნა ჩემთან მოვიდა.

26. ცხენი ვიყიდე ჰოროველასაგან.

27. გიორგი ბატონიშვილი მოვიდა.

28. ალექსანდრე ბატონიშვილი საყდარზედ მოვიდა სანახავად. კათალიკოსი ვნახე და ვიბაასე (ბჭობა).

28. კათალიკოსი იოსებთან ვიბაასე ქუთაისს.

7. მაისს. სომხის ხუცესი ტერ დავითის მამა ჩემთან მოვიდა.

8. მეფე ჯარით წავიდა საჩქაროდ. ამ დილას თქვეს დადიანის ჯარით მოსვლა ცხენის წყალზედა.

9. ტყვილი იყო დადიანის გამოსტომა.

10. მეფე ქუთაისს მოვიდა არჩილით და სხვა ჯარითაც.

12. მეფე წირვაზედ მობრძანდა თავის შვილით და თავადებით. ლეკის მოსვლა თქვეს საჩხერეს გიორგი ბატონიშვილი წავიდა აქეთგან.

13. ლეკის გაბრუნება თქვეს.

14. ლეკების თავები მოიტანეს ქუთაისს. გ. ერეკლე მეფის კაცები და წიგნი მოვიდა მეფესთან რუსის მოსვლა თქვეს.

19. დადიანის მოსვლა თქვეს და მეფეც ზედ წავიდა. ტყვილი გამოდგა დადიანის მოსვლა.

22. ირაკლი მეფისგან ლეკის და თათრების დახოცვა ითქვა

და გამარჯვება და აბაშიძეების დახოცვა.

23. დადიანის რაჭას წასვლა და მიხტომა სთქვეს.

26. ახალქალაქის აღება თქვეს მეფე ერეკლესაგან.

4. თიბათ. ჰაქიმი არუთუნა ქუთაისითგან ჩხარს წავიდა.

7. ერეკლე მეფის ჯარის დახოცვა თქვეს.

11. მეფემ ჯარი დაშალა.

17. დეკანოზი და ხოსიელას ცოლი წავიდნენ

20. ხონის მთავარეპისკოპოსმან, დაბადება წაალებინა და თეთრი მომცა. უძლურად შევიქენ.

22.[1] ქუთაისითგან ავიყარეთ ყველანი თათრის და ლეკის შიშით.

29. ბერომელათ პოღოსას საშაბათო თეთრის კრება დავაწყებინე.

30. ერეკლე მეფის გამარჯვების ამბავი მოვიდა.

2. ენკენის. ქუთათურ სომხებს ქართველ ცოლებს აშვებინებენ.

4. კათალიკოსი ხონს წავიდა დადიანის გასარიგებლად.

5. კათალიკოსი ქუთაისს მოვიდა დადიანის გაურიგებლად.

8. ფარსადანა მოვიდა.

11. ქუთათურები ქალაქს წავიდნენ.

მეფე სოლომონი ქართლს წავიდა ირაკლთან.

12. აბელაი მოკვდა.

19. სიმონა და აგვისტინე ქალაქითგან მოვიდნენ.

23. ბალახის ჯულაბი დავლიე და ძლიერ მასაქმა.

24. დადიანის შიშისაგან სულ აიყარა ქუთაისი.

25. ამ საღამოზედ გავიქეცით[54] და მამუკა მდივნის ეზოში ჩავედით.

26. ახალციხისგან ლეკის წასვლა თქვეს. ვაკითგან ქუთაისს ამოვედი.

27. მალაქიას აღაპი ჰქმნეს.

30. მეფე ქართლითგან მუხურს მოვიდა

31. მეფე ქართლითგან მობრძანდა. უეცად მოქალაქე მოკვდა.

4. მარიობ. გოდიაშვილი და სიმონა ჩხარითგან მოვიდნენ.

6. როსტომა ახალციხეს წავიდა. ქუთათურები ქართლითგან მოვიდნენ.

---

[53] სადათიერათ მალაქია მიიცვალა ქუთაისს და დავფალ.

[54] გავიქეცით დადიანისგან.

7. გიორგის ჯალაბმან (მეუღლემ) ხმა ვეღარ ამოიღო, მიიცვალა და დავფალით.

17. გოდიაშვილი მოვიდა ჩხარითგან ჰაქიმ არუთინას ბიჭი მამუკა მოვიდა.

19. მეფემ თეთრი სთხოვა ქუთათურ-ახალციხელთა. ჰის ამოთხრა დავაწყებინე. კლდიანი გამოღმა ადგილი და გავაშვებინე.

22. გიორგი სომეხს მეფისაგან ბოქაული დავით მდივნისშვილ იმოუვიდა, სახლი აუწერეს და შვილი გრიგოლიც ძევლად წაართვეს.

24. კათალიკოსს მეფე გაუწყრა.

26. ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის ხატი ვიშოვნე. სიმონ და ფარსადანა ქალაქს წავიდნენ.

27. ელიავა ბერმან ჰიქის ხატი გამომიგზავნა ბერძენი იოანეს ხელით და მომივიდა. ერეკლე მეფის კაცი მოვიდა მეფესთან და დადიანთან გასარიგებლად.

30. ფილიპამია ბეჟანა მოკვდა. ქუთათელმან ხატი მიბოძა.

31. მაკლიათ ქალი მოკვდა. 28. დედოფალს ქალი შეეძინა.

2. ენკენის. ხონის მთავარეპისკოპოსი ჩემთან მოვიდა.

4. ერეკლეს მეფის კაცმან გამოიარა დადიანისგან

7. ალა მოვიდა ქუთაისს.

16. დურდულაბა და სხვანი გაიქცნენ.

23. მეფემ ჯარი იხმო ვარდის ციხეს.

27. როსტომა მოვიდა ახალციხითგან.

30. ქუთათურები წავიდნენ ლაშქრად.

2. ენკენის. მეფე სოლომონი ახალციხისაკენ წავიდა ჯარით. ერეკლე მეფეც ახალციხეზედ წავიდა.

3. მეფე ქართლს, სურამს გარდავიდა.

4. მეფის შეყრა თქვეს სურამს.

7. ქართლში 1600 რუსის ყაზალი მოვიდა.

9. რუსის მოსვლის ამბავი მოვიდა იმერეთში.

10. ირაკლე მეფე და სოლომონ მეფე ჯავახეთს მივიდნენ.

13. ჩიჩუას კაცები რუსეთითგან ქუთაისს მოვიდნენ.

18. ჯავახეთს გარიგება თქვეს[55].

21. თუთულაშვილი მოვიდა რუსეთითგან.

22. ჯულაბი დავლიე.

---

[55] თქვეს ირაკლი მეფესთან.

23. ოცხელი იოანე მოვიდა.

26. კათალიკოსი ქუთაისს მოვიდა მწვანეყვავილაზედა. ჯარის მობრუნება თქვეს ახალციხითგან.

27. მოწამეთას წავედი.

30. ქუთათურები მოვიდნენ ჯარითგან. მეფეც მოვიდა ახალციხითგან.

3. გიორგობ. მეფე და დედოფალი ქუთაისს მოვიდნენ.

7. საყდრის სახურავი ქარმან მოგლიჯა სრულად.

19. პაატა წულუკიძე ქვიტირს მოკვდა.

23. პაატა დაჰფლეს. საყდარი დავხურეთ სრულად.

25. რიონის ზურაბასთან მივედი.

28. პაპუაშვილი იოანე მიიცვალა.

5. ქრისტიშ. მურადაშვილი გრიგოლი უნდა შემეჩვენებინა შავის კელეპტრითა.

9. ამირეჯიბი ახალციხითგან მოვიდა გამოპარვით.

12. დავით მესხი მოკვდა. სიმონა ქალაქითგან მოვიდა.

13. ატისაშვილი კოსტა მღვდლად კურთხეილა სალმასტსა.

15. ბესარიონ კათალიკოსის სიკვდილი თქვეს.

20. გარსევანა ჩემთან ამოვიყვანე ფესონით[56].

23. პაპუას ულალატეს ჯარის ხელებმან ჯვარისის გზაში.
1774 წ. 1-იანვარს გოგია ახალციხეს წავიდა.

9. ქუთაისი აიყარა თათრის და ლეკის შიშისაგან. კიკნაძეები დასწვეს და დაათარეშეს.

18. დადიანისგანაც შიში შეიქმნა.

23. ქუთაისს შიში გაძლიერდა

25. ვახნის ციხის აღება და დაწვა ითქვა.

1. თებერ. მეფე სოლომონმა თათრის და ლეკის ჯარი დახოცა და გააფუჭა სრულად.

4. ელავა გერმანეს ასალი გაუგზავნე, საჩა მთავარეპისკოპოსს.

5. ფარსადანა მოვიდა. ჰექიმი მოვიდა.

7. რაჯაბ ლეკი მეფემ ერეკლე მეფეს გაუგზავნა. გარსევანა წავიდა ჩემგან მეთოდე ერისთავისშვილი დაიჭირეს და თვალები დასწვეს.

12. ფარსადანა ისევ ქალაქს წავიდა.

20. დავით მდივანი ქალაქს წავიდა.

22. გაბუნიები მოთხარეს წულუკიძეებმან.

---

[56] მეფსონეთ.

3. მარტს. ყმაწვილებს საყდარში საქრისტიანო მოძღვრების თქმა დავაწყებინე.

12. მეფე გიორგის გაურიგდა და გრიგოლიც აუშვეს.

13. თათულაშვილი ანტონა მოვიდა.

17. ხიდი აჰყარეს.

24. ფრა ანტონი ვარდის ციხეს მოვიდა ქალაქითგან მეფეს-თან.

28. ბოსტანი დავთესე.

29. თათულაშვილი ანტონა წავიდა ქუთაისითგან რაჭას.

9. აპრილს ხვანთქრის სიკვდილი თქვეს.

17. ფრა ანტონა ჩემთან მოვიდა. ანტონ თუთულიშვილი რაჭი-თგან მოვიდა.

22. ფრა ანტონი ისევ ვარდისციხეს წავიდა.

26. გოდიაშვილი ბერი მოვიდა.

27. ქუთათური ტერ-მინასას შესამოსი ვიყიდე, ლ. მარჩილად მღებრიშვილის იოანესაგან.

3. მაისს. საბა ორბელიანის მიმოსვლის წერა ვიწყე.

6. საღამოზედ მეფე ჯარით მოვდა.

12. პოლოსას საყდარის თეთრი გამოვართვი, დ. მარჩილ, კ[57] ფარა ნაკლებ.

17. აჰარლის ოლქის შეყრა ითქვა და დახოცვა.

19. ოლქითგან ფაშის გაქცევა და ჯარის დახოცვა ითქვა.

25. ქაიხოსრო აბულაძე ცხენზედან ჩამოვარდა და მოკვდა.

26. პატრი ანტონი და ფრა კვალად ქუთაისს მოვიდნენ.

27. გერმანე პირველი კათალიკოსი ქუთაისს ჩემთან მოვიდა.

28. ჩერქეზის თავკაცი ჩემთან მოვიდა. ჭყონდიდელი მოვიდა.

29. კუნძახის ბატონის თავის მოჭრა თქვეს.

2. თიბათ. კათალიკოსი იოსებ წავიდა დადიანთან.

4. ლეკებისაგან ახალქალაქის მოგლეჯა თქვეს.

7. მეფე ქუთაისით ხონს წავიდა დადიანის გასარიგ-შესაყრე-ლად[58].

10. ბეჟანაი ცალკე დაჯდა პეტროსას ხულაში.

14. ქუთათელი და სხვანი შეაჩვენა კათალიკოსმან.

21. ახსნა ქუთათელი.

---

[57] დ. მარჩილი დ. ფარა ნაკლებ.

[58] შესაყარად.

23. გოგია ახალციხეს წავიდა.

24. ქუთათურები ქალაქს წავიდნენ.

1. მკათათვეს. ხრონოლრაფის წერვა დავიწყე.

8. გიორგასშვილი გრიგოლაი შაგირდობიდან გაუშვი.

19. პატრი გიორგის მიცვლა შევიტყე. გელათს წავედით მე და პაატაი, ხატი ვნახეთ.

3. მარიობ. სოლომონ მეფესთან წავედი თავაზას.

8. თავაზითგან მოვედი.

22. ტერ სტეფანის შვილი პეტრე ქუთაისს მოვიდა.

25. თავწვრილი ბერი სილიბისტრე ყაზალმან მოჰკლა რაჭას.

2. მარიობ. ქალაქს რომ კაპიტანი იყო რუსეთს წასულა. კრუხიჰამიათ ლუკა ქუთაისს მოვიდა.

7. მეფესთან თავაზას წავედით.

10. ფრა და მე თავაზითგან მოვედით.

11. ფრა თავაზას წავიდა ბეგილასშვილით.

17. ფრა ანტონა თავაზითგან ქალაქისკენ წასულა. ბეგილაშვილი მოვიდა.

20. მეფეს გაუმასპინძლდნენ იაკობი და იესე თავის სასახლეში.

26. ბერუკა და ხოჯაშვილი გავაბჰეთ.

29. ტერ ფილიპე და ალა ქუთაისს მოვიდნენ.

30. პაპუაჲ ქუთაისს მოვიდა ტყვეობითგან.

4. ლვინობ. შაჰანაშვილი იოსები ახალციხითგან მოვიდა გურიაზედ. ტერ ფილიპე ცაგარელთან წავიდა.

6. შაჰანაშვილი ქუთაისითგან წავიდა.

7. პატრი ანტონა ოდიშს მოსულა.

11. ბატონიშვილი ალექსანდრე ჩემთან მოვიდა.

18. მე პატრის მოსვლა შევიტყე ოდიშს.

20. ხრონოლრაფის წერა გავათავე.

21. ჩემი ძმის ლუკას ვახანს მოსვლა შევიტყე.

24. ერეკლის გოგია ბინბაში ქუთაისს მოვიდა მეფესთან. ჩვენი იოანე გაიცივა.

28. გოგია ბინბაში წავიდა. ჩემი ძმა ლუკაჲ ქუთაისს მოვიდა.

4. გიორგობ. ქრისტესია და სხვა ლეკნი ქუთაისს მოვიდნენ.

14. ჩემი ძმა ლუკა და გოგინათი ახალციხეს წავიდნენ.

18. დავით მდივანი რუსეთს წავიდა.

20. ბერი წულუკიძე და ლეკებიც ქალაქს წავიდნენ. კრუხათ

ლუკაჲ სიმონა და მნაცაკანაშვილი ქალაქს წავიდნენ. თულაშვილი ანტონა ქუთაისს მოვიდა.

28. საყდარში ფიცრის ოდა გავაკეთებინე.

2. ქრისტიშობ. რუსები ქუთაისს მოვიდნენ.

4. მურადაშვილმან გრიგოლამ თავის ცოლის საბანი მოწამეთელ კაცს გააყიდვინა ძველი არისო და ისევ თავის სიმამრმან იყიდა.

11. ზუბალათ იოსები მოვიდა.

15. ბერი წულუკიძე მოვიდა ქალაქითგან.

16. ზუბალათ იოსები წავიდა.

24. ნიკოლოზ აბაშიძე ქუთაისს მოვიდა.

27. ნიკოლზ აბაშიძე წავიდა.

1775. წ. 2. იანვარს რაჯაბას ისევ ახალციხეს წასვლა თქვეს.

7. თამარაჲ მიიცვალა.

21. ჩილაშვილის მოსვლა თქვეს.

23. პაპუას გოგო გააგდეს.

23. რაჯაბ ლეკის ახალციხეს წასვლა თქვეს კვალად.

24. ჩილაშვილი ვარდისციხეს მოვიდა.

30. ჩილათ მუსტაფა ალა ქუთაისს მოვიდა.

1. [59] ქუთაისითგან წავიდა მუსტაფა ალა.

10. თუთულაშვილი ანტონ წავიდა.

16. ქუთაისის ციხეს კვალად ნგრევა დაუწყეს.

24. ჯოხია და სხვა ქუთათურნი ლეკებმან გაცარცვეს ქალაქის გზის ალმასის წყალზედ.

1. მარტს ალის ძმა იოანეჲ რუსეთითგან ქუთაისს მოვიდა.

13. საბაჲ მიიცვალა.

15. ლეკის მოსვლა თქვეს. — მეფე და დადიანი რიგდებოდნენ

19. პატრი იაკობის ახალციხეს წასვლა შევიტყე.

23. მეფე და დადიანი ხონს შეიყარნენ.

3. აპრილს. მეფემ ჯარი შეიყარა ლეკიანი და გურიაზედ წავიდა.

5. თირიშვილი პოლოსა ქუთაისს მოვიდა რუსეთითგან.

19. კათალიკოსთა ვილაპარაკეთ მე და გიორგმან.

21. ლეკები ქუთაისს მოვიდნენ.

---

[59] თებერვალს.

23. სასახლეში დიდ ჰადარს თავით თვისით ცეცხლი მოეკიდა და ქვის ტახტიც აიღეს.

25. სასახლეში ჰადარი მოსჭრეს

26. მეფე დედოფალი ქუთაისს მოვიდნენ.

30. ფარსადანაი წავიდა.

11. მაისს. იმერლებმან ახალციხეზედ ყაზახობა დაიწყეს მეფის ბრძანებითა.

14. გიორგი ბატონიშვილი მოკვდა.

15. ეჩმიაწინის კათალიკოსის სიკვდილი გავიგონე ქუთაისს.

24. ვახნელი გოგიაი მოვიდა ახალციხითგან.

27. დარეჯან ბატონიშვილს ქალი ეყოლა. ფარსადანაი მოვიდა ქრცხინვალით.

1. თიბათვ. ხეჩინაშვილი ბეილა ანტონაი მიიცვალა ქუთაისს.

5. გაჟარაშვილის არუთენას ხიზანი ქუთაისს მოიყვანა მეფემ მიქელაძეს რომ გამოართვა.

9. მეფემ დიდი ჯარი შეყარა.

12. მეფე ჯარით წაბრძანდა ოსებზედა.

13. ზუბალაშვილი ოსები მოვიდა.

16. ჩვენი ვაჟები იედაგით წყალტუბოს აბანოზედ წავიდნენ.

21. მეფე გამარჯვებული ოსეთითგან მობრუნდა. სრულიად დაიმორჩილა.

25. თბილისს კათოლიკებზედ დევნულობა იყო.

30. ავთანდილაი იოსების ქალი მიიცვალა.

4. მკათათ[60]. გიორგი ერისთავის მოსვლა ხქვენს ბათუმს.

11[61]. არჩილი ჯარით წავიდა აწყვერზედა.

13. თუთულაშვილი წავიდა რაჭას.

14. მოკლიაშვილის გოგო მოკვდა.

28. იოანე ბერძენი რუსეთს წავიდა.

13. მარიობ. ბერი თავის შვილით და თირისშვილი პოლოსა რუსეთს წავიდნენ.

19. ჩემი ძმის რაჭას მოსვლა შევიტყე.

20. ჩემი ძმა ლუკა ქუთაისს მოვიდა.

30. ჩიხორს წაველი და მოველი მეორე დღეს.

3. ენკენ. ლუკა ხონს და ყულაში მოვიდა[62].

---

[60] ივლისს. [61] 9. მკათათ. ზუბალათ ოსები წავიდა.

[62] ყულაში წავიდა.

7. ლუკა ყულაშითგან მოვიდა.

12. ალექსანდრე ბატონიშვილი თავის მამას მეფეს გაეპარა და ლეჩხუმში წავიდა.

23. ალექსანდრე ოდიშითგან დადიანს გამოეპარა და ქუთაისს თავის მამასთან მოვიდა.

6. ღვინობ. არჩილ ბატონიშვილი იმერეთს კარცხს მოკვდა.

8. არჩილ გელათს მოიტანეს დასაფლავად, მაგრამ არ დაფლეს, შეჩვენებული იყო.

11. ჩემი ძმა ლუკაი წავიდა.

12. ქუთაისს ხულები მეიდანში სხვა ადგილას გამოდგეს საქალაქოდ.

13. პატრი უმფროსის ქალაქითგან ახალციხეს წასვლა შევიტყე.

6. გიორგ. ახალ ხულებთან ქალაქობა დაიწყეს პირველად.

11. გაიხოსრო ქართლს ბეჟანას წაჰყვა, მისი ქალის დასანიშნავად.

24. მეფე და დადიანი უნდა შეყრილიყვნენ, მაგრამ არ იქმნა.

25. ჩვენი იოანე ხულაზედ დაჯდა, სიმონგულაშვილის ბატონჯანას ამხანაკობითა.

2. ქრისტიშობ. ორ დღეს თოვდა შუადღის და თან იბდგვინა.

5. გაიხოსრო მოვიდა ქართლითგან.

10. ოცხელი იოანე ჩემთან მოვიდა.

23. ახალციხის ლეკების გამოყრა თქვეს, რომ მეფემ მოიყვანა.

24. მეფემ გურიას ლეკი და ჯარი გაგზავნა. იაკობამ წითელი შესამოსი შემწირა[63].

28. მეფემაც ჯარი შეიყარა.

29. გურიას ბევრი ტყვე უშოვიათ მეფის ჯარის და ლეკების კოშკებიც აუღიათ.

1776. წ. 6. იანვარს ოცხელმან სამღებრო გაალო.

9. ზურაბას დედა მიიცვალა და დავფალ.

13. გოდერძაი მომკვდარა ჩიხორს.

16. გოდერძასშვილი დავითა ჩემთან მოვიდა.

18. თუთულაშვილი ანტონაი მოვიდა ქუთაისს. VI პიო პაპის დაჯდომა შევიტყე.

---

[63] შესწირა.

21. სომხის მხატვარი ტერ გაბრიელი ქუთაისს მოვიდა. წულუკიძის ხულაში გავიდნენ ბატონჯანა და იოანეჲ.

24. გურიის ჯარიც მეფესთან მოვიდა ხონსა.

28. მეფე გაღმა დადიანის მამულში გავიდა და გორდის ციხეს შემოადგა.

2. თებერ. მლებარი პეტრესშვილი მოკვდა.

3. გორეტს[64] ციხე გაარიგა მეფემ.

5. მეფემ ფალავების ციხე თან მამეული აიღო დიდის ნაშოვრითა.

12. კრუხათ ლუკა და სიმონი მოვიდნენ ქუთაისს. ქალაქის მოურავი დავირ ციციშვილი ქუთაისს მოკვდა[65].

16. მეფე ბანძას დაებარგა.

21. ოცხელი არუთენა ახალციხეს წავიდა. სომხის მხატვარიც წავიდა. ქუთაისში შიში ჩამოვარდა ლეჩხუმელებისაგან და ავიყარენით.

24. მეფე ნამაშევს მოვიდა ოდიშითგან ჯარით და ჯარიც დაშალა და დადიანსაც გაურიგდა.

27. მეფე ქუთაისითგან კვახჩირს წავიდა.

1. მარტს. ჰოროველაშვილი სტეფანეჲ კისერზედ თოკშობმული მეფესთან ვარდის ციხეს წაიყვანეს.

5. კრუხათ ლუკაჲ და ქაიხოსრო მეფე ერეკლეს სიძეს ციციშვილს გაჰყვნენ ქართლს.

10. მდივანი მეფესთან მოვიდა. ბერი სიმონგულაშვილის სიკვდილი თქვეს მოზდოქს.

12. ბატონჯანას და სიმონას მამა გაუმელავნე.

18. თუთულაშვილი იოსებ ქუთაისს მოვიდა.

21. ჰილიმეზაშვილი ქუთაისს მოვიდა.

7. აპრილს. ოცხელი დავითა, სადათერათ სიმონაჲ მოვიდნენ.

19. მეფე მობრძანდა ჩემთან.

21. ალექსანდრე ბატონიშვილი მოვიდა ჩემთან.

4. მაისს. კათალიკოსი გურიითგან მოსული ავათ გახდა და სანავარდოს დაწვა. გურიელი გიორგი მეფეს გაურიგდა და შვილები მძევლად მისცა.

11. კათალიკოსი ქუთაისს მიიყვანეს ავადმყოფი სანავარდოთგან.

---

[64] გორდის. [65] მოვიდა.

13. კათალიკოსი იოსებ მოკვდა ქუთაისს მწვანე ყვავილაში.

17. კათალიკოს იოსების გვამი გელათს წაიღეს დასაფლავად.

18. კათალიკოსი იოსებ გელათს მიწაში მიიღეს. სახლთუხუცესი დავით აბაშიძე მეფე სოლომონისაგან წავიდა ახალციხეს ფაშასთან გასარიგებლად. ევთიმე გენათელად აკურთხეს. ჯულაბი დავლიე, 12 დრამი ზიარ ბაშამბრისა[66]. ალექსანდრე ბატონიშვილი მდივან დავითით წირვაზედ მოვიდა ქადაკების სასმენელად.

19. იესე ბერძენს მეფე გაუწყრა.

30. ლეკები კახიანაურითგან ერთიან წავიდნენ ვახნისკენ.

31. ალექსი მოვიდა ჩემთან.

3. თიბათ. მეფე ქუთაისითგან წაბძანდა.

4. კვალად მობრძანდა მეფე.

7. მეფე მობრძანდა პატრის მოყვანისათვის.

12. ქუთათელი მაქსიმე კათალიკოსად აკურთხეს ქუთაისს ყოვლად წმინდის ეკლესიაში რომ მეც თან დავესწარ.

14. მეფე წაბრძანდა არგვეთისკენ თავის ძითურთ. მერაბ ნიჟარაძეც ქალაქს წავიდა. გიორგი ბატონიშვილის ქალის დასანიშნავად, ალექსანდრე ბატონიშვილისათვის.

19 ახალი. კათალიკოსი ქუთათელი[67] ვნახე ალერსობად.

22. ორი დიდი ქვა ჩავატანინე ხიდისთვის და დავაწყებინე ქვის დიდი ხიდი ბიძინას ბაზარში.

26. სასახლის საყდარს გულაბანდის შეკვრა და შენება დაუწყეს. მერაბ ნიპარაძე ქართლითგან იმერეთს მოვიდა.

11. მკათათ. ოცხელი დავითა და ბრუციანი დავითა ახალციხეს წავიდნენ.

12. თუთულაშვილი იოსებ ჩემთან მოვიდა. ქუთაისის საყდრის ოთახს შენება დავაწყებინე.

20. სახლთუხუცესი და ჩილაშვილი ბაღდადს მოვიდნენ. ფრა გერასიმე ძე თადეოზაც ბაღდადს მოვიდნენ. ჩხარელი გაბრიელაც მოვიდა ქუთაისს ჩვენი სარქის პაპათ იოანე, გძელი პოლოს ბიძათ სტეფანე მოვიდნენ.

27. გაბრიელა სიმონგულაშვილი რაჭას წავიდნენ მეფესთან.

7. მარიობ. ბიძათ სტეფანე ჩემთან მოვიყვანე.

8. დღეს მოუკლამსთ ქურდებს უდელი იოანე და მისი შვილი.

---

[67] ქუთათელი მაქსიმე.

13. ჩილაშვილი მუსტაფა ალა და ჩვენი იოანე ქუთაისს მოვიდნენ.

15. ჩილაშვილი ჩემთან მოვიდა საყდარში.

18. მეფეს თბილისის სომხების არაჩნორდის წიგნები ებოძა ჩემთან სათარგმნელად.

24. რუსის ექიმი ქუთაისს მოვიდა.

3. ენკენ. ცხელიშვილი და გიორგი ლეკებს მოუკლიან ცხრა მეხლაზედა.

4. ესენი ორივე მკვდრები მოიტანეს ქუთაისს.

14. დედაჩემის მიცვლა გამიმჟღავნეს წირვის მერე. 1. ენკენისა მიცვლილა.

16. ბიძათ სტეფანე ჩემგან გასული ხულებში ჩავიდა.

17. პაპაშვილმან ნაძგლევი ზროხა გაყიდა და ჭამა.

23. ტერ-სტეფანასშვილი პეტრე მოვიდა ოდიშითგან ქუთაისს.

28. კათალიკოზი რაჭითგან მობრძანდა.

3. ღვინობის. მეფე ქუთაისს მობრძანდა.

4. ტერ სტეფანიშვილი მოვიდა.

5. სულეიმან ფაშის ხაზინადარი ქუთაისს მოვიდა ხვანთქრის ფარვნითა და ფაშის საჩუქრით.

6. ჩვენს ელისაბედს დედა გაუმჟღავნე. 14. ენკენისა მიცვლილა.

10. მეფე ვნახე.

16. ფრა გერასიმე მოვიდა ქუთაისს.

28. ფრა მეფემ გაგზავნა ოდიშს დადიანთან.

3. გიორგობ. ფრა ოდიშითგან მოვიდა. სულეიმან ფაშის ხაზინადარი ქუთაისითგან წავიდა.

5. გაბრიელაჲ მოვიდა.

15. ჰოროველაშვილი ახალციხითგან მოვიდა.

23. მეფე დადიანის შესაყარად წავიდა.

29. მეფე მობრძანდა. პოლოს ბიძაანთ სტეფანე ახალციხეს წავიდა, ფრა ნიჟარაძემ წაიყვანა.

4. ქრისტიშობ. სადათერათ მელქონას ცოლი ქუთაისს მოვიდა შვილებით. ჩემი და ელენე დავნიშნეთ აწყვერელ სააკაშვილ იოანესთან.

პაატაჲ მოვიდა პატრის სადგომში ფრა იერონიმესი ქარმან მოგლიჯა.

24. გრძელი პოლოს ბიძაი ქუთაისს მოვიდა ჩემთან.

29. გოდიაშვილი წავიდა ახალციხეს.

31. ფირას ჰამითგან გავეყარე.

1777 წ. 3. იანვარს დავითას ბიჭი მოიყვანე.

8. ბატონიშვილის ალექსანდრეს ქორწილის ქმნა თქვეს.

10. პაატა მეფისთვის ახალციხეს წავიდა.

11. მალაქას დედა ახალციხესა წავიდა.

18. პოლოს ბიძასთან მოვრიგდი

19. ალექსანდრე დაქორწინებული მოვიდა ქუთაისს.

24. თუთულაშვილი ანტონი რუსეთითგან მოვიდა.

4. თებ. ჩემი მამიდაშვილი ოცხელი არუთენა მოვიდა.

12. კრუხიჰამიათ სტეფანე მოვიდა.

15. ცაგარელი ვნახე და ველაპარაკე

17. პოლოს ბიძამ კვირაში ერთი წირვა დამაბარა ქუთაისს პაპასთვის და ბებერაჩემისათვის.

18. კვალად ცაგარელთან ვილაპარაკე.

21. პოლოს ბიძა და ჩვენი იოანე წავიდნენ ქუთაისიდან ახალციხეს.

1. მარტს. ფირა და მე გავიყარეთ ჰამისგან.

3. გოდიაშვილი მოვიდა.

3. ოცხელი ტერ-დავითა მოვიდა.

19. ბერომელაათ პოლოსა მოვიდა.

22. სომხის მარტიროზ ვარდაპეტი ორის ტერტერით ქუთაისს მოვიდა ჩემთან სადავოთ.

25. მეფემ გორელ ტერ საააკასთან მალაპარაკა და მადავა.

3. აპრილს, მარტიროს ვარდაპეტთან ვილაპარაკე მე ჩემის ერით მეფის წინაშე.

4. მეფემ მოციქულობა დამიწყო ქუთაისს, საყდარისა და ერისათვის.

5. მეფემ საყდარი დამაცლევინა და მიბრძანა წადი ნუ დადგებიო.

6. თათარ ალა აბულაძე წამოვიდა და მეც თან წამოვყევ ახალციხისაკენ.

7. ბალდაღს მოვედით. იქიდან სალაშქროს.

8. წახანს მოვედით. მეფემ სომხის ვარდაპეტის ქრთამისთვის

---

** შამბარისა.

მგონია ქუთათურ კათოლიკეთ უბრძანა გაქართველება ან გასომხება. ყველამ უარი უთხრეს.

9. ახალციხეს მოვედით.

19. გიორგი სომეხმან ალდათის ქალზედ გვირგვინი ისკვნა?.

21. იოანე ვარდაპეტი ვნახე, პატრი ალექსისთან ვილაპარაკეთ გიორგი სომხის საქმეზედა.

1. მაისს, ახალციხელნი სტამბოლს წავიდნენ.

2. ჩვენი იოანეს ქალი მიიცვალა.

3. არზრუმს წავიდნენ.

6. ქაჩხუათ პეტრეს შვილი ან ტერაც პოლოსას ძმის წული ჩემთან მოვიდნენ მოწაფედ.

8. იოანე ვარდაპეტთან ვიყავ ივლიტას.

16. აბულაძე ახალციხითგან მეფესთან წავიდა.

19. იოანე[68] ვარდაპეტი ჩვენსა იყო სადილათ ორი ტერ გრიქორებით.

20. ტერ სტეფანი არტაანის ველს წავიდა.

31. ზენაური ვსწირე.

30. სარქის პაპაი მიიცვალა და დავფალით.

7. თიბათ. კრუხათ იოსები და პარუნლაზარე აზრუმს წავიდნენ.

8. ფაშამ ტყვედ ჩამაგდო ზანჯირხანაში თათოსაშვილის დაბეზღებით ტყვილ უბრალოთ.

10. ზანჯირხანითგან გამოვედი და წამივიდა, უკე, ყურუში, ღმერთმან აღღეგრძელოს ყველანი, მრავალს გაისარჯნენ, უმეტესად ქურქჩი ბაში პარუნ იოანე, მისი ძმა სტეფანე და იანღუიანთ ანტონი.

19. დარეჯოს შვილი სტამბოლითგან მოვიდა.

24. ქვემო საყდარს წ´აი´ეს დღესასწაულს ვსწიე პირველი ზენაური.

3. მკათათ. ქვემო საყდარს ვსწირე.

6. ფაშამ აჰარის ჯოგი მოიყვანა.

12. გძელი პოლოს ბიძა თავის შვილით არზრუმს წავიდა.

13. ტერაც პოლოსა და ფირა თადეოსაც წავიდნენ.

16. ჩვენი საჩახი გავაკეთებინე. — ყოვლადწმიდის თოვის დღეობაა.

---

68 ოპანნეს.

23. ჩვენი ჩათმის კარი გამოვიღე. პარმაღლულები და დარაზიც გავაკეთებინე.

29. სომხის მარტიროზ ვარდაპეტი ქუთაისს მეორედ მისულა მეფესთან.

14. მარიობ. ხიზანათ პეტრე ქალაქს წავიდა.

19. იაკობი მოვიდა ქუთაისითგან ახალციხეს.

21. ჩემ ძმა ლუკასთვის დანანიშნად ჩემი და კატერინე მოციქულად გავგზავნე ქურქჩიბაშის დასთან.

27. ჩემი ძმის ბეჰე მოვიტანეთ.

29. პოლოს ბიძა, მამა ჩემის ძმა მოვიდა სტამბოლითგან.

30. პატრი ფრანჩისკო აზრუმს წავიდა.

31. პატრი უფროსი დომინიკე ქალაქითგან მოვიდა.

1. ენკენ. ტერ კოტა მოვიდა.

18. პატრი უმფროსი ჩვენთან მოვიდა. მე ქვემო საყდარს წ´ა ი˝ეს ეკლესიაში ჩავედი. სულეიმან ფაშა დიდის ჯარით წავიდა აჰარაზედ.

21. ქვემო საყდარში ზენაური ვსწირე პირველი და ვიქადაგე.

25. ჩვენი მათუზა მიიცვალა და დავმარხეთ.

28. ტერ-სტეფანიანთ იაკობამ ქორწილი ჰქმნა ამალამ.

6. ღვინობ. ელენეს ქორწილი ვქენით, ღმერთმან კეთილად მოუხდინოს.

8. გ´რგი ალადათის ცოლის გაშვების ამბავი მოვიდა სტამბოლითგან.

9.' პატრებიანცა პატრები დავპატიჟე ი˝ნე ვარდაპეტიანად.

13. ვარსამათ პეტრემ ქორწილი ჰქმნა.

25. ჩვენი მზახალი იოანეს დედა ჩვენსა მოვიყვანე. ჩემი სიძე და ელენე, ლუკას სიმამრის შვილიც მათან ერთად.

19. ქვემო საყდარს საქრიასტიანო წურთნა დავიწყე.

21. პატრი ფრანჩისკე მოვიდა.

30. ავად გავხდი და დავწექ. სისხლი მომდინდა.

2. ქრისტიშ. გავენდე ტერ იოსებასა პატრი ფრანჩისკემ ჯულაბი მომცა.

6. ფაშა მოვიდა.

12. ლოგინითგან ავდეგ და თავი მოიპარსე.

17. ჩემს ძმას გვირგვინი უკურთხე თ ქურქჩიბაში იოანეს ქალს თერეზინასთან.

20. ყაფუჯი მოვიდა. ბ.[69] პატრი ანდრიასგან ჩემი წიგნები სულ მოვიდა.

27. პეტროს ბიძაც მოვიდა.

1778. წ. 18-იანვარს მოჰურდარი სტამბოლს წავიდა.

4. თებ. პეტროს ბიძას ქალის ელენეს ქორწილი იქმნა.

8. ხიზაბავრას წაველი ტერ ფრანჩისკესთან პატრი უმფროსიანად და ტერ გრიგორებითა.

12. ხიზაბავრითგან მოვედით.

24. როშვილის სიდედრი მიიცვალა.

8. მარტს. პატრი უმფროსი ქალაქს წავიდა*.

9.[70] აპრილს პატრებიანცა ქსწირე.

27. ბატონიშვილი მეფეს გაადგა სახლთხუცით და თამაზა მესხით.

30. ბატონისშვილმან ალექსანდრემ აწყვერის პირუტყვნი და სხვა წაიყვანა.

1. მაისს ფაშა ჯარით აწყვერს წავიდა.

8. ფაშასთან შემიყვანეს სანახავათ. წიგნისთვის, ბაშ ჩაუშიც დღეს მოვიდა.

9. ახალი ხუცები მოვიდნენ. სტამბოლის ქარავანი წავიდა.

17. ჭოჭუათ ტერ იოსებმან სწირა. მოჰურდარი და მირზა გურგენა მოვიდნენ სტამბოლითგან.

6. მკათათ. მამას ძმა პოღოს ბიძა მიიცვალა შუადღის უკან.

16. გიორგი ბატონისშვილის დავით ბატონიშვილი დაკოდეს და დაიჭირეს ალექსანდრე ბატონისშვილიმან და მის კაცებმან.

29. თუთულათ ანტონა პატრებთან დადგა.

3. მარიობ. პატრებიანთ საყდარში მეორედ ვიქადაგე.

12. ისკანდარათ[71] ტერ პოღოსი მობრძანდა.

20. ახალციხითგან ველს წამოვედ 22—ველს მოვედი.

23. ბორგვს მოვედი.

25. ველს წავედი.

1. ენკენის. არტაან ბეგი ველს მოვიდა და ენახე.

17. არტაანს მოვედი ველითგან ჩვენს იოანესთან[72].

---

[69] ბატონი პატრი.

[70] 20 პოღოს სომხის ვარდაპეტ და პეტროს ვარდაპეტ მოვიდნენ. * 26. პატრი ალექსი თბილისს წავიდა.

[71] სკანდარათ. [72] ოჰანესსათან.

20. ქურქჩიანთ პარუნ ყაზარაჲ არტაანს მოვიდა არზრუმით-
გან.

22. მაქანდარანთ ანტონი და მეფისათი არტაანს მოვიდნენ, აზრუმს რომ მიდოდნენ. ქურთისტანელი[73] ტერ-პეტროს ველს მოსულიყო.

24. არტანითგან ველს მოვედი.

27. ნაქალაქევს წავედი და ვსწირე.

28. ნაქალაქევიდან ველს მოვედი.

9. ღვინობის. ქურთისტანელი ტერ ტერ პეტროსი ველითგან წავიდა ბერდიკს. იმედას დის წირვები ავიღე.

16. ღვთით ველითგან წამოვედი.

18. ახალციხეს მოვედი.

24. ფალოშათ პოლოსაჲ მიიცვალა.

3. გიორგ. იოანე ვარდაპეტთან ვილაპარაკე.

14. იოანე[74] ვარდაპეტთან ცხარად ვილაპარაკე.

28. ეფრიკათ ჰაჯი ბაბა მოვიდა.

30. არაბი სალახორი მოვიდა.

7. ქრისტიშობ. ყარსლიანთ საჰკამ დამაბარა[75].

9. მირზას ძმა მოვიდა.

10. უვიცად მოკვდა.

20. ხოტაჯურელი დიაკვანი დავიჭირე.

23. ველს წავედი დიაკვნითა.

1779. წ. 1 ღამის 2 და 3 ჩარექზედ მიწა იძრა, ოთხშაბათი რომ თენდებოდა.

13. ჩვენი იოანე[76] ველს მოვიდა.

23. ნაქალაქევს წავედი ჰამბარცუმასთვის

25. მოვედი

28. საქოს ქალი ჰურიაი[77] დავფალით.

3. მარტს. თერძი სიმონასშვილი იოანესათვის სულეიმან ფაშას 5 ქისა ჯარიმა წაურთმევია.

5. თათოზაჲ ახალციხეს წავიდა.

18. არტაანს მოვედი ველითგან.

21. არტაანითგან ნაქალაქევს წავედი.

23. ნაქალაქევითგან ველს მოვედი[78].

5. აპრილს. გუგუბოს წავედი ავადმყოფ ლალიხანასთან. ჩვე-

---

[73] ქურთისტანელი ხუცესი. [74] ოჰანეს. [75] ..(11) ..Š(9).
[76] ოჰანესაჲ. [77] ჰუროჲ. [78] წავედი. [75] ... (11).. 5(9).

ნი ტრაცო ახალციხეს გავგზავნე, კირილესგან ვირი ვიყიდე.

10. ველს სკიები ვიყიდე და ფურიცა.

11. გუგუბოს ლალი ხანა მიიცვალა.

13. ბორგველი ჰეპელაჲ მიიცვალა. წაველ და დავფალით.

23. ზაქარა კიდევ ახალციხეს გავგზავნე.

11. მაისს. ზაქარა ველითგან გაუშვი, თუ კიდევ აღარ მოვიდა.

17. ნაქალაქევს წაველ მესროფასთან რომ ავად იყო და მიველდი.

25. ველს მოლა მოვიდა ფაშისა. საყდარი ნახა ქავშისათვის.

11. თიბათ. ველითგან ახალციხეს წამოველდი.

12. ახალციხეს მოველდი.

25. პატრი ფრანჩისკესთან ლრელისკენ წაველდით.

29. ურთელი ხუცესი ტერ-სტეფანა მოვიდა.

16. მკათათ. ჩვენი პროვიკარი იოანე ვარდაპეტი მიიცვალა.

17. მიწად მივიღეთ ივლიტას.

2. მარიობ. მეფე ირაკლის ელჩი თარხნისშვილი მოვიდა ფაშასთან. ბუჰუა მდივანიც თან ახლდა.

11. ენკენის. ბაქარის შვილის ალექსანდრეს მოსვლა თქვეს იმერეთს პარსეთიდან რომ გამოიპარა.

17. არტაან წამოველდი. თელაველი ტერ-ფილიპესშვილი ტერ სამუელიანად.

18. არტანს მოველდი.

23. არტანითგან ველს მოველდი

15. ღვინობ. ველითგან წამოველდი

16. ახალციხეს მოველდი. კრუხიჰამათ ტერ გრიქორას პროვიქარობა მოუვიდა. უმფროსად გახდა.

23. მაქანდარიანთ ტერ იოანე არტანს წავიდა ჩვენს იოანესთან.

26. პატრი ჩელერინო წავიდა

2. გიორგობას მიიცვალა ჩვენი იოანე[79] არტაანსა.

7. პატრი ვენდელინო ქუთაისს წავიდა.

27. პატრი ფრანჩისკე არზუმითგან მოვიდა.

24. ქრისტიშობ. პატრი პეტრე სტამბოლითგან მოვიდა.

1780. წ. 3. იანვარს ახალციხითგან ველს წამოველდი.

13. ტერ პეტროსი მოვიდა სხვებით.

16. ტერ პეტროსი წავიდა.

17. შაქარ ფაშა აჰარელი ახალციხეს მოსულა.

---

[79] ოჰანესა.

7. თებერ. ნაქალაქევს ჩაველი. 8. მოველი.

26. ფუფულათ სტეფანე მიიცვლა და დავფალით.

6. აპრილს არტანს მოვედი. 9. ნაქალაქევს წაველი.

10 ნაქალაქევითგან ბორჯგს[80] მოველი

14. კივრელაჲ ველითგან ახალციხეს წავიდა.

27. ნაქალაქევს წაველი და მოველი.

9. თიბათ. ველითგან ახალციხეს წამოველი

12 ახალციხეს მოველი.

7. მკათათ. ფხიკიურელი ტრაცოები პოღოსა და იაკობი ჩემთან მოვიდნენ.

9. ველს წამოვედი. 11. ველს მოვედით

13. ნაკაშაჲ[81] მიიცვალა.

18. ენკენ. ველითგან არტაანს მოვედი. 20. ველს მოვედი.

14. ღვინობ. ველითგან წამოვედი 15-ახალციხეს მოვედი.

24. პოისშვილი ტერ გრიქორი რომითგან მოვიდა. პატრი იოანე ბენედიქტი მოვიდა.

13. გიორგ. ახალ მოსული პატრი იოანე ბენედიქტე მიიცვალა.

14. პატრი უმფროსი ანდრიაჲ ახალციხეს მოვიდა.

27. ქრისტიშ. პატრი უმფროსი ანდრია გორს წავიდა.

1781. წ. 13. იანვარს. ნარუკათ აივაზა მიიცვალა.

24. ზემო საყდარს მოუხტნენ. თათრის ქალი რომ გაქრისტანებული იყო სალმამ გამოიყვანა.

26. ამ ქალის გულისთვის პროვიკარი მაქანდარიანთ ტერ გრიქორი, მოქალაქე ტერ სტეფანი და სკანდარათ ტერ პოღოსი ციხეში შეიყვანეს ქეჰა ბეგთან, ყადთან და მუვთთან.

11. თებ. პროვიქართან, მამასახლისთან და პატრებთან აბანოში ვახშმათ ვიყავით.

17. ზემო საყდარს ავედი.

20. პატრი ფრანჩისკე ანტონი, ართვინისკენ გავლით სტამბოლს მანზილით წავიდა.

25. ფირალათ იოსები უვიცად მიიცვალა და დავფალით.

17. მარტს პატრი ფრანჩისკო ფაშამ ახალციხეში მოაბრუნა და ისევ მოიყვანა.

23. პატრი დომინიკე მოვიდა ლოთრანი ჰექიმიანად.

---

[80] ბორგვს. [81] ნაღაშაჲ.

5. მაისს პატრი დომინიკე წავიდა სტამბოლს.

27. პატრი ფრანჩისკე მეორედ წავიდა ხოფას.

11. თიბათ. ქუთაისს მეფე კვალად გაწყრა და პატრებს რომ საყდარი წაართვა, თავიანთთვის აკურთხევინა.

16. სანოსათ პეტრე, კაბა ელისბარი მიიცვალენ.

23. ჩვენი ბიძათ სტეფანეჲ სტამბოლითგან მოვიდა.

17. მკათათ. ირიცფოხნის მაქანდარიანთ ბატონჯანას ანგარი-

21. მეფე სოლომონის აჭარაზედ წასვლის ამბავი მოვიდა.

ში ვნახეთ და ყაზარაი დავაყენეთ.

29. მეფის უკან გაბრუნების ამბავი მოვიდა.

30. პატრი ვენდელინო ქუთაისითგან მოვიდა.

19. მარიობ. პატრი დომინიკეს სიკვდილის წიგნი მოვიდა.

25. პატრი ვენდელინოს ახალციხის პატრის უმფროსობა მოუვიდა.

4. ენკენისა. იესეს შვილი იოანე მოვნათლე. სვინა მაქანდარანთ ტერ იოანე იყო.

17. მაქანდარიანთ ტერ იოანე ხიზაბავრას წავიდა.

13. ქრისტიშ. ქვემო საყდარის კრება იყო ერის გაყოფისათვის.

1782 წ. 29. იანვ. ბალინათ იოანეს შვილი სიმონა მიიცვალა.

6. თებ. ხუციანთ ლუკასას შვილს პოლოსას ცოლს დილას სამი შვილი ჰყოლია. ორი ვაჟი და ერთი ქალი ერთად.

11. ქვემო საყდარს ჩავედი. 13 ზენაური ეწირე.

23. მაქანდარიანთ გარსევანაჲ მიიცვალა.

8. მარტს. პატრი მოვიდა ქუთაისითგან.

14. პაატა წავიდა.

10. აპრილს მესროფაშვილი ტერ გრიგოლი სტამბოლს წავიდა

14. პეტროს ბიძა ანტონიანცდ სტამბოლს წავიდა.

9. მაისს. მახარობლიანთ პეტრეს სიდედრი მიიცვალა და დაეფლა.

10. თიბათთ. პატრი მავრო მანზილით ფაშასავით თბილისითგან ახალციხეს მოვიდა.

12. ახალციხის გარემო მთებზედ ცოტა თოვლი მოვიდა. ახალციხეს კარგად ციოდა.

18. ფრა მოვიდა.

26. ტერ კოტა სარქისაჲ მოვიდა.

27. ფრა ანტონი სტამბოლითგან მოვიდა.

2. მკათათ. პატრი მავრო და ფრა ანტონი წავიდნენ ქართლით.

12. ჩემი ძმა ლუკა აზრუმს წავიდა.

10. მარიობ. გედიათ აივაზას დაი მიიცვალა და დავფალით.

19. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

11. ღვინობ. სულეიმან ფაშა ახალციხითგან არტანისაკენ წავიდა.

15. სულეიმან ფაშას ძერლიმ ულალატა ციხე წაართვეს და ოლქობა შეიქმნა.

21. სელიმ აღა მოიშალა ფაშის ჯარისაგან.

29. ახალციხეს აჭარლების მოსვლის შინლუგი ქმნეს.

1. გიორგ. ყარსელი ორი ოჯახლი მოვიდა ფაშისაგან შესარიგებლად.

7. ფაშა ციხეში შემოვიდა. სულეიმან ფაშას ოჯახლებს თავები დასჭრეს. კიკინ ძენიჩარაღას, ფაპლევან აღას და ყოჩალი ტატაშ აღას სხვილისსა.

13. ნახევარ სულეიმანის შვილის სახლი ბასმიშათ ჰქმნეს.

16. სალას ბეგი მოკვდა.

20. ოთხი პატრები მოვიდნენ.

18. დეკემბ. ჩვენი სიძე ტერ-იოანე კრებისშვილი აზრუმითგან მოვიდნენ.

21. მაქადარიანთ ტერ იოანე და ტერ გრიგოლი ტყვედ ჩაყარეს.

1783. წ. 14 იანვარს პატრები ველს წავიდნენ თადეოზის საქმეზედა.

16. ეპისკოპოსის დედა მიიცვალა (პავლე ეპისკოპოსისა)

27. კრუხათ პროვიკარს უარი ვუთხარით. პატრები ველითგან მოვიდნენ.

30. კრუხათ ტერ გრიგოლთან ქვემო საყდარში ვილაპარაკეთ.

31. აპრილს გოგორასშვილს დასცემოდნენ მაჭიხელლები.

28. ფაშამ დელიბაშები მოიყვანა.

30. მაისისა ხანიათ იოსების დაძ კუსი ანნა გარდაიცვალა. პატრი პეტრე წავიდა სტამბოლს გაგდებული უჟამოდ.

15. თიბათ. სამ თუღიან ბათუმის ხალელ ფაშას მიეგება ჩვენი ფაშა.

16. კრუხიჭამიათ პროვიქარ ტერ გრიგოლთან გავრიგდით.

28. რუსის მოსვლის შიში ჩამოაგდეს.

2. მკათათ. ჩვენი სიძე პოლოსა აზრუმს წავიდა. სტეფანეც თან წაიყვანა.

5. მაქანდარიანთ ტერ გრიგოლის დედა მიიცვალა.

13. მარიობ. ჩილაშვილი მუსტაფა აღაჲ მოკვდა.

17. ქეჰა შავშეთს წავიდა ჯარით შოლდამეზედა.

17. მისირითგან მოსულებს და იერუსალიმის ვარდაპეტას ულალატეს და მოჰკლეს არტაანის გზაზედა.

22. ქეჰა შავშეთიდან მოვიდა დიდის ნაშოვრითა.

31. მოჰურდარი მოკვდა.

7. ენკენ. თათულათ გრიგოლ მიიცვალა.

12. ფაშობა გაუახლდა.

20. ჩვენი ლუკაჲ აზრუმს წავიდა.

13. ღვინობ. ერთი ციდა თოვლი მოვიდა. მეორე დღეს ყინვა იყო და თოვლი არ ადგა.

21. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

9. ქრისტიშ. მეფისაშვილს პეტრეს ტამლა დაეცა. 12. მიიცვალა.

12. ჩვენ ფაშას სარასკირობა მოუვიდა.

1784. წ. 3. იანვარს ტინტიკაშვილი პეტრე მიიცვალა.

7[82]. ტინტიკაშვილისათვის 8. საწირავი ფხიკიურ ტერ იაკობას და ტერ პოლოსას გავუგზავნე.

31. ბალახათ უდელს ანტონაშვილს პეტრეს გვირგვინი ვუკურთხე.

4. მარტს. მეფე სოლომონა აჭარაზედ წასულა.

6 ყ'შა ვანქის ვარდაპეტი ჩვენი არაჩნორდი ვარდაპეტ ხუცითა და დიაკვნითა მოვიდა.

17. აპრილს ტერ სტეფანის შვილი იოანე მიიცვალა და დაეფლა.

25. ელიოზაშვილი[83] მიიცვალა.

27. მეფე სოლომონის სიკვდილის ამბავი მოვიდა. იმერლებიც დაიჭირეს.

2. მაისს. მეფედ დაუჯდენიათ თავით გიორგი ბატონისშვილი.

22. თბილი ქალაქიდან რუსის ელჩი მოვიდა სულეიმან ფაშასთან. ფაშა ჯარით მიეგება. ციხეში დააყენეს.

26. ეს ელჩი კვალად ქალაქს[84] წავიდა.

---

[82] შვიდის ნაცვლად რიცხვი 19. შ. ლ. [83] ელიოზას ცოლი მიიცვალა. [84] ქალაქსვე.

13. თიბ. ერევნის ხანის შვილების დახოცვა და ციხის აღება სთქვეს.

18. სულეიმან ფაშა ტყვის მომპარავებს გამოუდგა დაიჭირა და ქართველნი ტყვენი აშოიხსნა.

22. სულეიმან ფაშა ახალქალაქს წავიდა ოჯახლითა და ჯარითა.

8. მკათათ პატრი და პატრი დიაკვნები მაქანადანა ტერ გრიგოლი და ტერ ფრანჩისკე ღრელს ზეით სასმელად წავიდნენ.

14. ეზინგას ძვრა ქმნილა. აზრუმის ფაშა მრავლის ჯარით დალუპულა. აზრუმსაც 5. დღეს ძვრა ქმნილა. მაგრამ უზიანოდ.

16. მარაშის ჯარი 700. კაცი ახალქალაქს ფაშასთან მისულა.

19. მარიობა. ტერ არაქელა მიიცვალა 6. საათზედა.

24. სტამბოლის ქარავანში აწყვერელი სკანდარასშვილი იოანე მოვიდა.

26. მთებზედა ცოტა თოვლი მოვიდა. ბათუმს პაჯი ფაშის ჯარის გამოსვლა თქვეს.

30. ახალქალაქითგან ფაშა ახალციხეს მოვიდა.

2. ენკენისა. ტყვეებმა ცოლქმარი მოჰკლეს და გაიქცნენ.

11. ლეკები და თათრები დავლაზედ წავიდნენ.

13. ეს მედავლენი რაიმე მიზეზით უკანვე მობრუნდნენ.

23. გომრუგჩის შვილი სალაპალა ყაჰვაში უვიცად მოკვდა.

4. ღვინობ. ჩვენს ფაშას მეუჯრლამა მოუვიდა ხაზინა ქათიბითა

18. რუსის ელჩი მოვიდა თბილისითგან.

19. რუსის ელჩი წავიდა.

25. კოუხიჰამიათ ბატონჯანაა მიიცვალა.

29. ჩვენი ლუკაა აზრუმს წავიდა.

30. მეფე დავითის წასვლა თქვეს გურიით ბათუმს ზედა.

20. გიორგ. ფაშა კიდევ წავიდა ახალქალაქისაკენ ლეკებითა.

23. ფაშა ლეკებინად ახალციხეს მოვიდა.

26. კუნბალ ბატონი დიდი ლეკი მოვიდა ხალილ ბეგიანსთა დაღგა.

10. ქრისტიშ. ლეკის ჯარი სულ და სხვანიც დავლაზედ წავიდნენ.

13. ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

29. იანლუნი იქმნა მუმჯიანთკენ და ხანები დაიწვა.

31. ქართლელი ბიჭები და შოშიაა გაიპარნენ

1785. წ. 2. იანვარს ხიდირ ბეგი შვილმან დასჭრა და დაკოდა.

3. ხიდირბეგი მოკვდა.

8. მესამედ რუსის ელჩი მოვიდა.

24. მარტს სკანდარაშვილის და მამულას ქალის დავა იქმნა პირველ ქეჰისაგან. ზანტიანთ მოლის სახლი ვიყიდეთ საჰათებიანად.

140. ყურუშათ.

7. აპრილს. ყაზნოი რომ მოდიოდა საყდარის წირვაზედა უვიცად ახალ ბაზართან[85] მოკვდა.

10. ქართლში ლეკის და თათრის ჯარი მოიშალა მეტად დღეს ამბავი მოვიდა

25. ჯავახეთის სოფლები აიყარა ქართველის შიშითა.

28. სტამბოლის ქარავანთან ქაჩხუათ სიმონაც წავიდა.

10. მაისს. სკანდარაშვილის გამო ფაშასთან და ქეჰასთან წაგვიყვანეს.

11. ლეკებმა ნაშოვარიას ხასები მოიყვანეს (ტყვე ქალები).

12. ქართლითგან შიში ჩამოაგდეს ახალქალაქისკენ.

26. ლეკები კიდევ მაიშალნენ რუსისგან.

11. თიბათვ. გედიათ აივაზას ვაჟი დაირჩო.

13. მეიხანაჯი ზურაბამ ქვაში და ზარფოში საწირავებზედ მომცა.

19. ლუკაი აზრუმს წავიდა.

16. მკათათ. შაშნდულაჲ მიიცვალა.

7. ენკენისა. გოზალათ იოსება მოვიდა სტამბოლითგან

3. გიორგ. ვახნის ციხის აღება თქვეს.

7. ლეკი ომარხან ხიზაბავრისაკენ მოვიდა.

19. ტყვე მარიამ ვიყიდეთ. უფალმან კეთილი ჰყოს ჩვენთვის და მისთვისაც.

3. გიორგ. ვახნის ციხის აღება თქვეს.

4. ჩემი დისწული სტეფანე არზრუმითგან მოვიდა.

14. აჰმად ხანი ლეკისა სტამბოლითგან მოვიდა.

3. ქრისტიშ. ყუბა ხანი ახალციხეს შემოიყვანეს.

21. გორგიჯანაჲ მიიცვალა.

25. მეფისათ იოსებაჲ მიიცვალა.

26. გიგიტაჲ მიიცვალა.

1786 წ. 20. იანვარს ხაზინა ქათიბი მოვიდა.

---

[85] ბაზასტანთან.

29. მარტს დატყვევებული ყაფუჯლარ ქეჰა იმერეთიდან მოვიდა.

9. მაისს. ნარუათ აივაზაშვილი ტერ გრიგოლი მოვიდა.

17. ქაჩხუათ ტერ ანტონი მოვიდა.

4. თიბათე კრუხიჰამაშვილი[86] ტერ გრიგოლი მიიცვალა.

19. ველს წავედით მე და პატრი იოანე.

21. პატრი ავად გახდა ველსა.

21. მკათათ. ბარბარიანთ დიდი ტერ იოანე მიიცვალა აივაზიანი. ველითგან მოველ ახალციხეს.

27. ზემოსაყდარს აველი.

3. მარიობ. სარი ქეჰა წავიდა მეფე ირაკლის შვილის სანახავად და შესარიგებლად თუ იქმნა.

19. ენკენის. როსტომ ერისთავისშვილი გიორგი ერისთავი ცალთვალა ახალციხითგან გაიპარა.

21. სარი ქეჰა ქალაქითგან მოვიდა, მეფე ერეკლესთან რომ იყო.

3. ღვინობ. კრუხათ მამაჯანაჲ გაუმქლავნეს. სტამბოლს მიცვლილა.

12. ჩვენი ლუკაჲ აზრუმს წავიდა.

1787. წ. 7. აპრილს ხევში დედაბერი იოანეს დედა მიიცვალა.

9. მაქანდარიანთ სახლის შენება დაიწყო აჰმად ბეგმან.

29. მაის. ეკლის საყდარს შენება დაუწყეს.

3. თიბათ. ბატონჯან ბიძათ დიდედაჲ მაქანდარიათსა მიცვლილა.

20. კანდელაკი მოვიდა უდითგან.

27. დოლარელათ იაკობას გვირგვინი ვუკურთხე.

8 მკათათ. ბეგილათ ანნაჲ მიიცვალა.

27. ფაშას მეყარლამა მუვიდა. თურქი ბაში და მისი შვილი ტყვილა ჩაყარა ფაშამ.

29. მარიობ. უმფროსი წაბრძანდა არტაანის ველს და იქითგან ართვინისკენ უნდა წაბრძანდეს.

27. ენკენ. ვალეს წავედი და მოვედი.

28. ღვინობ. პატრა იოანე იმერეთს წავიდა ქაიხოსრო აბაშიძესთან. იქ მიიცვალა.

28. გიორგ. გოგორასშვილი თავის კაცმან მოჰკლა.

---

[86] კრუხიჰამიაშვილი პროვიქარი.

15. ქრისტიშ. უმბროსი მობრძანდა.
1788. წ. 20 იანვარს მიქელა ხოტაჯურს წავიდა.

1. თებერ. უმფროსი და ანტონი აშლილ იყვნენ სიტყვით საყდარში.

21. ყიზილბაშის და ლეკების ელჩები მოვიდნენ ჩვენს ფაშასთან.

23. მარტს ფაშამ დივანი ჰქმნა ოჯახლთან. ქართლზედ გამარჯვება[87] თქვეს.

4. აპრილს. მაჰმადბეგიანთ ქორწილი ჰქმნეს თავიანთ ქალისა.

5. გოკიელიშვილის ამბავი მართალი მოვიდა.

15. ფაშა ახალციხითგან წავიდა ჯავახეთს

26. ცოტა თოვლი მოვიდა. ყალაიჯისშვილი აზრუმს წავიდა.

7. მაისს. მიქელა ხოტაჯურითგან მოვიდა.

8 სარქისაჲ წავიდა ხოტაჯურს.

10. ხუნძახ ფაშა დავლითგან ცალიერი მობრუნდა.

11. მთები მოთოვლა.

14. ჯულაბი დავლიე პატრი ფრანჩისკესაგან.

24. მზე დაბნელდა ნახევარზედ მეტი შუა დღის წინა ერთს საათსა.

24. თიბათ. ქვემო ვსწირე ზენაური.

5. მკათათ. ველს წაველი ღვთით.

15. მარიობ. ველითგან წამოველი. 17. ახალციხეს მოველი.

27. ენკენისა მეფე ერეკლე და ფაშა გარიგდნენ.

3. ღვინობ. ხაზინადარი მეფე ერეკლესთან წავიდა.

4. ფაშამ ჯარი დაშალა.

10. ხაზინადარი მოვიდა.

25. ფაშა ახალქალაქითგან მოვიდა.

28. ლალფირუზაი მიიცვალა.

2. გიორგ. ხარისჭირათ ბებერი თინაჲ დავფალით.

9. დეკემბერს. პაირ მინასის წიგნები მოვიდა ჩემთან.

12. მეფისაშვილები და იაკობა ქალაქს წავიდნენ ჰოჰუაშვილის ბარობაზე. ძლიერი ქარი ამოვარდა საჩახები და დარაბები მრავალი დაშალა და დაამტვრია.
1789. წ. 17. იანვარს ხოჯევანათ ტერ იოანე ტყვედ ჩაავდეს და ჯარიმის წიგნი გამოიტანეს.

[87] გალაშკრება.

9. თებერ. ლუკა აზრუმს წავიდა.

3. მარტს უმფროსი ტერ გრიგოლი თათარმან გალახა არტანელების საქმეზედა.

14. ოზის აღება თქვეს ფრანგთაგან.

21. აპრილს. ალექსანდრეგ ფაშამ ტყვედ ჩააგდო.

23. სულთან ჰემიდის სიკვდილი და სულთან სელიმის დაჯდომა თქვეს.

26 თიბათ. კვირაში თვითო სალიანი წავიდა.

4. მკათათ. ზემო საყდრის ირიცფოხანმან ზემო საყდარის თეთრის მიცემა გვითხრა.

9. ყალაიჯიშვილი სტეფანეგ იმერთისკენ წავიდა.

14. დავით მეფის გაქცევის და არჩილ მეფის შვილის გამეფეიბს აშბავი მოვიდა.

15. ენკენის. ახალციხის სოფლები ახალქალაქისაკენ ქართველებმან მოჰგლიჯეს.

18. აზრუმის ისპაები კვალად მოვიდნენ.

28. ლეკებმან მრავალი ნაშოვარი მოიტანეს.

3. ღვინოშ. ჩვენმა ფაშამ ჯარის შეყრა დაიწყო.

15. აზრუმითგან ფარად[88] ოლღი მოვიდა.

17. ყარსის სოფლების წაღება თქვეს ქართველთაგან.

5. გიორგ. მეფე ერეკლის მოსვლა ითქვა.

8. ველიტას ლეკები დაუგნენ.

29. ქართველმან ორჯუა დაათარეშა.

30. პატრი მოვიდა.

11. ქრისტიშ. შაჰნაზარაგ მიიცვალა.

24. ჩვენი ლუკაც აზრუმს წავიდა.

1790.წ. 7. იანვარს დესპოტი ტყვედ ჩააგდეს და ყაირ ბეგის ჩილ დემეტრეცა. დესპოტი პეტრე მღვდლიანად ტყვედ ზანჯირში ჩააგდეს.

14. სომხებიც ტყვედ ჩაყარეს.

8. თებერ. ხვანთქარმან ფაშისაგან ვეცხლი ითხოვა და საყდრებითგანაც.

24. თამარა მიიცვალა. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

9. მარტს. ლეკის ჯარი ქვეითი გურიისკენ წავიდა.

23. გიორგი ციციშვილი დაჰკოდეს და მის დამკოდს თავი მოსჭრეს.

---

[88] ფაიად ოლღი.

6. აპრილს. ლეკები რომ წასვლაზედ დადგნენ ჩვენი კაცები აიკლეს.

8. უდელი მამასახლისის შვილები და სხვანიც ლეკებმა დაიჭირეს.

11. პირველი ქარავანი სტამბოლს წავიდა.

18. მეორე ქარავანი სტამბოლს წავიდა.

22. ვალის წისქვილში მე და პატრი წავედით.

25. დავით მეფე ახალციხისაკენ მოვიდა.

18. მაისს. დავით მეფის მოსვლა თქვეს.

19. აქ ყამის გამოჩენა თქვეს.

24. ელჩები და ფრა მანსვეთიო ქალაქს წავიდნენ ფაშების ბრძანებით. რომ გაუშვეს.

30. მეფე დავითი აქ ახალციხეს მოვიდა.

6. თიბათ. პატრი იოანე ყამისგან იმერეთს წავიდა

10. უმფროსი არალს წავიდა.

22. ყამით ბრმა თევდორეს ცოლი მიიცვალა.

5. ყამით საძლულიანთ მეფურინის ბიჭი მოკვდა.

16. პოია ასლანასი. ძიფირასი, ყაზარსი, ქართველი მოსეს ქალები და გძელისშვილი ანტონაცა ყამით დაიხოცნენ.

21. ფარ ფრანჩისკე წყროუთას დაიხიზნა

11. მარიობ. ორი ვსწირე დღეს, რადგან ივლიტას ვიყავი.

21. მელეშიანთ პეტრეჲ მიიცვალა.

22. პოლოს ბიძა სტამბოლითგან მოვიდა ახალციხეს.

24. ველს წავედი და მოვედი.

3. ენკენი ქაჩხოათ ტერ ანტონი არლითგან ივლიტას მოვიდა ახსნა.

8. დავით მეფე ლეკებით გურიისაკენ წავიდა, რომ იმერეთს ჩავიდეს. დაჯდეს მეფთო. თუ ღმერთსაც უნდა.

13. საძლელი იოანესა მიიცვალა.

16. ჩვენი ელისაბედა მიიცვალა.

13. დავით მეფე იმერეთს ჩავიდა.

21. უდეს მკვდარი უწესო დაუფლავან.

24. უდეს წავედი ყამიანის ხუცის დასაყენებლად.

26. უდიდგან მოვედი.

28. გუნოს ქალი რიფსიმა მიიცვალა.

2. ღვინობ. ტერ იოსები ვალეს წავიდა.

5. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

7. დიდი თოვლი მოვიდა. ჩვენი სიმონი და ქურქჩიბაშიანთი ხიზნითგან მოვიდნენ.

9. ყამმან მოკლება დაიწყო.

26. პატრი იოანე ქუთაისითგან მოვიდა.

27. არალს წაველ ფაფაზოღლის ქალთან.

28. არლითგან მოველი.

11. გიორგი ვალეს წაველი და მოველი.

15. წყროთს ვიყავი.

14. ქრისტიშ. ფირალათ გასპარას ანნას დუქანი ვიყიდე.

22. ბიძათ იანჯანა იმერეთითგან მოვიდა

1791. წ. 5. იანვარს ნურალიანთ იოანე იმერეთითგან მოვიდა.

7. თებ. ჩვენი ფაშა სულეიმანი მოკვდა.

18. მეფეთი და ყაფუჯი სტამბოლს წავიდნენ.

8. მარტს. სულეიმან ფაშის შვილს მუსალიმობა მოუვიდა.

26. ლუკაჲ ყარსს წავიდა.

4. აპრილს ყარსითგან მოვიდა.

13. კრუხათ იოსებას და მე ლაპარაკი მოგვივიდა.

16. ჩვენი ლუკაჲ შავშეთისკენ წავიდა თეჲრძ სტეფანჯანასთან.

22. ჰასან ფაშის შვილს ფაშობა მოსვლია.

23. ლუკა მოვიდა შავშეთითგან.

5. მაისს მუსალიმი ფოცხოვ ბეგი მოვიდა.

13. ვალეს წაველი და მოველი

31. ქართლით ლეკებს ცხენები და ლეკებიც წაართვეს.

13. თიბათ. ახალი ფაშის წამოსვლა თქვეს ოლთისითგან.

18. ფაშის მოსვლა თქვეს არტაანსა.

25. ჰასან ფაშას შვილი ახალი ფაშა მობძანდა ახალციხეს. მადათ ბეგისგან არტანუჯის დაჭერა და დაწვა თქვეს, პატარა ფაშის გამო ჩილაშვილის გაპარვა თქვეს ამ საღამოზედ აჭარას.

27. ახალი ქეჰა წავიდა ჯარით პატარა ფაშაზედ არტანუჯისკენ.

30. ახალმა ფაშამ თაბდილაჲდ იარა.

4. მკათათ. პატარა ფაშის ჯარის მოშლა თქვეს არტანუჯს.

10. ანაფას აღება თქვეს[89].

13. აჭარელი სელიმ აღა ხიმშიაშვილი მოვიდა ახალციხეს 300 კაცით.

21. ოჯახლი მოვიდა ჯარით.

22. ახალი ქეჰა ჯარით რომ წავიდა ჯარი მობრუნდა.

---

[89] პატრი იოანე აზრუმითგან მოვიდა.

24. ქეჰა მობრძანდა.

30. ტერ ანტონი იმერეთს წავიდა.

9. მარიობ. ბეროჲ მიიცვალა.

10. ჩვენი ლუკაჲ აზრუმს წავიდა.

19. პატრებიანთ საყდარს მოდგმული გაუკეთეს.

22. წელს ხუცების ჯარიმა წაართვეს.

25. ღვთით ვალეს წაველი.

26. თრესტელი უცხო ხუცესი მოვიდა.

29. ტერ სააკ ტყვედ ჩააგდეს (კათალიკოსებისათვის).

30. ტერ სააკის ბარობაზედ ჩხუბი[90] იქმნა და არეულობა ამ სალამოზედ პოიეზს ჩვენებმან საყდარი წაართვეს (წმ. სტეფანესი).

9. ენკენისა. ჩვენი სიმონა ხიზნად წავიდა.

14 სომხებმან თავიანთ საყდარი ისევ დაიჭირეს.

15. ჩვენი საყდრები დაგვიყარეს 8-დღეს

21. უმცროსი ფოცხოვ ბეგთან წავიდა.

23. აზრუმს ქარავანი წავიდა.

27. ფაშის ხანუმი მოიყვანა ქამილ ბეგმან.

15. ღვინ. ჩვენი ლუკად აზრუმითგან მოვიდა.

24. ბაბუნაშვილი პოღოსაჲ მიიცვალა.

27. ჩვენი სიმონაჲ ხიზნითგან მოვიდა

30. ვალეს წაველ და მოველ.

1. გიორგ. ჯინო მამასახლისი გამოცვალეს და ქურთაი დადგა.

12. ეფრიკას შვილი მოვიდა.

24. ჩამაშურ ალას და სხ. თავები დასჭრეს.

28. დანიელ ვარდაპეტი ხუციანად მოვიდა ეჩმიაწინითგან.

1. ქრისტიშ. ჩიტათ ქალი წაიყვანეს.

2. ფოცხოვ ბეგი ვაიქცა.

4. ჩახმახი მუსტაფ დაარჩვეს.

8. მე და პატრი ზანჯირში მიგვცეს. მე ეფრიკაშვილით გამოვედი ჩვენი საყდრები დაბეჭდეს

12. პატრი და პეტრე მღვდელი გამოუშვეს ზანჯირითგან.

13. ჩვენის სახლის ოდაში ვსწირე. ხუცებს ერის კაცებმან 10 ქესა თეთრი შეა;იეს. შუბაშ ხანაში ტყვედ ჩაყრისა. საყდრების კარების გაღებაში 16. ქისა თეთრი წავიდა.

17. სახლებში თეთრის კრება დავიწყეთ·

1792. წ. 7 იანვარს. საფარაჲ დაიჭირეს.

---

[90] ჩხუბი. ვაჲვაგლახი და არეულობა.

17. ხიზინა პაპაჲ ოჰანესა მიიცვალა.

30. ბაღდადელის გვირგვინი ვაკურთხე ჯინოს-ქალზედა.

6. თებერ. ძველი ხაზინადარი მოკვდა. აჰარის ჯარი წავიდა.

7. ჩვენ მეზობელს ოსმან აფენდს ლაპარაკი მოუვიდა ჯინოს ქალისათვის.

15. შერიგების ამბავი მოვიდა მეფეებისა და შენლიგი ქმნეს.

20. პატრი იოანე ქუთაისს წავიდა.

23. ეპისკოპოზის წიგნი მოვიდა სტამბოლითგან

24. ლეკი მურაჲ[91] დაარჩეს.

1. მარტს ეფრიკაშვილი ჩვენსა მოვიდა.

14. მინდორაჲ თოფით მოჰკლეს.

25. ზაბით ბეგი სტამბოლითგან მოვიდა.

26. ერეც ფოხანზედ კრება ვქენით ზემო საყდარსა.

8. აპრილს სელიმ აღა სტამბოლითგან მოვიდა.

14. სტამბოლის ქარავანი წავიდა.

მაისს. იოსების შემდგომის კეისრის სიკვდილი თქვეს.

3. ისახ ფაშის სარი ქეჰა, ისევ ქეჰათ შეიქმნა.

20. იახულიშვილი და ქურქჩიბაშვილი აზრუმითგან მოვიდნენ. ტერ პოღოსი ავად გახდა.

23. პოები ტყვედ ჩაყარეს, ტყვის გაპარვის მიზეზით.

26. სელიმ აღა ქალაქს წავიდა.

28. პატარა ფაშის გამოსვლა თქვეს და არტანუჯის აღება. ჯარი ზედ წავიდა.

3. თიბათ პატრა ფაშა გამოვიდა არტანუჯით. ხაზინადარი გამოცვალეს.

7. მეფე ერეკლეს თარაქმის ჯარი მოვიდა მოსახმარებლად ისახ ფაშისა.

12. ნაშალი ჯარი მოვიდა ქამილ ბეგის ჯარიანად. ამბავი მოვიდა გამოქცეულან არტანუჯით პატარა ფაშისგან.

15. პატრი მოვიდა და ჰოროველას შვილიცა.

19. სარი ქეჰა ჯარში წავიდა. ისახ ფაშის ფაშობის მუჯდა მოვიდა.

22. პატარა ფაშამ გაიმარჯვა არსიანს ზედა.

23. პატარა ფაშის ყავაზბაში და სხვა მრავალი თავანგჩები მოვიდნენ.

26. ჰაჯი შაჰანაშვილი სხვილისს მოვიდა პატარა ფაშასთან.

10[92]. ლეკები მოშლილან ქართლში.

---

[91] მუსაჲ.

[92] 10— მკათათვე.

12. ოლთისს გაიმარჯვა პატარა ფაშამ. შაჰანაშვილის ჯარი აჭარაზედ წავიდა.

18. სტამბოლის ქარავანი მოვიდა.

20. პატარა ფაშა უვიცად მოვიდა აქა.

27. ქურქჩიბაშიანთა ყამი თქვეს.

30. პატრა ფაშა, ხიმშიაშვილი, და შაჰანაშვილი აჭარითგან მოვიდნენ.

1. მარიობ. ჰაჯი შაჰანაშვილი სხვილისითგან წავიდა თავის ქვეყანას.

5. პატარა ფაშის მუჯდა მოვიდა.

9. კრუხათ იოსებას ბაზასტანში დუქანი გაუტეხეს.

11. ნებიერათ ვაყი მიიცვალა.

15.[93] პოლოს ბიძაჲ სტამბოლითგან მოვიდა.

26. პატარა ფაშა თულებით და სანჯალით მოვიდა ციხეში.

5. ენკენ. ლუკა აზრუმითგან მოვიდა. ოჰანას შვილი ტერ ანტონიც მოვიდა.

19. დალაქი ბიჭი მოჰკლეს.

23. ყაფუჯი მოვიდა.

9. ღვინობ. ნარიმუგაშვილს ჯარიმა წაართვეს.

29. კრუხათ იოსები წავიდა ახალციხითგან იმერეთს.

7. გიორგ. მეკურტნე ზურაბასშვილს ანტონს გვირგვინი ვუკურთხე.

28. მელიქ მინასასთან მოვედი ქაჩხოთ სახლში რომ იდგა.

14. ქრისტიშ. ფაშა წავიდა ფოცხოვ ბეგის ქორწილში.

15. პატრი იოანე და პატრი ფრანჩისკე სტამბოლს წავიდნენ ქარავანთან.

30. მელიქ მინასაჲ ქალაქს წავიდა.

1723. წ. 8. იანვარს შალიახი დააჭერინა უდელიანთ ნიკომ.

9. თებერ. ოთარას მეუღლე მიიცვალა.

25. ჯინო გრიგოლს ყრილობა უყვეს და გამოცვალეს. აბინათ ესაი დააყენეს.

4. მარტს ჯვარი გამოვასვენეთ და ზენაურიც ვსწირეთ, რადგან ხსნილში მოვიდა, მარტო ქვემო საყდარს არ ჰქმნეს.

10. სილასტარი და ფაშის ყავთანი მოვიდა.

16. აზრუმის ქარავანი წავიდა. მეფისა ბატაც წავიდა.

---

[93] 13. პატარა ფაშისთვის ზარბაზნები ისროლეს.

19. ტერ სარქისი მოვიდა.

29. აბულაძე მოკვდა აქა.

4. აპრილს. საყდარში ვილაპარაკეთ ერსზედა უმფროსთან და ყალაიჯის შვილთან.

8. თათრიაშვილმან მეორედ ქორწილი ჰქმნა.

13. გიორგი სომეხი გაუმჟღავნეს.

25. სარი ქეჰა შარიფ-ფაშის ქეჰად იქმნა.

27. კონსტანათ იოსებაშვილის გვირგვინი ვაკურთხე.

28. წყლის მომტანი მიქელაშვილის გვირგვინიცა.

3. მაისს. კრუხათ ქურთის გამოჩენა თქვეს.

29. ხერთვისელი პოლოსა სტამბოლითგან მოვიდა.

7. თიბ. ხიზანათ პეტრეს დედა მიიცვალა და დავფალით.

8. ტერ იოსები წავიდა

11. ლალვითგან გურული ქართველების ტყვეები წაიყვანეს.

17. პატრი და კუსი აიშალნენ

19. კრუხათ ელენაჰ ქმარი[94] დაჰკარგა სახლში.

24. პატრი ბონავენტურზედ ლაპარაკი მოხდა.

19[95]. ყალაიჯები ტყვეთ ჩაყარეს ღრელისათვის.

20. ჩვენი ლუკაჲ აზრუმს წავიდა.

25. შაჰანაშვილი მოვიდა.

4. მარიობ. მთებზედ თოვლი მოვიდა. პეტრე მღვდელი მიიცვალა, ჰაჯი შაჰანაშვილი წავიდა. ჯიჯავაძე ტყვეებით ფაშასთან მოვიდა.

6. უმფროსთან ავიშალეთ.

10. ხაზინადარი წავიდა.

25. ჯიჯავაძე ვახუშტი ეხანე, ჩვენი კატარინეს სიძე გულასპათ ქალისათვის.

28. ქვეშო საყდრის კარზედ ჩხუპი იქმნა. ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

29. სხვილისის ბაღჩაში წავედი.

21. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

26. ზალიანთ იაკობა სტამბოლს წავიდა.

5. ღუინობ. მეკურტნე ზურაბას გერი ანტონაჲ სტამბოლითგან მოვიდა.

10. პატრები მოვიდნენ.

---

[94] ქმარი. [95] მკათათვე.

16. თბილისითგან ელჩი მდივანი მოვიდა, რომ სტამბოლსაც აპირებს წასვლასა.

3. გიორგი ტერ იოსები მოვიდა ართვინითგან.

4. ოჰანათ ტერ ანტონი მოვიდა სათლელითგან.

6. ვეზინდარიშვილი მოვიდა.

14. ისახ ფაშის ძალით მოსვლა თქვეს.

16. სარი ქეჰა ზედ წავიდა.

20. ისახ ფაშის დაჰერა თქვეს. ისახ ფაშის ძმეებძით გაქცევა გამტყუნდა.

26. ნარიმანის ალი[96] ბეგის თავი მოიტანეს.

5. ქრისტიშ. პატრი ახალქალაქს წავიდა

19. საფარაი მიიცვალა — ბაშ აღა უვიცად მოკვდა.

მღებრიანთ იოანე ქალაქს წავიდა

1794. წ. 5. იანვარს ჩემი ერი უდელ ტერ პოღოსას და ტერ ხაჩატურას მივე.

16. კბილათ კუსამან რამ სეფისკვერის ცხობა დასტოვა. ტიპარი გზირიანთ კუისს მივეცით.

24. დესპოტი ჩვენსა მობრძანდა.

24. ხაზინადარი მოვიდა.

25. დესპოტი ქალაქს წავიდა.

29. ჲეგან აღა ბაშჩაუშათ შეიქმნა.

2. თებ. ყაფუჯი მოვიდა. სარი ქეჰის მოყვარე, მანუკ აღის მოყვარეც მოვიდა.

6. მამანელისელი ტრაცო ოჰანესა ჩემთან მოვიდა.

15. მამანელისელი ოვანესა წავიდა.

20. ტიტანათ ოჰანესა მიიცვალა.

26. ჩხარელ გაბრიელამ დაგვპატიჟა.

1. მარტს. მეფე ერეკლეს ელჩი გაბრიელთან[97], პოღოსასთან და ჩილაშვილთან სტამბოლს წავიდა. კორხის არაჩნორდი მოვიდა.

4. ირიცფოხნებად დადგნენ ტეტია და ლუკაჲ

21. არაჩნარდეს თეთრი მისცეს.

31. შაჰანაშვილის დაკოდვის ამბავი მოვიდა.

6. აპრილს ქურთნისტნელი ხუცესი ტერ პეტროსი მოვიდა.

22. ტინტიკანთ მამაჯანა წავიდა ქუთაისსა.

24. ყალაიჯი პოღოსას ქალი თერეზინაჲ გათათრდა.

---

96 ალაი.

97 გაბრიელთან იესესთან.

3.* მკათათ. ტერ გაბრიელმან ზემოს სწირა. მთებზედ თოვლი მოვიდა.

12. ფაშა, ქეჰა და სხვანიც ჯარით ლეკზე წავიდნენ აწყვერისკენ.

14. ფრანწუსის ყალიონების მოსვლა თქვეს ზღვით სტამბოლს.

19. ფაშა აწყვერითგან მოვიდა.

22. ლეკებმან მოსვლა დაიწყეს.

23. ვალეს წავედი.

24. ვალითგან მოვედი. ამ წელს[98] აქა იქ მთებზედ თოვლი იყო რომ მეორე თოვლმან მოუსწრო, ზედა ასე ვნახეთ.

28. საჰათჯი მოვიდა ერევნითგან.

1. მარიობ. 500. ლეკი მოვიდა.

7. ჩემი ძმა აზრუმს წავიდა.

10. ფაშა აჭარას შეურიგდა.

15. ლეკებმა ტყვეები მოიყვანეს ვახნითგან.

18. ყალ-ფახი მოსესას ჩხუბი ექმნა და ტყვედ ჩააგდეს.

14. ენკენ. ეჩმიაწინითგან არაჩნორდი ოჰანეს ვარდაპეტი მოვიდა.

24. ჩვენი ლუკაი მოვიდა.

27. აბაშიძე ლეკებით იმერეთზედ წავიდა მეფისათვის.

28. ნიკოლოსას სახლში დავპატიჟე ვარდაპეტი.

29. უმცროსი ტყვედ ჩააგდეს ზანჯირში პატრის მიზეზით (პატრი ალვიზის მოწამვლის თაობაზედ)

3. ღვინობ შუბაშთან ტყვედ ვიყავით.

5. უმცროსი გამოუშვეს — ყალფახჩი მოსე მიიცვალა.

11. ფაშა ოცხეს წავიდა.

30. დავით მეფის და მისთანათა მოშლა ითქვა.

1. გიორგ. ტაძარში დავიწყებთ ხმიანი და ჩუმი წირვები განსვენებულის სულებისათვის.

---

* 7 მაისს პოლოს ბიძას ველაპარაკე თათრებთან ჩვენსა

14. ფაშას ფაშობის მეუდა (მახარობელი) მოუვიდა

15. იესას შვილი, მღებარის შვილი და სხვანიც წავიდნენ სტამბოლს.

3. თიბათ. ყაფუჯმან ფაშობა მოუტანა.

8. ბარბარ. ავთანდილა მიიცვალა.

[28] ტერ გაბრიელი მობრძანდა.

[29]. ჩემთან მოვიდა სანახავად.

[98] ამ წელს აჭარის მთებზედ.

5. ტერ სარქისი მიიცვალა
9. ჯიჯავაძე წარვიდა.
11. სელიმ აღა და სხვანი იმერეთითგან მოვიდნენ.
22. ფაშა სუნნათზედ მეიდანს წავიდა.
23. ლუკა აზრუმს წავიდა. ივლიტელი თერძი სარი სტეფანე მოჰკლეს.
27. ხარისჭირათ პეტრე ერევანს წავიდა.
2. ქრისტიმ. ტასნაკი იოანეს შვილი მელქონა მოვიდა.
11. დავით მეფე აქ მოვიდა ჩვენს გვერდით.
12. ჩვენი სიძე ანტონა სტამბოლს წავიდა. პატრი უმფროსთან შერიგდნენ ქვემო საყდარს.
21. ტეტიაშვილის საქონელს ლეკები დაუხვდნენ სვირის ტყეში.
22. ლეკები იპოვნა ფაშამ.
25. ფაშა ფოცხოვ ბეგთან წავიდა.
26. ველითგან პატრი მოვიდა.
28. პატრი ქალაქს წავიდა.
1795. წ. 11. იანვარს დავით მეფე აქ ყვავილით მოკვდა, ახალციხეს ქრისტესიან სახლში.
25. მეფისათ, მექოს სახელზედ დავა უყო დადა ალამ, რომ უნდა ეყიდა გოდერძძეთ სახლები.
29. ტერ გაბრიელი შავშეთს წავიდა ახალციხითგან.
2. თებერ. ტერ იოანე და მარიამა მიიცვალნენ.
10. ჩვენმა ლუკამ ვარაქური[99] წამოსწია- 60 სანთლათა.
17. ფხიკიურული ტერ პოლოსი მოვიდა ჩვენსა.
21. მეფისათ მექო წავიდა.
24. მაქანდარიანთ სტეფანე მოვიდა.
27. აქციცათ პეტრე მიიცვალა.
1. მარტს მოჰურდრიათ დიდი ქორწილია.
8. შავშელი ტერაცო მოვიდა.
26. ფაშას ვაქიშვილი ყვავილით მოუკვდა.
31. სურმანიძე აპარელი გაიქცა.
9. აპრილს დელები და თვანქჩები მოვიდნენ.
13. ახალი ლეკები მოვიდნენ.
15. ბიძათ ხანუმაა და სტეფანე სტამბოლს წავიდნენ.
21. გუჯიანთ ტერ სტეფანი და ტერ გაბრიელი მოვიდნენ.

---

[99] ვარაქური (კრეტ საბმელი).

25. მაქანდრიანთ გრიგოლის უმფროსობა ტერ გაბრიელს მიეცა.

1. ტერ გაბრიელს უმფროსობა ქვემო საყდარს.

3. მაისს დადიანი მოვიდა. — აზრუმელი ტერ იოსები მოვიდა. მანქანდარიანთ ტერ გრიგოლი სტამბოლს წავიდა. საყდარში ყუფით მოკრეფა განვაწესეთ, ფულის თაბაღის მაგიერ.

8. მიწა იძრა $3^1/_2$ ზედ დღისა ყველგან გავიქეცით.

14. პატრი მარიოზი ქალაქს წავიდა ელჩთან და კორხ აღასთან.

25. ფაშობა მოუვიდა მუყარლამა ერთი ბარათლის ხელით. ტერ გაბრიელი და ტერ სტეფანი შავშეთს წავიდნენ. ჩვენი ლუკა აზრუმს წავიდა. ჩხარელებიანათ ბატონჯანა ტყვედ ჩააგდეს.

30. სამასიოდე უცხო ლეკი მოვიდა.

10. თიბათ. ყამკოჩი შეიშალა.

14. ახალი ყამკოჩი დავაყენეთ.

23. ქეჰა მოვიდა ახალქალაქითგან.

24. ქვემო საყდარს ვსწირე ხმიანი.

1. მკათათ. ფაშა ახალქალაქისკენ წავიდა ჯარითა.

5. არჩი მაჰმადი დაჰკოდეს.

6. ძიგვიჩ ხანის ელჩი მოვიდა.

9. ტერ იოსები ართვინისკენ წავიდა.

19. ფაშა ქეჰა და ჯარი ყველანი ჯავახეთითგან მოვიდნენ.

26. პატრი ბონავენთურამ თავიანთი სახლის შენება დაიწყო.

27. არჩი მაჰმადას ოდა დაბეჭდეს.

11. მარიობ. ართვინითგან ტერ იოსები მოვიდა.

17. აბასტუმნელი ტერ იოანე მოვიდა ახალციხეს.

18. ნადირათ ხანუმაი მიიცვალა.

23. მთეიმზედ თოვლი მოვიდა და სიცივე იქმნა

12. ენკენ. მეფე ერეკლეს მოშლა თქვეს და შვილების დახოცვა.

13. თბილის ქალაქის აღება თქვეს.

21. ტერ იოსები აზრუმს წავიდა.

22. ვალეს წაველი და მოველი.

28. მელიქ მინასა წავიდა ერევნისკენ ცოლშვილისთვის და მოვიდა.

3. ღვინობას. მეფე ერეკლეს გამოჩენა და გორს მოსვლა თქვეს დიდის ჯარითა.

8. ჩოხადარი და შაქარაჲ გააგზავნა ფაშამ მეფე ერეკლესთან.

12. ბადაი მოკვდა.

15. ვალეს წაველი და მოველი.

17. ესასშვილი და მღებრისშვილი სტამბოლითგან მოვიდნენ მღვდლებად.

20. მღებარიშვილი ტერ სტეფანა ზემოდ ამოიყვანეს.

21. ალექსანდრეშვილი ტერ პოლოსი მოვიდა. ქვემოდ ჩაიყვანეს.

30. ჩვენი ლუკა აზრუმს წავიდა.

10. გიორგ. ფაშას სულ ბეგებით აწყვერს წავიდა ახალ ლეკებთან.

27. ივლიტას ჩხუბი იქმნა ოვაკიმასგან. — პატრი ყარსს წავიდა.

23. ერეკლის ელჩი მოვიდა ფაშასთან.

3. ქრისტიშ. რუსის ჯარის მოსვლა თქვეს ქართლში და დარუბანდსაც.

12. კორს ალა მოვიდა იეგდიჯ ხანისგან.

23. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

1796 წ. 2. იანვარს შადათ ბეგი მოკვდა.

18. რუსის და ერეკლე მეფის ელჩები მოვიდნენ. რუსმან ფაშა ნახა.

31. რუსის ელჩი წავიდა.

6. თებ. ქართლის ელჩი აზრუმს წავიდა შაქარაცა.

8. ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

10. ჩვენი ბიძათ სტეფანე და სიმონი ქუთაისს წავიდნენ.

11. სამი რუსი დაეჰირათ და მოიყვანეს ლეკებმან.

14. დიდი ბუქი იყო.

20. ჩვენი სტეფანე მეორედ იმერეთს წავიდა.

21. დოგუშჩი ქვემო უბნელი ბიჭი მოჰკლეს.

24. ოჰანჯინა აზრუმითგან მოვიდა, კრუხათ სტეფანე მიიცვალა.

9. მარტს ჩვენი სიძე და სტეფანა მოვიდნენ ქუთაისითგან.

17. ჩვენი სტეფანე ქუთაისს წავიდა.

20. ქუთაისს წამსვლელნიი და ჩვენი სტეფანე უკან დაბრუნდნენ ავდრის მიზეზითა. ქაჩხუათ ქეთევანაჲ მიიცვალა.

24. დარბანდის აღება თქვეს რუსისაგან.

26. ჩვენი სტეფანე ისევ ქუთაისს წავიდა.

11. აპრილს. განჯის აღება თქვეს ქართველისაგან. ლეკების გაყრისათვის ქეჰა და სილისტრი აწყვერს წავიდნენ.

12. ჩვენი სტეფანე და სიმონი ქუთაისითგან მოვიდნენ. ქეჰა და სილისტარი მოვიდნენ აწყვერითგან.

22. ბამბისთვის ზანჯირაში ჩაყარეს, ვინც სხვაგან გზავნიდნენ. ილოს შვილი ტყვედ ჩააგდეს და სახლიც დაუბეჭდეს.

23. გამოუშვეს ილოს შვილი.

29. ვალეს წავედი და მოვედი.

1. მაისს. ჩვენს მეზობელს დურსოთ სახლის საჩახი დაუნგრიეს ფაშის ბრძანებით.

7. ეფრიკაშვილი მოვიდა. 11 — ჩვენსა მოვიდა.

13. ჩვენი მზახალი მეფისაშვილი მოვიდა აზრუმითგან.

16. ფაშა ოცხეს წავიდა-ჯულაბის ჰაბები ჩავყლაპე.

22. პატრი ნიკოლა ქალაქითგან მოვიდა.

26. ჩვენი ლუკა და სიმონი აზრუმს წავიდნენ.

31. ფაშა ქეჰა და სხვანიც აწყვერს წავიდნენ.

5. თიბათ. პატრი ბონავენტურა კისკიმს წავიდა.

8. ჩვენი სტეფანე იმერეთითგან მოვიდა.

18. განჯის აღება და ციხის დაქცევა თქვეს.

19. ფაშა და ქეჰა აწყვერითგან მოვიდნენ.

30. ეფრიკაშვილი და მე პატრთან მოვედით.

6. მკათათ. ვიტოლას გიორგიშვილს აწყვერს თავს თოფი გავარდნია და მხარში მოხვდენია.

10. შაქარა ელჩი და სხვა მოვიდნენ.

14. პატრი ბონავენტურა მოვიდა გოლითგან.

21. ჩვენი ლუკა და სიმონი აზრუმითგან მოვიდნენ.

23. აზრუმის ტერ ანტონის წირვები დავიწყე.

26. ჩვენი ტარიელი მოვიდა. ჩვენი სიძე ანტონი ისევ აზრუმს წავიდა.

31. ქართველი ელჩის დახვდომა თქვეს.

3. მარიობა. აჰარის ჯარი წავიდა[100].

5. ჩვენმა ფაშამ ჯარის შეყრა დაიწყო. ჩვენი ფაშის გამოცვლა თქვეს.

8. ჩვენს ფაშასთან აზრუმის ფაშის სალამ ალა მოვიდა.

10. ჩვენი ფაშის ჯარი დაიშალა. ფაშა ციხითგან სხვილისს წავიდა.

12. კუსი ხორი შანა მიიცვალა. ქეჰა ფაშისკენ გაიქცა და სხვანიც აქეთ-იქით.

13. ამასლამ ტყვილი შიში ჩამოვარდა.

---

[100] მოვიდა.

19. ახალი ფაშის სილამ აღა მოვიდა.

21. ჩვენი ფაშის სილასტარი მოვიდა სტამბოლითგან და ადანის ფაშობის ფარვანი მოიტანა.

23. ახალი ფაშა უსუფ ვეზირი შემობრძანდა ციხეში დიდის ჯარით ღმერთმან კეთილად ჰქმნას. რომ დიდის მშვიდობიანობით შემობრძანდა ვიდრე კინალამ არავინ არ გალახულა.

25. შერიფ ფაშა სხვილისითგან საჩუქრით წავიდა და მივიდა ფაშასთან.

26. ახალი ფაშა მოვიდა სხვილისს შარიფ ფაშის სანახავად და მოვიდა.

28. დღეს შარიფ ფაშამ ახალი ფაშა დაჰპატიჟა სხვილისს.

5. ენკენ. ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

8. შარიფ ფაშა სხვილისითგან თავის მანსუფზედ წავიდა. ტირაცო ანტონაც ქურქჩიბაბიშვილიანად წავიდა ფაშასთან.

12. სარი ქეჰა რომ გაქცეულ იყო, მოვიდა ფაშასთან შეურიგდა.

20. ბონავენთურა პატრი ქამალ ბეგს ოლთისს წაჰყვა. დათიათ იოანეს ვაჟი[101] მიიცვალა. ფაშის დელიბაშმა და წინა ჯარმა იწყო წასვლა ახალციხითგან ახალქალაქისკენ. ღმერთმან ხელი მოუმართოს უსუფ ფაშა წაბრძანდა ახალქალაქისკენ. არტაან ბეგი მუსალიმად დააჯდინა.

24. პატრი ნიკოლა ველითგან მოვიდა.

16. ღვინობა. ხიზაბავრელი ხუცესი მოვიდა. ტერ გაბრიელი მოვიდა. არალს წავედი და მოვედი.

5. ნოემბერს ჩვენი მზახალი მეფისათ მელქონაჲ აზრუმს წავიდა.

11. დათიათ იოანე მოვიდა.

13. ამ საღამოზედ ძვრა იქნა საათნახევარზედა.

14. პატრი ბონავენთურა მოვიდა ოლთისითგან.

18. ბაღდადელი ჯინოჲ გრიგოლას სიძე მოვიდა.

20. ჩვენი სიმონა ქუთაისითგან მოვიდა.

8 ქრისტიშ. ფადარათ ბებერი მიიცვალა.

10. ტინტიკათ გარანას ვაჟი და ნარიბეგასშვილიც მოვიდნენ.

11. ბიძათ ანტონაჲ ცოლშვილით და ძმა მამაჯანაჲ სტამბოლითგან მოვიდნენ.

14. კრუხათ ბატონჯანამ ქორწილი ჰქმნა ტერ-საკის ქალთან.

[101] ვაჟი ყაზარაჲ.

20. ანტონ ნალდაძის დედა ანნაჲ მიიცვალა და დავფალით.
1797. წ. 8. იანვარს ჩვენი ლუკაჲ აზრუმს წავიდა.
9. პუწათ ოჰანესაჲ მიიცვალა უვიცად
13. მებამბე ანტონასშვილი იოანე გაუმჟღავნეთ.
15. რუს ხელმწიფის ეკატერინეს სიკვდილი ითქვა.
19. ჩვენი სტეფანაჲ აზრუმს წავიდა.
2. თებერ მაქანდარიანთ ტერ იოანე მოწამლული ლობიოს ჭამით ავად გახდა .შეძნელდა.
4. ტერ იოანე მიიცვალა. 5. დავფალით.
9. აინაჯი სეროფა უვიცად მიიცვალა.
12. სუჯიანცა იანღუნი იქმნა.
23. ტერ სტეფანიანთ პარუნ იაკობის შვილი ჩემთან შაგირდად მოვიდა
27. გოჰარათ არუთენა მიიცვალა.
1. მარტს მეფისათ ტირაც მელქონა მოკვდა[102].
2. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.
11. ღევონდ ვარდაპეტი არაჩნორდი მოვიდა.
18. კრუხათ ბატონჯანა იმერეთს წავიდა.
21. სარი ქეჰა ზაბით ფაშასთან წავიდა.
26. წისქვილი გავჰყიდე ვალისა.
10. აპრილს რუსის ზობას მოსვლა თქვეს ქართლისკენ მეორედ. სარი ქეჰა შეიქმნა ზაბით ფაშისა. ხეველი ბებერი კუსთან რომ იყო მიიცვალა.
13. სტამბოლის ქარავანი წავიდა. ჟამკოჩი სტეფანეცა.
18. არტან ბეგი ციხითგან გამოვიდა აჰმად ბეგის ყონაღში.
20. ზაბით ფაშა შემობრძანდა ახალციხეში.
22. აჭარელი სელიმ აღა მოვიდა.
23. ზაბით ფაშამ ფარავანი წაიკითხა და დივანი ჰქმნა.
25. ამ საღამოს ლოცვაზედ საყდარში ტერ ანტონს ნავროზაშვილი სტეფანე გაულახავს ბურვლის დატარების მიზეზითა.
28. აბდალ ჰაფსი მოლა ზაბით ფაშამ აწყვერს მოაკვლევინა.
5. მაისს. ზაბით ფაშას მუყარლამა მოუვიდა პლი მასთალით. ამ საღამოს შარიფ ფაშის თვანქჩი ბაში დაარჩევს. ზარბაზანი ისროლეს ზაბით ფაშისა.

---

102 მოვიდა.

18. ისმაილ ეფენდი ზაბით ფაშამ სურგული ჰქმნა[104]. ჩვე-
ნი სიმონა იმერეთს წავიდა.

23. მოქალაქე შაქარა ალექსანდრეთი ღამე გამოუწლიათ. მისი ცხენი და ყველა იმის ბიჭს წაეღო. სიკვდილსაც მას აბრალებენ.

25. ქართლითგან ელჩი მოვიდა ზაბით ფაშასთან.

1. თიბათ. კიდევ ქართლითგან ელჩი მოვიდა ყაფლანაშვილი.

13. გუჯუაშვილს ჯარიმა წაართვეს.

17. ჲიგდიჯ ხანის მოკვლა თქვეს.

2. მკათათ. ქამალ ბეგი და გოლა ფაშა წავიდნენ.

6 ტერ გაბრიელი გამოგვეპალმა.

11. ტერ გაბრიელი შავშეთს წავიდა.

25. მაქანდრიანცა ტერ გრიქორისგან მირონის გამოგზავნის წიგნი მოვიდა.

31. ჩვენი ოჰანჯანა მოვიდა რუსეთითგან.

6. მარიობ. წალდაძე ანტონაჲ მოვიდა სტამბოლითგან.

10. ბუღდანლი დაარჩობინა ზიბით ფაშამ. ქალაქითგან რუსის წასვლა თქვეს. ტყვეების თეთრის კრება დავიწყეთ.

16. ლიბანის ბერი აბაგარაჲ მოვიდა.

19. მელეშიანთ ხუცესი მოვიდა.

25. ფაშის დედა აქ მოვიდა სელიმ აღის სახლში.

26. გელაზარათ ანტონას ვაჟი პოღოსა მიიცვალა.

28. ჩვენი სიმონა მოვიდა ქუთაისითგან

29. ქეჰა მოვიდა ლეკებითგან.

30. ჩვენი ლუკა ოცხეს წავიდა სიძე ძიანად.

1. ენკენ. პატრი ნიკოლაჲ მოვიდა.

3. ფაშა ბეკან ოღლი ფაშასთან წავიდა მეიდანს მისაგებებლად.

8. ელჩი მოვიდა ქართლითგან. გურიელი, ერისთავიც მოვიდა. გადმოვარდნილი.

14. ჩვენი სიძე ჰერიქათ პეტრეჲ მოვიდა სტამბოლითგან.

17. მამიდა მარიამაჲ სტამბოლითგან მოვიდა თავის სიძე ქალიშვილებითა. ჩვენს ციხეს მარჰამათი და გლესა დაიწყეს. სარი ქეჰა მოჰკლა. ზაბით ფაშამ თავის ჰარიბაჯის ხელით

2. ღვინობ. ზაბით ფაშის ხანუმი მოვიდა.

7. ჩვენი ლუკაჲ სიმონაჲ და მექო აზრუმს წავიდნენ.

---

[103] 8. დღეს საათის 11 და ჩარექი იყო ორჯერი ცოტა იძრა მიწა. [104]. ისმაელ ეფენდი სურგუნი ჰქმნეს ზაბიდ ფაშით. [105] ბიძათ სტეფანაც.

21. პატრი ბონავენთურა გოლას წაბრძანდა.
6. გიორგ. ქამალ ბეგის სიკვდილი თქვეს.
4. სელიმ აღა ქართლს წავიდა.
7. პატრი ნიკოლაჲ ველითგან მოვიდა.
11. ფაშას თული მოუვიდა.
20. მღებრისშვილი იოანე და ჟამკოჩის შვილიც მოვიდნენ.
24. დაულჯიშვილი მოვიდა.
25. ჰოროველაშვილი მოვიდა.
26. პატრი ბონავენთურა მობრძანდა.
6. ქრისტიშ. თვითან არტაან ბეგი მოვიდა.
7. გორითგან თამაზაჲ მოვიდა.
9. მღებრიშვილი იოანე წავიდა.
18. ჩვენი ლუკაჲ იოანე და მექო აზრუმითგან მოვიდნენ.
22. მუთაველი ვნახე, რომ დამიძახა ივლიტელი ქალის გამო. 1798. წ. 5 იანვარს. ივლიტელი ტერ სტეფანა მობრძანდა ბეთანათ ქალის საქმეზედ და ქვემო საყდართან ვილაპარაკეთ მღვდლებთან და იშხანებთან რადგან ყადისაგან ილამიც აეღო და ბატონის ფაშის ბეირურთიც.
17. ნარიბეგათ პარუნ თოღოსაჲ მოვიდა.
24. გოლა ფაშა ქეჰათ შეიქმნა. ჱეფე ერეკლის სიკვდილი თქვეს.
9. თებ. ხარისჰირათ პეტრე მიიცვალა. ძალაბელ[106] იუსუფამ დანიშნა ჰოჰუათ ქალი.
11. წალდაძის დისწული წავიდა ხმელეთით სტამბოლს.
19. პატრი ბონავერთურა თბილისითგან მობძანდა ფრიანად.
27.. ჩვენ ოჰანლანათ იმერეთს წავიდა.
5. მარტს მელეშიანთ ტერ გრიგოლი და ფრა სტამბოლს წავიდნენ.
9. ჩვენი მეზობელი დურსო მოვიდა
12* იაკობი და ურიები ტყვედ ჩაყარეს[107].
17. ჲიენგიჩარ აღამ ქალების ბარობაზედ შეგვკრიბა.
6. აპრილს. ელჩი მოვიდა უსუფ ფაშასთან აზრუმს წასასვლელად.
14. ლეკებმან ქართლის ნაშოვარი ტყვენი[108] მოიყვანეს.

[106] ჰალაბელ. [107] ჩააგდეს. * 16. აკოფა და ურიები გამოუშვეს.
[108] ტყვეები.

15. საჰათჯი განჯას წავიდა.

16. ზაბით ფაშა აწყერს წავიდა ლეკებზედა.

21. ჩვენი ბიძათ ოჰანჯანა აზრუმს წავიდა.

29. სტამბოლის ქარავანი წავიდა. მათ თან კატარინა ქმარშვილით და ჩვენი სიძე პეტრე.

9. მაისს ჯიჯავაძე მოვიდა.

12 ჩვენს ფაშას ფარშის და ბათუმის ფაშობაც მოუვიდა ხუანთქრისგან[109].

15. ჩახალათ ქალი და შაქარათ ქალი ავის საქმისათვის ფაშამ ლაზებს მისცა.

18. ახალი ლეკები მოვიდნენ დ ტყვეებიც მოიყვანეს.

19. ბათუმს მუსალიმი გაუგზავნა ფაშამ.

25. ჩვენი მელქონაჲ ქუთაისს წავიდა. ბამბა წაიღო.

26. სელიმ აღა მეორედ ქალაქს წავიდა.

30. ფაშა ოცხეს წავიდა.

6. თიბათ. ფაშა ოცხითგან მოვიდა[110].

10. პატრი მობრძანდა გოლითგან.

11 კორხ აღა დაარჩობინა ფაშამ.

17. კიკნაძეებმა მეტყვეურები დაიჭირეს. რომის ქალაქის აღება თქვეს ფრანსელებისაგან. პაპი გაქცეულა ნემასის სენის ქალაქში.

23. ჩვენი სიმონაჲ და სხვანიც ქალაქს წავიდნენ.

27. ჩვენი მექო და სტეფანე ქუთაისითგან მოვიდნენ.

30. ჩვენი სტეფანე აზრუმს წავიდა.

1. მკათათ. ფაშანის ანტონ ვარდაპეტი მოვიდა გამომძიებლად.

19. ზემო საყდარის მღვდლებმან გამომძიებელთან ჩემზედ იჩივლეს და ჩვენს იშხნებთან ვილაპარაკეთ. საყდარის ოქრო ვერცხლი და შესამოსიც ყველა მივაბარე.

23. უმფროსს ხელის წიგნი მივეცი.

27. საერისფოხო ანგარიშები მივაბარე ანტონ ვარდაპეტსა. ყალაიჯიშვილი და ჩვენი ლუკა ერეცფოხნად დადგნენ.

5. მარიობ. ლეკებმან ქართლითგან ტყვეები მოიყვანეს. გოლა ფაშა აწყერს წავიდა ჯარით.

18. ფაშა აწყერს[111] წაბრძანდა.

19. ჩვენი სტეფანე და სიმონი აზრუმითგან მოვიდნენ.

---

[109] ხელმწიფისაგან. [110] მობრძანდა.

[101] აწყვრისკენ.

25. ნარუათ ტერ გრიგოლი მიიცვალა დღის 2. საათს და ჩარექზედ.

26. ქვემო საყდარის ტაძარში დავფალით. მაქანდარიანთ ანტონი ბათუმს მიცვლილიყო გაუმჟღავნეთ თავის სახლობასა.

1. ენკენ. ფაშა მობრძანდა.

5. უსუფ ფაშის ვეზირობა თქვეს.

3. ყაფლანოღლი მოვიდა.

15. მისირის ისკანდარის აღება თქვეს ფრანსებისაგან. გოლა ფაშა წავიდა სტამბოლისკენ

23. პატრი გოლას წავიდა.

25. უმფროსი ვალეს და უდეს წავიდა.

6. ღვინობ. უმფროსი სოფლებითგან მოვიდა[112].

7. ოსილო ტყვედ ჩააგდებინეს.

10. გამოუშვეს ოსილოც.

14. ნარიბეგათ პარუნ პოღოსა არაკინითგან წავიდა სტამბოლს.

17. გიგიტას მეუღლე მიიცვალა

19. პატრი მობრძანდა გოლითგან.

26. გამომძიებელი და პარუნ ანტონა წალაპარაკდნენ ქვემო საყდრის კარზედა.

8. გიორგ. ნურიჯანიან ანტონ ვარდაპეტმან წირვაზედ გარდმოძახებით დამაყენა წირვითგან.

10. პატრმან თავის სადგომში შემარიგა ანტონ ვარდაპეტს, რომ მარტო ჰილიმუზათ პეტრე იყო ჩვენთანა.

13. მარინე მიიცვალა.

14. ყარსის სოფლების წახდენა თქვეს ქართველისაგან.

15. ხუცებს სალიანი წაგვართვეს.

16. ხუცებმან არა სწირეს.

18. მარინეს შვიდი ჰქმნეს (ალაპი)

26. შაღლუღი ქმნეს კვალად მისირის აღებისათვის.

28. ივლიტას დაგვპატიჟა მეფისაშვილმან.

2. ქრისტიშ. ჰოროველათ იოანემ თავის პაპის სახლი იყიდა სიმონ მღვდლისაგან 400. ყურუშათ. შუმჯიანთ იოანეს განთიადისა სახლში თეთრის დოლაბი გაუტეხეს და 300. ყურუშამდის მოჰპარეს.

---

[112] მობრძანდა.

6. ყალაიჯი ტყვედ ჩააგდეს.

9. იანულანთ[113] იოანე რუსეთითგან მოვიდა.

10. ტერ იოსებას ფილონი მოხადა გამომძიებელმან ვალე-ლებისთვის.

20. უმფროსი ანტონ ვარდაპეტი ნურიჯანიანი აზრუმს წავიდა. ჩვენი ლუკა და მელქონა აზრუეს წავიდნენ

27. ანდრიესას ქალი სარროდ დავნიშნეთ.

1799. 2. იანვარს ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

11. დღეს ახშამ ნამაზისა სელიმ აღის ბრძანებით კრუხათ ლუკას ქალის ნიშანი აკურთხეს ალექსანდრედ და მოქალაქე ხუცებმან.

12. ამ დიღას ბარილუსათ სტეფანეს სახლს ცეცხლი მოეკიდა.

15. ჩვენი სტეფანე აზრუმს წავიდა.

16. ტერ ხაჩატური გაიპარა.

20. პარუნ იაკობას დას ძუძუნას იქინდის დროს ხელში ტყვია მოხვდა და დაიკოდა.

22. ტერ ხაჩატური მოვიდა.

25. მოცასშვილის ქურდობა გამოჩნდა.

26. ჩვენი სიძის პეტრეს გემის წახდენა თქვეს.

2. თებ. ტერ სტეფანიანთ იაკობას და ძუძუნა მიიცვალა.

5. ალაშკერტელი ტერ გრიქორი მოვიდა წყალობისთვის.

7. ალაშკერტელი[114] ტერ გრიქორი წავიდა. ჩვენი ლუკა და მელქონ აზრუმითგან მოვიდნენ.

22. კრუხათ ლუკას ქალი იმერეთს წაიყვანეს.

27. ჩვენი სტეფანა აზრუმითგან მოვიდა.

28. ამსაღამოს საათის 2-ის ნახევარზედ მიწის ძვრა იქნა.

7. მარტს. ერთი ვინცაღა ბრმა ვარდაპეტ მისირითგან მოსული თათრებმან ტყვედ ჩააგდეს.

8. ჩვენი სიმონი და სტეფანე ქუთაისს წავიდნენ.

29. ქაჩხოათ ტერ ანტონის უმფროსობის წიგნი მოვიდა გულელმოსაგან სტამბოლით. წავიკითხეთ ზემო საყდრის ხუცებმან.

2. აპრილს. მუგაჯი ოჰანესა გაუმელავნეს ერევნითგან მომავალი ღამე ქარავანს გარეთ დარჩენილიყო და სიცივისგან ერთ

---

[113] იანულიანთ.

[114] ალაშკერტელი ხუცესი.

ტბის რაღაც ბორცვზედ მომკვდარიყო და ცხენიც წყალში სიცივისგან გაშეშებულიყო.

19. ტერ სტეფანანთ იაკობის სახლი დუქანი დაუბეჭდეს თვითან უნდა დაეჭირათ გულასპათ ქალის მიზეზს ზედა.

2. იაკობი გამოუშვეს.

28. ახალციხის ჯარი ახალქალაქისკენ წავიდა.

2. მაისს. კიდევ აჭარის ჯარი წავიდა.

3. დარეჯოს შვილის შვილი ანტონა მიიცვალა.

12. ზამკოჩათ კიდევ პეტრისა დავაყენეთ.

16. ავად გავხდი და ვიწექ. ძლიერი სიცხე მქონდა. ქაჩხუათ ტერ ანტონი უმფროსი წაბრძანდა არტანუჯისკენ.

31. სტამბოლის ბატრიარქ ზაქარია მიცვლილა და მის მაგიერ დანიელ ვარდაპეტი დაუჯდენიათ.

1. თიბათ. აჭარლებმან ლაზები მოიყვანეს.

5. წყრუთ წაველი.

6. ვსწირე მოველი.

15 ჩვენი სელიმ აღა აჭარითგან ჯარით მოვიდა.

16. გოლა ფაშა სტამბოლითგან მოვიდა.

18. გოგინათ მელქონა მიიცვალა.

24. ქვემო საყდარს ხმიანი ვსწირე.

25. ტერ ხაჩატურის მამა ავად გამხდარიყო წურწყაპს. ტერ ანტონი წავიდა.

28. ტერ ხაჩატური მოვიდა ხიზაბავრითგან.

12. მკათათ. უმფროსი ქაჩხოათ ტერ ანტონი მობრძანდა შავშეთითგან.

16. კრუხათ პარუნ იაკობი მოვიდა

26. გოკიელი ტირაცო ბატონჯანაჲ მიიცვალა.

15 მარიობა. ლეკის ჯარის მოშლა თქვეს ქართლში.

27. ბაღინათ ანტონაჲ მოვიდა.

1. ენკენ. ესეს დედა სოლომანათ ქალი მიიცვალა.

4. ურია აბრამაჲ ტყვედ ჩააგდეს.

5. კალაიჯისშვილი ოცხითგან მოიყვანეს.

10. ჩვენი სტეფანე იმერეთითგან მოვიდა.

18. ქურქჩიბაში და იმის შვილი გრიქორა შამს მომკვდარან. გაუმჟღავნეს.

20. ჩვენი ლუკა და სტეფანა აზრუმს წავიდნენ.

24. უმფროსი ოცხეს წაბრძანდა.

25. კრუხათ იოსები ერეცფოხად დავაყენეთ.
14. ღვინობ. მელიქიანთ ცალაქი პოღოსა მიიცვალა.
23. პატრი მოვიდა გოლითგან.
28. მელქონა ქუთაისითგან მოვიდა.
4. რიოგგ. ქაჩხუათ ტერ ანტონი უმფროსი წავიდა ართვინს.
9. ჩვენი ლუკა და სტეფანე აზრუმითგან მოვიდნენ.
13 რუსის მოსვლა ითქვა.
24. აზრუმის ფაშის სიკვდილი თქვეს.
8. ქრისტიშ. ოჰანჯანა ქუთაისს წავიდა.
10. ამაღამ შაფათი რომ თენდებოდა ძლიერ დიდი წვიმა მოვიდა.
19. აბასტუბნელი ტერ ანტონი აბასთუმანს მოვიდა (თუმანათი)[115] 1800. წ. 1 იანვარს ამ სამ ოთხ დღეს ერთმანეთზედ კარგა ითოვლა.
3. მამლის ყივილისა დიდი ჲიანღუნი იქმნა ციხეში ხათიბას შვილის სახელზედ.
15. ქაჩხოათ ტერ ანტონი უმფროსი მიიცვალა სათლელს რომ ჩვენ გაუმქღავნეთ.
16. აბასტუმნელი ტერ ანტონი მობრძანდა
23. რუსის ელჩი მოვიდა. 18. კაცით თბილისითგან.
19. ხანუმანთ სტეფანები მოვიდნენ ქალაქიდან.
19. მისირის აღება თქვეს და ზარბაზნები ისროლეს.
17. ფხიკიურელი ტერ იაკობის მიცვლა თქვეს
25. ველელი ტერ ოჰანესი მოვიდა.
4. მარტს. წითელა გიცხარდა. მრავალი ვაჟები მოკვდნენ
25. ხორაშნელი ტერ სიმონი მოვიდა[116].
7. აპრილს ფაშა ოცხეს წავიდა. მელქონა აზრუმითგან მოვიდა.
8. ყაფუჯი მოვიდა.
10. ფაშა ოცხეთგან მოვიდა.
15. კრუხაჲ ამეშალა საყდრის კარზედ.
18. კრუხას შეურიგდი.
27. ჩვენი სტეფანა და სელიმ ალაც მოვიდნენ ქუთაისითგან.
3. მაისს ქორქაშვილი ნიკოლოზი მოვიდა ქუთაისითგან ფაშასთან.

---

[115] თუმანაშვილი.

[116] ბაღდადელი მერდინითგან მოვიდა.

5. ქორქასშვილი ნიკოლოზ წავიდა. ჩვენი სტეფანე აზრუმს წავიდა.

12. თვანქჩიბაში ახალქალაქს წავიდა

13. ჰამათ ფაშის ამბავი მოვიდა

16. სელიმ აღა აწყვერს წავიდა.

17. სტამბოლის ქარავანი წავიდა.

20. საჰათჯი განჯითგან მოვიდა.

22. ყაფლანისშვილიც აწყვერს წავიდა.

4 თიბათ. ფაშას მუყარლამა მოუვიდა.

7. პატრმან ანგელოზები შეკაზმა და ერთსა ხმალი მისცა ხელთა.

12. პატრებიანთ საყდარი დაუყარეს, დაბეჰდეს და მათ დიაკვნები ტყვეთ ჩაყარეს.

13. ფილო ჟამკოჩათ დავაყენეთ.

18. პატრებიანთ საყდარი გაალეს და ვაჟებიც გამოუშვეს. ჯარიმა 1200. ყურუში გარდაახდევინეს.

26. პატრი უმფროსი ფრანჩისკო და მელეშიშვილი ტერ გრიგოლი სტამბოლითგან მოვიდნენ. გუჯუაშვილი სტეფან ვარდაპეტიც სათლელითგან მოვიდა.

27. ჩვენი სტეფანე აზრუმითგან მოვიდა.

30. ჟამი გაჩნდა.

1. მკათათ. ხიზნად წავიდნენ სოფლებში.

2. ჩვენი სტეფანეჲ იმერეთს წავიდა.

3. ჰუჰუაშვილი სტეფანე ვარდაპეტი წავიდა.

20. პატრი ბანავენთურა ავად გახდა.

21. პატრი მიიცვალა. ასე მრავალნი იხოცებოდნენ ჟამითა.

20. მარიობ. მთავარეპისკოპოსისგან წიგნი მოვიდა სტამბოლითგან საიქო (თითქმის) უმფროსობა. რომლის ღირსი არა ვარ მართლად.

28. შარიფ ფაშის მოსვლის ამბავი მოვიდა.

3. ენკენ. ჩვენი ლუკა ოლთისითგან დაბრუნდა მოვიდა ახალციხეს.

9. ივლიტას წაველ ყალაიჯიანთ ყმაწვილი დავფალ.

13. ტერ სტეფანის მეუღლე მიიცვალა ჟამით ასე მრავალნი[117] იყლიტებოდა.

15. ტერ სტეფანიც მიიცვალა ჟამით.

---

[117] ქალი და კაცი.

20. შარიფ ფაშას არტანუჯს წასვლა თქვეს.

22. აჭარელი სელიმ ალა წავიდა.

27 მელეშანთ ტერ გრიგოლი ავად გახდა ჟამით.

29. ნებიერათ ვაჟი სტეფანე ფიშტოთი მოჰკლეს.

30. შარიფ ფაშის სხვილისს მოსვლა თქვეს[118].

1. ღვინობ. შარიფ ფაშას კაცებით ყალა ალა ციხეში ავიდა.

8. შარიფ ფაშის ხანუმი მხლებლებით დაარჩეს სხვილისს. შარიფ ფაშა წავიდა ზაბიდ ფაშაზედ.

12 .გიორგ. აჭარელი სელიმ ალის მოსვლა თქვეს.

14. ციხეში დიდი ყალაპალუღი ჩამოვარდა. აქ არეულობა იქმნა შარიფ ფაშის გამო[119].

23. ზაბიდ ფაშა ოლთისს ციხითგან გაუშვეს.

25. სელიმ ალის წასვლა თქვეს აჭარას

14. ქრისტიშ. ოცხელი ტერ იოანე ჩამობრძანდა.

18. აჭარელი სელიმ ალა კიდევ გადმოვიდა.

20. ვალეს მოვიდა სელიმ ალა.

23. ვალითგან წავიდა სელიმ ალა. ვალეს წავიდა ოჰანაშვილი ტერ ანტონი.

24. ვალეს წავიტა ტერ ხაჩატური.

1801. წ. 1 იანვარს ახალციხის ჯარი წავიდა აჭარელს სელიმ ალაზედ, რომ ფოცხოვს იყო.

7. აჭარელი სელიმ ალა დიღვირითგან აჭარას წავიდა.

8. ვალეს ხუცესი წავედი და მოვედი.

25. ვალეს წავედი გოზალათ ყაზარას ქალი კატერინაჲ მოვნათლე და მოვედი.

30. ყალა ალა მოვიდა ქვეითის ჯარითა.

31. ვალეს წავედი და მოვედი.

2. თებ. ჩვენი სტეფანე იმერეთითგან მოვიდა.

3. ვალეს წავედი და მოვედი.

12. ჩვენი სტეფანე იმერეთს წავიდა

13. ივლიტს წავედი და მოვედი.

18. შარიფ ფაშის გამარჯვების შადლუხი ჰქმნეს.

24. ზაბით ფაშის გაქცევა თქვეს.

1. მარტს გუჯარასშვილის[120] წიგნი მომივიდა.

15. ოსეფ არდაპეტის მიცვლის ამბავი მოვიდა.

---

[118] და მისი ძმისა ახალციხის მუსალიმათ.

[119] შფოთი მოხდა. [120] გუჯასშვილის.

25. უდელიანთ ბატონჯანა მოვიდა.

26. სტამბოლითგან წიგნი მოვიდა.

1. აპრილს აბასტუმნელი ტერ ანტონი მობრძანდა.

12. ხუცები ერთიან[121] ტყვედ წაგვიყვანეს.

22. რუს ხელმწიფის პავლე პეტროვიჩის სიკვდილის ამბავი მოვიდა. საჰათჯი ერევნითგან მოვიდა ჯარითა.

25. ხანიათ პოლოსას წირვები დავიწყე.

3. მაისს აჭარელის გადმოსვლა თქვეს. შერიფ ფაშას ფაშობისა ახალციხეს მახარობელი მოვიდა.

4. აჭარელი სელიმ აღა ჯარით ახალციხეში შემოვიდა, მაგრამ ციხე არ მისცეს.

5. აჭარელმან და მეციხოვნეებმან ბრძოლა დაიწყეს. დღე და ღამე ციხითგან მრავალი ზარბაზნები ისროლეს.

6. შარიფ ფაშის ცხენოსანი ჯარი მოვიდა ხანდრისს წვერზედ მომშეელი ციხის და სხვილისს დადგნენ.

7. ამ დილას აჭარლები სხვილის დაესხნენ[122] თავს შარიფ ფაშას ჯარს და მოშალეს.

9. ამ დილას აჭარელი სელიმ აღის გაპარვა თქვეს სულ თავისი ჯარით ღამის 5. საათზედ.

18. ბაბუნათ დედუნა. ანნაჲ მიიცვალა და დაეფლა.

22. ანნასთვის შუბაშმან დავა ჰქმნა, სახლი დაბეჭდა და ჯარიმა აიღო.

28. ფაშამ ხუცები ტყვედ ჩაგვყარა.

3. თიბთ. ზაბით ფაშის[123] რუსთან წასვლა თქვეს.

4. შარიფ ფაშას მუყარლამა მოუვიდა.

13. ჩვენი ქამკოჩი პეტროსა გავიდა და ქვემოთ საყდარს დადგა ქამკოჩათ. ფილო ქამკოჩად დავაყენეთ თუ შეიძლო.

15. ეფრიკათ ჰაჯი ბაბა მოვიდა.

18. მადათ ბეგიც მობრძანდა.

21. არტან ბეგი და ფოცხავ ბეგი ახალციხეს მოვიდნენ.

25. რუსის ელჩი მოვიდა ფაშასთან ეფრიკაშვილთან დადგა.

26. ჩვენი სტეფანა და ქაჩხუათ პეტრე მემი აღის შვილს წაჰყვნენ.

1. მკათათ. რუსის ელჩი წავიდა და ქეჰა გაჰყვა.

12. შილაგი არუთენას ძე სტეფანე გაუმქღავნათ დედასა. სტავრაპოლს მიცვლილიყო 30. მაისს 1801 წელს.

---

[121] სულ. [122] დაეცნენ. [123] ქალაქს.

17. ჩხარელი ბერუკათ კუსა ჟამით მიიცვალა.

20. ყარსის ფაშა წავიდა. — ეჩმიაწინითგან ვარდაპეტი მოვიდა.

23. ეჩმიაწინითგან მოსული ყაზარ ვარდაპეტი ვნახეთ.

26. ჰოროველათ იოანეს მეუღლე ჟამით მიიცვალა.

3.მარიობ ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

6. ეჩმიაწინის ვართაპეტი ჩვენსა მოვიდა.

8 . დელებისთაინი (ულუფა) მაჰლებიაგან აიღეს.

19. ჩვენი სტეფანე აზრუმს ჩავიდა.

30 .უმფროსი ტერ ჰოლოსი ხიზაბავრას წავიდა.

2. ენკენ. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

8. შარიფ ფაშის შვილი მოკვდა.

12. შარიფ ფაშა ოცხეს წავიდა.

13. მისირის ალების შადლუხი ჰქმნეს. ზამბილჩი ხალილ ბრახმანი დაარჩეს.

18 ღვინობ. ველი ფაშა აზრუმის ფაშას მოუკვლევინებია. ეფრიკაშვილმან დაგვიძახა ფაშის გამო.

26. გიორგ. მისირის ალების შადლუხი დაიწყეს.

27. ჯინო გამოცვალეს და ალექსანა დააყენეს მამასახლისათ.

2. ქრისტიშ. ამ დილას ქორწილი ქმნა, ეფრიკაშვილმან დათათ ქალს მარიამასთან (მარიამასზედა).

26. ფაშა ზემო საყდარს საღამო ლოცვაზედ შემობრძანდა.

31. ქუთაისითგან მოვიდნენ და პაატას სიკვდილი გავიგონე.

1802. წ. 5. იანვარს. ზაბით ფაშის თავის მოტანა ითქვა.

28. ჩვენი სიმონი და სტეფანა მოვიდნენ იმერეთითგან

4. თებ. ჩვენი სტეფანე იმერეთს წავიდა.

14. მაჰიხელზედ ჯარის წასვლა თქვეს ჰამით ბეგითა.

3. მარტ. ჩვენი სტეფანა და სიმონი აზრუმს წავიდნენ.

22. ტყვედ ვიყავით ხუცები შუბაშთან.

30. ალექსანდრე ბატონისშვილის მოსვლა თქვეს იმერეთითგან.

6. მაისს ღვთით აჰარელი გარიგდა ფაშასთან.

7. ჩვენი სტეფანა და სიმონი აზრუმითგან მოვიდნენ.

12. ჩვენი სტეფანა ქუთაისს წავიდა.

13. ეფრიკათ სძალი დათათ ქალი და ჰოროველათ ქალი მათივე სძალი წაიყვანეს ახალციხითგან.

25. ჩვენი სიმონა და სიძე ქუთაისს წავიდნენ.

28. აჭარელი მოვიდა აჰმად ბეგთან.

2. თიბათ. აღზი ბეუგი ბაიაზეთს წავიდა.

5. ქამკოჩი ფილო გამოვიდა. უმფროსი ტერ პოლოსი ჩუმად ველისკენ წავიდა.

13. ერემია ქამკოჩათ დადგა.

20. რუსის ელჩი მოვიდა ქალაქითგან.

7. მკათათ. ბაღდადელი რუსის ელჩს წაჰყვა ქალაქს.

20. დაჭერილი რუსი გაიქცა. ჩვენ გვაძებნინეს.

25. ბიძათ პაატა და მისი ძმა პეტრე აზრუმს წავიდნენ.

29. საყდრის ანგარიში გავსწმინდეთ პატრებიანთ სახლში მრავალ მღვდლებთან ერთად.

9. მარიობ. ჩვენი სიძე ანტონაჲ მოვიდა. ხოშაშვილი იოსები და არუთენა ერეცფოხათ დადგნენ ზემო საყდარს.

10. ნარიბეგათ პოლოსა ქუთაისითგან მოვიდა.

15. ნარიბეგათ პოლოსა აზრუმს წავიდა.

30. რუსის ელჩი მოვიდა.

10. ენკენ. აზნაურისშვილის ნიშანი წავიღეთ ტეტრაცა.

14. რუსის ელჩი მოვიდა. ჯარიც ახალ ქალაქს ამოსული იყო.

5. ღვინობის. ჩვენი სიმონი მოვიდა ქუთაისიდგან.

9. ჰამით ბეგი არტაან ბეგი და სხვანი აჭარას წავიდნენ.

12. ხანუმათ სტეფანეჲ ქალაქითგან მოვიდა.

16. დღეს ღალატი ითქვა აჭარლებისა ჰამით ბეგსა, არტაანის ბეგსა და სხვებს ზედა.

17. შარიფ ფაშა ამასღამ საათის სამს წიხითგან წავიდა-ციხიებს ზედა.

19. ყიფიანი სელიმაღა აჭარის ჯარით ციხეში მოვიდა, საათჯისა, ქილიძუზაძვილისა, ხიზახიძვილისა, და ძეფისათ ძელქონას სახლები დაბეჭდეს. მეფისათ ბატონი ტერ სტეფანი ქუთაისითგან მოვიდა.

22 აჭარელი სელიმ აღა მოვიდა ახალციხეს.

23. ფოცხოვ ბეგი, ჩოლაღ ხალილაჲ და ჰამით ბეგი მოვიდნენ.

24. დადა აღა მოვიდა სელიმ აღის შვილი ქართლითგან.

29. სელიმა აღა აჭარელი შარიფ ფაშაზედ წავიდა ჯარით.

10. ზარბაზნები ისროლეს შარიფ ფაშის გაქცევისა.

15. შარიფ ფაშის მოსვლისათვის თოფები ისროლეს.

20. მელაზარათ ანტონი ქართლითგან მოვიდა.

21. ოლთისის ციხე აჭარლებმან რომ აიღეს ზარბაზნები ის-როლეს.

29. აჭარელი სელიმ აღა მოვიდა.

3. ქრისტი'შ. ხონთქრითგახ[124] ახალციხის მუსალიმობა მოუ-ვიდა სალიმ აღას ჩვენი ლუკა აზრუმს წავიდა.

8. აჭარელი სელიმ აღა ახალციხითგან აჭარას წავიდა.

15. ბაღდადელი ქეჰაბაში[125] ტფილი ქალაქითგან მოვიდა.

1803. წ. უქაწ. 1. იანვარს ნარიბეგა და სხვანი აჭარას წავიდ-ნენ.

7. ნარიბეგი და მასთან მყოფნი აჭარითგან მოვიდნენ.

10. თაყინათ იოსები მიიცვალა.

24. მელაზარათ ანტონი ქართლითგან მოვიდა.

31. ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

2. თებ. ჭილიმუზაშვილი თავის შვილიანად დაიჭირეს.

13. აჭარელს სელიმ აღას ყაფუჯი ბაშობა მოუვიდა.

18. ჩახმახისშვილი ჰაფსი აზრუმს წავიდა.

22. ყანდინათ მოსეს ცოლი მიიცვალა.

25. აჭარელი სელიმ აღა მობძანდა.

5. მარტს. აჭარელი სელიმ აღა აჭარას წავიდა.

11. ჰამათ ბეგის და არტან ბეგის თავების მოჭრა და მოტანა ტქვეს.

14. ჩვენ სტეფანე მანზილით აზრუმს წავიდა.

21. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

6. პარილს ჩვენი სტეფანე ქუთაისს წავიდა.

18. პატრი ბერნარდიანე და ფრა გორითგან მოვიდნენ.

19. აჭარელი სელიმ აღა დიდის ჯარით წავიდა ახალციხითგან.

25. ქაჩხოათ პეტრე და ჩვენი ხანუმათ სტეფანე ქალაქითგან მოვიდნენ.

9. მაისს. ლეკებმან რუსები მოიყვანეს დავლასთან ერთად.

16. პატრი ბერნარდინე სტამბოლს წაბრძანდა.

24. ქაჩხუათ პ. პეტრე და ჩვენი ოჰანჯანა აზრუმს წავიდნენ.

25. რაჯაბ ფაშა თავის ათპაჰით და ჯარით ციხეში შემობრ-ძანდა.

27. ლეკები დაარჩევს ახალ რაჯაბ ფაშის ბრძანებით.

28. რაჯაბ ფაშამ ფარვანი წაუკითხა ოჯახლის.

---

[124] ხელმწიფისაგან.

[125] ჰექიმბაში.

31. ფაშის დელი, თვანგჩი და ჯარი ლეკზედ წავიდნენ.

5. თიბათ. სელიმ აღის შეილის მუსტაფას მოკვლა თქვეს ახალქალაქს.

8. ჩვენი სიმონაჲ ქუთაისს წავიდა

19. ახალ ფაშამ ჩვენი ვაჟები ტყვედ ჩაყარა საყდარის დავაზედა

24. ფაშას ტყვეები გაექცნენ.

26. ფაშას ქალი და ტყვეები გაექცნენ კიდევ.

1. მკათათ. რუსის ჯარი გადმოვიდა კოთელიას.

2. ფაშის ტყვეები იპოვნეს.

4. რუსის ჯარის მოსვლა თქვეს ასპინძას. თათრის ელჩები წავიდნენ რუსთან ასპინძას.

11. ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

16. აჭარელი სელიმ ალა კლდეს მობრძანდა ჯარით, რუსს ელაპარაკა და ლეკები გაისტუმრა თავიანთ ადგილსა.

26. აჭარელი სელიმ ალამ კლდითგან ახალციხეს გამოიარა, შეიდანს წავიდა და იქითგან აჭარას.

1. მარიობ. ჩვენი სიმონი იმერეთითგან მოვიდა. ჩვენი სტეფანე აზრუმს წავიდა.

6. შარიფ ფაშას ერევნითგან წამოსვლა თქვეს.

8 მეორედ კიდევ შარიფ ფაშის მოსვლის შიში ჩამოვარდა.

12. მესამედ კიდევ შიშობენ.

13. კიდევ თქვეს მოსვლა, ახალქალაქის ციხის შემოხვევა.

17. აჭარელი სელიმ აღისთვის ყიფიანისა თქვეს ფაშობის და ხალასობის მოსვლა.

19. ყიფიანს მოუვიდა მუსალიმობა აჭარელი ფაშისგან.

28. რაჯაბ ფაშის ერთი თუღი და ხაზინადარი წავიდა და რაჯაბ ფაშაც წაბრძანდა.

1. ენკენ. შარიფ ფაშის მოშლა თქვეს[126].

2. სელიმ ფაშის გამარჯვება ყველისკენ თქვეს ქურთებზედ. 14 ქურთი თოფით და სატევრით დახოცეს. შარიფ ფაშის გაქცევა თქვეს თავის ადგილითგან.

7. სელიმ ფაშა მობრძანდა.

14 აპრილს. ნახირის წაყვანა თქვეს. თულუმბა ქეჰა ჯარით გაეკიდა. ქაჩხუათ იოანე ფაშის ბრძანებით მანზილით[127] წავიდა.

21. სელიმ ფაშას თუღები და მუყარლამა მოუვიდა.

[126] არტანის ციხეზედ. [127] მანზილით.

28. ჩვენი სტეფანე აზრუმითგან მოვიდა ოჰანჯანა, ბატია და პეტრეცა

4. ღვინოობ. ფაშის ხაზინადარი მუსტაფ ალა მოვიდა.

9. ჩვენი სტეფანე ქუთაისს წავიდა.

14. ჰაჯი შაჰანაშვილი მოვიდა.

15. გურჯი ოღლი ოსმან ფაშის მოსვლა თქვეს აზრუმს.

21. ჩვენი ხანუმათ სტეფანე აზრუმითგან[128] მოვიდა.

27. აზრუმს შაჰარქეჰა და ყბზი (ყალბაზანი) მთელი სომხები არტაანითგან მოიყვანეს.

29. შირინ ალა და სარვან ოღლი აზრუმისკენ წავიდნენ.

4. გიორგ. ჩვენი ლუკა ფაშის ბრძანებით ოლთისს წავიდა საველზედ.

12. სტამბოლს ქარავანი წავიდა.

22. ბატონი ტერ ხაჩატურის 25 — საწირავები ავიღე.

28. ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

5. ქრისტიშ. გათენებიდან საღამომდის ბევრი იწვიმა, ლელმა იქმნა

8. შენდობილი პაატასშვილი ტერაცი გაბრიელი ფირალათ ნიკოლა, მამაჯანა ქუთაისითგან მოვიდნენ.

9. ჰაჯი სული ბეგი ტყვეებით სტამბოლს წავიდა. ჩვენი სტეფანეც თან წაჰყვა.

17. ჩვენმან სიმონამ პატასშვილი გაბრიელაæ კაცებით თავიანთსა და მე ვეცხლის ჯვარი ვაჩუქე.

20. პაატასშვილი გაბრიელ ქუთაისს წავიდა.

23. პატრმან სადილად დამპატიჟა. ალექსანდრეს შვილი ქუთაისისკენ გაიპარა და ისევ დაბრუნდა. ოთხ დღეზედ მოვიდა ქაჩხუათ იოანეს ქალის საქმეზედა.

25. პატრებიანთ საყდარში სანთური დაუკრეს.

1804. წ. 12. იანვარს ფაშა აჭარას წამობრძანდა. ჩვენი სიმონა და სტეფანეც წავიდნენ აჭარას.

18. ბიძათ ბატიაæ მანძილით[129] წავიდა აწრუმს.

24. სელიმ ფაშას ფაშობის მუჯდა მოუვიდა.

1. თებ. ჩვენი სტეფანა აჭარითგან ქუთაისს წავიდა.

16. ჯაშიტაი მიიცვალა.

27. პატარა ფოცხოვ ბეგი მოკვდა.

---

[128] სტამბოლითგან.

[129] მანზილით.

5. მარტს ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

7. თათარ აღაც მოვიდა.

9. ჩვენი ლუკა აზრუმითგან მოვიდა.

14. ჩვენი სტეფანე აზრუმს წავიდა. მელეშაშვილი ბატონი ტერ გრიგოლი სტამბოლს წავიდა.

25. ჩვენი ლუკას სახლითგან დაკარგული ლილა, სამალაჯეები ოცხელ ტერ სტეფანის დას მოეპარა.

28. აჭარითგან ფაშა მობრძანდა. ჩვენი სიმონა და სხვანიც აჭარითგან მოვიდნენ.

2. მაისს. ჩვენი მელქონა სტამბოლს წავიდა.

9. აღზი ბეუგის აპმად ბეგიანთ ხანუმი, ყველანი აზრუმს წავიდნენ.

13. ტარაღჩიშვილს ჲიეხგიჩარ აღობა ძოუვიდა. გლახაშვილის ანტონას სიკვდილი თქვეს. შაჰის ჯარის რუსზედ მოსვლა თქვეს.

17. რუსის წასვლა ითქვა[130].

25. ფოთს რუსების ყალიონების მოსვლა თქვეს.

26. ხანდაკისთვის ხალხი შეჰყარეს.

30. ხანდაკის გათხრა დაიწყეს ქალაქის გარშემო. ქრისტიანებზედ 190 მხარი (სიგძისა) ყალფახჩი მოსესას შვილიი ოჰანესას მიცვლის ამბავი მოვიდა ქ. აშტრახანს.

13. თიბათ. ყირხქესალი გაუმჟღავნეს. ფაფაზ ოღლი მამაჯანაც გაუმჟღავნეს.

15. რუსის გამარჯვება თქვეს ერევანს ზედა ყიზილბაშთან.

17. სული ბეგი სტამბოლითგან მოვიდა.

22. კარაპეტ ვარდაპეტი მოვიდა.

24. ქვემო საყდარს ზენაური ვსწირე.

25. ჩვენი სტეფანე აზრუმითგან მოვიდა.

29. ჯაყისმან ალის თავი მოუპრევინებია ფაშას.

7. მკათათ. რუსის გამარჯვება თქვეს ყიზილბაშზედა. ჩვენი სტეფანე საჩქაროდ ქუთაისს წავიდა.

10. მკათათ. ფაშამ დესპოტი, გრიგოლი და ბასილ მღვდლები მოაკვლევინა დათიათ ივანეს ეზოში (ქვემო საყდარის ახლო დასავლეთით).

18. უმფროსს თავის ძმა გაუმჟღავნეთ.

19. კარაპეტ ვარდაპეტი წავიდა შავშეთისკენ.

---

130 ერევანზედა.

4. მარიობა. ჩვენი სტეფანე ქუთაისითგან მოვიდა.

5. აჰარის ჯარი წავიდა ყარსისკენ.

9. მოშლის ამბავი მოვიდა აჰარის ჯარისა და სელიმ ალის დაჰერა.

19. ჩვენი სტეფანე კიდევ წავიდა ქუთაისს.

22. ალზი ბეუგი მოვიდა.

26. ალზი ბეუგი წავიდა.

27. ყარსზედ კიდევ ჯარი წავიდა.

4. ენკენ. ფაშის ჯარის გამარჯვების ამბავი მოვიდა ყარსის ფაშის ჯარს ზედა შამდინ ალისგან.

6. აზრუმს ქარავანი წავიდა[131].

8. ჩვენი ფაშის ჯარის მოშლა ითქვა ყარსითგან.

25. მეფისათ პოლოსაჲ გაუმქლავნეთ სტამბოლს მიცვლილი.

28. მესაათე იოსების მიცვლის ამბავი მოვიდა ქალაქითგან.

13. ღვინ. ჩვენი სიძე ბალღამათ პარუნ ანტონი ახალციხეს მოვიდა.

16. ოცხელი ტერ იოანეს ძმა ანტონი გაუმქლავნეთ, რომელიც მიცვლილიყო კოდორს.

6. გიორგ. სანახორი მოვიდა.

9. ჩვენი მეზობელი ალზი ბეუგის ხანუმი მოვიდა.

17. ჩვენი სტეფანე იმერეთითგან მოვიდა.

23. ქაჩხოათ პარუნ პეტრე ქუთაისითგან მოვიდა

25. ნარიბეგათ პოლოსაჲ შავშეთითგან მოვიდა.

15. ქრისტიშ. მოცას ძმისწული პოლოსაჲ მიიცვალა.

6. გიორგ. სალახორი მოვიდა.

1805. წ. უეგ. 1. იანვარს. ფარშას დაჰერილი 14 რუსი მოიყვანეს.

16. სელიმ ფაშის ფაშობის მახარობელი მოვიდა.

18. შილაჯებიანთ იოსები მღვდლად და საკურთხევად წავიდა.

4. თებ. მამუანთ სარქისა და ერთიც სხვა მოვიდნენ ჩემთან და ქალაქითგან ტერტრას გამოცანის წიგნი მომიტანეს.

17. სელიმ ალა ყიფიანი ფაშამ მოაკვლევინა თვანგჩებს. გულო ალა მოიყვანეს და დადა ალა იმერეთს გაიქცა.

3. მარტს. შილაგი[132] არუთენა გორითგან მოვიდა.

16. მესარკიანთ ატაჲ წავიდა. ნარიბეგა ჩვენი სიმონაჲ და სხვანი წავიდნენ აზრუმისკენ.

---

[131] ჩვენი იპანჯანაც.

[132] შილაჯი.

24. თოვლი, ქარი, ბუქი, სიცივე და ყინვა იქმნა 4-ოდე დღეს.

10. აპრილს თოფლიშვილი ხახამი მოკვდა.

14. ფაშამ ტერ სტეფანიანთ იაკობისათვის[133] ტყვედ ჩაგვყარა.

19. 3. ქესა ჯარიმით გამოვედით. შუბაშ ხანაში ვიყავით იაკობას სახლი, დუქნები დაუბეჭდეს იმერეთს გაქცევისათვის და მეორე დღეს გაალეს.

10. ქესა ჯარიმა წაუვიდა.

22. სტამბოლს ქარავანი წავიდა. ხერთვისელი პოლოსა და სხვანი.

6. მაისს. ჩვენი სიმონაი ქუთაისს წავიდა.

28. ვეზირი უსუფ ფაშის გამოცვლის მერმე. აზრუმში მანსუფათ თქვეს. პატრი ნიკოლაი ცხენზედ ფეხებ გამოკრული რუსებისგან წაყვანა თქვეს.

21. თიბათ. მთეები დათოვლა.

22. ჩვენი სიმონა ქუთაისითგან მოვიდა. 29 უმფროსი ტერ პოლოსა ველს წაბრძანდა.

13. მკათათ. ჩვენი სტეფანე აზრუმს წავიდა.

17. უმფროსი ველითგან მოვიდა.

19. ტერ სააკის ქალი გოგინაშვილთან დაქორწინდა.

22. ხერთვისელი პოლოსაც გაუმელავნეთ. სხვილისის ხიდის კეთება დაიწყეს. რაბათის კაცებით და თათრებითაცა.

3. მარიობა. ჩვენი სტეფანე ბაინდურაშვილი დათიკა და ტერ სტეფანიანთ იაკობი ქუთაისითგან მოვიდნენ.

6. ჩვენი სტეფანე და დათაც აზრუმს წავიდნენ.

16. შაჰის მოშლის ამბავი მოვიდა.

19. ჩვენი სიძის ძმა ქაჩხოვაძე სტეფანე მოვიდა.

17 ენკენ. შილაჯიანთ ახლად ნაკურთხი ტერ იოსებიმ მოვიდა. ჩვენი ოჰანჯანაც აზრუმს წავიდა.

22. ჩვენი სიძე პეტრეც სტამბოლითგან მოვიდა.

26. ძაღლი პარიაც გორს წავიდა.

28. ჩვენი სიძე სიმონა შავშეთითგან მოვიდა. ჩვენი სიძე პეტრე ქუთაისს წავიდა. ჩვენი სტეფანე და დათიკაი აზრუმითგან მოვიდნენ.

30. აზრუმის არეულობა თქვეს.

10. ღვინობ. ჩვენი სტეფანე და დათიკაი ქუთაისს წავიდნენ.

20. აზრუმს ქეჰა ძალით შევიდა.

---

[133] ხეცესი სულ შუბაშ ხანაში.

22 საათჯი სერობი სტამბოლითგან მოვიდა.

28. აზრუმის კაცები დაუხოციათ.

23. ქრისტიშ. ტერ პოღოსი არლითგან ავადმყოფი ძალით ჩამოიყვანეს.

31. ტერ პოღოსი მიიცვალა (ისკანდარათი).

1806. წ. უქდ. ტერ პოღოსი საყდარში დავფალით 1 ინავარს.

10. ოქრობაგეთელი ტირაც ყაზარა და პეტრე ჩემთან მოვიდნენ.

4. თებ. თუთათ ბებია მიიცვალა.

8. გოლა ფაშა მოკედა.

26. ფაშა აჭარას წავიდა.

12. მარტს გოგიტაშვილი პეტრე მიიცვალა.

13. კლდელი ყვინჩი იოანე მიიცვალა.

21. აპრილს. სელიმ ფაშა აჭარითგან მოვიდა და თულუმბაიც თან მოიყვანა.

23. ფაშამ აჭარელი (თულუმბა) დაარჩობინა.

6. თიბათთ. ოქრობაგეთელი ყაზარა და პეტრე წავიდნენ.

7. გუჯუანთ სტეფან ვარდაპეტი და ტერ იაკობი სათლელითგან მოვიდნენ. ქაჩხუათ პეტრე მოვიდა აშტანხანითგან.

23. ჩვენი ოჰანჯანეა თავის ძმებით აზრუმითგან მოვიდა.

27. რუსებისგან ყიზილბაშის, ლეკის და ალექსანდრის ჯარის ძლიერ მოშლა თქვეს განჯას იქით.

28. გუჯუათ სტეფანე ვარდაპეტი და ტერ იაკობი წავიდნენ.

5. მკათათ. ტერ პეტროსი უდეს მობრძანდა სტამბოლითგან და აღოშათ ტირაცო სტეფანე ახალციხეს.

8. ჩვენი სიძე პეტრე ქუთაისს წავიდა. ტერ პეტროსი აქ მოვიდა.

17. სამი რუსი მოვიდა და ერთიც ყაზახი თბილისითგან ფაშასთან .

19. ჩვენი სიძე პეტრეც ქუთაისითგან მოვიდა.

25. ტერ იოსები ქუთაისს წავიდა.

26. ვიტალას ძმის გრიგოლის სიკვდილი თქვეს.

27. მარიობ. უსუფ ფაშის ჩოხადარი მოვიდა.

4. ენკენისა. ქართლითგან ელჩები მოვიდნენ.

10. შუბაშმან ჩვენი საყდრები და ქართველებისა დაუყარა.

13. საყდრის კარები ფაშამან ბედიავად გაალებინა. ღმერთმან დიდი დღე და სიკეთე მისცეს.

23. უდელმან ტერ პეტროსმან წირვა იწყო სულ ზემო საყდარს.

25. ქუჩუგ ალიანთ პეტრეჲ ტყეედ ჩააგდო შუბაშმან.

29. ღვინობ. ჩვენი სტეფანე მოვიდა ქუთაისითგან.

12. მეფისათ პარუნ მელქონა და აბიძათ პარუნ სტეფანე მოვიდნენ აზრუმითგან.

17.[134] ჩვენი სტეფანე და ნესტორიანი ხუცესი აზრუმს წავიდნენ.

17. გიორგ. მეც ავად გავხდი.

27. ჩვენი ლუკა აზრუმს წავიდა.

14. ქრისტიშ. სელიმ ფაშის მუჯდა მოვიდა ფაშობისა.

17. ფაშა მეიდანს სტუმრად წავიდა. ოსი ლომ ურიგო სიტყვით გალახა ტერ ხაჩატური.

19. ზემო საყდრის ერი გაუშვა ტერ ხაჩატურმან.

28. ქაჩხოათ პეტრე წავიდა ქალაქს.

1807 წ. უეე. 4. იანვ. ჩვენი სტეფანეჲ და დათიკა აზრუმითგან მოვიდნენ.

11. დათიკოს საქონელი გომრუგში დაუჭირეს.

10. რუსის აშლის ამბავი მოვიდა.

11. ფარვანიც წაიკითხეს და სალაშქროთაც დაემზადნენ.

13. ამ საღამოს ქეჰა წავიდა ახალციხის ჯარით აწყვერს რომ ქართლს დავლა უნდა ჰქმნან.

14. ქრისტიანებზედ ბრძანება გამოვიდა სილაჰის წართმევისა.

15. უკან დაბრუნდა ჯარი ცარიელი[135].

18. ფაშას მუყარლამა მოუვიდა.

2. თებ. ყაფუჯი ჩახმახის შვილი ჰაფისი და სხვანი სტამბოლს წავიდნენ.

6. ხეჩინათ სიმონი მოვიდა რუსებისაგან ფაშასთან ელჩათ.

9. სელიმ ფაშა უქეიფოდ შეიქმნა. რუსის ელჩი და ხეჩინაშვილი გაბრუნდნენ.

16. მთელ[136] იმერლებს დასტური მისცეს და გაუშვეს. კემხელითგან ჯარის დაშლით მობრუნება თქვეს.

28. ამ საღამოს დათიკაი საპანლებით ქუთაისს წავიდა.

1. მარტს. ჩვენი სტეფანეც ქუთაისს წავიდა. რუსის ელჩი მოვიდა.

---

[134] დათიკაი. [135] რადგან შეეტყოთ. [136] სრულ.

2. რუსის ელჩი წავიდა. რუსის ალჯაყალას მუჰჯ ყალას მოსვლა თქვეს.

8. კიდევ რუსისგან ელჩი მოვიდა.

20. ჩვენი ოჰანჯანაჲ მანზილით აზრუმს წავიდა.

21. რუსისგან ომი და ყარსის სოფლების აღება თქვეს.

30. რუსის მოსვლა თქვეს ახალქალაქისკენ.

2. აპრილს. ჯიხურების კეთება დაიწყეს ქალაქში.

3. ხიზაბავრელი ტირიცო ანტონი საკურთხავად ჩავიდა.

4. ბაღდადელი ჰექიმი მოვიდა ართვინითგან. ფაშა სელიმი ბინიშზედა გამოვიდა.

5. ბაირაღები გაალეს თათრებმან.

15. რუსების თავები მოიტანეს.

26. ჩვენი სიმონი არტანუჯითგან მოვიდა.

27. ფაშა ჯარით ახალქალაქს წაბრძანდა.

1. მაისს ჩინიგიანთ ტირაცუ იოანე მიიცვალა ართვინითგან მომავალი გზაზედა.

4. შუბაშმან ყველა საყდრები დასჩხრიკა. ათ-ათი ყურუში და მეტიც აიღო.

6. თათრებმან ახალქალაქს გამარჯვებისათვის ზარბაზნები ისროლებს. რუსის ქუთაისითგან წასვლა თქვეს.

9. რუსებზედ გამარჯვების ამბავი მოვიდა ახალქალაქითგან.

10. ოცსზედ მეტი ზარბაზნები ისროლეს შადლუხად.

11. რუსების გამარჯვების ამბავი მოვიდა თათრებზედ განძას.

14. ჩვენი ოჰანჯანა მანზილით მოვიდა აზრუმითგან.

16. რუსების სამი ზარბაზანი და სამიც ჯაბა ყუთი[137] მოიტანეს. ზარბაზნის და ხელთოფების სროლით შადლუღად იქინდის დროს ფაშაც მოვიდა ხერთვისითგან.

26. დურგალი ბერაოი მიიცვალა.

30. ზარბაზნები და ჩადრები გაგზავნა ფაშამ ახალქალაქისკენ.

31. სულთან სელიმის გარდაგდება და სულთან მუსტაფას დაჯდომა თქვეს.

1. თიბათ. სელიმ ფაშა კიდევ წაბრძანდა ახალქალაქისკენ.

6. კემხელს ყალიონ ხომალდებით მოსვლა თქვეს რუსებისა.

14. რუსების ყალიონების მოსვლა თქვეს კიდევ კემხელს.

19. უსუფ ფაშის მოშლა თქვეს ყარსისკენ რუსისგან..

---

[137] ყუთით.

20. ტერ ხაჩატურის დედა მიიცვალა.

21. ბათუმისკენ რუსების ტანანმას გამოსვლა თქვეს ზღვაში.

8. მკათათ. ამ დილას ადრიან ფაშა არტანითგან მოვიდა ცოტა კაცით.

20. ჯუხრუკათ მუთაველი მოვიდა სტამბოლითგან. შაღაზბერთს ყარსის ციხის აღება თქვეს რუსებისაგან.

სელიმ ფაშა წაბრძანდა არტანისკენ. ჩვენი სიძე პარუნ პეტრე სტამბოლითგან მოვიდა ართვინზედა.

6. მარიობ. ხიზაბავრელი ტერ ანტონი მოვიდა მღვდლად ლეკები და თათრები დავლაზედ რომ იყვნენ, ქართველები დახვდომოდნენ. ჩვენი ფაშის არტაანითგან ყარსის ფაშასთან წასვლა თქვეს.

16. ახალციხითგან ახალციხის ჯარი ყარსისკენ ფაშასთან წავიდნენ.

23. ამ საღამოს ჩვენი ლუკა მუსალიმმან მუბაშირით მოიყვანა არტანუჯისგან ჰაჯი უსუფ ბეგის სიტყვითა.

29. ჩვენი ლუკა და სული ბეგი მაჰქამაში წავიდნენ. რუსის და თათრის ხელმწიფის შერიგების ამბავი მოვიდა ყარსითგან.

30 სელიმ ფაშა ყარსითგან ახალციხეს მობრძანდა.

4. ენკენის. ფაშამ ფარვანი წაიკითხა და შადლუღი აქმნევინა.

7. ჩვენი ლუკა ფაშასთან მურაფა შეიქმნა სული ბეგთან.

17. ჩვენი ლუკა არტანუჯს წავიდა.

27. ზოზოს ქალი ქამით მიიცვალა 6. წლის[138].

30. ქუჩუქ აღის სიძე პარუნ სტეფანე წავიდა აზრუმს.

11. ღვინობ. ჩვენი ლუკა არტანუჯითგან მოვიდა.

12. ხანუმათ სტეფანე მოვიდა იმერეთზედ.

22. გოკიელის ცოლი მოვიდა ქუთაისითგან

11. გიორგ. უფროსმან შილიაჯანთ ტერ იოანეს ხელით ერთი საორმოცე გამომიგზავნა.

30. ჩვენი ფაშის ფაშობის მუჯდაჯის მოსვლა თქვეს.

1. ქრისტიშ. სელიმ აღის მოსვლა თქვეს აჭარას.

2. ფაშა აჭარას წავიდა.

12. რუსის ჯარის მოსვლა თქვეს ახალქალაქით.

25. ფაშა აჭარითგან მოვიდა.

1808. წ. უკვ. 12. იანვარ. ფაშამ 6. ქესა თეთრი მოკრიბა.

21. ფაშა ჯარით ართვინზედ წავიდა.

---

[138] (მამიდაჩემი).

6. თებ. ქართველი ანტონა მიიცვალა.

10. მღებრიანთ სახლში ჩემი რამების წაღება დავიწყე.

13. დურგლიშვილი გრიგოლი აზრუმითგან მოვიდა.

17. მღებრიანთ ზემო სახლში ამოვედი.

23. სელიმ ფაშას მოშლის ამბავი მოვიდა.

27. სელიმ ფაშის არტაანს მოსვლა თქვეს.

13. მარტს. ჩვენი სელიმ ფაშა ფოცხოვს მოვიდა.

14. ხანუმები წავიდნენ ახალციხითგან. ნიკოლოზისგან ქუთაისით ერთი საპალნე ღვინო მომიტანეს.

16. ახალციხის ოჯახლის ჯარი ფაშასთან ფოცხოვს წავიდა.

4. აპრილს. სელიმ ფაშა შავშეთითგან ახალციხეს მოვიდა.

10. არტაანითგან ქეჰაც თავის ჯარით მოვიდა.

12. სელიმ ფაშამ თავის ქეჰა ციხეში ააწევინა და კიდევ დაახრჩობინა.

4. მაისს სელიმ ფაშა აჭარას წავიდა.

6. აზრუმის ქარავანი წავიდა ხანუმათ სტეფანეცა.

12. რუსის წამოსვლა თქვეს ახალციხისკენ[139].

20.[140] მეფის დაჭერა თქვეს რუსებისგან. სტამბოლითგან მოსული ზარბაზნები წაიღეს ახალქალაქს.

მოსული საპალნე პაქსი მატი გაგზავნეს ახალციხითგან ახალქალაქსა.

11. თიბათ. შუბაშმან რაბათის კაცები ტყვედ ჩაყარა. ათას ყურუშს სთხოვდა.

14. რაბათის კაცები აჭარის ფაშასთან საჩივლელად წავიდნენ და გამოაშვებინეს.

19. დათიკას სიკვდილის ამბავი მოვიდა.

10. მკათათ. სელიმ ფაშა აჭარითგან მოვიდა ჯარით.

12. შუბაშს აბდურახმანას შუბაშობის ანგარიში სთხოვეს.

16. ყიზილბაშის ელჩი მოვიდა ალექსანდრე მეფის[141] შვილისგან.

26. ჩვენი ლუკა, სიძე პეტრე და სხვანიც აზრუმს წავიდნენ.

6. მარიობ. სულთან მუსტაფა გამოუცვლიათ და სულთან მაჰმუდი დაუჯდენიათ.

14. ოცხეს წავედ და აბასტუმანსაც ვსწირე[142].

15. ოცხითგან მოვედი.

---

[139] ახალქალაქისკენ. [140] 17. რუსის წამოსვლა თქვეს ქალაქითგან ახალციხეკენ. [141] მეფე ერეკლეს. [142] კვირას.

20. ახალქალაქისკენ რუსის შიში ჩამოვარდა და ახალციხითგან ღამე ქეჰა ჯარით წავიდა და სხვანიც.

4. ენკენ. ჩვენი ლუკა და ჩვენი ანტონაც აზრუმითგან მოვიდა.

15. ტერ ოსები ქუთაისს წავიდა. ჩვენი ოჰანჯანა აზრუმს წავიდა.

4. ღვინობ. ჩვენი სტეფანას დისწული ბალღამათ ოსოჲ იმერეთს წავიდა.

23. პატრი იოსები, ბარილუსა და ხანუმათ სტეფანე სტამბოლითგან მოვიდნენ.

2. გიორგ. ბალღამათ ოსო, ხოშათ იოსები, იმერეთიდგან მოვიდნენ.

6. ბალღამათ ოსოი კიდევ იმერეთს წავიდა.

7. ერევნის აღება თქვეს რუსისგან.

13. ტერ იოსები ქუთაისითგან მოვიდა. ჩვენი ოჰანჯანა და სიძე ნიკო აზრუმითგან მოვიდნენ.

16. ერეც ფოხნობის ანგარიში მივაბარე და ერეცფოხნად დადგნენ ოსილო, ფაფაზოღლი სტეფანე და არუთენა.

23. ერეც ფოხნობა გავუშვი. ანგარიში ვქენით და წიგნები მივაბარე.

13. ქრისტიშ. მე ერეცფოხნობიდამ გამომიყვანეს.

25. კენჰიანთ ანტონი სტამბოლითგან მოვიდა.

28. ნავროზაშვილი და ართვინელი ტერ სტეფნები[143] ნაკურთხნი მოვიდნენ.

1809. წ. უქზ. 7. თებ. ტერ იოსები დაიჰირეს ტყვედ წაიყვანეს პურის და ქერის გაყიდვისათვის.

12. აპრილს ქარავანი წავიდა და მაქანდარიანთ თომაც. სელიმ ფაშა აჰარას წაბრძანდა.

12. ივლიტელები ქალაქისგან აჰყარეს და ივლიტას გაგზავნეს.

15. თულუმბა ქეჰას ოჯახლი ზორბათ აუდგნენ.

16. თულუმბა ქეჰა ჯარით წავიდა ახალქალაქისკენ.

24. ქუჩუგ აღიანთ პეტრე და სხვანიც სტამბოლს წავიდნენ.

5 მაისს. შაჰზადას ტანანმა ჰქმნეს, მარტო ზარბაზნების სროლითა.

---

[143] მღვდლობითგან.

13. თიბათ. გარდაიცვალა ხოჯევანთ ტერ იოანე ამ დღიურე-
ბის დამწერი. ღმერთმან აცხონოს.

## სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკა

ჩემი თარიხი არის თარიხი 1767—(ჩემი დიდი ძმა სტეფანე)[1].
1770 სტეფანაი დაიბადა მარტის 25.
1773 პეტრეი დაიბადა 2 თებერვალს.
1786 სურფ ოვანესი აშენდა.
1789 მე ტერ ანტონთან მივედი.
1790 სულეიმან ფაშა მოკვდა.
1791 ისახ ფაშა მოვიდა.
1791 ტერ საჰაკ გაგზავნეს ეჩმი...
1791 პავლეი მიიცვალა ღვინობისთვის 10.
1791 საღდრები დაიყარა ქრისტიშობისთვის 15 ვიდრ 8 დღე.
1791 ოვანეზასშვილი აზრუმს წავიდა ქრისტიშობისთვის 17.
1792 პეტრეი დავასახლეთ აპრილის 1.
1792 მე პარტასანუთუნი გავათავე მკათათვის 6.
1792 ბიძაი სტამბოლს წავიდა აპილის 14.
1792 მე ბარიაკინი დავიპირე მარიობისთვის 16.
1792 პატარა ფაშა ვითამც სულეიმან ფაშის შვილი მოვიდა, ისახ ფაშა გაიქცა აქედამ.
1792 ივანასშვილი მოვიდა ვითამც ტერანტონი მარიამობისთვის 30.
1792 ბიძაი მოვიდა სტამბოლიდამ ენკენისთვის 15.
1792 შარიფ ფაშას ყაფუჩი მოვიდა პირველი ენკენისთვის 18.
1792 იანუღიანთ მამაჯანაი დაიბადა პირველი ვაჟი ენკენისთვის 22 და მე მოვნათლე ენკენისთვის 26.
1793 კატერინას ქორწილი იქმნა ბიძათი.
ამავე თვის 12 — ჩემი ძმის პეტრეს ქორწილი იქმნა.
18. თებერვალს მამა მამასახლისი იქნა პირველი.
ტერ ანტონის მამა მოკვდა 20-ს.

---

[1] საუბარი უნდა იყოს წირვების დავთრის შემდგენლის ძმაზე, რომელიც 1767 წ. დაბადებულა და, როგორც ჩანს, ჩქარავე გარდაცვლილა, რადგან 3 წლის შემდეგ დაბადებული ამ ქრონიკების ავტორისათვის მისი უფროსი ძმის სახელი სტეფანე და ურქმევიათ.

არტანუჯელი პოლოსა წავიდა სტამბოლს მარტის 28. 12 მარტს იშხანებს მოუვიდა წიგნი რომ უმფროსს შეეწიონ.
1 აპრილს მამაჯანა წავიდა სტამბოლს.
3 მაისს სტამბოლის ქარავანი წავიდა.
14-ში ქარავანი მოვიდა სტამბოლისა.
18-ში ფიქრის ლოცვა ვსთარგმნე.
თიბათვე — პატრი იოანეს მოკვლა გაცხადდა.
15-ში თერეზინას გოგო ითხუა ტერ ანტონმა თავის ძმისთვის.
18 — სტამბოლის ქარავანი მოვიდა.
23 — არაქელასშვილის წიგნი მომივიდა.
პატრი უკან დარჩა იოვანე.
შფოთი მოხდა ჩვენი და მძახლების.
მკათათვე — პატრი იოანეს სიკვდილი შევიტყევით 30-ს. მიცვალილიყო 21-ს.
მარიამობისთვე — ტერ იოანე ხოჯათ დააყენა უფროსმა.
15-ში უმფროსის წიგნი წაიკითხეს მწვალებლებზე.
7-ში საკირეს ვიყავით.
18-ში მამაჯანაი მოვიდა სტამბოლიდამ.
19-ში წიგნები მოვიდა სტამბოლიდამ.
ენკენისთვის 7 — სისხლმა დააპირა იოანე ველე(ლი).
ღვინობისთვე — ყმაწვილი (მოვნათლე ლევ. ტერ გაბრიელის მოსვლა შევიტყეთ.
20 — დუქანი აშენდა. საღრის — 2.
14 — ველელი ოჰანესი წავიდა მერდინს.
17 — ორი პატრი მოვიდა მარიო და კილობერდი. პატრი ანდრია იმერეთიდან მოვიდა.
გიორგობისთვე — 1-ში იოანეს მღვდელი მოვიდა სათლელიდამ.
17-ში ჩემთის წიგნი ბიძამ სარგის სრმქეშის (?) წიგნი დავწერე.
ტერ გაბრიელი სათლელს მოვიდა.
ქრისტიშობისთვე — 14-ში სარგისის წიგნი მოვიდა ტერ გაბრიელის გამო.
19-ში საფარა მოკვდა.
1794. წ. 7 იანვარს — პოლოსას წიგნი მომივიდა არტანუჯიდამ.
8 — ჩვენი პეტრეი ქართლში წავიდა.
2 მარტი — წიგნი მომივიდა სტამბოლიდამ.

15. მაისს — ახალციხიდამ წაველით.
19 — ართვინს ჩამოვედით.
15 — ოჰანაი არტანუჯს წავიდა ბაროხათ.
1 თიბათვე — წიგნი შინ...
15 — ართვინიდან ჩხალას მოვედი
25 — ჩხალიდამ ხოფას წაველი შიშით.
მარიობის 6 — ხოფიდამ წაველი სტამბოლს.
14 — გაველით და დავრჩით ფარნას 3 — დღე.
23 — გაველით გერძას 1 — დღე.
24. — დიდი ფურთანაიედრე — 28.
ენკენისთვე — 2 — თიქას გაველით.
7 — ქიარფას გაველით.
14 — ყამზედ წაველით.
15 — იზმითს მოველით.
10 — უიმედო ფურთნა აქილას (?).
18 — გაველით სტამბოლს.
25 — ფრა ფურთნას ოდა დავიჰირეთ.
21 — მომივიდა წიგნი ოსტატისაგან.
... — გავგზავნე წიგნები ოსტატთან, შინა.
10 — ღვინობისთვე — ტერ ანტონთან წიგნი 1 — შინ, 1 ანტონ იანულ, 1 — მამაჯან. 2 — წერილი ძახლის გამო.
17 — ჩემ ოსტატთან 1 — უფროსთან წიგნი.
20 — ჩვენი წიგნი 1 — ბიძაცა. იმათაც მომივიდა.
29 — ბიძაი სერეს წაბრძანდა.
12 — გიორგობისთვეში — გოგიტასთან 1, ოსტატთან 1, შინ, 1, ანტონთან 1, მამაჯანასთან 1, აღა მამაჯანას ძმას ბატონად...
8 — ქრისტიშობისთვე — ღედას წიგნი მომივიდა.
20 ბიძას წიგნი მომივიდა სერესიდან.
1795 წ. 1 იანვარს — ბიძასთან ოვანესასთან სელენიკს წიგნი გავგზავნე.
17 — ოსტატთან წიგნი წავიდა აზრუმზე.
2 — ავათ გავხდი ვიდრე 12 — დღე
27 — აზრუმითგან წიგნი მომივიდა.
2 — თებერვალი — შინითგან წიგნი მომივიდა პეტრესი, მათესი, ბატასი. 4 — ოსტატის წიგნი მომივიდა, 1, — მამასი, 1 — პეტრესი.

17 — 2 ოსტატთან მოწმობისათვის, 1 — შინ, 1 — ბიძაცა წავიდა მანზ.

ექდევშინ ფაოცის გამო ჰამ გამოცვლის.

28 — მომივიდა წი 1 — ოსტ. ბატ. ატ. ბარ. მამაჯან.

3 — მარტს — 1 — ოსტ., 1 — შინ, 1 — ბატ., 1 — მამაჯან, ალმ წავიდა მანზ.

8 — შინ წიგნი წავიდა ქარავანით ყარსზე.

27 — პეტრესი წიგნი მომივიდა მარკოზას ხელით.

2 — წყვილი თივთიკის წინდა..

28 — მომივიდა წიგნი 1 — ოსტატ, 1 — ბატასი, 1 — ალოშ, 1 — აფრ, შობას. ძახალ. გამო.

30 — პეტრეს წიგნი მომივიდა.

17 — აპრილს წავიდა მანზილით: 1 — ოსტატს, 1 — შინ, 1 — ბატ, 1 — ალოშ, 1 — სტეფ. ვალელის ნავროზის გამო.

18 — მოვიდა 1 — წიგნი პეტრესი.

19 — ო-ვთან დავრჩი სახლში ვიდრე...

19 მაისს — ბიძაი მობძანდა სერეზიდამ სტამბოლს.

22 — წავიდა წიგნები 1 — შინ, 1 — ოსტატთან.

5 — თიბათვე — ალექსანდრე ხუცესი მოვიდა.

6 — ოსტატის წიგნი მომივიდა. 5 კათათვე — ჩემი პეტრეს წიგნი მოვიდა ერთი შარი ღუსარი გემით.

7 — ფიცი ვქენით.

8 — ალოშათ წიგნი მოვიდა.

10. მცირე აღსავალი ავიღე სოფელში.

11 — მთავარი აღსავალი ავიღე.

12 — მღვდლობა ჲღვიღე.

15 — პირველი ვსწირე ჩემი ძმის ნიათზედ. მამას წიგნი მომივიდა.

17 — შინ ოსტატთან წავიდა აზრუმზე.

7 — ენკენისთვეს — წაველ სტამბოლს.

10 — დღეს ადგა გემი.

11 — დღეს ერეკლეს მოვიდა.

12 — დღეს მასრას მოვიდა.

— დღეს მასათს მოვიდა

14. დღეს ალიმნთან მოვიდა და დარჩა.

18 — დღეს ვანას გავედით.

19 — ისევ ავდეგით.

21 — დღეს მოვედით ათინას რჳნით.

22 — მოვედით ხოფას, დავრჩით რჳნაზე.

24 — გამოვედით ყარაზედ.

30 — წამოვედით ჭოროხით.

5 — ღვინობისთვეს — მოვედით ართვინს.

13 — წამოვედით ართვინიდამ.

17 — მოვედით ახალციხეს.

1796.

23 — მარიობას — უსუფ ფაშა მოვიდა.

6 — ენკენისთვე — შარიფ. ფაშა...

18 — ენკენისთვე — უსუფ ფაშა წავიდა. მუსალიმათ არტან ბეგი.

10 — ქრისტიშობისთვე — მოვიდა გემით ჟამკოცი ანტონი.

16 — ბიძა მოვიდა იმერეთითგან.

1796 წ. 16 — ქრისტიშობისთვეს. — მამიდასი მაქვს 100 — ყურუში მობარებული სახლის თეთრი თავისი.

| ყურუში | აქედამ მივე |
|---|---|
| 10 | ნარიბეგათ რძალს. |
| 10 | ხოჯავახათ ტერ იოანეს. |
| 12 | ბექირას წირელ ცოლს. |
| 2 | ფქვილისთვის. |
| 6 | კიდევ კვერცხის მიზეზით წაიღო და დარჩა. |
| 2 | კიდევ შესისათვის მივე. |
| 2 | კიდევ საკლავისათვის წაიღო. |
| 5 | კიდევ ერბოსათვის. |
| 20 ფ.[2] | კიდევ ხახვისათვის. |

დარჩა 50 ყურუში რომ სარგებლით თავის ქალსავე მივე.

1796 17 — ქრისტიშობისთვე. — ბიძასი ჩემზე არის დასტა ქაღალდი.

ერთი საათი დამეკარგა საათჩისშვილის მოცემული, რომ ღირდა 6 — ყურუშათ ძლივ.

მათოზას გავატანე 70-ყურუში შეის მოსატანათ თიბათვის 1— აზრუმს. დარჩა 2-ყურუში.

სირიქჩიანთ ყაზარას ქალს ელენას მივე 15-ყურუში, 20 ფარა ბეშელიანთ ტერ ანტონზე საჯუბისაგან დარჩა.

ჩემ ოსტატმა ქვემო თათრისაგან მომცა 10-ყ(ურუში) და დარჩა 6 ყ(ურუში)...

სამი წიგნი გაეყიდა ევლელ. გამოუგზავნე წიგნები. ჰესაბი ვქენი და დარჩა 18-ყურუში.

1797. 11 — იანვარს — გავატანე ბიძას ერევანსა 100-ყურუში, რომ იყო 2 — მამასი, 10 — დედასი, 10 — პეტრესი სხვა. ჩემი 100 — ფარა არაქელის ქალს ვასესხე მარტის 24, 1 — აპრილს, 13 — ყურუში ტერ გაბრიელს მართებს საწირავისა. აზრუმის ტერ გაბრიელზედ არის წინდისა 18-ყურუში ნახევარი 1797 წ. ავიღე.

ასაღები: ძიძაზედ ც არის, ⊙ კიდევ ც ⊖, კიდევ ც ◎ ,

სეროფაზედ ფარა ⊙ , ოჰანათ ტერ ანტონ ფ. ♈ ,

ტერანტ ც ◐◑ ხიზაბავრელ ბიჭზედ ფ. ∇ ,

არტანუჯელ პოლოსაზე ○ ,

საათჩის შვილზე ჩემი კუკუს საათის ფასი არის ცუ ⑥ , ერთი ძველი დაშლილი საათი არის იმასთან ფასი 3 ⑥ , ერთი ქიშა ღვინო ფ. ⑳ ველელ ოვანეს-ზე 2. 00, მარი დედას

ფ ქაჩხუათ სტეფანას გავატანე 10-ყურეში აზრუმასა კათათვეს. ყურუშის ჩითი გავატანე გოგიტასშვილს ჩემ ოსტატზე მარჩი. ქურთის შვილს გავატანე 15—ძველი ყურუში ამანათი.

1797. 13 აპრილს. სტამბოლს ქარავინ წავიდა. ჩვენ სიძეს სტე-

---

[2] ფარა.

ფანეს გავატანე 28 წყვ. წინდა. 1 — ოსვ, 2 — ტერალ, 50 დრამი ბურნოტი. 13 — აპრილს გავატანე სიძეს 28 წყვილი წინდა. იმან გამომიგზავნა 2 — ოყას 40 — დრამ ნაკლები, საპონი 74 — ფარათ. 4 — პალაზი ჩიხა ხარჯით ბოხჩით.

20 — აპრილს — ჰასან ფაშის შვილი საბით ფაშა მოვიდა ორი თუღით.

18 — მაისს ფარგეთს პეტომა წავიდა.

23 — შაქარაი მოკლეს მოცოცა ალექსანათი.

7 — ღვინობისთვეს — ძმა პეტრესი რომელი წავიდა თავრეზს.

1797 წ. 7 — ღვინობისთვეს — წავიდა პეტრეი ხოის და გავატანე 6 — ბაჯახლის ოქრო, 7 — მისირისა, 4 — სტამბოლისა, 1 — რიალი რომ იქნა 100 — ყურუში ამანათით.

21 — თიბათვე — ოჰანეზას გავატანე ძმა პეტრეს 200 ყურუში.

მაროს სიძეს პეტრეს ვასესხე ყურუში.

ენკენისთვეში — ველისა 10 ყურუში. სარი ქეა მოკლა საბით ფაშამ ღალატით.

7. ღვინობისთვე — ძმა პეტრესი, რომელი წავიდა თავრიზს.

1. გიორგობისთვე — პეტრე წავიდა. მოვიდა ხოიდამ...

11 — მესამე თუღი მოუვიდა ფაშას.

8 — ქრისტიშობისთვე — ძმა პეტრე მოვიდა თავრიზიდან.

1798 5 — მარტი — მელიშანთი წავიდა ფრა ბერნარდისთან სტამბოლს. — მოვიდა წიგნი სტამბოლიდამ.

11 — აკოფაი ტყვეთ ჩააგდეს ტერ სტეფანიანთი.

13 — შილიაჯიანთ ქალმა ელენემ მოკუდებიო, აკოფაი გამოუშვეს.

11 — ღვინობისთვეს — იანღუნი იქნა. ყლხჩი ასლანათ სახლიდან.

17 — თიბათვეს — იანუღიანთ რისიმას მივე ყურუში სესხი.

1799 28 იანვარს — გავატანე 41 — ყურუში.

1 — მაისს შილაჯიანთ მარიმსაც ვასესხე ყურუში.

26 — გიორგობისა — ამავე თვეში ამისივე დას ელენეს მივე-3 ყურუში.

15 — მარიობა — პეტრეი მოვიდა იმერეთით.

7 — კლდეს ვიყავი.

6 — ენკენისთვეს მამაი წავიდა ართვინს.
23 — პეტრეი ქუთაისს წავიდა აბასთუმანს.
1800 13 — იანვარი — ძმა პეტრეს 200 მანათათ გავატანე.
17 — მაისს — ერევანს ბერუკათ მარიამას ერთი ვასესხე.
1801 4 — მაისი — დღეს აჭარელი მოვიდა და ციხეს შარიფის ძმა დაემწყვდა.
6 — მაისს — დღეს შარიფ ფაშა ქალაქს შემოადგა.
8 — მაისს — აჭარელი გაიქცა. შარიფაშა მოვიდა.
4 — ღვინობისთვე — მღებარმა ლილა წაიღო 1 — ბათმანი 105 — ყურუში. აქედამ მომბარდა 45 კიდევ 20, კდ 20, 15 კიდევ.
1800-იანი წლების ახლოს (მინაწერი)
ა) ბიძასი დუქნიდან მამიტანია 1 — დურბინი, ორმოცი ყაბასა ლურსმანი, 1 — ჩაქმაჯალი სარკე, 1 — პატარა ხისტარიანი დანა, 1 — საყ. ზის ნახმარი სარტყელი, საკუთარი თავისია, 1 — საჰათის შუშა.
ჩემი იმასთან არის ინგლისის დანა 5. 4 — ბურნოთის ყუთი 2 — ვსწირე მათთვის საშუალოთ რომ დამაბარეს.
ბ) ბიძას ფარიდამ დავხარჯე 4 საწირავში.
მამამ დახარჯა შეშაში თუ ქირაში თუ ჯარიმაში მამიდას ფარიდამ 15 — ერთი ჯარიმისა, 15 — ერთი ღვინის ქირისა,
45 — ერთი შეშისა.
ბიძამ მამცა ბატონ დედასათვის საწირავები 25 — ყურუში. აქედან დაურიგე 16 — ყურუში მღვდლებს თუ სოფლისა თუ აჭაურისა 30 — ფარა. ქამჩოკს მივე, 2 — ოცხელსა.
ელენამ ჩემი შაქარი წაიღო 112 — დრამი. ხიზაბავრელ ტირაცომ ქაღალდისა 14.
1802 16 — ღვინობისთვე დღეს აჭარლის შიში დიდი იქნა.
18 — შარიფაშა წავიდა.
22 — აჭარელი მოვიდა.
29 — ჯარი შარიფ ფაშაზე წავიდა წინ.
1803 21 — აპრილი — აჭარელი სელიმ წავიდა ლივანზე.
16 — მაისს — პატრი ბერნარდა წავიდა სტამბოლს ქარავნით.
25 — რაჯაფ ფაშა მოვიდა დღეს.
27 — ივნისი — სტამბოლისა ტყვეობით გამოუშვეს (?).

11 — მარიობისთვე — შარიფ ფაშა ახალქალაქს მოვიდა.
14 — არტაანს დადგა.
29 — რაჯაფ ფაშა წავიდა.
1 — ენკენისთვეს — შარიფ არტაანიდამ გაიქცა ყარსსა — ვერა ქნა.
7 — სელიმ ფაშა შემოვიდა ხიმშიაშვილი.
1804 11 — იანვარს — სელიმ ფაშა წავიდა აჭარას.
28 — მარტს — ფაშა მოვიდა აჭარიდამ
10 — კათათვე — ეგსპოტი და ორი ხუცესი მოვიდა.
12 — სელიმ ფაშამ ქართველისა...
8 — ღვინობისთვე — სარი კინოს მართებს თავის ბიძაშვილის ძეთა ნასი 100 ყრ-ში პალარიშვილისაგან კლდეში.
1806 აპრილი — სელიმ ფაშა მოვიდა აჭარიდამ. ქეჰაც მოიყვანა. გოჯუათ ფერცხლი სავავსე (?) მივე მამაჯანას 23 — ყურუში სულთან მუსტაფასი.
...რაქურა (ჩაქურა?) ქართველის დრამი (160) დრამი 6 — ფარათა გარიგდა.
1807 27 აპრილს — სელიმ ფაშა რუსზე წავიდა ხერთვისის ჯარით.
1807 8 — მაისი — რუსი ახალქალაქს მოიშალა. 700 გაწყდა ან 300...
16 — ფაშა მოვიდა სელიმი.
1 — თიბათვეს — ფაშა წავიდა სელიმი ახალქალაქს.
22 — ფაშა არტაანს მოვიდა სელიმი
12 — მკათათვე — ფაშა წავიდა.
30 — ფაშა არტაანიდან ყარსს წავიდა.
1808 15 — იანვარს — სელიმ ფაშა წავიდა ლივანზე საომრათ.
12 — აპრილი — წუხელის ქეჰა მოკლა ფაშამ.
13 — სელიმი აჭარელი რიყე...დე(?)
16 — თულუბაი ქეჰა გახადეს.
4 — მაისი — goosa აჭარას წავიდა vavi omadpa ქუთაის წავიდა გუშინ.
14 — თიბათვე — რაბათი მემედ შუბაშმა ჩაყარა.
23 — რაბათი ფაშამ გამოუშვა უზიანო.
30 — გიორგობისთვე — სარი ქეჰას სახლი დაიწვა.
1809 14 — აპრილი — აქ მყოფი სოფელნი ოლქად იდგა

20 — ვანის ფაშა მანზულით მოვიდა აქ ჩამოვარდა.

26 აპრილს ხარისჰირათ პოლოსა წავიდა მღვდლად საკურთხებლად[3].

18 — მაისი ფაშა მოვიდა აჰარიდამ.

8 მარიობას მოვიდა მღვდლად ნაკურთხი ხარისჰირად პავლე[4].

3 — გიორგობას პოვიქარი წავიდა ართვინს.

14 — გიორგობისთვე — სელიმის მუსალიმი გააგდო ოჯახლიმა. ზორბათ გაუდგა

16. პოვიქარი მოვიდა[5] Selimas musalimi გადააგდეს ოჯახლიმა. ზორბათ გაუდგა. 28 გიორგობისთვე—იანუღნი იქნა ჰინომინოს ძმა დაიწვა შიგა. არტან ბეგს შვილი მუსალიმათ მოვიდა შარიფე. antyndir ნიშანლი წავიდა ოცხეს ჩვენ ხიზანთან.

1810 5 იანვარი — ჩემი ძმა მოვიდა არტაანითგან.

30 — დღეს შარიფ ფაშა მოვიდა დადგა მისვლაზე (?).

22 — თებერვალი — პოვიქარი მოვიდა ართვინითგან[6]

2 — მარტს — სელიმ ფაშა სხვილის შემოადგა.

5 — აჰარელი მოშალეს დღეს გაიქცა მეტად დამარცხებული და შერცხვენილი.

4 — აპრილს აჰმად ბეგი, სული ბეგი წავიდნენ.[7]

4 — მაისს აჰმად ბეგი მოვიდა[8].

6 — ქამისთვის ტერ იოსები დავიჰირე ახე ფრა პოვეცი[9].

19 — მეფე სოლომონი მოვიდა აქა.

28 დღეს 11 საათზედ დღისა მეხი ჩამოვარდა წმინდა იოანეს ეკლესიის ტაძრის ფანჯრითგან საღამოს ლოცვისა. ტერ ხაჩატური მოჰკლა და ბიჭები დაჰბნიდა[10].

30 — ტერ ხაჩატური დავმარხე წმიდა გიორგის ტრაპეზის წინ[11].

19 — ივნის — თათრის ჯარით მეფე სოლომონი წავიდა იმერეთს რუსზე.

11 — მკათათვეს — შარიფ ფაშას ფარვანი მოუვიდა

---

[3] A, გვ. 89. [4] A, გვ. 89. [5] A, გვ. 89.

[6] A, გვ. 89. [7] იქვე. [8] იქვე. [9] იქვე. [10] იქვე. [11] იქვე,

15 — სიძე წავიდა ფაშის წიგნით პეტრეს გამოსახსნელათ, რომელი ვარციხეს იმერლებს დაეჭირათ.

28 — სიძე ოჰანჯანა მოვიდა ცარიელა. პეტრე იქ დარჩა[12].

25 — მარიობისთვე — შარიფ ფაშა ახალქალაქს გავიდა ყიზილბაშთან[13].

31 — სული ბეგი მოვიდა.

5 — ენკენისთვე — გუშინ შარიფი მოვიდა ახალქალაქით-გან.

6 — შარიფი წავიდა ისევ.

7 — მოშალა ყიზილბაშის ორდი რუსმან ახალქალაქს.

8 — მამაი წავიდა ართვინს.

12 — თათრის ჯარი წავიდა იმერეთისკენ.

25 — თათრის ჯარი ცარიელი მოვიდა იმერეთიდამ.

29 — მეფე მოვიდა სვირსა...[14] აჰმად ბეგი მოვიდა.

11 — ღვინობისთვე — მამაი მოვიდა ართვინიდან.

13 — ტრაკათ გიქორამ სიდედრი დაჰკოდა და თვითონ აჰმად ბეგთან გაათათრდა[15]

(ტრაკათ გრიქორამ Sidedri daჰcoda და tviton aჰmad bectan gatatrda)

1 — გიორგობა. მეფე სოლომონი იმერეთიდან გამოქცეული მოვიდა 150 კაცით არტაანს და იქითგან ერევანს.

6 — გიორგობისთვე — დღეს სურგუნში წავედით მთელი ხალხი.

ექსორიათ წავედით მე და ორი ოცხელი ხუცესი 200-ოდ ერის კაცით თათრებისგან[61]. ამავ კვირაში რუსებმა დაიჭირეს კოთელია, ხიზაბავრა, ასპინძა და უფრო ქვეითიც.

11 — კლდის გზაზე კარვები დადგეს რუსთა და თათრის ჯარი მოშალეს, გაშიშვლეს.

13 — იმერეთის ჯარმა აბასთუმნიდან ჩამოიწია თურბისაკენ და წყრუთისაკენ.

15 — ქალაქ შემოერტყა მთლივ ჰალაია ქნეს.

---

[12] A, გვ. 90. [13] A, 24-მარიობას.

[14] იგულისხმება ახალციხის რ-ს სოფ. სვირი. [15] A, მოვიდა და გათათრდა. [16] A, ვალეს იაყისმანს, წურწყაპს, წერიმალს, ფიქლოფს, არტაანს. ითოვლა-შადევანს მამანელისს და სათლელს ვიყავით.

16 — პირველად ღამეს შეიბნენ ცოტა ხანს, მარა უსარგებლოთ.

17 — დარბაზნების სროლა იქნა ციხიდამ. მათრისიდგან.

18 — დილას საჰათის 10-ზე დაიწყეს დიდი სროლა, ასრე რომ ცა ჩამობნელდა. შუადღემდი დიდი ყვირილი იყო ყიბაშ ზედ. 1 — 1 მათარისი აიღო რუსმან უსარგებლოდ. უფრო ბევრი რუსი გაწყდა თათრისაგან. 9 — საათამდი იბრძოლეს.

19 — თათარმა 2-დარბაზანი დაიჰირა, რუსმა თურბზე გაიწია.

20 და 21 — არა რაი.

22 — დიდი სროლა რუსმა დაიწყო. თათრები ველარ.. აქარლის მოლოდინითა.

23 — კ˜დ სროლა იქნა ორივკერძო. აჰარელი არ მოვიდა.

24 და 25 — სროლა იყო.

26 — რუსები ადგნენ ყ˜ლ კერძო, ჩაიწიეს ტავშანთაფისკენ. გაუდგა თათრის ჯარი და მობრუნდნენ ესენი მოშლილნი და რუსისად წ˜ვიდნენ. სათლელებმან მიმიწვიეს.

5 — ქრისტიშობისთვე — დღეს წამოვედი სათლელიდამ. მოვედი სახლობანს.

6 — წამოვედი, მოვედი ყველს.

7 — მოვედი შინ.

1811 16 — იანვარს — მეფე სოლომონ˛ მოვიდა ერევნიდამ.

5 — მარტი — სომხთ საღდარი დაანგრიეს, ახალი ააშენეს.

12 — აპრილს — ქერი დღეს ჩემ ყანაში დავთესე 17-კოდი.

18 — მაისს — ტყვე ქალი იმერეთს გაიპარა.

18 — მაისი — ტყვედ ვიყავით, ქალი რომ იმერეთს გაიპარა[17].

5— მკათათვე — ჟამი გაჩნდა ჩვენებშიც.

13 — ჩვენი ხიზანი წავიდა წყრუთსა.

19 — დღეს ხიზაბავრას წავედი — ხიზაბავრას 60 წვრილი.

19 — ხაზაბავარს წავედი მღვდლად, ჟამით იხოცებოდნენ[18].

---

[17] A, გვ. 91.

3 — მარიობა — ხიზაბავრიდან წამოვედი. მოვედი ახალციხეს.

10 — პატრი ნიკოლა ჟამით მოკუდა.

12 — ჩვენი პავლეი ავათ გახდა ჟამით წყრუთს. 2-საპათზე მიიცვალა.

16 — დიდი ჯარით აჰმად ბეგი წავიდა აჭარელზე[19].

9 — ქრისტიშობა — ახალქალაქისა ციხე აიღო რუსმან გუშინ.

1812 12 — თებერვალს — ოჯახლის ჯარი წავიდა ახალქალაქზე.

14 — დღეს შერიფ ფაშა წავიდა ხერთვისს რუსზე.

22 — ამ თვის 20 — თათრის ჯარი მოშალა ქართველის ჯარმა. ახალქალაქს მოვიდა 300...

29 — მაისი შარიფ ფაშა გაიქცა შავშეთსა.

27 — ალზი აჩული მუსალიმათ გახდა.

7 — თიბათვე — დღეს აზრუმელი ქეპა და სელიმ ფაშა შემოვიდნენ ახალციხეს[20].

19 — კათათვე — ჟამი გაჩნდა.

17 — მარიობისთვე — ტყვეთ ჩაგვყარეს ყაზაზი პეტრეს ქალის საბაბით. 3 — შემდეგ გამოვე.

22 — მარიობის ოცხეს ვიყავი და მოვედი[21].

29 — დღეს პაითები გაცარცვეს ლეკებმა ქვაბლიანში.

4 — ენკენისთვე — ქვაბლიანის ჯარი მოიშალა უდეს და უდე ჲაღმაში წავიდა[22].

12 — დღეს ქეპა აზრუმისა წავიდა.

29 — ჩიტოთ სტეფანაი მოკლეს ყამითა.

14 — ქრისტიშობა — ფაშა წავიდა შავშეთს.

1813 — 17 — თებერვალი — სელიმ ფაშა მოვიდა შავშეთიდან.

19 — აწყვერის ალა მოკლა ფაშამ[23].

23 — მარტს ჩემი ძმა პეტრე წავიდა ერევანს[24].

10 — აპრილი — სელიმა ფაშა აჭარას წავიდა. აჭარელ ოლქბაშს ვალეს აჰყვა და მოაკვლევინა ვალეს ორი ძმა და ბაირახტარი[25].

20 — აზრუმელი ოსეფა მოკლა ფაშამ.

---

[18] A, გვ. 91. [19] იქვე, 17 მარიობა. [20] იქვე, 9 თიბათვე. [21] იქვე. [22] იქვე, 3 ენკენისთვე.

[23] A, გვ. 91 10 მარიობა. [24] იქვე. [25] იქვე, გვ. 92.

11 — აპრილი — პრელათ ტრანტა მაშმედაც — სელიმ ფაშა აჭარას წავიდა. ჩახალოღლი ვალეს მოჰყვა (?) — მოვიდა (;).
30 — სიმინდი დავთესე ყანაში.
4 — მაისი — ხანუმისგან მამამ ფური მოიყვანა.
6 — ბეთანათ ტერ იოანე ქუთაისს წავიდა დღეს.
17 — მაისი — ოცხეს წაველი და მოველი[26].
19 — სელიმ ფაშა აჭარიდამ მოვიდა.
23 — მაისი — მთეები დათოვლა[27].
29 — იმერეთიდგან უმფროსი მოვიდა[28].
7 —თიბათვე ფრა და ტერ ანტონი მოვიდნენ გურიითგან[29].
11 — მთეები დათოვლა[30]
13 — თიბათვე — შაქარათ ფოცოი დაარჩეს.
24 — ძმა პეტრესი მოვიდა თავრიზიდან.
6 — მარიამობისთვე — ფაშა სელიმი წავიდა შავშეთს შარიფ ფაშაზედ[31].
6 — ენკენისთვე — ოცხეს წაველი[32].
9 — ღვინობისთვე — შავშეთითგან სელიმ ფაშა მოვიდა სხვილისს.
10 — ღვინობისთვე — სელიმ ფაშა მოვიდა ოლთიდამ[33].
6 — ქრისტიშობისთვე — უმფროსი ტყვეთ იყო აბასთუმანს პატრი ფილიპე.
9 — გუშინ უმფროსი გაუშვეს.
1814 18 — თებერვალი — ქართველმა შუბაშხანაში თავი დაირჩო.
21 — თებრვალს — მანანა მოსულიყო ტავშანთაფაზედ და მოკრიფეს[34].
11 — აპრილს — ვალეს საყდარი აკურთხეს.
16 — სელიმის ჯარი წავიდა ლივანაზედა.
18 — აპრილს — პრელოთ ტერ ანტონი ყოვლადწმიდაში გაგზავნეს[35].
26 — ბიძაი წავიდა ბათუმზე სტამბოლს.
1 — მაისი — სელიმის ჯარი მოიშალა ლივანს.
8 — მაისს — პეტრეს წიგნი მოვიდა ერევნიდგან[36].

---

[26] იქვე. [27] იქვე. [28] იქვე.
[29] იქვე. [30] იქვე. [31] იქვე. 10 მარიობა. [32] იქვე.
[33] A, გვ. 92. [34] იქვე. [35] იქვე. [36] იქვე.

24 — მარდას ორი ცანა ვიყიდე 180-ყურუშად.
15 — კათათვე — სელიმ ფაშა წავიდა იმერეთისკენ.
30 — სელიმ ფაშა მოვიდა.
3 — მარიობას — საკირეს ვიყავი[37].
5 — გიორგობისთვე — სელიმ ფაშა აჭარას წავიდა.
19 — სელიმ ფაშასთან ახალციხის ლაშქარი წავიდა.
21 — ქრისტიშობისთვე — სელიმ ფაშა მოვიდა.
1815 8 — მარტს სელიმ ფაშა წავიდა და აჭარას ჩავიდა.
9 — დღეს აღზი აჩული მოვიდა ხერთვისიდამ.
15 — ყოჩაკანი მუსალიმი გახდა.
19 — ბაბა ფაშამ გამოგზავნა მუსალიმათ არტან ბეგი.
29 — მუსალიმი მოვიდა.
7 — აპრილს მუსალიმმან ოთხი ჰაიათა დაახრჩო[38].
16 — აპრილს — ორი დიდი თხა ვიყიდე 16 — ყურუშათ
18 — მაჰმუდ თურანი სერასკირი მოვიდა აქა.
30 — დღეს ერთმა სომეხმა ჰაითამ ყვიმჩებში ქართველი შაგირდი ტყვით მოკლა და მკვლელი მოკლეს ყვიმჩებში.
3 — მაისს ბიძათ ოჰანჯანა წავიდა აზრუმს[39].
24 — მაისი — მაჰმუდის ჯარი წავიდა აჭარელზედ სელიმაზედ.
31 — სელიმ ფაშა დაიჭირეს.
3 — თიბათვე — სელიმ ფაშას თავი მოსჭრეს.
10 — ბაბა ფაშა შემოვიდა დიდი ჯარით.
28 — ყარაბეგი მოიყვანეს. ყანა გაიჭრა.
30 — ყარა ბეგი მოკლეს ივლიტას.
3 — მკათათვე — ჯამბაზი ათამაშეს.
10 — ბაბა ფაშა ყარსს წავიდა.
17 — მარიობა — ყვიმჩიბაში საფარას გარდიჩეხა[40].
24 — ოცხეს წავედით, იქვე ვსწირე[41].
1 — ენკენისთვე — უმფროსი წავიდა შავშეთს[42].
13 — ღრელს წავედი[43].
11 — ღვინობისთვე — ოცხეს წავედი, იქვე ვსწირამდი[44].
11 — ქრისტეშობა მთვარე დაბნელდა[45].
27 — უმფროსი მოვიდა[46]
1816 13 — მაისი — დღეს აქაურები აუდგნენ იეგან ფაშას. დაი-

---

[37] იქვე.
[38] A, გვ. 93. [39] იქვე. [40] იქვე. [41] იქვე. [42] იქვე. [43] იქვე, გვ. 97. [44] იქვე, გვ. 93. [45] იქვე, [46] იქვე.

პირეს, ციხეს მიადგნენ და აიკლეს ფაშა თუ ათფაი თუ პაითები.

16 — ალახი აჩული მოვიდა ხერთვისიდამ.

21 — თოფალ სულია მოიყვანეს 400 — პაიათით ქებზლია-ნიდან მოშლილი.

23 — აითები სურგუნი ქნეს.

9 — თიბათვე — ხალი ოლლი მოვიდა ენგიჩარათ.

13— მაჰმუდ თურანი გაუშვეს აჭარიდან და მისი იეგანი.

28 — ბიძაი სტამბოლს წავიდა[47].

3 — მკათათვე — ახალქალაქს წავიდნენ აქაურები.

14 — ახალქალაქიდან მოვიდნენ აქაურები.

27 — ფაშაზედ აქაურები წავიდნენ ბაბ...

1 — მარიობას — ბაბაფაშას ჯარი წურწყაფს მოვიდა, ამათი დიღვირს ავიდა.

13 — ალზი აჩული წავიდა ჯარში.

15 — ამანათი ქალაქიდან.

16 — ამათი ჯარი მოიშალა.

18 — იმათი ჯარი ვალეს მოვიდა.

25 — იომეს, წავიდნენ, შემოეხვა ქალაქს.

27 — დღესა მთელი მოქალაქე აუდგა.

4 — ენკენისთვეს ბაბას ჯარი გაიქცა.

24 — ღვინობისთვე — ალზი აჩული წავიდა ხერთვისს.

26 — ისპაჰან ალის კაცი გალახეს აქაურებმა.

1817 8 — აპრილი — დღეს ქალების ჩარდახი ჩამოწვა წირვაზე, ბევრი დაიტანა, მარა არავინ დაზიანებულა.

24 — მაისი — ლუთურა ფაშა მოვიდა მანსუფით.

4 — თიბათვეს — ალზი აჩული მოვიდა.

6 — თიბათვე — მოვიდა იენგიჩარ ალა, ავათ იყო.

1818 18 მაისი — დღეს ლუთურა ფაშა წავიდა ყაისარს მანსუფზედ დიდებით.

15 — თიბათვე — დღეს აჰმად ბეგი მუსალიმათ მოვიდა აქა.

2 — მკათათვე — ღრელს ვიყავი[48].

8 — საფარას წავედი[49].

11 — არტანუჯელი ტერპოლოსი ჩემთან მოვიდა[50].

---

[47] A, გვ. 93.

[48] A, გვ. 94. [49] იქვე. [50] იქვე. [51] იქვე. [52] იქვე. [53], იქვე. [54]. იქვე. [55] იქვე. [56] იქვე. [57] იქვე. [58] იქვე. [59] იქვე, 7 მარტი. [60] იქვე, 19 მარტი.

12 — მარიობას ვიყავით საფარას და ღრელს[51].
15 — ჰაფიზ ალიფაშის ქეჰა, არამი, თული მოვიდნენ[52].
19 — ვიყავი ოცხეს და ვსწირე[53].
22 — ენკენისთვე — ჰაფიზ ალიფაშა ამნსუფით მოვიდა[54].
26 — თუმანაათ ტერანტონი მოვიდა და ცხენი მომიყვანა[55].
14 — ღვინობისთვე — ვიყავ არლითგან ოცხეს და არალს, ვჰსწირე[65].
7 — ქრისტეშობა — დღეს სტამბოლის ახალი ვიჩენცი ეპისკოპოსის ამბავი შევიტყე[57].
17 — დღეს მეშვიდე პიო პაპის შენდობის წიგნები მომეცა კვირაში ორი წირვისა და თუ 3000 კრიალოსნის კურთხევისა[58].
1819 8 — მარტი — ფაშას აზრუმის მანსუფი მოუვიდა[59].
20 — აჯი ალი ფაშა წავიდა აზრუმს, მანსუფით ბეგი თან წაჰყვა[60].
16 — მაისი — დღეს აჰმად ბეგი მუსალიმათ მოვიდა შაჰან ფაშისა.
24 — ქალების ჩარდახი გააკეთეს.
7 — მარიამობას — შაჰან ალიფაშა მოვიდა[61].
11 — ტყვეთ ვიყავით წესებისათვის მღვდლები[62].
22 — თუმანაათ ტერ ანტონი წავიდა იმერეთს[63].
24 — იალზი აჩული მოვიდა.
10 — ენკენისთვე — დღეს აჰმად ბეგი მოკლა ალი ფაშამ[64].
25 — ერიფ ალა მოჰკლეს ფანჩოშვილი[65].
3 — ღვინობისთვე — ალზი აჩული ყაფუჯი გახდა.
15 — ქრისტეშობა — ორთავიანთ დიდი ტერ იოსები მიიცვალა[66].
1820 20 — ქათათვე — სომხებს ერთობის წიგნი მოუვიდათ[67].
1821 21 — იანვარი შაჰან ალი ფაშა წავიდა ადრანას[68];
ბანდარლი შაჰან ალი ფაშა წავიდა ახალციხიდგან ადრანას თავის მანსუფსედ და მუსალიმად აჰარელი სელიმ ფაშის შვილი აბდიბეგი დააჯდინა[69].
10 — მაისი — დღეს იჩელო აჰმად ფაშა მოვიდა.

---

[61] Aს გვ. 95... ალიფაშა მოვიდა ბანდარლი. [62] იქვე. [63] იქვე. [64] იქვე, A, გვ. 95 9 ენკენისთვე... მოჰკლა ალი ფაშამ თავის მუსალიმი. [65] იქვე. [66] იქვე. [67] იქვე, 11 მკათათვე. [68] იქვე, 31 იანვარი. [69] იქვე.

1822 17 — ღვინობისთვე — დღეს ალზი აჩული (ბაშ ალა) აჰმად ალა და მისი სიძე აჰმადი მეიდანბეგი მოჰკლეს ხერთვისის ციხეში ქამალოღლი თარაქმამ და სელიმ ფაშის შვილმან აჰმად ბეგმან იჩელო აჰმად ფაშის დროს ახალციხისა[70].

1824 8 — მარტი — იჩელო აჰმად ფაშა წავიდა შამსა.

11 — აპრილი — ამ თვეს 5 — ჰაჯი სალაჰ ფაშა მოვიდა აქ მანსუფით.

18 — ენკენისთვე — დღეს უდეს წაველი და იქ ვნახე ჰაჯი სალაჰ ფაშა და ვილაპარაკეთ. იქ იყო ახლად მოსული პატრი თომა და ფრა ანტონიცა[71].

1825 24 — მაისი — ჰაჯი ყადიროღლი ოსმან ფაშა მოვიდა აზრუმეიდან[72].

28 — მაისი — დღეს აზრუმელი ჰაჯი ყადიროღლი ოსმან ფაშა მოვიდა ახალციხეს მანსუფზედა[73].

1826 ჰაჯი ყადიროღლი ოსმან ფაშა წავიდა ფაშათ. აზრუმელი დღეს წავიდა ყარსს, ამავე დღეს მოვიდა ფაშად რაყიბ ფაშა.

1 — თიბათვეს — ეპისკოპოსმა დააყენა შაჰყულიანი[74].

1 — მკათათვე — ვანელი რაყბ ფაშა შემოვიდა იმავ დღეს, იმავ საათსა.

11 — დღეს ალექსანას შვილმა აჩივლინა ფაშასთან და ტყვეთ ჩაჰყარეს და 9-ქესა ჯარიმა წავიდა.

20 — ტყვეები გამოვიდნენ.

12 — მარიობა ალექსანას შვილი წაიყვანეს ტყვედ[75].

14 — გამოუშვეს ალექსანას შვილი[76].

15 — ენკენისთვე — შაჰყულიანი ჩამოვიდა და დადგა (დასში).

18 — შაჰყულიანმა სწირა და თავის მიმდევგთ მადლიერობა უყო[77].

30 — გიორგობა — ეპისკოპოზის წიგნი და კრების წიგნები მოვიდა შაჰყულიანის დაყენებისა[78].

6 — ქრისტეშობა — შაჰყულიანი დადგა[79].

— გუშინ სწირა გლისპობით შაჰყულიანმან[80].

---

[70] იქვე.

[71] A, გვ. 95. [72] იქვე. [73] იქვე. [74] იქვე. [75], იქვე. [76] იქვე. [77] იქვე. [78] იქვე, გვ. 96. [79] იქვე, [80] იქვე.

1827 18 — თებერვალი —არა ვარო შერჩევნებული, წურთნა ჰქმნა შაჰყულიანმა[81].

7 — თიბათვე — შაჰყულიანს მოუვიდა წიგნები კრებისა[82].

21 — ენკენისთვე — წერილები მივეცით კრებისა შაჰყულიანსა[83].

25 — ამ თვეს ბრძანება მოუვიდა შაჰყულიანს ქალაქს წასვლისა, მაგრამ ფაშას ჩაუვარდა, მისცა თეთრი და არ წავიდა[84].

30 — გიორგობისთვე — შაჰყულიანმა შფოთი მოახდინა ხარისჭირაზედ, სახარება მრუდეთ რათ, გიჭირამსო[85].

1828 11 — თებერვალი — აჰმად ფაშა მოვიდა 2 — თუღით.

24 — დღეს მუბაშირმა ჩამომიყვანა ტყვეთ ევანჯიბაშის ყონახშიდ.

13 — აპრილს — დღეს ჩვენთვის თათარი წავიდა.

18 — თათარი მოვიდა ჩვენთვის. მანსუფი მოუვიდა, რიგი ექნა.

28 — პატრს წასვლა უთხრა ფაშამ.

29 — ჩვენი წასვლა თქვეს.

1 — მაისი — თათარი წავიდა ჩვენთვის.

6 — შუაღამეს წაგვიყვანეს.

7 — საფარას მოგვიყვანეს.

8 — თიკხების საცხარას მოვედი.

9 — არტაჰანს მოვედით.

10 — ყორავანგსა კოლისა.

11 — ოთურალი ვქენით.

12 — ფარაგოს სოფელში ფანჯორელს..

13 — გოთიქს მოვედით.

14 — ოლთას წ. წ. ძმასთან...

15 — იდს მოვედით.

16 — ყზილ ქილისას მოვედით.

17 — ინამქს მოვედით.

17 — აზრუმს ზანჯილხანაში მოვედით.

---

[81] A გვ. 96. [82] იქვე. [83] იქვე. [84] იქვე. [85] ამ ცილისწამებისა და შფოთის შემდეგ შაჰყულიანსა და ხარისჭირაშვილს შორის სამღურავი აღარ შეწყვეტილა. ახალციხეში ისინი კარგახანს უმძრახად იყვნენ. შემდეგ მამა პ. ხარისჭირაშვილი მოსცილდა ახალციხეს— ჯერ ქუთაისში წავიდა, ხოლო შემდეგ კონსტანტინეპოლსა და ევროპაში.

18 — ერთი თვე გახდა.
19 — თათარი მოვიდა არზით წ. წ. ძმას.
22 — წ. წ. ძმასთან ასპინძევს.
23 — გვიმახარობლეს წასვლა.
27 — მაისს — პატრი თომაიც ჩამოიყვანეს.
28 — წ᾿მ ბ. საძლისა.
2 — თიბათვეს — ქოსა ფაშა მოვიდა სივაზის.
13 — თემობის წ. მ. და ძმის ტერ იოანე მაიყვანეს.
16 — ქოსა ფაშა ყარსს წავიდა ჯარით.
17 — გამოგვიყვანეს სატყვეოდან და წამოგვიყვანეს ჰინგძსა.
20 — ბარას მოვედი.
21 — იდს მოვედით.
22 — ოლთისში მოვედით.
23 — ფანჯაროთს მოვედით.
24 — ტარალაჯის ობებში...
25 — ფიქლობს მოვედით.
26 — ვალეს მოვედით ახალციხისა.
27 — ვალეს მოვედით ახალციხისა.

1828 წ. 24. მარტ. აღდგომის შაფათს ამ დილას ლოგინშიდავე ვიყავ მწოლიარე, რომ სომეხთ მწვალებელთაგან დევნულობისათვის იასაული გინა ჩოხადარი მოვიდა არლის სოფელსა შინა და შინ შემოვიდა. მაშინვე სარეცელიდამ აღმაყენა და მითხრა: ბატონი ფაშა გიძახისთ. მაშინვე სახლი აღმიბეჰდა და ახლის საყდარიცა და უდიდამ მღვდელი მათი აღოშათ უი. ტერსტეფანი იქ გარდმოიყვანეს თავისმან იასაულმან. ჩვენ ურთიერთთან მსწრაფლ აღსარება ვთქვით და ასრე წამოგვიყვანეს ახალციხეს დიდშაბათს ყუშლუღისა და ტყვედ შევარდით ციხეში. თვანგჩიბაშის ყონაღშია ახალციხის მღვდლებიც დიდ პარასკევს შეეყარათ, მათთან ერთად ხიზაბავრის მღვდელი ტერ ანტონი; ვალიდამაც მღვდელი ტერ პოღოსი ამავე დღეს ჩამოიყვანეს ჩვენთან. აღდგომას უფლისას სატყვეოში ვიყავით. მერმე და მერმედ სხვა ადგილებიდამ ანუ სანჯაღებიდამ სხვა მღვდლებიც მოიყვანეს ახალციხისა. ვგონებ ათ დღემდინ აღდგომის შემდგომად ყველა მოასხეს და ურთიერთას ვიყავით. გავლილ აპრილს დიდ ხუთშაბათს საღამოს სა-

ჩქაროთ მოვიდა აზრუმის თათეოს ვარდაპეტი სულთან მაჰმუდის ფარვნითა განგებისად მანსუს, რომ თვით ეთქვა ორი ცხენი დამიდგაო, ამიტომ რომ ჩვენი აღდგომის დღესასწაული არ გვექმნა და კიდევაც აღასრულა და ჩვენს იმ დროს ვეზირს გირითლი სეიდ აჰმად ფაშას დაგვაპერინა. ამფერად დავჰყავით საპყრობილეს შინა 43 — დღე და ამ ორმოცდა სამ დღეში ჩვენი ფაშა არ ნდომობდა ჩვენს ექსორიასა შინა წასვლასა. ორგზის მანზილი მოავლინა სარასკარ ყალიბ ფაშასთან რიჯის საქმნელად, რომ არ წავსულიყავით სურგუნსა შინა. მაგრამ რიჯა არ გაიდა, რადგან ხვანთქარის ბრძანება იყო და მწვალებლებისაგან დაგრთამებული 500 ქერამდისინ. აქ ამ სატყვეოსა შინა მრავალი შიში და ჭირი ნაკლებ არ გვქონდა, რადგან შეწუხებისა და დარდისაგან მუცელა შეგვეყარა. დიდი პატივი კი გვქონდა ჭამა-სმითა ყოველ დღე-ღამ ჩვენი ახალციხის კათოლიკეთაგან მუდამ. უფალმან ათასეულად აღმატოთ და გააძლიეროს. და როდესაც ასრულდა 43-დღე ღამე, კვირა საღამოს საათის შვიდსა ცხენები მოგვიყვანეს შევჯექით და დიდის უპატიურობით წაგვიყვანეს, 20 იასაული გამოგვატანეს აზრუმამდისინ. ახალციხე დიდზარზარსა და შეწუხებას შინა ჩავარდა, რომ მეტად ტიროდნენ კათოლიკენი. იმ დღეს საკარეს აგვიყვანეს და იმ ღამეს იქ დავყავით. მეორე დღეს ავდეგით და საცხარას დავდეგით იმ ღამესა, აქეთგან ავდეგით, წარვედით და არტაანს მივედით და იმ ღამეს იქ დავდეგით. იასაულით მთავარმან ახორში შეგვინახა კლიტის ქვეშ. იქიდგან ავდეგით და ხორავანქს მოვედით და ერთი დღე იქ ოთურაღი გვაქმნევინა, ავდეგით და წარვედით, ფანჯოთს დავდეგით. იქითგან ავდეგით, წარვედით, ქოთიგს დავდეგით და იქიდამ წარვედით ოლთისს, ოლითისიდამ იდი და მეერვე დღეს ყიზილ ქილისა, მეეცხრე ყონაღი ინძქი, ინძქიდამ აზრუმი. ინძქს რომ მოვედით, დიდი ტირილი დაუდგათ კათოლიკეთა, რადგან მათი ორი მღვდელი წაეყვანათ ექსორიასა შინა. გაუახლდათ (მწუხარება) ჩვენის ხილვითა. ქრთამის მიცემით ჩვენის იასაულისა დიდის პატივისცემით თავიახთ სახლებში შეგვიწყნარეს იმ ღამეს მრთელი მღვდლები. თან ყოველთა აღსარება ჰთქვეს

მათ და სხვა სოფლებითგან მოსულთა არწითიდამ, თოანჩიდამ და სხ. მეორე დღეს ესოდენ ხნის უწირავთა ვსწირეთ და ის ხალხნიც ეზიარნენ დიდის გოდებით და სიყვარულით და მხურვალებითა. იმ დღეს შევედით აზრუმში. იქაურნი ზოგიერთნი მწვალებელნი აზრუმის მღვდელნი გვისეირებდნენ და ჩვენც სიყვარულით ვუსალამებდით და მსწრაფლ შევედით სატყვეოსა შუა დღისა, მაშინვე გვიჩვენეს სატანჯველების იარაღნი და ტომრუღნი და დაგვიწყეს ფეხთა შეყოფა მასშინა, და მერმე ფარასაზედა გარდაიწყვიტა. მივეცით 704 ყურუში უფრო მეტიცა. ჩვენი ახალციხის ბეგების აღა ბაირახტარის და ულამების არძა მუჰასარ ჩვენის დახსნისა მოუვიდა სარასკართ, შეიწყნარა ეს სარასკ.რმან, ამაზედ მახარობელი ქეჰიდამ აზრუმის თვანგჩიბაშის ოდაბაში ჩვენზედ ზემდგომი მოვიდა და გვითხრა, რომ ბატონმან სარასკირმან აფი გიყოთ, გინა აზატი და უნდა წახვიდეთ თქვენსავ ადგილს ახალციხეს. და იმ დღემდე გვაჩქარებდნენ, რომ მალე ცხენები იყიდეთ, რათა არ წახვიდეთ თარსის სურგუნსა. და ამ დღეს რომ გვიმახარობლა იმ ოდაბაშმან, ქეჰამ დაგვიძახა, წარვედით. კიბესთან რომ მოვედით, მას ჟამს რაღაც იეშმაკეს მწვალებელთა, დაგვაბრუნეს და ისევ სატყვეოში შეგვაგდეს და ეს ფერ გვაცოცხლეს კლიტესა შინა ზანჯირხანისა. დღეში სამჯერ გამოვდიოდით ყოველ დღივ თითო ყურუშს ვაძლევდით. ხანდისხან ორჯერათ. სატყვეოს შინა სიცხისაგან ვიხარშებოდით. — გარეთ გამოვდიოდით სატყვეოსაგან სიცივისაგან ვკანკალებდით. სხვანაირს გაჭირვებასაც ვსწევდით. ამ ფერ გავატარეთ კვალად ოცდაექვსი დღე, აზრუმს კათოლიკეერნი დაგხედემდნენ ხოლმე, ზოგჯერ პატივს გვაყრიდნენ. ნამეტნავად ახალციხელი ოვანჯანა ლალათ იოსებას შვილი, რომელიც თითქმის ყოველ დღივ დაგვხედემდა და ნუგეშისცემას გვაძლევდა და გვეწეოდა ყოვლითურთ. ჩვენც ვჰყიდულობდით საზრდელსა და ვხარჯევდით ფარასა — ვიდრემდისინ ივნისის ათშვიდმეტი გახდა. კვირა საღამოს მოვიდა ოდაბაში და გვიმახარობლა, ამას ღამეს უნდა წახვიდეთ თქვენს ადგილს ახალციხეს. იასის დროს გამოვედით და თვით ოდაბაში სინანოღლის ხანში წა-

მოგვყვა. იმ ხანის კარს ზედა მოვედით. ცხენები ჰაზირს ჰყავდა აზრუმელს კათოლიკეთა. იქ გვთხოვეს კათოლიკეთ ორი მღვდელი (რადგან აზრუმის მხრის მღვდლების თარსის განეძიათ) მივეცით ახალციხის უმფროსი ტერ იოანე ლაზარიანი, რომ ოთხი დღის წინად დასნეულებულ იყო იგი ქეჰის ბრძანებით გაყვანილიყო გარეთ ყონაღსა შინა ართვინელ მათოზას სახლში. იგი უკეთ გამხდარიყო. ერთი ის დარჩა აზრუმს, ერთიც არტანუჯელი ყაზანჯიან ტერ პოღოსი. ეს ორი მღვდელნი იქ დარჩნენ და ჩვენ ხანიდამ კურტნიანი ცხენები გამოგვიყვანეს. შევსხედით საათის სამნახევარსა გამოვედით აზრუმიდამ. გვეშინოდა კი ძალვან კვალად სომეხთაგან რომ არაფერი გვიეშმაკონ დეი. უკან დასაბრუნებლად მოვედით ერთს ჰალას შინა. იყო მთვარიანი ღამე. იქ ჩამოვჯეგით ცხენთ საძოვართათვის და ერთი საათი უფრო მეტი იქ დავიყოვნეთ. და შემდგომად ამისა შევჯეგით ცხენთა ზედა და ვიარეთ გათენებამდის ვიდრე მზის ამოსვლისა ინძქს მოვედით და აქომამდე ჩვენი ზანჯირჯი ჰასან აღა მოგვყვა ოდაბაშის ბრძანებითა. ივნისის 18 ინძქს დავსყავით და იმავ დილასვე იქ ვსწირეთ აკოფას სახლში. შაჰყულიან პოღოს ვარდაპეტმან, ხიზაბავრელ ტერ ანტონმან, და მე უღირსმან და აქ შეყოვნებით ამავ დღეს ორ შაფათს დიდი სიხარული დაუდგათ. თუ აზრუმელთა აქნობამდე გამოყოლილთ და თუ ინძქელთა და დიდი პატივიც მოგვცეს 20—მღვდელთ. ღმერთმან აღაშენოს იგინი და დაიცვას იგინი სულიერი და ხორციელი საცთურთაგან. იმავ დღეს შემდგომად შუა დღისა გასანდოთ დავჯეგით ვიდრე შუაღამემდისინ და გავინდეთ აზრუმელნი, ინძქელები და სხვაც სოფლებისანი.

ვითარცა წარსვლისა ვთქვით და აღვწერეთ. 19 აპრილს, დილაზედა ვწირეთ ინძქელთ ფიქრზედ და დიდის სურვილით და ნატვრით სიწმიდე მიიღეს (ვითარცა ცხვარი მარილზედა) და მეც თან ვიტირე მათ სიწმიდის მიღებაზედა. ამ დღეს მოვიდა სარასკირის ბრძანება ქეჰის ყავაზნი ახალციხემდის უნდა წამოგვყოლოდნენ. სამ შაფათს ავდეგით ოცივე მღვდლები ინძქიდამ ჩვენის მამულისაკენ წამოსასვლელად. ღვთის განუზომელი მოწყალებითა ამ დღეს

ბარას მოვედით და ღამე ვიდეგით. დილას ავდეგით იდს მოვედით. ღამის დგომითა და დილას ადვდექით ბანჯროთს მოვედით და ღამე დავდეგით. დილას ავდექით ფიქლობს მოვედით. ღამე იქ გავატარეთ, დილას ავდეგით ვალეს მოვედით ერთ ღამეც იქ გავათიეთ და დილას ავდეგით ახალციხეს ჩვენს მამულს შინა მოვედით ღვთის უხვი მოწყალებით. თვით მე სნეულ ვიქმენ ოლთისვე. მოვედი თუ არა მსწრაფლ სარეცელსა შინა ჩავწევი ათ თხუთმეტ დღემდე. ძნელი სნეულება ვსწიე და მერე უფალმან მომანიჭა სიმრთელე, რომლის დიდი მადლიერი ვარ. რუსისაგან ყარსის აღება არტაანს შევიტყე და ჩვენი ახალციხის დიდი არეულობა, ვითარცა შევიტყეთ იმფერით ვიხილეთ ახალციხე. აწ ვინც მღვდელნი ექსორიაში წავედით მათი სახელების აღწერა ჯერ არს: 1. უმფროსი ოცხელი ტერ იოანე ლაზარიანი, 2. შაჰყულიან პოღოს ვარდაპეტი, 3. მეფისა (გრძელ წვერა) ტერ სტეფანი, 4. აბინიან ტერ სტეფანი, 5. მღებარიანთ ტერ სტეფანი, 6. ოჰანათ (ჭრელოთ) ტერ ანტონი, 7. შილაგანთ ტერ იოანე, ხუციანთ ხიზაბავრელი ტერ ანტონი, 9. მაზმანიან ტერ სტეფანი ივლიტისა, 10. ხარისჰირათ ტერ პოღოსი ვანისა, 11. აღოშიან ტერ სტეფანი უდისა, 12. ზაქარიანი ტერ იოანე არტაანის ველისა იერლი, 13. ყულახსიზიან ტერ პეტროსი ველისა იერლი, 14. გათენიან ტერ იაკობი შავშეთისა სათლელი იერლი, 15. ფხიკიურელი ტერ პეტროსი, 16. ყაზანჯიან ტერ პოღოსი არტანუჯისა იერლი, 17. ბეთანიან ტერ იოანე ამას შინა მყოფი, 18. ტერ თომა კორბულისა ხოტაჯურისა, 19. ტერ პოღოსი იესეშვილი ართვინისა იერლი, 20. ყალფახჩიან ტერ გრიგორი ართვინისა იერლი, 21. მეფისიან ტერ გრიგოლი ივლიტელი, 22. მე ულირსი ტერ სტეფან ნავროზიანი იერლი ახალციხისა არლის მღვდელი (თუმანათ ტერ ანტონი იმერეთს გადარჩა დევნულებას) როგორც ცხადია, 27. თიბათ ახალციხეს მოსულან საყდრებში. ისევ დაბეჭდილი ყოფილა და მღვდლებს სახლებში უწირიათ და ულოციათ. ახალციხეში დიდი უსიამოვნება ყოფილა მაჰმადიანების არეულობის გამო. მათ. 20. მარიობ. ძლივ გაღებულა დაბეჭდილ დახშული ეკლესიები და მაშინ ღირსებიათ მხოლოდ

მღვდლებს ეკლესიებში წირვა ლოცვა.
17 — მკათათვე — ჯარი წავიდა რუსზე.
22 — მოშლილი მოვიდა.
3 — მარიობისთვე — ლაშქარი წავიდა რუსზე.
4 — დღეს ქოსა ფაშა და 2-სხვა ფაშები მოვიდნენ ჯარითა
6 — რუსის ჯარი ამოვიდა ტავშანთაფაზე და ბიბაურიდამ და კლდის ახსავალზედ ნახირის ჩამოსავალზე ისროლა მრავალი. ამათაც ბევრი ისროლეს. კლდეს დიდი ომი იქნა და ამათგან ბევრი დაიკოდა. 6-საათი იბრძოლეს.
6 — ამათ ბევრი ისროლეს, იმათ ცოტა.
7 — დღეს ორსავე ბევრი სროლა იყო.
8 — ორგანვე სროლა იქნა.
9 — მარიობას — საჰათის 10-იდამ დაიწყეს ომი 2-გნივ დარბაზნებით და საჰათის 12-იდამ ამათმა ჯარმა დაიწყო ტალულჯი[86]. წყრუთის ხიდიდამ მოჰყვნენ ხანჯრის წვერამდი ომით საჰათის 11-ამდი და რუსმა აიღო ორდი, 30-ჩადრი, 4-დარბაზანი და მარდაც დაიჭრა.
10 — დღეს დიდი სროლა მარტო რუსთაგან სეტყვასავით ყუმბარა 3-გნივ სეტყვასავით დარბაზნის გულლა ცვიოდა.
11 — ახლო ორ ალავას ხიდის ყურთან და ანასის ყანასთან სანგარი ჩამოიტანეს და ისროლეს.
12 — მარიობა სროლა იყო, მაგრამ არა ბევრი და მუთი ალა ჩამოგზავნეს რუსებმა[87].
13 — ამ დღეს ცოტა სროლა, მა(რა) ამალამ ბევრი.
14 — კემ ხელის თაბია აიღო.
15 — გაიმართა დიდი სროლა დილიდამ შუაღამემდისინ.
16 — ველარ ვსწიე — შემოესივნენ ქალაქს, იანლუნი მისცეს იალმა ჰქმნეს და მარტო ჩემი ერისაგან 8 მოჰკლეს.
20 — იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ვსწირე[88].
17 — ენკენისთვე — პასკევიჩი წავიდა არტაანსა[89].
24 — დღეს პასკევიჩი ვნახეთ და ხუთ-ხუთი ბაჯახლო მოგვცა თითო მღვდელს, შვიდი ვიყავით[90].
19 — ღვინობისთვეს — წურწყაპს რუსის თარაქამა მოშალა აჰარელის ჯადიხაჯმა (?) შაჰყული წავიდა თბილის ქალაქს.

---

[86] ტალულჯი. წინასწარ შედგენილი გეგმით მოძრაობა. გვ. 103, ტალყალიჯი.
[87] A, გვ. 103.
[88] A, გვ. 103. [89] იქვე. [90] იქვე.

1 — ქრისტეშობისთვე — ნეფისად ტერ სტეფანი მიიცვალა[91].

19 — ქრისტიშობისთვე — დღეს პეტრემ და გოგინათ ატომ სოფლები იყიდეს: ანდრიაწმინდა, საფარა, ნახევარი ღრელი და ლაშიხევი.

1829 26 — იანვარი — 1 სოლდათს თავი მოსჭრეს თათრებმა სხვილისს.

27 — წყალთბილას დაჰკრა რუსმა.

28 — გოგო ვიშოვეთ.

16 — თებერვალი — დღეს აჭარლის ჯარი მოვიდა უდეს ომარაცა[92].

17 — დღეს ქოდა ომარაცა ჩავედით ციხეში.

18 — ჩვენთვის ციხეში შევედით.

19 — ამასლამ ბაზასტანაში შევედით და გამთიადისა აჭარელი სელიმ ფაშისშვილი აჰმად ბეგი მოვიდა ახალციხეზედ, უნდა აეღო ციხე. ჩვენ მრავალი ხალხი ბაზასტანში დავემწყვდით. ამ დღეს და შუადღისა ქურქჩების ბაზასტანის ჩარსი კარისკენ მოგვადგნენ ოსმალოს ჯარი და მრავალი შიში გავსწიეთ, რომ ფანჯრებში თოფს გვესროდნენ. მრავალი შიშის მერე მე და მღებრიანთ ტერ სტეფანმან ერთი სავარდო ვთქვით სიხარულისა. იქითა კარზე მრავალი ხალხი იყო შეგროვილი. სავარდოს თქმის შემდეგ ციხის პირდაპირ ის კარი გავაღეთ და გავიქეცით დიდით სისწრაფითა და გარდაველით ციხის წინა ზედანში. ხშირ დაბინდებამდის მრავალი მწუხარება გამოვიარეთ, რომ ჩვენს თვალწინ ორი სამი კაცი მოგვიკლეს თუ ქართველისა თუ ჩვენი. დაბინდებისა ციხეში გადაველით ზოგი კიბით და ზოგი თოკით. 20 თებერვლისა 500 სულზე მეტი. იქ დავჰყავით ათ-თორმეტი დღე და ამდენს ხანს ციხეს ადგა ოსმალოს ჯარი და მრთელი ეს დღეები მრავალი შიში, შიმშილი, და შეწუხება გამოვიარეთ. თუმც ქბილს გვაძლევდნენ სახელმწიფოს, მაგრამ ვერ ვხმარობდით რიგზედა. გარეთ ქალაქი ერთიან აგვიოხრეს მთელი სახლის ყოფა-სცხოვრებელი ტანისამოსი, საგებელი, ავეჯეულობა, საქონელი ერთიან მტერმან წაიღო. 80-მდის

---

[91] იქვე.

[92] იქვე, … მათთან ომარ იცა.

ტყვე ქალ-ვაჟი და ციხე კი ვერ აიღო[93].

20 — მასარაში შევედით.

6 — მარტს გავედით სახლში.

25 — დღეს წამოვედით, ბორჯომს დავრჩით.

29 — დღეს აჰარლისა მოსვლა ითქვა სამტროდ. შიშისაგან გავიქეცით მე და მღებრიანთ ტერ სტეფანი. ჩემი და მის დიანთანაც ხიზაბავრისაკენ წავედით. ამ ღამეს წითელ კლდეს დავრჩით[94].

1 — აპრილი — დღეს კარახტინში მოვედი.

5 — კარახტინი გაგვაწევინეს 15 დღე[95].

21 — კარახტინითგან გამოვედი[96].

22 — ოთხი დღე ხაშურს ვიყავით[97].

26 — მუხას[98].

27 — მოველით გორს[99].

15 — მაისი — ხიზაბავრიდან აწყვერს წავედი მენახირიანთ ანტონასათვის მოყვარე, ღამე დავდექ და მეორე დღეს წამოვედი[100].

1 — ივლისი — წამოვედით მე და იქაური ტერ ანტონი ხიზაბავრიდან 5 დღე არ მიწირია. დამიბარა უფროსმან ტერ იოანემ[101].

21 — ქამიანობაში შევედი. დავასაფლავე მრავალნი მიცვალებულნი უდეს, არალს და ვალეს სოფლებში[102].

1830 28 — მკათათვე დღეს მოვედი გორიდან ახალციხეს[103].

9 — ღვინობისთვე გუბერნატორი მოვიდა[104].

26 — ხელმწიფე მოვიხსენიეთ[105].

27 — გუბერნატორი წავიდა[106].

29 — ჩილოი ტყვეთ ჩააგდეს, 6 — გიორგობას გამოუშვეს[107].

1834 5 — ქრისტიშობისთვე — პატრი ფილიპე მოვიდა[108].

1835 ... მკათათვე — პატრი ფილიპე მოვიდა უმფროსი[109].

6 — მარიობა — პატრი ფილიპე წავიდა[110].

13 — მარიობა — პატრი ფილიპე მიიცვალა.

1836 9 — ღვინობისთვე — მთავარმართებელი როზენი მოვიდა.

---

[93] A, გვ. 104.

[94] A, გვ. 105. [95] იქვე. [96] იქვე. [97] იქვე. [98] იქვე. [99] იქვე. [100] იქვე. [101] იქვე, [102] იქვე. [103] A, იგვ. 106. [104] იქვე. [105] იქვე.

[106] A,'გვ. 106. [107] იქვე. [108] იქვე. [109] იქვე. [110] იქვე.

11 — მთავარმართებელი წავიდა როზენი ასპინძისკენ.
13 — ქრისტიშობას უეცად უმფროსი ტერ იოანე ოცხელი გარდაიცვალა.

1837 ... უმფროსობდა პაირ ეფრემ სეთიანი მხიტარისტი[112].
15 — მაისი ამანათი გავატანე სარიკონოთ თომასა 11 წყვილი წინდა, 1 წყვილი პაიჰი ეთეთოსი, 3 წყვილი წინდა, 2 წყვილი წინდაც საჩუქრად ნურაკანასთან. ამას გარდა გავატანე 10 ურუბი ია და 10 მანათიც თითონ მართებდა ამათში უნდა მიყიდოს ერთი ბინიში, 1 გიარ მასუდის საკაბე, 1 მელისე და ცოტა ბალახინი. ნახმარი ტოლამაც ეგების შეხვდეს.
1 — ღვინობისთვე — ამაღამ საჰათის 12-ზე ნიკოლა პავლოვიჩი, ხელმწიფე რუსთა მოვიდა და დღის საჰათის სამზედ წავიდა ახალქალაქისკენ.

1838 20 — აპრილს ვიტოლათ ლუკას გავატანე 10 წყვილი წინდა სარი კონოს თომასთან.
3 — მაის — გარდაიცვალა პაირ ეფრემ კარგი კაცი[113].
11 — მიიცვალა პატრი თომა ქამითა, უმფროსობდა შემდგომ მეფისათ ტერ გრიგოლი[114].
9 — მკათათვე — გუშინღამ შაჰყულიანი მოვიდა და წიგნი წაგვიკითხა[115].
19 — მარიობისთვეს გუბერნატორი და კრებული მოვიდნენ აქა და დღეს წავიდნენ.
25 — გიორგობას, ორი გოგო მოვიდნენ ხიზნათ.

1838 3 — იანვარს შაჰყულიანმა ერთი გაჰყო ექვს ნაწილად[116].
2 მაის — პალიათ პეტროსას და სარი თომას გავატანე 20 წყვილი წინდა სარი კონოს თომასთან.
7 — მაისს პატრი უმფროსმან სწირა წმინდა იოანე ნათლიმცემლის ეკლესიაში და იქადაგა[117].
9 — კათათვე საღდარში ერს მოსვლა დაუშალეს ჰირის გამო.
10 — 42 ყურუში სელიმას ვასესხე.
16 — შაჰყულიანი გაიყვანეს.
26 — შაჰყულიანმა საღდარში სწირა

---

[112] იქვე. [113] იქვე.
[114] A, გვ. 106. [115] იქვე. [116] იქვე. [117] იქვე.

1839 4 ღვინობისთვე ნავროზათ ტერ სტეფანე მიიცვალა[1].
18 — ამაღამ თოკი აიხსნა, შაჰყული მოვიდა.
27 — ბებუთოვი წავიდა.
6 — მარიობა — ნეფისათ ტერ გრიგოლი დაბნდა წირვაზედ და ბენბიდან გადმოვარდა შესამოსით[2].
26 — ქრისტიშობა — პლანის საღდარი აკურთხეს დიდებით.

1840 ... ამაღამ თავი აიხსნა, შაჰყულიანი მოვიდა წმინდა[3] იოანეში.
25 — მარტი — შაჰყულიანი ჩუმად წავიდა ქალაქს.
26 — შაჰყულიანი მობრუნდა.
28 — პატრი დამიანემ დამაყენა უბრადთ (?).
29 — მაის — საღდრისა ილული მომცეს.
26 — თიბათვე — პატრე დამიანე წაბრძანდა.
15 — კათათვე — სარი კონოს თომასთან 12 წყვილი სარი ოსოს შვილმა გატანა ურიას.
18 — მარიობა — შაჰყულიანი პლანში გავიდა საწირავად[4].
30 — პატრი ფრანჩისკემ ქვემო საღდარში სწირა ხმოვანი და შაჰყულიანი ცხადად შეაჩვენა. დღეს რძალი ასპინძას წავიდა.
8 — ენკენისთვე — შაჰყულიანი აიხსნა.
9 — დღეს პატრები წავიდნენ ფრანჩისკე უფროსი და დამიანე.
16 — გიორგობას — ამაღამ ელისაფეთის კრიალოსანი გაიცვალა ბეთანათ სოლომონასთან.
27 — გიორგობას სარი ოსოსძე აკოს გავატანე 14 წყვილი წინდა თომასთან.
22 — ქრისტიშობა — შაჰყულიანი მოვიდა[5].

1841 21 — თებერვალს — სეროფათ სტეფანას გავატანე 10 წყვილი წინდა.

---

[1] A, გვ. 106. [2] იქვე. [3] იქვე. [4] A, გვ. 107.
[5] A, გვ. 107.

17 — თიბათვე — შაჰყულიანი გაღმა გაიყვანეს[6].

28 — ენკენისთვე — შაჰყულიანს უმფროსობა მოუვიდა კრებისგან და ეპისკოპოსისგან[7].

1842 12 — თებერვალი — გარდაიცვალა აბინათ ტერ სტეფანი დღიურების დამწერი.

* * *

XVII ს. გადაწერილი „ფსალმუნის“ (სჯმხფ. საქ № 187) ბოლო ფურცელზე შინაწერი — „ეს წიგნი ტირაცუ მურადასია“; მე-13 გვერდზე — „შენ ქრისტიანი ხარ, ჰე მეც ქრისტიანი“.

თომმა კემფელის ცხოვრების თარგმანის მოსახსენებელი ტულუკაანთ დავითის მიერ (სჯმხფ, საქ № 160, ვგ. 254—255);

„დავასრულე ესე მხურვალე და სულიერი წიგნი თომა კემფელისა სახელდებულად იესო მარტვილობისათვის და სასარგებლოთ ძმათა და დათა სულიერთა სულთათვის წ˝ა ჰრომის ქალაქსა შინა მთავრობასა კლემენტეოს მეთორმეტე ჰრომის პაპისასა სასწავლოს შინა უცხოთასა რ˝ლსა ლატინურად ეწოდების ფროფაგანდა ფიდე.

აწ ძმანო და დანო სულიერნო, რაც ამ წიგნის წაკითხვით გემო ნახოთ და სულიერათ ინაყოფიეროთ ღ˝ს შეავედრეთ და იყოს მისივე სადიდებლად და თუ რომ სიტყუათა ღულარჭნილობა ანუ უშვერობა იხილოთ, მე დამაბრალეთ, ამისათვის რომელ მრავალნი სიტყვანი და სახელნი ქართულნი თავათ პ˝ელ არ ვიცოდი და თუ რამე ვიცოდი, ისიც დამავიწყდა. ამისათვის მრავალი შრომითა, რუდუნებითა, ზრახვითა და სარჯლითა ძლივს გადმოვსთარგმნე ლატინურის ენისაგან მისთვის, რომ ეს წიგნი მრავალთ სხუა და სხუა ენათა ზედა გადმოთარგმნებული არის და მე ვიზრახე, რომ არამც და არამც ჩვენი გვარი ამ სიკეთის ნატრული დარჩეს. ამისთვის გადმოვათარგმნინე და ჩემი უმცოდინარობისათვის და ნაკლებობისათვის შენდობას ვითხოვ მე.

ყ˝დ მზა და ყ˝დ მხურვალე მონა საქართველოს გორელი ტულუკანთ პაპაშვილი დავით“

(წარწერა 1784 წლის ჯვარის ამაღლების ქადაგებათა წიგნზე, სჯმხფ. საქ № 194):

---

[6] იქვე. [7] იქვე.

„მე მონა მონათა მსახურმა პავლე ართანუჯელმა დიაკონმა დავწერ ეს უმცირესი ნაწერი“.

XVIII ს-ის ბოლო (სჯმხფ. № 188): შემოწირულებათა კონდაკი

„ტალავარების მეორე დღენი, მერე ლოცვები დიდი ჯვარის მეორე დღე და მარიობის მეორე დღე და ფერის ცვალების მეორე დღე და ახალკვირის იმავ ეკლესიის კეთილმყოფელთა და შემწირველთათვის იწირვის და საწირავი ეკლესიითგან მიეცემის.

ქ. ამ ოთხ დღეთა 1. წ˜ნების დღესასწაულსა 2. დიდი ჯვარისა, 3. წყალკურთხევისა მეორე დღესა 4. აღდგომის მეორე დღესა. ერში მოიკრიფება საწირავი, მიეცემა მწირველსა და დანარჩენსაც მღვდელნი გაიყოფენ. წითელ პარასკევს და ქტრანის 9—დღისა და მარტის პარასკევების და შობის 9 — დღესა ხაჩამბერი გლახაკებისა არის, და სხვა ჯვრიების ხაჩამბერი დიაკვნებისა არის და 9 — დღისა შობის უწინ გლახაკებისა არის“.

„ხოჯა ... ერთი ჭაში გირქი და ერთი გაურქი შესწირა, ღ˜თან შეიწყალოს ტერ მარკოზის დედა ეზდი ხათუნი რომ შესწირა სურბ ნიშანს ერთი სახრის შურჯარი და ერთი ვაკასი.

ღ˜თან შეიწყალოს ტერ მარკოზი, რომ შესწირა სურბ ნიშანს ერთი ჯვარი, რომელშიდ სურბ ნიშანი ზის ნაწილად და ერთი პატარა ჯვარი თანვე ერთი პატარა ჯვარიც ტერ დავითამ დაჰკიდა ზედა“.

1800-იანი წლები (სჯმხფ. № 158). ანტონ კათალიკოზის — „არისტოტელის ნაღვაწი კატეღორიაა“ ყდაზე — 1) მინაწერი: „ნურალიანთი მართებს საპონი ცხრა ნუკს ნახევარ თუხტნ, ხუთი ყურუში ხემანდილებისა“ 2) „აკოფაი მიმიცია ძიძისათვის, კათათვის პირველს მივეცი. ა. ამჯერათ ჩვიდმეტი ყურუში. მაისის ჩვიდმეტ დღე გასულს ხუთი ყურუში მიმიცია ძიძისთვინ. თიბათვეს 2 — ყურუშის ყველი მიყიდია კათათვის ორ კვირა გასულს, ორი ყურუში მიმიცია. მარიობისთვის პირველს ორი ყურუში მიმიცია. კიდევ მიმიცია თხუთმეტი ყურუშის ხემანდილები. სამი ყურუშის სამარხო თუ კორკოტი წამირთმევია, სხვა საძუძურში გამიბარებია. გადაუხდია ამისი ვალი თებერვლის დამლევ, რომ ჩემი იმაზე არა არის. სოფლიდამ რომ ჩამოვიდა, ოცი ფარა კვრისთვინ მიმიცემია, ოცი ფარაც საძუძურში მიმიცია. გარდუხდია“. იქვე 3. ბოლო. ფურცლის მინაწერი — „შეიწყალე უფალო გიორგი ტაშანაშვილი მღვდელი“[8].

[8] გიორგი ტაშანაშვილი უნდა იყოს აღნიშნულ კატეღორიათა გადამწერი.

1812 წ. თიბათვე — წარწერა საფლავის ქვაზე — „დიდებათ ანტონას საყნოსელ ვარდი, პეტრე ყვავილის სენით დავარდი და მსწრაფლ მის მეოხედ უფალს მივბარდი“.

სჯმხფ. საქმე № 210 — მინაწერები

„პილიმუზაშვილ პეტრეს გადაწერილ ერთ სახარებას, რომელიც ინახებოდა პატრებიანთ ეკლესიაში, ასეთი მინაწერი აქვს თავფურცელზე: ქ. ჩემი ლუკაი დაიბადა იესოს წყალობითა ღვინობისთვის 14, 1816 მოინათლა იმავ თვის 4 — დღეგასულს დაბადებიდან და აპაპაი იყო თავისი ბიძა ინოი. ჩემი მეორე შვილი სტეფანაი დაიბადა გიორგობისთვის 4 და მოინათლა იმავ თვის შვიდსა და აპაპაი იყო თავისი ბიძა ინოი.

ჩემი და რისიმა დავაქორწინეთ 1819 წ. იმავე წლის იანვრის 16 რომ ღმერთმა ერთმანეთს შეაბეროს პუწათ ქეროფასთან მეუღლეთ“.

„ქ. ჩემი დისწული რისიმას პირველი შვილი ივანჯანაი დაიბადა 1819 წ. იმავე წლის ღვინობისთვის გასულსა, რომ ზემო საღდარს მოინათლა და მირონი იცხო შილაჯებიანთ ტერ ოვანეზისაგანა და იმანვე შესწირა სურბნიშანში 22 დღისა და სურფ ნიშნის მადლმა და ძალმა თავის მადლში და ფორველობაში დაიფაროს ყოველი საცთურებისაგან და უცოდველათ გაზარდოს ამინ და ჰაპაპაი იყო ქვიათ ანტონი“.

„წელსა 1801[9] დაიბადა ასული ქეროფასი და მისი სჯულიერი მეუღლე რისიმაი ამავე წლს იპნორის 9 და მოინათლა იმავე თვის 13, რომლის სვინა იყო პეტრე ქვიანთი და სახელი ეწოდა ელისაბეთ“.

„1841-სა წელსა კათათვის 24-სა დღესა უფლის შეწევნით დავქორწინდით[10] შენდობილი ჯინოთ სტეფანას ასულს სოფიოსთანა, რომ უფალმან კეთილათ შეგვაბეროს ერთმანეთთანა თავის მადლშიდა. ამინ“.

სჯმხფ, № 3231 სასწაულნი ყ҆დ წ҆ა მარიამისა შესავალი.

1. „ვეცადეთ ადვილად შესატყობელი თხზულებითა დაბიურად დაწერა ამისა, რომლითაცა ისარგებლონ ნაყოფიერების გამოღებითა და კეთილი სიცოცხლითა ამას სოფელსა ზედა“.

2. ბოლოს — „თქმული წიგნაკის ამის მოთარგმანისა:

---

[9] შეცდომაა, უნდა იყოს 1821 წელი. [10] საუბარი უნდა იყოს მეორე ქორწინებაზე.

ამის მკითხველო, აქ დამიკვირდი,
თუ ხარ მოწაფე ქრისტეს შაგირდი,
მათს შეყვარებას ეხლავ დამპირდი,
ცოდვილი თუ ხარ, ღმერთს აუტირდი“[11].

სჯმხფ, საქმე № 210, გვ. 3 XVIII ს-ის ბოლო XIX ს-ის დასაწყისი. მინაწერი ლოცვანის ხელნაწერ წიგნზე „პეტათ ჰასანასაგან ავიღე ლუკას წილათა კასაპანტან რომ ყანა იყო 5 კოდი პური თაეედი, ბეგის ყანისა 18 კოდი ასანას კოდით. იმის ზეიდამ პატარა ყანა რომ არის იმისი დიკა 16 კოდი ისრევა ჰასანასთან არის მიბარებული თავნიცა შიგ არის არ გამოუყვია. კიდევ 26 კოდი არის ასანასთანა შოშასიც და ლუკასიც ახსახალის ძმის წულისაგან საკუთარი ლუკას ერგო 8 ასლი (?) ესრევა იმასთან არის პეტათ ჰასანასაგან ერგო 8 ასლი პური დიდი ყანისა.

კიდევაც ერგო პეტოთ ჰასანასაგან დიდი ყანისა 8 სომარი კოდი პური.

ჩემი მოლისა მართებს ორი ოზდაშვიდიანი ოქრო, სამიც ურუბია.

სჯმხფ, საქ № 210: XIX ს. დასაწყისი — ქრისტეს შობის ხელნაწერი წიგნის ბოლო ფურცელზე მინაწერი: „კოლაპატური კოდი ოზდა თექვსმეტი კვანჩხი კოდი ιγ — თორმეტი

ჰიორატი (ჰორიტი) კოდი ιγ — თორმეტი

გვტრდეთული კოდი ι — ათი

წითელი გვერდი კოდი λ — რვა.

ჩვენი ყანების სახელიც ეს არის და თესლიც ყველაში სამოცდათვრამეტი კოდი ჩადის.

## ანტონ ხუციანოის (ხუციშვილის) წერილი კონსტანტინოპოლელი ეპისკოპოსისადმი

„მათს ყოვლად მაღალს და უწმინდეს საყდრობას და ბრწყინვალე პატიოსნებას უფალსა ჩუენსა ვანჩენციო მთავარ ეპისკოპოზსა[1] .... პირველად რომ აგერ თერთმეტი წელი არს რომ მე მღუდლად ვკურთხევდი. ვარ ჩვენის უფროსის მორჩილების ქვეშ

[11] ეს სახარება თარგმნილი და გადაწერილი არის მამულაშვილისა.

[1] იგულისხმება სტამბოლის კათოლიკეთა მთავარეპისკოპოსი.

და ამ თვრამეტ წელიწადში სადაც მას უბრძანებია მისის ბრძა-ნებით ყველგან ბაროხობა მიქნია; თუ არალს და თუ ვალეს და თუ ხიზაბავრას. და ეს ხიზაბავრა ყველას მოეხსენება თუ რო-გორ სამტრო ალაგი არის და ანუ თუ მტრის ხელით და ერის და ბატონის ხელით რაც გამიწევია ყველამ კარგად იციან და მეც კ͠დ თქვენის საყდრობის წინაშე განგიცხადებ შემოკლებით თითო-თითოდ.

მეორედ, რომ ეს არის ჩემს მღვდლობაში პირველი ჩემი გარდასავალი, რომ როდესაც რუსი ახალციხეს შემოადგა და ჩვენ მათს უფლებას ქვეშ მომწყვდეულ შევრჩით (რადგან გზა მათი იყო ხიზაბავრაზედ) ამისათვის ბოლოს როდესაც დამარცხე-ბულნი უკან გაბრუნდნენ და ჩვენ ხელმეორედ აგარიანთა ხელში შევრჩით და აგერ მაშინ გარდამახდევინეს შარი შილთახით. სა-მასი ყ͠ში ფარა და მთელს სოფელს თორმეტი ქისა თეთრი.

მესამედ ამ მიზეზზედ ერთი კაცის ცოლშვილი გაყიდეს აგა-რიანთა და ესენი დავიხსენით, ვითამც ზოგნი ამათგანნი და მერ-მედ ბატონი უმფროსის და იშხანების ნებით და წერილით ლივა-ნას წაველი, რათა წყალობა მომეკრიფა და გარდამეხადა ვალი და იქაც გამიდიდდა კიდეც და როდესაც ლივანიდან შინითკენ გამოვ-ბრუნდი დამიხუდნენ მაჭახელნი და სიკუდილის საცთურს გარდა, რომ წყალობა მომეკრიფა დასრულ წამივიდა. და ექვსასი ყურუ-შის რამეც ჩემი წავიდა და ცხენი თუ საბათი თუ სამოსი და სხვაც ბევრი რამე და თან მსახურიც ტყვედ წამივიდა და ფხიკიურელი დავახსნევინე.

მეოთხედ კვალად როდესაც რუსმა ახალქალაქი აიღო და რადგან ჩვენ ახალქალაქზეც ახლოს ვართ, ამისათვის აგარიანთ მთელი სოფელი ილმა ჰქმნეს და მეც მათთანა და მაშინ მეზიანა თუ სახლიდამ და კარიდამ თუ საქონლიდამ და თუ პურიდამ სა-მიათას ყურუშამდისინ და ერთს წელიწადს უდისკენ და ვალის-კენ ექსორიად ვიყავით მეც და სოფელიცა დიდ შიმშილობაშიდ და სიმწუხარეშიდ.

მეხუთედ როდესაც ექსორიიდამ ისევ ჩვენს სოფელში გაგვ-გზავნეს, მაშინ მოვვეცა ერთი უსამართლო ბატონი; რომ ცალკე მისმან ზულუმმან და ცალკე დიდმან შიმშილობამან მიწა-მტვრად გაგვხადა და ამასაც არ გვაჭერებდა უსამართლო ბატონი და მრა-ვალი სოფლიდამ ტყვეების ყიდვა დაიწყო. სადაც ქვრივნი და ობ-ლები იყვნენ აღარ გაუშვა და ჩვენის ხიზაბავრიდამაც მრავალჯერ

მოიწადინა რომ ქვრივ ობოლი გაეყვანა და გაეყიდნა, მაგრამ ღმერთის შეწევნით ჩემი თავის სიკვდილის საცთურში ჩაგდებით გაუმაგრდი და ვერასოდეს ვერც ერთი ობოლი გაიყვანა, მაგრამ ამ მიზეზით მე კი დიდად ჩამომეკიდა, რომ სასიკვდილოდ მდევნიდა, ბოლოს მისგან დევნილი ალი ფაშას ჩაუვარდი და მის დროს რაც შიში და ნაღველი გარდვიხადე პ῀ლ ღ῀მან იცის და მერმედ თემობამან და ამისთვის მრავალჯერ გზიები შემიკრა, რათა დავეჰირე და მოვეკალი და ამ მიზეზისაგან რათა რომ ტყუე არ მაყიდვინაო სხვა მიზეზის დაბრალებით ხუთასი ყურუში ჯარიმა გამაწევინა, რომ ათას ყ῀მდინ დამიჯდა წლის სარგებლითა.

მეექვსედ რომ შთავარდი გლახს ერში, რომელთაც თავიანთ სარჩო არა აქუსთ და მე რას მამცემენ და ამფერად უსარჩოოდ ვარ და ვალით ვსუამ და ვსჰამ და ათას ორასი ყ῀ში ვალი დამედვა, მაგრამ მაინც იმ შეწუხებულს ერს უვლი. მაშ ახლა გავსინჯოთ თუ რა მიზეზი არის ჩემი ესოდენი შრომისა და ესე იგი.... რომ რათა ჩემი ვალი აღვასრულო და ღ῀ის წ῀ე მოვალე არ დავრჩე. მეორედ ღ῀სისა და წ῀ა ეკლესიის პატივისათვის და მესამედ რომ ვუყურებ რომ ჩვენს პატივდებულს უმფროსს იმოდნათ არ დაუჯერებენ და არ დაემორჩილებიან და თან ვხედავ რომ რაოდენიმე სოფელნიც უმღვდლოდ ჰყავს და ამ მიზეზებისათვის ამდენს დაჰირებებს ამფრად ჰირიანმან კაცმან შეუარე არლისას, ვალესას და აგერ თორმეტი წელიწადია ხიზაბავრას ამდენის საცთურით, რომ რაოდენ გზის ქალაქმა და სოფელმან აგონეს რომ მე ხიზაბავრის ბატონი აღარც მაცოცხლებდა და ამფრად საცთურებისაგან დაზიანებისა და სხუა სახორციელო ნაკლებულობათაგან შემწვარი ორმოცდაათი წლის კაცი ოთხმოცი წლისზედ უფრო მოუძლურებული გავხდი. რომ მეც აღარ შემიძლია და უყურებ სხვებს, რომ მათი მღუდლად დაკურთხვა არც მახსომს რომ ჩემზედ კარგათ და მხნედ არიან. მაგრამ ახლა მეც უყურებ რომ ყველანი, რომელთაც არც ერთი შეწუხება გაუწევიათ იგინი ცდილობენ თავიანთი ვალისაგან და სოფლების შევლისაგან განთავისუფლებას ეძებენ (ეა ვ῀დცა ჰპოეს). რომ ოცხელი ტერ ანტონი ერთის სოხუმს წარსვლითა განთავისუფლდა რომელიცა თავისი სარგებლისათვის იყო მისი იქ წასვლა და თუ იქ შემთხვევითად ეკლესიას შესძინა მცირე რამ სულნი აგერ მეც ხიზაბავრაშიდ ეკლესიისათვის შემიძენია ექვსი სული მწვალებლებისაგანნი და რაც აგარიანთაგან კაթოლიკენი გამომიხსნია და არ გამიყიდვინებია და ანუ გაყიდულ-

ნი არა მხ῀დ საცხოვრებელის ზიანით ა῀დ იმავ სიკვდილის შიშის საცთურით გამომიხსნია მათი რიცხვი ვინლა მოგახსენოს ჩემო ბრწყინვალე მამაო. და თუ იმას უმიზეზოთ განთავისუფლება ერგება მაშ მე რატომ უფრო სამართლით არ უნდა მერგოს?

ამას გარდა კ῀დ ვწერ თქვენს მაღალს და ბრწყინვალე ნათელმოსკლას მყუდრობასა რომ მე თუ სხვა სოფლების ბაროხებმან ამფერნი ტვირთნი ამისთვის თავს ვისხით რათა არა დაქეჯნილდაქელილ იყო კანონი და რიგი ამ ახალციხის თემისა (ესე იგი არს) რომ აქ ამ თემში კანონი და ჩვეულება იყო, რომ როდესაც ახალციხის ერში რომელიმე წილი უმღვდლოდ გ῀ა ცარიელა დარჩებოდა თუ მღვდლის მოხუცებულობის გამო და მღვდლის სიკვდილითა, მაშინ ამ თემის უმფროსი რომელიც იქნებოდა რიგისაებრ მღვდელსა მას რომელსაც უწინარეს უფროს სხვათა შეევლო სოფლისათვის. აგერ იმას ქალაქში შთამოიყვანდა და იმ დაცარიელებულს ერსა ზ῀ა მწყემსად დაადგენდა და იმ სოფელს, რომელიც ახლად კურთხეული მღვდელი იქნებოდა მას ჩააბარებდა რ῀ა მას ეზრუნვა ერსა მისთვის. და თუ სხუა ახალი მღუდელი არავინ იყო, მაინც უფროსი სხვაფრივ იზრუნებდა, ვიდრე აქამომდე ამფერად გვენახა რიგი და კანონი ამ ჩვენი თემისა. და ახლა კი უყურებ, რომ რიგი ამბობს — მე დიდი კაცის შვილი ვარ და სოფლად არ წავალ. რიგი ამბობს, რომ — მე ჴირის პატრონი ვარ და ჩემს დღეში სოფლად ფეხს არ ჩავდგამ. მაშ აბა ჰგავს რომ ჩვენ ვყოფილვართ პატიჲისა და საცთურისათვის გამეტებულნი და უპატრონონი და ამფერათ ვიწვათ-ვიდაგნეთ მძიმეს ტვირთვის ქუეშე და მათ კი თითითაც არა ინებონ შემურა და უარესი უფროს სხუათა რამეო ეს არის რომ სოფლის მღვდლებსა არა თუ მღუდვლად ა῀დ ლიტან ციცათაც არ გვთვლიან აქ ზოგნი ქალაქის ბაროხნი, თვარემ რა უნდა იყოს ის ამფერი უსამართლობა ჩვენს თავზედ. ჵუ რომ იტყვიან რომ დიდი ციცისშვილნი ვართ, მე ვგონებ რომ როდესაც მღვდლობა მივიღეთ ყ῀ლნი ძმანი და ერთი დედა ეკლესიის შვილნი და მორჩილნი გავხდით. და მწამს რომ ღმერთი თავის ეკლესიაში ზენგინს და გლახას არ არჩევს და ეძებს თავის მორჩილსა და ამისათვის მეც თავიანთ მქონიერებას არაფრად შევრაცხამ ამიტომ, რომ თავიანთი მქონებლობით იმათ არაოდეს ჩემთვის პური არ უჭმევიათ. თუ არ რომ მევე თავს ქვაზე ხლითა და ვალითა ვრჩები ერთს მტრისგან გაფუჭებულს სოფელშიდა. და უფრო რიგიც არის, რომ თავიანთის მქონებლო-

ბით მათ შეუძრონ იმისთანა გლახაკთა, რომ უფრო არაფერს ნაკლოვანებას არ შეიჩნევს, და თუ იტყვის ´ ჭირიანი ვარ ´ ამ სიტყვაშიდ ჰპოებ სიცრუესა, რადგან იმის ჭირი ეს არის რომ თქვენთან თავი იმართლოს, რომ ჭირი მჭირს და სოფლად ვერ წავალო. თვარემ ჩემი ჭირი და სატკივარი ყ´ლა მღუდლებმაც იციან და ერმაცა. და თუ ამ ჩემს შემჭირვებას ბატონს პატივდებულს უფროსს შევჩივლებ, ისიც მეტყვის თუ რა ვქნა რა გიყო, მეც კარგად ვიცი რომ მალა გადგია, მაგრამ ჩარა არა მაქუს და კიდევ შენ ყაირათი გამიწიეო და მეც პ´ლ ღ´ის ხათრისთვის და მჭირვე..., რადგან უყურებ ამ პატივდებული უმფროსის კეთილის შურისძიებასა. დამორჩილებული ვიწვი ამ ცეცხლშიდა, რადგან უყურებ, რომ უმფროსსაც სხვა ჩარა არა აქვს, თვარემ მეც თუ შემეძლოს და ვისმეს სტამბოლში ვართაპეტებს პატივს მივსცემდე, ჩემკენ მოვიყენებდე, ეგების მეც მეშველოს. მე არ შემიძლია და არც არავინ მოსარჩლე მყავს. თუ არ თქვენს უწმინდეს მზურვაობას შემოვუარდები, რომ თქვენ ჭ´ტი სამართალი მოიხმაროთ და ჩვენზედაც სიმართლის წყალობა მიიღოთ და ვ´ა შვილად სცნოთ თ´ქნ მიერ განთავისუფლებულთა მათ ესრედვე ჩვენცა ვ´ა უძღები შვილი შემოვარდნილი თქვენს ცათა მსრბოლი ფერხის ქუსლს ქუეშე შეგვიბრალოთ.

ბოლოს ეს არის, რომ ნეფისას შვილები ცდილობენ, რომ ღონც ჩვენი ძმა ტერ გრიქორი სოფლად ნუ წავა, ჩვენი ნება და ინადი წინ წავიყვანოთ და თუ უმფროსი გალახულა (ვ´ა აგინებენ დედ-მამასა და სხვა უპატიური სიტყვებით იხსენიებენ) და თუ სოფლის ხუცებს შეღონება და დაჭირება ჰქონიათ, სრულ არაფრად ენაღვლებათ, რადგან ამბობენ, რომ ჩვენ ეპისკოპოსთან მიჩნეული ვართ და საქმეს როგორც არის დავატრიალებთო. მაშ ეგენი ყოფილან ეკლესიის შვილნი და ჩვენ კი არა. და თუ ამგვარად არის, არც ჩვენ ჩაგვივარდება ეკლესიის ცხოვარნი ძოვნად, რადგან სასყიდლით დადგინებულის მსგავსად მტაცებელნი მგელნი წარიტაცებენ სამწყოსაგან ეკლესიისა ს´. დაბოლოება აზრისა ამის ეს არის, რომ თუ ნებვისა შვილიც რიგისაებრ შეგვეწევა ამ სოფლის მღუდლებსა, რა კარგი და თუ არა, რ´ლიც უმფროსი იქმნება, იმან იზრუნვოს ამოდენი სულებისათვის. ჩვენ ჩვენი ვალი გარდაგვიხდია. თუ იმათ არა აქუსთ უმფროსის მორჩილების ვალი, აღარც ჩვენ გვექნება, რადგან ესოდენი შფოთი, რომელიც არ იყო ამ ოცდაექვს წელწადში, ახლა ამ ორი მღუდელის საშუ-

ალით ჩავარდა და რომელნიმე მღვდელნი უსამართლოდ მი-იმხრეს, რ՛ა თავიანთ ნატრას მისწეოდნენ (ვ՛ა მიეწივნენცა) მა-თი ბრწყინვალების წინაშე.

უღირსი ტერ ანტონ ხუციანოი ბაროხი ხიზაბავრის სურფ-ნიშნისა.

ქ. მე ოჰანათ ტერ ანტონი ბაროხი წ՛ა იოანეს ეკლესიისა ვამტკიცებ ამ ზემო ნაწერსა.

მე მღებრიანთ ტერ სტეფანი ბაროხი წ՛ა ჯვარის ეკლესიისა ვამტკიცებ ამ ზემო წერილსა.

მე ტერ იოანე შილაჯიანთ ბაროხი ჯვრის ეკლესიისა ვამტკი-ცებ ამ ზემოდ წერილს.

1839 წ. მინაწერი ხელნაწერი წიგნზე „საქმენი სატანჯველ-თა...“ თავფურცელზე: (სჯმხფ, № 1847). „ეს წიგნი არის ქრისტესა გვარამაძესი“.

ბოლო ფურცელზე: „ეს წიგნი გვარამაძიანთ პოლოსას მეუღ-ლისა არის. ვინც იპოვნოს და არ გამოგზავნოს, ღთის წინაშე მოვალე იყოს. ამინ“

## მღებრიშვილების ქრონიკა

ჩვენი გვაროვნობის თუ გარეშე მეგობრების დაბადება, ქორწინება და გარდაცვალების დავთარი

1792 წ. მარიობის თვის 9 ტერ იოვან ლაზაროვისაგან მონათლულ იქმნა იოვანე მღებროვი. ნათლია იყო არუთინ თუმანოვი. გარდაიცვალა 1803 წელს მკათათვის 18 სეროფ-ქეროფ თუმანი-ანთი.

1810 წელს გიორგობისთვის 10 რუსი მოვიდა ახალციხეს. მეფი-სათ გოქორა მიიცვალა.

1814 წელს 18 სექტემბერს დაიბადა კარლო მღებრიშვილი.

1828 წელს 15 მარიობისთვეს უმალ რუსი აეშალა თათარს, ახალ-ციხე აიღო და შემოვიდა.

1811 წელს 8. ქრისტიშობისთვეს რუსი მოვიდა ახალქალაქს.

1833 წელს თებერვლის 20 ჩემი და სარაი დავაქორწინეთ.

1815 წელს მკათათვის 13 გარდაიცვალა ბიძაჩემი შვილი სიმონი.

1835 წელს მკათათვის 13 გარდაიცვალა ნეფისათ გიქორას მეუღ-ლე ხანუმათ თომას ქალი.

1836 წ. თებერვლის 4 — პირველად წაველი გუმრს.

1837 წ. გიორგობისთვის 1-ს ელენე დავნიშნეთ და ჯვარი დაიწერა 1838 წ. თიბათვის 5-ს.

1837 წ თიბათვის 25-ს გარდაიცვალა ფანერუზ მარუსასი.

1839 წ. გიორგობის თვის 4-ს კიდევ წავედიართვინს.

1839 წ. გიორგობისთვის 1-ს დავინიშნე ბარილუსას ქალზე, ჯვარი დავიწერე 1840 წ. კათათვის 26-ს.

1839 წ. გიორგობის თვის 26 პირველად წაველი ართვინში.

1839 წ. გარდაიცვალა ბეთანათ კონოს ქალი ელისაბედი, ღმერთმა ყველას აშოროს ამისთანა სიკვდილი.

1839 წ. იანვრის 5-ს ჩემი და სარა დალოგინდა, შვა ვაჟი. სახელი უწოდეს იოსები.

1841 წ. ღვინობისთვის 24-ს ჩემმა დამ სარამ შვა ვაჟი სახელად... უფალმა გაზარდოს.

1842 წ. მარიობის თვის 28-ს წაველი მე კარლო მღებრიშვილი და ივანე ვიტალოვი სტამბოლს.

1842 წ. გიორგობის თვის 9-ს გარდაიცვალა ბიძა ჩემი ყაფუჯოვი.

1843 წ. მარტის 24. მთვარის 4, ღამის 8 — საათზე შემეძინა ვაჟიშვილი გრიგოლ-ავგისტინე.

1843 წ. ღვინობისთვის 21-ს ანუშკა ვიტალოვის ქალი დაიბადა.

1843 წ. თებერვლის 1 სიმონ მღებრიშვილმა ჯვარი დაიწერა სტეფან ეზეკოვის ქალზე სოფიოზე.

1844 წ. ენკენისთვის 17 სარიკონოჟ თომას შვილი ალექსანდრე დაიბადა.

1844 წ. იანვრის 19 ჩემმა დამ სარამ შვა ქალიშვილი, სახელი უწოდეს სალომე.

1846 წ. აპრილის 15 კიდევ სარა დალოგინდა და შვა ქალი და უწოდეს ნატალია .

1846 წ. ქრისტიშობის 15 ტრაპიზონს წაველი.

1846 წ. მარტის 9-ს მკვდარი ქალი დამებადა.

1847 წ. შემეძინა ვაჟიშვილი სტეფან-გაბრიელი ღმერთმა გაზარდოს.

1847 წ. გარდაიცვალა გოგინაშვილი პეტრე, ღმერთმა ყველას აშოროს ამისთანა სიკვდილი.

1847 წ. მაისის 21-ს გარდაიცვალა შენდობილი ივანე ვარძელოვი.

1848 წ. მაისის 14-ს შემეძინა ... სახელი უწოდე ანიკო.

1849 წ. მარტის 28-ს სარას შეეძინა ქალი, სახელი უწოდეს ანიკო.

1849 წ. მაისის 1-ს ერევანში კალია გაჩნდა და ჰინახული გააფუჭა.

1850 წ. 19 — ნოემბერს გარდაიცვალა ივანე ალოშოვი.
1851 წ. 16 — მკათათვეს მზე დაბნელდა 2 მინუტს გადაფარა, დაღამდა.
1828 წ. ივლისის 15-ს სიმონ მღებრიშვილს შეეძინა შვილი კონსტანტინე.
1849 წ. ნოემბრის 26 დაიბადა სიმონას შვილი ნიკო.
1855 წ. თებერვლის 16 შეეძინა სიმონ მღებროვს ვაჟი ლევანი.
1856 წ. მარიობის თვის 25-ს სიმონ მღებროვი ცოლ-შვილით გადასახლდა თფილისში.
1857 წ. იანვრის 23-ს ტერ პეტროს ხარისჩაროვი იერუსალიმს წავიდა.
1857 წ. ქრისტიშობისთვის 5-ს ჩემა დამ სარამ დააქორწილა ქალი სალომე შავი მელაზე.
1857 წ. ღვინობისთვის 1-ს მოვიდნენ ახალციხეში სამი ხელმწიფის მართებლები. სინორები. დაათვალიერეს და ოზურგეთში წავიდნენ.
1857 წ. თებერვლის 20-ს გარდაიცვალა ონო ვიტოლოვი.
1858 წ. მარიობის თვის 5-ს კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა ერთი, თვენახევარი იყო. ღამე ამოდიოდა.
1858 წ. ქრისტიშობის თვის 12-ს გარდაიცვალა გოძო.
1859 წ ენკენის თვის 21-ს მამა წავიდა სტამბოლს.
1861 წ. მაისის 28-ს მთვარის 2-ს 6 — მინუტზე გარდაიცვალა ალექსანდრე ეზუკოვი.
1862 წ. იანვრის 1-ს გარდაიცვალა ჩვენი ადაი.
1862 წ. დეკემბრის 4-ს ბიძა ჩემი სახლი წაიყვანა მამამ ქალაქს 5 შვილით.
1867 წ. თებერვლის 2-ს ჯვარი დაიწერა გრიგოლ მღებროვმა პეტრე ვარლამოვის ასულზე ვერონიკაზე.
1869 წ. აპრილის 13-ს კეკელა ნებიეროვი დალოგინდა ქალაქს და შვა ქალიშვილი როზა.
1870 წ. თებერვლის 1-ს გრიგოლს შეეძინა ქალიშვილი როზა.
1873 წ. გიორგობისთვის 19-ს გრიგოლს შეეძინა ვაჟიშვილი გაბრიელი.
1873 წ. ენკენისთვის 16-ს შემეძინა ქალი ფეფო, ღმერთმა გაზარდოს.
1874 წ. მარიობისთვის 19-ს გარდაიცვალა სიმონ ნებიეროვი თფილისში.

1875 წ. მარიობის თვის 29-ს დამებადა ვაჟიშვილი ვანო, ღმერთმა თავის მადლში გაზარდოს.

1877 წ. აპრილის 11-ს აშლილობა მოხდა რუს და თათარ შუა. რუსმა წაართვა ბათუმი, არტაანი, ყარსი, ართვინი და ოლთ გოლა. შერიგება მოხდა 1878 წ.

1879 წ. გარდაიცვალა სტეფან ყერქესალოვის ძე ივანე, უფალმა გაანათლოს.

1880 წ. ღვინობისთვის 8-ს გრიგოლ მღებროვს შეეძინა ვაჟიშვილი მიხაკო.

1880 წ. ღვინობისთვის 18-ს ბიძა ჩემი სააკაშვილი ანა გოზალოვისა (ზ) დაინიშნა.

1881 წ. თებერვალში გარდაიცვალა ცნობილი ბიძაჩემი ივანე ფაფაზოვი.

1882 წ. აპრილის 28-ს გარდაიცვალა პეტრე ვარლამოვის ძე ვანო. უფალმა გაანათლოს.

1883 წ. აპრილის 14-ს გარდაიცვალა სტეფანე ყერქესალოვი 80 — წლისა.

1884 წ. აპრილის 12-ს გარდაიცვალა ასული გოზალოვისა.

1886 წ. გიორგობის თვის 29-ს საღამოზე და შაბათ დღეს იოსებ ფალაშოვი დაქორწინდა მეორე აზრუმელ ქვრივ ქალზე.

1886 წ. იანვრის 6-ს ნათლიღება დღეს ნაშუადღევის 2-ს საათზე გარდაიცვალა სულით განათლებული კარლო ივანეს ძე მღებრიშვილი. დაუტევა ორი ძე და ორი ასული, უფალმა ზეციერი დიდების ღირსი გახადოს.

1886 წ. დეკემბრის 14-ს დილაზე ვნახეთ კირილე ქაჩხოევის სახლისწინ ხანჯლით აჩეხილი თომა ანტონისძე დავიდოვი. დასაფლავდა ქრისტიანული წესით. 52 წლისა იყო.

1886 წ. დეკემბრის 5-ს დილაზე გარდაიცვალა ჯაყელოვის ქვრივი 82 წლისა პეტრე ვარლამოვის სიდედრი. უფალმა გაანათლოს.

1887 წ. მარტის 8-ს კვირა საღამოზე 10 საათზე გარდაიცვალა ქალ. თფილისში სტეფანე გრიგორისძე აზნაუროვი, 21 წლის იყო. 1 სათის შემდეგ მივედით დედა მისი და მე გრიგოლ მღებროვი. გვამი მისი დასაფლავდა ქრისტიანული წესით.

1887 წ. აპრილის 2-ს დიდ ხუთშაბათს მიხეილ მეფისოვის მეუღლე ანუშკა გარდაიცვალა. გვამი მისი დასაფლავდა ივლიტის სასაფლაოზე ვნების შაბათს.

იმავე დღეებში ტრაპიზონში გარდაიცვალა იოსებ აზნაუროვი, უფალმა გაანათლოს

1888 წ. დეკემბრის 23-ს გარდაიცვალა მამიდაჩემი ელენე, 64 წლიას იყო. უფალმა გაანათლოს.

1888 წ. გიორგობისთვის 2-ს გარდაიცვალა სულით განათლებული პეტრე ფაფაზოვი 90 წლისა.

1888 წ. დეკემბრის 27-ს პეტრე-პავლობას დიდ მარხვაში პაქარი გაჩნდა ახალციხეში. იმავე დღეს ნაშუადღევის 3 — საათზე ქუთაისში გარდაიცვალა ნიკო მეფისოვი.

1889 წ. აპრილის 20-ს გარდაიცვალა იოსებ ფალაშოვის ძე კევრასია 18 — წლისა იყო. ღმერთმა შეიწყალოს.

1889 წ. სექტემბრის 23-ს საღამოზე გარდაიცვალა პავლე მანანაძე უფალმა გაანათლოს.

1889 წ. მარიობის თვის 14-ს თომა ფაფაზოვი, სტეფან ფაფაზოვი იოსებ ისკანდაროვი და ალექსანდრე ჩახალოვი დაიჭირეს, რომ თომა დავიდოვი თქვენ მოჰკალითო.

1890 წ. თებერვლის 19-ს გარდაიცვალა სულით განათლებული ტერ იოსებ ხუციევი. ზემო ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს. უფალმა გაანათლოს.

1890 წ. აპრილის 26-ს საღამოს 6 — საათზე ვერონიკე პეტრეს ასული ვარლამოვისა, მეუღლე გრიგოლ მღებროვისა აბასტუმნის სახელმწიფო გოსპიტალში ოფიცრების ადელენიაში წასული იყო ახალციხითგან, იმავე წელს 29 — იანვარს ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს დაუტევა სამი ძე და ერთიც ასული. უფალმა გაანათლოს.

1890 წ. მაისის 8-ს დილის 11 საათზედ გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი სტეფან პავლესძე მეფისაშვილი. ივლიტის სასაფლაოზედ დაასაფლავეს.

1890 წ. ენკენისთვის 28-ს სტამბოლში გარდაიცვალა ტერ პეტროს ხარიშჩაროვი.

1890 წ. გიორგობის თვის 21 — დაინიშნა იოსებ გოზალოვი კარლოს ასულ ფევრონიაზე. ჯვარი დაიწერა 1891 წ. მარიამობისთვის 5-ს უფალმა გააბედნიერონ.

1890 წ. ლვინობისთვის 16-ს შეეძინა ალექსანდრე გოგინოვს ვაჟიშვილი იოსები — სამსონი.

1890 წ. დეკემბრის 31-ს ქუთაისში გარდაიცვალა შუადღის 12-სა-

ათზე შავი მელას ცოლი ივანე მირიჯანოვის სალომე. დარჩა 3 — ძე და 3 — ასული. უფალმა გაანათლოს.

1891 წ. აპრილის 28-ს კვირაცხოვლობის დღეს ართვინში გარდაიცვალა ნიკალაი მღებროვი 40 წლის 4 — თვისა და 24 — დღისა.

1891 წ. ღვინობისთვის 12-ს გარდაიცვალა სულით განათლებული შუშან ფაფაზოვი. უფალმა გაანათლოს.

1891 წელ. დეკემბრის 18. შუა დღის 2— საათზე ქუთაისში გარდაიცვალა ივან ფომიჩ ბაინდუროვი.

1892 წ. იანვრის 1-ს ბედობა დღეს გარდაიცვალა ორჯო თიროევი. ღმერთმა აცხოვნოს.

1892 წ. მაისის 10-ს არალში გარდაიცვალა სულით განათლებული ტერ პოღოს ბალახოვი. ღმერთმა შეიწყალოს.

1892 წ. 22 — თიბათვეს მოხდა შემთხვევა, რომ ქარი, სიცივე, რომ ხალხს ფეჩები დაადგმევინა, ახლო მთები გამოთოვლა. იმედნეული ვართ აქაც მოვა თოვლი.

1892 წ. მკათათვის 24-ს იოსებ გოზალოვი გადმოვიდა ბათუმიდამ თავის მეუღლით. ხონის აბანოში ქურდები დაეცნენ, იოსებ გოზალოვი წაიყვანეს, რომელიც ორ დღე-ნახევარი ჰყავდათ. მერმე 400-მანეთი გამოართვეს და გაანთავისუფლეს.

1892 წ. მარიობის თვეში გარდაიცვალა პაჩოტნი კანონიკოსი სულით განათლებული ტერ სიმონ ასლანოვი. უფალმა გაანათლოს.

1892 წ. ქრისტიშობისთვის 13-ს გამოუშვა აკრუჟნი სუდმა გაამართლა თომა ფაფაზოვი, იოსებ და სტეფან ისკანდაროვები და ალექსანდრე ჩახალოვი და კიდოვ იაკობ ბეთანოვი, რადგან არაფერი საბაბი ჰქონდათ.

1892 წ. ქრისტიშობისთვის 15-ს გარდაიცვალა მამია ყარაგაზოვი. ღმერთმა გაანათლოს.

1892 წ. ქრისტიშობისთვის 17 ქუთაისის გზიდან მომავალ დიდცხვირა ფილოსშვილი ივანე ხმალაძე გზაზე გაეყინა. მკვდარი მოიტანეს ახალციხეს.

1892 წ. ქრისტიშობისთვის 23-ს გარდაიცვალა ცნობილი ძუძუს გარძილოვი (ვარძელოვი? შ. ლ.)

1894 წ. იანვრის 20-ს გარდაიცვალა შენდობილი ტერ პოღოს ლაზაროვი. ღმერთმა ზეციური დიდება დაუმკვიდროს.

1894 წ. იანვრის 20-ს (სიმართლის მსხვერპლნი) თომა ფაფაზოვს,

სტეფან ფაფაზოვს, იაკობ ბეთანოვს გადაუწყვიტეს 10 წლით კატორგა მემრე გარდასახლება, რომ ცხონებული თომა დავიდოვი თქვენ მოჰკალითო.

1894 წ. იანვრის 14-ს გარდაიცვალა მაზიდაჩემი სარა ფალაშოვისა ღმერთმა ზეციერი დიდება დაუმკვიდროს.

1894 წ იანვრის 29-ს გარდაიცვალა ალექსანდრე გოგინოვის ქალი მაროსი ორი წლისა.

1894 წ. თებერვლის 14-ს გარდაიცვალა არდელი ტერ პოღოსას რძალი სოფიო ბალახოვი ღმერთმა აცხონოს.

1894 წ. მარტის 15-ს ერთი სამაიმუნო საქმე მოიმოქმედა პეტრე ვარლამოვმა. დაქვრივდა 78 წლისა ისე რომ მოძრაობა არ შეუძლია, დასახლდა ივანე ერეკლოვის ქვრივის ქალზე როზაზე 32 წლისა არის.

1894 წ. გიორგობისთვის 2-ს მოკვდა ალექსანდრე მეფისოვი.

1894 წ. ღვინობისთვის 20-ს გარდაიცვალა დიდი იმპერატორი ალექსანდრე ალექსანდროვიჩი. ღმერთმა შეიწყალოს.

1894 წ. ქრისტიშობისთვის 10 გარდაიცვალა ანდრინე ქაჩხუევი უდეს გარდაიცვალა.

1895 წ. იანვრის 19-ს გარდაიცვალა ალექსანდრე ვარძელოვი.

1895 წ. თებერვლის 11 — ჯვარი დაიწერა ფრანჩისკე ჯილიმუზოვმა. იმავე დღესვე დაიწერა ჯვარი ფრანჩისკე მანძელოვმა.

1895 წ. თებერვლის 16-ს თავი მოიკლა აწყვრის სასაფლაოზე სიმონიკა მაისუროვმა.

1895 წ. 7 — მარტს გარდაიცვალა ბათუმს ფერდინანდო დედეშოვი.

1895 წ. მარტის 9-ს გარდაიცვალა მთვარის 25 დილით, შენდობილი და სულით განათლებული ტერ სტეფან გოზალოვი. უფალმა კეთილი სამართალი აღირსოს და ჩვენი სულის მეოხეთ ჰყოს. ვალის სასაფლაოზედ დაასაფლავეს. იმავე დღესვე გარდაიცვალა პეტრე ლოცვანოვის მეუღლე კეკელა.

1895 წ. 25 — მარტს გარდაიცვალა ბათუმს ანტონ წალდაძოვი ღმერთმა შეიწყალოს.

1895 წ. აპრილის 10-ს იაკობ ფაფახოვს შეეძინა ვაჟიშვილი.

1895 წ. 29 — აპრილს გარდაიცვალა სტეფან ჰერიქოვის ქალი ევგენია ივანე თერძიევის მეუღლე ახალ შობირერა ქალზედა, უფალმა შეიწყალოს.

1895 წ. თიბათვის 5-ს გარდაიცვალა იაკობ ვარძელოვი ივლიტის გალავანში დაასაფლავეს. უფალმა შეიწყალოს.

1895 წ. ივნისის 11-ს გარდაიცვალა მიხეილ შაქაროვის მეუღლე.
1895 წ. ივნისის 21-ს წყალში თავი დაიხრჩო წყლის მომტანმა იოანემ.
1895 წ. გიორგობისთვის 9-ს ბაგრატ საბაევმა ჯვარი დაიწერა როზა ასლანოვზე. უფალმა გააბედნიერონ.
1895 წ. გიორგობისთვის 25-ს გარდაიცვალა ვანკა პაპაი.
1896 წ. იანვრის 14-ს გარდაიცვალა პეტრე ვარლამოვი.
1896 წ. იანვრის 16-ს გარდაიცვალა ნიკო ტატალოვი პლექის სენითა. დაუტევა 1 — ვაჟი და 3 — ქალი.
1896 წ. მარტის 3-ს გარდაიცვალა კოსტო მეფისოვი.
1896 წ. მარტის 14-ს გარდაიცვალა უეცრად ანა ისკანდაროვი უფალმა შეიწყალოს.
1896 წ. მაისის 21-ს გარდაიცვალა გასპარ საანოვი. უფალმა შეიწყალოს.
1896 წ. თიბათვის 6-ს წყალში თავი დაიხრჩო ლევან საანოვმა.
1896 წ. თიბათვის 6-ს გარდაიცვალა ადა ხმალაძე.
1896 წ. მკათათვის 18-ს გარდაიცვალა პავლე ჩილინგაროვი უფალმა გაანათლოს.
1896 წ. 24 — მკათათვეში ღამის 7 საათზე 15-წუთზე მიწა ინძრა ორჯერ პირველად ძლიერ მეორედ მდარეთ ესე ორი მინუტი გასწია ღმერთმა უარესისგან გვაშოროს. ოთხშაბათი იყო.
1896 წ. მკათათვის 31-ს კიდევ მიწა იძრა ერთჯერ ძლიერ ოთხშაბათი იყო საათის 7 — იყო.
1896 წ. 24 — მკათათვეში ღამის 7 საათზე 15-წუთზე მიწა ინძრა ძლიერი იყო.
1896 წ. ღვინობისთვის 10-ს გარდაიცვალა პლანის ეკლესიის ზედამხედველი პრავლენიის წევრი ტერ არესტაკ შაანოვი უფალმა შეიწყალოს. სხვილისს დაასაფლავეს. უეცრად გარდაიცვალა.
1897 წ. თებერვლის 17-ს დღეს ივანე საანოვმა თავი მოიკლა, საგანი ის იყო რომ დასახლება არ მანდოდაო, რომელიც 18— თებერვალში ჯვარი უნდა დაეწერა. მიზეზი ის იყო ძუნწი კაცი იყო. მასთანვე ახლად აღსარება ნათქვამი იყო მღვდელმა არ დამარხა (იუდას კერძი).
1897 წ. იანვრის 6-ს მოხდა შემთხვევა: სოლომონ ხითაროვი მიდიოდა ნათლიღება დღეს პიათურაში ციხის ქვეშ გადუბრუნდა ფაიტონი ვეღარ შეაჩერა და დაგორდა და თვითონაც

შიგ იჯდა. მის შემდეგ შვიდი დღე კიდოვ იცოცხლა იანვრის 13-ს გარდაიცვალა. უფალმა შეიწყალოს.
1897 წ. იანვრის 24-ს გარდაიცვალა იაკობ ლაზარიშვილი ჰლექის სენით.
1897 წ. მარტის 22-ს ბოროტგანმზარახველებმა მოჰკლეს ივანე მეფისოვი სხვილისში. 25-ში დაასაფლავეს ველიტის სასაფლაოზე.
1897 წ .მარტის 27-ს დაახრჩეს სომხი ქალი თოკით.
1897 წ. მკათათვის 6-ს გარდაიცვალა ორი კვირის ავადმყოფობით აგნესი ლოცვანოვი. უფალმა შეიწყალოს.
1897 წ. გიორგობისთვის 7-სგარდაიცვალა გაბრიელ ასათიანი.
1897 წ. მკათათვის 31-ს გარდაიცვალა ანტონ ასლანოვის ქალიშვილი თამარი 10-თვისა.
1897 წ. ღვინობისთვის 23-ს (გარდაიცვალა) ლუკა ბარხაჰოვი ტამლის სენით.
1897 წ. ღვინობისთვის 6-ს ჯვარი დაიწერა სედეკ დურგლოვის შვილმა მიხეილმა ვარლამოვის ქვრივზე.
1897 წ. ღვინობისთვის 7-ს ჯვარი დაიწერა იაკობ ივანესძე დემუროვმა ანტონ შანშიევის ასულზე — სონაზე.
1898 წ. მარტის 14-ს გარდაიცვალა ანტონ ნაზაროვი ჰლექით 26 — წლისა.
1898 წ. მარტის 14-ს გარდაიცვალა ფოლადაშვილი პეტრე-პავლე.
1898 წ. ივლისის 28 ღამის 10 —საათზე აბასტუმნიდან გზაზე ფაიტონით მოჰყავდათ ავადმყოფი კონსტანტინე სიმონისძე ფირალაშვილი და გზაზე გარდაიცვალა.
1898 წ. აპრილის 28-ს გარდაიცვალა სიმონ თუმანოვი. ღმ. გაან.
1898 წ. 1. აგვისტოს განთიადისას ორ საათზე 47 — მინუტზე 3 — გზით მიწა იძრა ისე რომ ჯერ ახალციხეში არ ძრილა ასე მიწა. უარესისგან ღმერთმა დაგვიფაროს.
1899 წ. იანვრის 13-ს გარდაიცვალა კოსტო დიდიმოვი ყელის ტკივილით.
1899 წ. იანვრის 24 გარდაიცვალა ახალციხის რომის კათოლიკის მღვდელი პატრი ტერ-პეტროს აღოშოვი, შიგ პატრებიანთ ეკლესიაში. დაასაფლავეს 28 — იანვარს. უფალმა გაანათლოს.
1899 წ. თებერვლის 13-ში გარდაიცვალა სტეფან ყაზაროვი. უფალმა გაანათლოს. 15 — დაასაფლავეს.

1899 წ. თებერვლის 15-ში გარდაიცვალა ნაზარ ნაზაროვი, 19-ში დაასაფლავეს.

1899 წ. მარტის 15 და 16-ს 1 ოთხი წლის გოგო და მეორე ერთი წლის ნახევრის ბიჭი მოუკვდა რამან სუდოვსკის 12 საათის განმავლობაში ქუნთრუშათი.

1899 წ. მარტის 15-ს გარდაიცვალა სტეფან ტინტიკოვი. უფალმა შეიწიროს 17-ში დაასაფლავეს.

1899 წ. 22-მარტს განთიადს გარდაიცვალა სულით განათლებული ტერ ასატურ ასატუროვი 74 — წლისა. ზემო ეკლესიის ჯვრის ამაღლების ეკლესიის გალავანში დაასაფლავეს 26-ში.

1899 წ. 20 — მაის გარდაიცვალა კაკა თურვანდოვი. იმავე დღეს გარდაიცვალა მისი დედა. უფალმა გაანათლოს.

1899 წ. 7 — ივნისის დილის 6 საათზე თავის სახლში ქუთაისში თავი მოიკლა და დანით ყელი გამოიჭრა, ორიც მუცელში დანა დაიცა ოჯანი გრძელოვმა 10 — წუთის შემდეგ გარდაიცვალა. დოხტურების შემოწმებით სრულ ჭკუაზე ვერ ყოფილა. 9-ში დაასაფლავეს.

1899 წ. ივნისის 12-ს გარდაიცვალა უეცრად საათნახევრის განმავლობაში პავლე ბეთანოვი. უფალმა გაანათლოს.

1899 წ. ივნისის 28-ს დილის 10 — საათზე მთავარი მემკვიდრე სეირნობის დროს გიორგი ალექსანდრეს ძე ველისაბეტიდგან გადმოვარდა და განუტევა სული. მისი სხეული წაასვენეს პეტერბურგში. მასთანვე გიორგის რომ მიასვენებდნენ მის ცხედარს (გვამს) მისდევდა ფეიზულაბეგ ათაბეგოვი. უეცრად სოფელ ვარხანში კანცელარიაში შეწუხდა გულის სიგანიერე დაემართა და მოკვდა.

1899 წ. აგვისტოს 18-ს გარდაიცვალა სედეკ დურგალოვი მაისილით უფ. შეიწყალოს.

1899 წ. 19-დეკემბერს შუადღის 2 — საათზე მიწა იძრა საშინლათ კიდევ 4 — საათზე. 38 წუთზე, კიდევ ღამის 9 — საათზე, კიდევ იმავეღამეს 12 — საათზე. ეს მიწისძვრა მთელ კავკასიაში იყო უფრო დაზიანდა ახალქალაქის მაზრა 10 — სოფელი და ხალხიც ბლომათ დაიღუპა.

1900 წ. ივლისის 9-ს ჯვარი დავიწირე ივანე კარლოს ძე მღებრიშვილმა ქალ. გორში ქალ. ქუთაისის მცხოვრებზე იულია პავლეს ასულ გვარაშვილზე.

1901 წ. აგვისტოს 29-ს განთიადის 2 — საათზე გარდაიცვალა ია-

კობ საავოვი. 66 წლისა იყო. უფალმა გაანათლოს.

1902 წ. იანვრის 11-ს გარდაიცვალა მიხეილ პავლესძე მეფისოვი 13-ს დაასაფლავეს ივლიტის სასაფლაოზე.

1902 წ. თებერვლის 5-ს გარდაიცვალა ალექსანდრე ადამისძე სარალიძე 6-ში დაასაფლავეს უფალმა გაანათლოს.

1902 წ. მაისის 10-ს ქუთაისში გარდაიცვალა იაკობ ფალაშოვის ძე სტეპკო ჭლექის სენით. 12-ში დაასაფლავეს. 32 წლისა იყო უფალმა გაანათლოს.

1902 წ. მაისის 28-ს ღამე 11 — საათზე უეცრივ გარდაიცვალა ერთი საათის განმავლობაში სულით განათლებული ალექსანდრე პოლოლიკოვი. 30-ში დაასაფლავეს.

1902 წ. ივნისის 23-ში შემეძინა ქალიშვილი. მოვნათლეთ ივლისის 13-ში. ნათლია იყო ფეფრონია კარლოს ასული გოზალოვისა. სახელი დავარქვით ანა, ნინა და მაგდუსა. ღმერთმა თავის მადლით გაზარდოს.

1902 წ. აგვისტოს 12-ს გარდაიცვალა ავგსენატი (ავქსენტი — შ. ლ.) ცაგარელი 18-ში დაასაფლავეს.

1902 წ. აგვისტოს 15-ს გარდაიცვალა ივანე მარიჯანოვის ძე ალექსანდრე. უჩენიკი იყო გიმნაზისტი მე-8-კლასიანი. უ. შ.

1902 წ. აგვისტოს 20- ქუთაისში ჯვარი დაიწერა პავლე ფალაშოვმა. ქვრივ ქალზე.

1902 წ. აგვისტოს 25-ს გარდაიცვალა სიმონ გრძელოვი 27-ში დაასაფლავეს ივლიტის სასაფლაოზე.

1902 წ. აგვისტოს 27-ს გარდაიცვალა აბასტუმანში ფილიპე ფილიპოვის მეუღლე ტასო. ქუთაისში წაასვენეს მისი გვამი.

1902 წ. ნოემბრის 14-ს გარდაიცვალა უეცრად საღამოს 6 — საათზე პავლე სოღოროვი. 18-ში დაასაფლავეს. უფალმა გაანათლოს.

1902 წ. დეკემბრის 9-ა ქალაქში სასტუმროში უეცრად გარდაიცვალა თათო ჭილიმუზოვი ორი კვირის ჯვარდაწერილი იყო. უფალმა გაანათლოს.

1902 წ. სექტემბრის 1-ს გრიგორ სარიაშვილმა ჯვარი დაიწერა სტეფან ჰერიქოვის ასულზე სოფიოზე.

1902 წ. იანვრის 31-ს 12 საათზე 58 წუთზე შემახში დიდი უბედურება მოხდა მიწა იძრა, რომელმაც 25.000. სული მცხოვრები სახლები ერთიან დაინგრა. შიგ მოჰყვა 1500 — სულამდის მკვდარი ამოიღეს. აგრეთვე მის გარშემო იძრა მიწა.

33 — სოფელი დაზიახდა, ბაქოშიც, თფილისშიც და სხვა ადგილებში იძრა მიწა, მაგრამ არაფერი არ დაზიანებულა და არც არავინ უმსხვერპლია.

1903 წ. იანვრის 22-ს საღამოს 11 — საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობით გარდაიცვალა სტეფანე ივანესძე ალელიშვილი უფ. გაანათლოს.

1903 წ. თებერვლის 13-ს ჯვარი დაიწერა ანტონ იაკობის ძე საკოვმა ლიზა კაითანის ასულ ტრაცეცკოვზე. უფ. გააბედნიეროს.

1903 წ. თებერვლის 24-ს ნაშუადღევის 3 — საათზე თავი მოიკლა ივანე ალექსანდრესძე სარალიძემ. დაასაფლავეს 25 — თებერვალს.

1903 წ. თებერვლის 24-ს გარდაიცვალა თეკლე მაისუროვი. უფ. გაანათლოს.

1903 წ. თებერვლის 27-ს მომიკვდა ქალიშვილი მაგდუსა.

1903 წ. მარტის 20-ს დილის 10 — საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობით გარდაიცვალა ნიკალაი იაკობის (ძე) საკოვი. უფ. გაანათლოს 21-ში დაასაფლავეს.

1903 წ. მარტის 20-ს ნასადილევს 11 — საათზე გარდაიცვალა ისიც ხანგრძლივი ავადმყოფობით თურმანოვი პეპა.

1903 წ. მაისში იმოგზაურა ჩვენმა ეპისკოპოსმა ედუარდმა, რომელმაც მთელი საქართველოს კათოლიკობა შემოიარა. ბაქო, თფილისი, გორი, ბათუმი, რომელმაც აკურთხა ბათუმის კათოლიკეთ ეკლესია. ქუთაისში, ახალქალაქის მაზრა, ახალციხის მაზრა, არალი, უდე, აბასტუმანი. ღმერთმა ხანგრძლივი სიცოცხლე მისცეს.

1903 წ. ივნისის 11-ს გარდაიცვალა ვალეში ტერ სტეფან ზაქაროვი უფალმა გაანათლოს.

1903 წ. ივლისის 3-ს ნაშუადღევის 4 — საათზე და 15 — წუთზე ჩვენი მამა პაპი ლევან მეცამეტე, რომელიც განაგებდა კეთილად თავის სამწყოს და ღირსეულად გარდაიცვალა 93 წლის იყო. ჩვენი სულის მეორე მეოხე იყო. 18-ში დაასაფლავეს ქალ. რომში.

1903 წ. ივლისის 24-ს მთელმა კათოლიკობამ აირჩიეს პაპათ იოსებ ზარტო კარდინალი. სახელი დაირქვა პიო მე-X, ღმერთმა

გაამირიანოს და ქართველ კათოლიკობისათვის ნაყოფი გამოეღოს.

1903 წ. აგვისტოს 4-ს ღამის 11 — საათზე გარდაიცვალა იოსებ მღებაროვი უფალმა გაანათლოს 88 წლისა იყო.

1903 წ. აგვისტოს 12-ს გარდაიცვალა ივლიტას იაკობ გოგინოვი. უფალმა გაანათლოს.

1903 წ. აგვისტოს 27-ს გარდაიცვალა ჩემი საყვარელი და დამაობლებელი გაუხარავი დედა მაგდანელა პეტრეს ასული მღებროვისა ხანგრძლივი ავადმყოფობით. 29-ში დავასაფლავეთ. უფალმა ზეციერი დიდების ღირსი გახადოს. საყვარელო დედაჯან მშვიდობით ჩემო სულო გულო-სულო გემშვიდობები შენი საყვარელი შვილი ვანო. ღმერთმა მე დამივიწყოს თუ მე შენი სული დავივიწყო. გაძლევ ღმერთს თავდებად დედაჯან შენი სიყვარული იქმნება აუხოცველი, მინამ მიდვას პირში სული. კიდოვ მშვიდობით ჩემო ნუგეშო დედაჯან.

შენი საყვარელი შვილი ვანო.

1903 წ. ენკენისთვის 18-ს შემეძინა ვაჟიშვილი და უწოდე სახელი კარლო. 27-ში მოვნათლეთ. ღმერთმა გაზარდოს თუ თავის ნებით იქნება.

1903 წ. ნოემბრის 21-ს ივანე ხუციევს დაეწვა ქალიშვილი, რომელმაც ორი დღის ტანჯვით დალია სული.

1309 წ. დეკემბრის 3-ს საღამოს 6 — საათზე სალომე ფეიქაროვი (ქოროღლის ცოლი) ლამპას ანთობდა და ლამპა გაუსკდა ხელში და მთელ სხეულს მოედვა ცეცხლი. ცეცხლმა სულ ერთიან დასწვა, რომელსაც არა სახსარი ტანისა საღი არ გადურჩა. 10 — საათის დატანჯვის შემდეგ განუტევა სული. უფალმა კეთილი სამართალი მისცეს.

1904 წ. თებერვლის 21-ს გორში უცრათ თავისივე მოჯამაგირემ დანით გამოფაშვა პავლე ყალაიჯევი, რომელიც 8 — საათის ტანჯვით მოკვდა. უფალმა გაანათლოს.

1904 წ. მარტის 9-ს გარდაიცვალა 1 კვირის ავადმყოფობით პავლე პეტრეს ძე სარიევი. უფალმა გაანათლოს. 11-ში დაასაფლავეს.

1904 წ. აგვისტოს 20-ს საღამოს 5 — საათზე სოფელ ხევაშენში ბაღში მეხმა დაიტანა ნატალია სააკოვი. მასთანვე დაიტანა მეწისქვილე. ღმერთმა ყველას აშოროს მისთანა სიკვდილი.

ახალციხეში ჩამოგვიტანეს ცხედარი და 22-ში იმავე თვეში დავასაფლავეთ.

1904 წ. სექტემბრის 27-ს ანტონ სააკოვმა თავის დის შვილი სტეფანე ბეთანოვი შორაპანში წაიყვანა და ერთ კვირასვე მოუკვდა.

1905 წ. გიორგობისთვეში ანა ყაზაროვი, ფაფათ ანაი გარდაიცვალა.

1906 წ. მარიობისთვის 26-შემეძინა ქალი მაგდუსა.

1906 წ. ნოემბრის 21-ს ღამის 12 საათზე გარდაიცვალა იაკობ ფალაშოვის ასული როზა ვარლამოვისა. 24-ში დაასაფლავეს.

1906 წ. ქრისტიშობის თვის 29-ს ღამის 7 — საათზე ბათუმში ბოროტ მოქმედებმა მოჰკლეს ბენიამინ საიგაროდსკი და მასთანვე მისი ნოქარი პეტრე ფეიქაროვი. ღმერთმა გაანათლოს.

1907 წ. იანვრის 28-ს გარდაიცვალა პავლე პეტრეს ძე გოგინოვი უფალმა გაანათლოს.

1907 წ. მარიობის 29-ს ბათუმში მოჰკლეს ბოროტ განმზრახველებმა პიო სიმონის ძე გოზალოვი რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. უფალმა გაანათლოს.

1907 წლის მარიმობის 30-ს კიდოვ ბოროტ განმზრახველებმა მოჰკლეს ჩვენი სასიქადულო და სახელოვანი მწერალი, მგოსანი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელიც მიდიოდა თავის მეუღლით საკუთარ სოფელ საგურამოში. მცხეთის ახლოს გადაუდგნენ ბოროტმოქმედნი და არ დაინდეს და ტყვიით გული გაუგმირეს. მემრე მისი მეუღლე ოლგა საშინლათ აწამეს. დაასახიჩრეს და მასთანვე ჩვენი საყვარელი ილია გაძარცვეს. ერთის სიტყვით ისეთი საძაგლობა ჩაიდინეს ბოროტმოქმედებმა, რომ კალმით არ შეიძლება მისი აწერა, ამასთანავე მეუღლესთან აღზრდილ მკვლელს ილიასი ზიზღი, ფურთხი, და რცხვენა. მათ კაცობას, იუდას კერძებს და სექტემბრის თვეში ჩამოასვენეს ქალაქ თფილისში და დიდის პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში და ჯერ (ასეთი) პატივით არავინ დამარხულა. დაკრძალვაზე ასი ათას სულამდის იყო. ამასთანავე ყველა ქვეყნითგან დეპუტატები იყვნენ. ჯერ ვერცხლის გვირგვიანი 100-მდის იყო. სხვა ვენოკები 400-მდინ, ერთი სიტყვით კალმით აუწერელი სიმწუხრე იგრძნო საქართველომ, რომ ამის თანა მგოსანი დაკარგა.—საუკუნოთ

იყოს ხსენება მგოსანო ილიავ. 20 — დღე გაზეთები მასზე ლაპარაკობდნენ. ილიაზე მარტო ისრის რედაქციამ 400 — ტელეგრამა და 100 წერილები მისამძიმრებისა დაბეჭდა.
1908 წ. დეკემბრის 7-ს მთელმა საქართველომ იდღესასწაულა ორმოცდა ათი წლის მწერლობის მოღვაწეობა დიდი ამბით ჩვენი სასიქადულო მწერლის აკაკის. დღესასწაულის გადახდა კალმით აუწერელი იყო. ყველა ქვეყნებიდან წარმომადგენლები იყვნენ, ყველანი საჩუქრით. მასთანვე მისთანა იუბილეი გადაუხდიათ დეკემბრის 14-ს ა/წ ქუთაისში; 21—დეკემბერს ბაქოში, 1909 წ. 14 — იანვარს ნინოობათ გადიხადა ბათუმმა, 20 — დღეზე გაზეთები მასზე ლაპარაკობდნენ. მარტო ისრის რედაქციამ 400 — ტელეგრამა, 1000-ზე მეტი წერილი დაიბეჭდა მოლოცვანი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს აკაკი.
1909 წ. თებერვლის 12-ს გარდაიცვალა უეცრათ დილის 6 — საათზე პეტრე მიხეილის ძე ნაზაროვი. 14-ში დაასაფლავეს ჰლექის სენით.
1909 წ. სექტემბრის 14-ს პარიჟში გარდაიცვალა ჩვენი სასიქადულო კაცი და მამულიშვილი სტეფან კონსტანტინესძე ზუბალაშვილი. პარიზიდან მოასვენეს თავის საგვარეულო მამულ ქ. თფილისში და ოქტომბრის 7-ში დაასაფლავეს დიდის ამბით. სტეფან იყო ის კაცი, რომელმაც დიდი ქველმოქმედება ჰქმნა. უფალმა გაანათლოს.
1909 წ. ღვინობის 12-ს ღამის 9 — საათზე გარდაიცვალა იაკობ პეტრეს ძე ფაფაზოვი. 14-ს დაასაფლავეს. უფალმა გაანათლოს.
1909 წ. ნოემბრის 14-ს ქუთაისში გარდაიცვალა მიხეილ იოსების ძე ასლანოვი უეცრივ. 17-ში დაასაფლავეს. დაუტევა 2—ქალი და 1 — ვაჟი უფალმა გაანათლოს.
1910 წ. იანვრის 6-ს ქალ. ბათუმში სომეხ კათოლიკების ეკლესიის წინ უეცრივ დაეცა, გული შეუღონდა სტეფან ფაფაზოვს, რომელიც ფაიტონით ბალნიცაში წაიყვანეს. გზაზე ფაიტონშივე გარდაიცვალა. უფალმა გაანათლოს.
1910 წ. თებერვლის 15-ს ჯვარი დაიწერა ილიკო იაკობის ძე სააკოვმა, გრაცია სიმონის ასულზე გიორგოვისას, უფალმა გააბედნიერონ.

1910 წ. თებერვლის 26-ს შემეძინა ვაჟიშვილი.

1911 წ. მარტში ქალ. ფოთში ცურაობის დროს ზღვაში დაიხრჩო თომა ფაფაზოვი. უფალმა გაანათლოს.

1912 წ. აპრილის 22-ს ხანგრძლივ ავადმყოფობით გარდაიცვალა სულით განათლებული ივანე გვარამაძე. ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს (ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში), უფალმა გაანათლოს.

1913 წ. იანვრის 5-ს გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი დეიდაშვილი ქალ. სოხუმში მიხეილ გოზალოვის მეუღლე მარიამ გოზალოვისა ახალშობილ ვაჟზედა. უფალმა ზეციური დიდება აღირსოს. დარჩა ერთი ქალ-ვაჟი. მშობლებს მოთმინება მისცეს.

1913 წ. იანვრის 28-ს ნასადილევს 2—საათზე გარდაიცვალა წმინდა ივანე ნათლის მცემლის (ქვემო ეკლესიის) წინამძღვარი დეკანოზი მამა მიხეილ ვარძელოვი, რომელმაც თავის შრომით და ენერგიით ორ ალაგას ააგო ეკლესია. პირველი. სოფელ ხიზაბავრაში მეორე ძველ ნაწილში (რაბათში) წმინდა ივანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც დღეს ძველ ნაწილს რაბათს ამშვენებს. ხიზაბავარში ააგო აგრეთვე ეკლესიის სკოლა, რომელშიც დღეს სამი განყოფილებაა. დაასაფლავეს 30—იანვარს თავისსავე აგებულ (ამათხრილ სამარეში). რაბათში ეკლესიის გალავანში. დიდის ამბით და ხალხის დასწრებით თავისივე სამღვდელობით. დასაფლავებაზე დაესწრო უფროსი კათოლიკეთა წარმომადგენელი. მამა სარქის გამოეგზავნა თავისი თანაშემწე მამა დიონესი კალატოზოვი ღირსეული იყო ამ პატივისცემისა. უფალმა გაანათლოს და ჩვენი სული მეოხ ჰყოს. დაუტევა მეუღლე, 3 — ვაჟი და 1 — ასული.

1915 წ. აგვისტოს 25. ბრძოლის ველზე, ავსტრიის ფრონტზე მოკლულ იქმნა შტაბსკაპიტანი მიშა გრიგოლისძე მღებრიშვილი. უფალმა გაანათლოს.

1915 წ. აგვისტოს 25-ს ბრძოლის ველზე მოკლულ იქნა ავსტრიის ფრონტზე მტრის ხელით ძმისწული აბესალომ ალექსანდრესძე გოგინოვ. უფ. გაანათლოს.

1916 წ. აგვისტოს 22-ს ოსმალეთის ფრონტიდამ მომავალი ცოტა გამოცილებული, რომელიც აბოზზე იჯდა და მოდიოდა იქვე

ახლო ფრონტთან მეორე ქალაქში გზაზე, როცა შეუსვენებიათ, ჩამომხტარან მინდორზე და თავის ამხანაგთან კარტი უთამაშია. ბლომად მოუგია. ბოლოს როცა წასვლის დრო მოახლოებულა ამხანაგს ფული უკან მოუთხოვია და ალექსანდრე გოგინოვის ჩემი ძმის სიძეს პავლე პანიატოვსკის ფული აღარ დაუბრუნებია, რადგან მოგებული ჰქონდა. ამხანაგი ამაზე გამწარებულა და უსროლია თოფი. მძიმედ დაუკოდნია, ისე რომ იქაურ იმავ ადგილას ბალნიცასთან წაყვანა ვერ მოუსწრიათ და გზაზე გარდაცვლილა. უფალმა გაანათლოს. დაუტევა ცოლი და 3 — ქალი.

1917 წ. იანვრის 10-ს ქ. ფოთში გარდაიცვალა სამი დღის ავადმყოფობით დედაჩემი ეკატერინე პეტრეს ასული მღებროვისა. უფ. გაან.

1917 წ. აპრილის 12-ს გარდაიცვალა ავსტრიის სამფლობელოში ჩემი ცოლის ძმა დანიელ პეტრეს ძე გვარიშვილი. უფ. გაანათლოს.

1917 წ. აპრილში გარდაიცვალა ბათუმში უეცრად მარიამ იაკობის ასული სეხპასოვისა უფალმა გაანათლოს.

1917 წ. აგვისტოს 1 — ღამის 3—საათზე გარდაიცვალა ჩემი რძალი მეუღლე ალექსანდრე გოგინოვისა ნატალია. უფ. გაანათლოს.

1917 წ. ოქტომბერში გარდაიცვალა ბათუმში ხანგრძლივ ავადმყოფობით ბიძაშვილი სტეფან სიმონისძე მღებრიშვილი. უ. გ.

1917 წ. ნოემბერში გარდაიცვალა ჰიათურაში მიხეილ ფომიჩ ფეიქროვი. უფ. გაანათლოს.

1917 წ. ნოემბრის 29-ს გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობით ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაჩემი პავლე პეტრეს ძე ფაფაზოვი. უფალმა გაანათლოს. დაუტევა 3 — ვაჟი და 4 — ქალი.

1918 წ. 27 იანვარს გარდაიცვალა ხანგრძლივ ავადმყოფობით ჩემი ძმა გრიგოლ კარლოს ძე მღებრიშვილი. უფ. გაანათლოს.

1917 წ. მარიობის თვეში ავსტრიაში ტყვეთ ჩავარდა შტაბს კაპიტან ალექსანდრე გრიგოლისძე მღებრიშვილი მერმე ავადმყოფობა გამოაჩნდა და გაანთავისუფლეს და ბრუნდებოდა სამშობლოში. ულმობელმა სენმა აღარ დააცალა საზღვრების გადმოსვლა და სამშობლოში მოსვლა და ისევ ავსტრიის

რომელიმე ქალაქში დალია სული. იქვე დაასაფლავეს. დაუტევა ცოლი, დაუტევა 1 — ქალ-ვაჟი. უფალმა გაანათლოს.

1918 წ. 26 მაისს საქართველო იცვნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

1918 წ. დეკემბრის 17-ს გარდაიცვალა 1 — კვირის ავადმყოფობით სტეფან ჰარიქოვი. 92 წლისა იყო. უფალმა გაანათლოს.

1919 წ. ივლისის 2-ს (ახალი სტილით) 18 თვის ავადმყოფობით ანთებით მშობიერობით და ტიფით გარდაიცვალა ჩემი დამჩაგვრელი იულია პავლეს ასული მღებროვისა. ახლა საყვარელი იულია გემშვიდობებით შენი ერთგული მეუღლე ვანო და შვილები კარლო და მაგდუსა. რად დაგვტანჯე ჩვენო ერთგულო, ჩვენო იმედო და სიხარულო. 4-ში დავასაფლავეთ. იულიაჯან არ დაგივიწყებთ მინამ გვიდგას სული. უფალმა გაგანათლოს და ჩვენ მეოხეთ-გყოს.

1919 წ. 26 — აგვისტო ახალციხიდამ გამოვსახლდით ქ. ბათუმში.

1921 წ. 23 დეკემბერს გარდაიცვალა სტეფანე ლევანის ძე გურგენიძე მცირე ხნის ავადმყოფობით. უფალმა გაანათლოს. 26-ში დაასაფლავეს.

1922 წ. 29 — ივლისს მცირე ხნის ავადმყოფობით გარდაიცვალა ზაქარია კონსტანტინესძე დიდიმამიშვილი. უნუგეშოთ დასტოვა 4 — მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე. უ. გაანათლ.

1929 წ. 10 დეკემბერს პარიჟში გარდაიცვალა კარლო მღებრიშვილი. უფალმა შეიწყალოს.

## ИЗ ИСТОРИИ ПОЗДНЕГО СРЕДНЕВЕКОВЬЯ ГРУЗИИ. АХАЛЦИХСКИЕ ХРОНИКИ

### Резюме

Прямым результатом разногласий между христианскими церквами Запада и Востока явилось создание в VIII веке папского теократическо-монархического государства в городе Риме. Окончательный раскол христианского мира на две части — Западную (католики) и Восточную (православные) церкви — совершился в 1054 году. Грузия после церковного раскола оказалось в орбите Восточного христианства. Однако она никогда не прерывала определенных отношений с Западом. Светские и духовные власти Грузии не раз пытались в обход Византии установить нормальные политические вза-

имоотношения с Римом. Эта тенденция становится особенно заметной с 30-ых годов XIII века, после того, как в Грузии утвердились монголы. В борьбе с монголами Грузия искала союзников и помощи на Западе. В случае оказания такой помощи грузинские правители обещали обратить всю страну в католическую веру и присоединить грузинскую церковь к римской.

За этими грузино-римскими взаимоотношениями 30-ых годов XIII века последовало появление католических миссионеров в Грузии. Первыми миссионерами были «миноры» — члены ордена Францисканцев. Вслед за ними, уже в 40-ых годах XIII века в Грузию прибыли монахи-доминиканцы.

Для удовлетворения духовных потребностей грузинской католической паствы, умножившийся в результате активной деятельности именно этих миссионеров-латинян, в конце 20-ых годов XIV века в Тбилиси основывается епископская кафедра грузинских католиков, сыгравшая большую роль в деле приобщения Грузии к европейской образованности, привнесения сюда «латинской учености».

В XV—XVI веках католические миссионеры активно участвуют в попытках создания коалиции западных и восточных христиан, направленной против надвигающейся османской опасности. Несмотря на ряд таких попыток, положение все же изменилось в начале XVI века. Османы закрыли черноморские проливы, прервались связи Грузии с Европой, закрылась в Тбилиси католическая епископская кафедра, сократилась в количественном отношении католическая паства. В результате всего этого духовное руководство грузинских католиков захватили армянские католические церковные деятели из Нахичевана, т. н. шопахи — «униаты», которые в качестве представителей римского папы продолжали «обслуживать» местных католиков по армянско-католическому уставу. В связи с этим в нашем исследовании значительное место уделено вопросам основания киликийского армянского государства и распространения там католицизма, освещению положения армяно-григорианской и армяно-католической церквей в самой Армении и за ее пределами в условиях политической гегемонии турок. При этом, отмечается, что как шахи Ирана, так и турецкие султаны, систематичсеки преследуя и притесняя армянскую церковь и вообще все армянское на территории собственно Армении, предоставляли за ее пределами целый ряд преимуществ и привилегий армянам-изгнанникам. Этим они добивались верности к себе армянской коммерческой буржуазии, стараясь поста-

вить ее на свою службу. В связи с этим нам пришлось рассмотреть цели, арены и результаты деятельности армяно-григорианского патриархата и армяно-католического епископата, основнных в Стамбуле при содействии султанов. В работе отмечается, что наиболее благотворную почву для своей деятельности армяно-католитические монахи — «унияты» нашли в Месхети, где узко-сепаратистские тенденции местных феодалов крайне ослабили грузинскую православную церковь в XV—XVI веках, и где завоеватели — турки с конца XVI века огнем и мечом преследовали православие, видя в нем залог будущего русско-грузинского единства, и насаждали мусульманство среди месхского и лазского населения.

В турецких политических кругах католичество признавалось терпимой христианской сектой и вследствие этого одна часть населения Месхети обратилась именно к католицизму, где они, как уже указывалось нами, засылали армяноязычный кондак.

Данное положение, сохранявшееся в течение десятилетий, наложило свой отпечаток на быт грузин-католиков, в особености же на его ономастику, хотя языковый феномен оставался неизменным и на не-грузинский кондак, зачитываемый во время службы священником, паства отвечала по-грузински. Все это в конце концов стало источником споров и раздора в грузинской католической церкви. Часть месхов-католиков начало борьбу за введение грузинского типикона.

Вместе с распространением религиозной литературы в среде грузинских католиков, ставших на путь борьбу за преодоление многочисленных препятствий и выполнения наважденных желаний, создавались также важные памятники нашей культуры, как в Грузии, так и за ее пределами: на острове св. Лазаря, в Стамбуле и Монтобани. В связи с этим в нашем труде изучены вопросы создания грузино-католической конгрегации, открытии ею грузинских учебных заведений, грузинской типографии и другие интересные вопросы.

В следующих разделах труда изучены личности авторов хроник и охарактеризовано общее направление их трудов.

В заключительной части приложены тексты, которые охватывают период с 60-х годов XVIII века до установления Советской власти в Грузии.

## შინაარსი

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
კათოლიკობის პირველი ნაბიჯები საქართველოში . . . . . . . . . 6
სომხურ-ქართულ ეკლესიათა შეხვედრები და „უნითორები“ . . . . . . . . 19
რელიგიურ სექტანტთა ბურუსში . . . . . . . . . . . . . . . 43
ქართველ კათოლიკეთა კულტურული საქმიანობა უცხოეთში . . . . . . . 66
იოანე ხუცესი და მისი დღიური-წერილები . . . . . . . . . . . . 84
სტეფანე ნავროზაშვილის ქრონიკა . . . . . . . . . . . . . . 93
სტეფანე აბინაშვილის ქრონიკა . . . . . . . . . . . . . . . 99
იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ერთი უცნობი წირვის დავთრის ქრონიკა . . . 100
მღებრიანთ ქრონიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 101
ანტონ ხუციანოი-გოდებაძე და მისი წერილი ვანჩენციო მთავარეპისკოპოსისადმი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 106
ახალციხური ქრონიკები . . . . . . . . . . . . . . . . 120
არქიმანდრიტი პავლე ჰილომეზაშვილი (შაჰყულიანი) „მწყიცე ანდერძი“ . . . . 110
რეზიუმე (რუსულ ენაზე) . . . . . . . . . . . . . . . . . .

**Ломсадзе Шота Васильевич**

# ИЗ ИСТОРИИ ПОЗДНЕГО СРЕДНЕВЕКОВЬЯ ГРУЗИИ.
## АХАЛЦИХСКИЕ ХРОНИКИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 930

რედაქტორი მ. დუმბაძე
გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ა. დუმბაძე
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 10. 5. 1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 11. 1979;
ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_{16}$; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 18.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,9;

უე 01264; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 1718;

ფასი 1 მან. 55 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19